ალფრედ ადლერი

ცხოვრება – მეცნიერებაა

გამომცემლობა „პეგა“
თბილისი–2013

UDC (უაკ): 316.6+316.472.4+159.92
ა–28

ალფრედ ადლერი – ცხოვრება – მეცნიერებაა.
გამომცემლობა „პეგა“, თბილისი, 2013, 185 გვ.

დიდი ავსტრიელი ფსიქოლოგისა და ფსიქიატრის ეს შესანიშნავი წიგნი ეძღვნება მის მიერ შექმნილი „ინდივიდუალური ფსიქოლოგიის“ აქტუალური საკითხების განხილვას. ადლერმა გააკრიტიკა ფროიდის სწავლება ადამიანთა ქცევის დეტერმინაციაში სექსუალობისა და არაცნობიერის გაზვიადებული როლის გამო. მან აქცენტირება გააკეთა სოციალური ფაქტორების როლზე, კერძოდ, ხაზს უსვამდა ლტოლვების სოციალურ მიმართულებას, როგორც ადამიანის ხასიათის საფუძველს. ადლერის მიხედვით, ადამიანის ხასიათი ყალიბდება მისი „ცხოვრების სტილის“ საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს ბავშვობაში ჩამოყალიბებულ მიზანმიმართული მისწრაფებების სისტემას, რომელშიც რეალიზდება მოთხოვნილება უპირატესობაზე, თვითდამკვიდრებაზე და რომელიც წარმოადგენს არასრულფასოვნების გრძნობის კომპენსაციას.

ადლერის იდეებმა ხელი შეუწყეს ფროიდიზმის მოდიფიკაციას და საბოლოო ჯამში ნეოფროიდიზმის წარმოშობას. მასობრივ, ჩვეულებრივ ცნობიერებაში შევიდა ადლერის მიერ შემოღებული ტერმინი „არასრულფასოვნების კომპლექსი“.

აღნიშნული გამოცემა წარმოადგენს ალფრედ ადლერის წიგნის „ცხოვრება – მეცნიერებაა“ ქართულ ენაზე სრული თარგმანის პირველ მცდელობას.

წიგნი გამიზნულია ადამიანის ფსიქიკური ცხოვრებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

მთარგმნელები: ნინა და მარინა თურმანიძეები
რედაქტორი: აკადემიკოსი თამაზ თურმანიძე

© საავტორო უფლებები დაცულია

ISBN 978–9941–0–5759–5

თავი 1. ინდივიდუალური ფსიქოლოგიის პრინციპები

დიდმა ფილოსოფოსმა უილიამ ჯეიმსმა ერთხელ თქვა: „მხოლოდ ცხოვრებასთან უშუალოდ დაკავშირებული მეცნიერება წარმოადგენს ნამდვილ მეცნიერებას“. სხვაგვარად ეს აზრი შეიძლება გამოვხატოთ ასე: ცხოვრებასთან უშუალოდ დაკავშირებულ მეცნიერებაში თეორია და პრაქტიკა თითქმის განუყოფელია. მეცნიერება ცხოვრების შესახებ იქცევა ცხოვრების წესის შესახებ მეცნიერებად სწორედ იმიტომ, რომ ის ყალიბდება უშუალოდ ცხოვრების მიმდინარეობის პროცესში. ყველა ეს მოსაზრება განსაკუთრებით სამართლიანია ინდივიდუალური ფსიქოლოგიისათვის.

ინდივიდუალური ფსიქოლოგია ადამიანის ცხოვრებას განიხილავს როგორც მთლიანობას, აღიქვამს რა ყოველ ცალკეულ რეაქციას, ყოველ მოძრაობას და იმპულსს როგორც ინდივიდუალური ცხოვრებისეული განწყობის ნაწილის გამოვლინებას. ჩვენი მეცნიერების წარმოშობა განაპირობა პრაქტიკულმა საჭიროებამ, რამეთუ გარკვეული ცოდნის დახმარებით შესაძლებელია ადამიანთა განწყობის კორექტირება და შეცვლა. ამრიგად, ინდივიდუალური ფსიქოლოგია ორმაგად *წინასწარმეტყველურია*: ის არა მხოლოდ წინასწარმეტყველებს, თუ რა მოხდება, არამედ წინასწარმეტყველ იოანეს მსგავსად, წინასწარმეტყველებს, თუ რა *მოხდება*, რათა ეს *არ მოხდეს*.

მიზნისკენ მისწრაფება

ინდივიდუალური ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერება, ვითარდებოდა ცხოვრების საიდუმლო შემოქმედებითი ძალის შემეცნების შეუპოვარი მისწრაფებიდან, იმ ძალის, რომელიც განსახიერდება განვითარების, ბრძოლის, მიღწევის,

უპირატესობის და ერთ სფეროში დამარცხების სხვა სფეროში წარმატებისაკენ მისწრაფებით კომპენსაციის სურვილშიც კი. ეს ძალა *ტელეოლოგიურია*: ის ვლინდება მიზნისაკენ მისწრაფებულობაში, რომელშიც ყველა სხეულებრივი და სულიერი მოძრაობები ურთიერთმოქმედებაში ხდება. ამრიგად, აბსურდულია სხეულებრივი მოძრაობებისა და მენტალური მდგომარეობის შესწავლა აბსტრაქტულად, ინდივიდუუმის როგორც მთლიანის მიუხედავად. მაგალითად, აბსურდულია ის ფაქტი, რომ სასამართლო ფსიქოლოგიაში მეტი ყურადღება ეთმობა დანაშაულს, ვიდრე დამნაშავეს, თუმცა მნიშვნელოვანია სწორედ დამნაშავე, და საერთოდ არა აქვს მნიშვნელობა, თუ რამდენი ხნის განმავლობაში ვაკვირდებით დამნაშავეობრივ ქმედებებს: მათი დამნაშავეობრივი ხასიათის მანამდე გაგება შეუძლებელია, სანამ ისინი არ წარსდგებიან ეპიზოდის სახით კონკრეტული პირის ცხოვრებაში. გარეგნულად ერთნაირი ქმედებები შეიძლება ერთ შემთხვევაში დამნაშავეობრივი იყოს, და არ წარმოადგენდეს დანაშაულს მეორე შემთხვევაში. ძალიან მნიშვნელოვანია ინდივიდუალური კონტექსტის – ადამიანის ცხოვრების მიზნის გაგება, რომელიც განსაზღვრავს ყველა მისი საქციელის და განზრახვების მიმართულებას. ცხოვრების მიზნის გაგება ჩვენთვის შესაძლებელს ხდის სხვადასხვა ცალკეული ქმედებების საფუძვლად დადებული ფარული აზრის გაგებას, რამეთუ ჩვენ ვიწყებთ მათ დანახვას ერთიანი მთლიანის ნაწილებად. და პირიქით, ჩვენ უკეთ ვაღწევთ მთლიანის აზრში, როცა ვიკვლევთ ნაწილებს, რასაკვირველია, იმ პირობით, რომ მათ ვხედავთ ამ მთლიანის ნაწილების სახით.

ფსიქოლოგიისადმი ჩვენი ინტერესი განვითარდა სამედიცინო პრაქტიკიდან, რომელმაც უზრუნველყო ფსიქოლოგიური ფაქტორების გასაგებად აუცილებელი ტელეოლოგიური (მიზანზე ორიენტირებული) მიდგომა. მედიცინის თვა-

ლსაზრისით, ყველა ორგანო ვითარდება საბოლოო მიზნის მიმართულებით: სიმწიფის პერიოდის დადგომისათვის თი–თოეულ მათგანს აქვს განსაზღვრული ფორმა. უფრო მეტიც, ჩვენ აღმოვაჩენთ ბუნების დამატებით ძალისხმევას, რათა გადალახოს არასრულფასოვნება ან მოახდინოს მისი კომპენ–სირება სხვა ორგანოს განვითარებით ორგანული დეფექტე–ბის შემთხვევებში. ცხოვრება ყოველთვის გაგრძელებისკენ მიისწრაფვის, ხოლო ცხოვრებისეული ძალა ბოლომდე არ ნებდება უბრძოლველად.

სულის განვითარება ორგანული ცხოვრების განვითა–რების ანალოგიურია. ყოველ ადამიანს გააჩნია მიზნის კონ–ცეფცია ან იმისთვის საჭირო იდეალი, რათა მიაღწიოს უფრო მეტს, რაც მისთვის შესაძლებელია აქტუალურ ცხოვრებისე–ულ სიტუაციაში, გადალახოს ახლანდელი ცხოვრების ნაკ–ლოვანებები და სირთულეები მომავლის კონკრეტული მიზ–ნის პოსტულირების მეშვეობით. აქვს რა ეს კონკრეტული მი–ზანი ან განზრახვა, ადამიანი თავის თავს გრძნობს ნებისმიე–რი პრობლემის გადალახვის შემძლედ, რამეთუ მასში ბინად–რობს მისი მომავალი წარმატება. მიზნის შეგრძნების გარეშე ინდივიდის საქმიანობას არავითარი აზრი არ ექნებოდა.

სრულიად აშკარაა, რომ ამ მიზნის ფიქსაცია – მისთვის კონკრეტული ფორმის მიცემა – ცხოვრების ადრეულ ეტაპზე უნდა ხდებოდეს, ბავშვობის ფორმირებადი პერიოდის დროს. მომავალი მომწიფებული პიროვნების პროტოტიპის ან მოდელის ხასიათი სწორედ ამ დროს იწყებს ჩამოყალიბე–ბას. შეიძლება წარმოვიდგინოთ, თუ როგორ მიმდინარეობს ეს პროცესი. თავისი სისუსტის გამო ბავშვი თავს გრძნობს არასრულფასოვნად და იმყოფება სიტუაციაში, რომლის გა–დატანაც უჭირს. თუმცა მასში ჩადებულია იმ მიზნით გან–საზღვრული მიმართულებით განვითარებისკენ მისწრაფება, რომელსაც თავისთვის ირჩევს. ამ ეტაპზე ის მასალა, რომე–

ლიც განვითარებისთვისაა საჭირო, ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვიდრე ცხოვრების მიმართულების განმსაზღვრელი თავად მიზანი. ძნელია იმის თქმა, როგორ ფიქსირდება ეს მიზანი, თუმცა ცხადია, რომ იგი არსებობს და გავლენას ახდენს ბავშვის თითოეულ სულიერ მოძრაობაზე. ჩვენ მართლაც ჯერ ცოტა რამ ვიცით ამ ადრეულ პერიოდში არსებულ მამოძრავებელ ძალებზე, იმპულსებზე, მიზეზებზე, უნარებზე და მათ არარსებობაზე. მათი გაგებისათვის ჯერ კიდევ არ არსებობს გასაღები, რამეთუ ცხოვრების მიმართულება განისაზღვრება მხოლოდ მიზნის ფიქსაციის შემდეგ. როცა ჩვენ ვხედავთ მიმართულებას, რომლისკენაც მიდრეკილია ადამიანი, უკვე შეგვიძლია მივხვდეთ, თუ რა ნაბიჯები გადაიდგმება შემდგომში.

მართალია, სიტყვა „მიზნის“ ხმარება მკითხველში, დიდი ალბათობით, იწვევს ფრიად ბუნდოვან წარმოდგენას, თუ რაზეა საუბარი. იდეა საჭიროებს კონკრეტიზაციას, რამეთუ საბოლოო ჯამში „მიზნის ქონა“ ნიშნავს ღმერთთან მიმსგავსებისკენ მისწრაფებას. მაგრამ ღმერთთან მიმსგავსება ესაა, რა თქმა უნდა, საბოლოო მიზანი ან, თუ შეიძლება ასე ითქვას, მიზანთა მიზანი. აღმზრდელები ფრთხილად უნდა იყვნენ საკუთარი თავის და ბავშვების ღმერთის მსგავსებად აღზრდის მცდელობებში. ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ ბავშვი თავის განვითარებაში ამ მიზანს ანაცვლებს უფრო კონკრეტულით და უშუალოთი. ის თავის გარემოცვაში ყველაზე ძლიერ პიროვნებას პოულობს და მას ხდის თავის ნიმუშად, ხოლო მის მიბაძვას კი – მიზნად. ეს შეიძლება იყოს დედა ან მამა, რამეთუ ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ ბიჭიც კი შეიძლება იყოს დედის გავლენის ქვეშ, თუ ის ყველაზე ძლიერ პიროვნებად ეჩვენება. შემდგომში ბავშვს შეიძლება მოუნდეს მეეტლედ ყოფნა, რადგანაც რაღაც მიზეზის გამო სწამს, რომ სწორედ მეეტლე – ესაა უძლიერესი ადამიანი. როცა ბავშვი ამ მიზანს დაისა–

ხავს, იგი ცდილობს ქცევით, გრძნობით და ჩაცმულობით მეეტლეს დაემსგავსოს, ის იძენს მიზნიდან გამომდინარე თვისებებს. მაგრამ საკმარისია პოლიციელმა თითი ოდნავ გაანძრიოს, და მეეტლის მიმართ ინტერესი უკვალოდ ქრება. მოგვიანებით იდეალი შეიძლება გახდეს ექიმი ან მასწავლებელი, მასწავლებელს ხომ შეუძლია ბავშვის დასჯა, და ამიტომ მისდამი ჩნდება დამოკიდებულება როგორც უძლიერესი პიროვნებისადმი.

მიზნის არჩევისას ბავშვი დგება კონკრეტული სიმბოლოების არჩევანის წინაშე, და აღმოჩნდება, რომ მის მიერ არჩეული მიზანი წარმოადგენს მისი სოციალური ინტერესის ნამდვილ მაჩვენებელს. ერთმა ბიჭმა, რომელსაც შეეკითხნენ, თუ ვინ უნდა გამხდარიყო მომავალში, უპასუხა: „მე მინდა ვიყო ჯალათი". მისი პასუხი მიუთითებს სოციალური ინტერესის ნაკლებობაზე, ბიჭი ხომ უნდა ასრულებდეს სიცოცხლისა და სიკვდილის განმკარგველის როლს, – როლს, რომელიც მხოლოდ ღმერთს ეკუთვნის. მას სურს საზოგადოებაზე მაღლა დადგეს, მას ამოძრავებს ცხოვრების უსარგებლობის იდეა. ექიმად ყოფნა – ეს აგრეთვე მიზანია, რომელიც წარმოიშვება ღმერთთან გატოლების იდეიდან და სიცოცხლისა და სიკვდილის განმკარგველად ყოფნის სურვილიდან, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში მიზანი რეალიზდება საზოგადოების სამსახურში ჩადგომით.

აპერცეფციის სქემა

როცა ყალიბდება პროტოტიპი – პიროვნების მიზნის განმასახიერებელი ადრეული ვარიანტი, – განისაზღვრება ინდივიდის ცხოვრების მიმართულება და ორიენტირებულობა. ეს ყველაფერი შესაძლებლობას გვაძლევს ვიწინასწარმეტყველოთ, თუ რა მოხდება მის შემდგომ ცხოვრებაში.

ბავშვი სხვადასხვა სიტუაციას აღიქვამს არა ისეთად, როგორიც ის სინამდვილეში არის, არამედ აპერცეფციის პირადი სქემის მიხედვით, სხვა სიტყვებით, ის სიტუაციებს აღიქვამს თავისი წინასწარი შეგონებების პრიზმაში. ამასთან დაკავშირებით აღმოჩენილ იქნა ის საინტერესო ფაქტი, რომ ორგანული დეფექტების მქონე ბავშვები მთელ თავის გამოცდილებას უკავშირებდნენ დაზიანებული ორგანოს ფუნქციონირებას. მაგალითად, ბავშვი კუჭნაწლავის აშლილობით გაზრდილ ინტერესს ჭამისადმი ავლენდა, მაშინ როცა სხვა, რომელსაც მხედველობის დეფექტი ჰქონდა, უფრო ისეთი რამეებით ინტერესდებოდა, რომელთა აღსაქმელადაც მხედველობაა საჭირო. ეს გაზრდილი ყურადღება დაკავშირებულია აპერცეფციის პირად სქემასთან, რომელიც, როგორც უკვე ვთქვით, პიროვნებას მთლიანობაში ახასიათებს. ამრიგად, ყველა ზემოთ აღნიშნულმა შეიძლება იმ აზრამდე მიგვიყვანოს, რომ ბავშვის ინტერესების სფეროს გამოსავლენად ჩვენ უბრალოდ უნდა ვიცოდეთ, თუ რომელი ორგანო აქვს დაზიანებული. მაგრამ ეს ყველაფერი არც ისე მარტივია.

ორგანოს არასრულფასოვნების ფაქტის ბავშვის მიერ განცდა განსხვავდება გარეშე დამკვირვებლის მიერ ამ ფაქტის აღქმისაგან, რამეთუ ბავშვი ამ ფაქტს განიცდის, როგორც აპერცეფციის თავისი სქემის მიერ მოდიფიცირებულს. ამრიგად, არასრულფასოვნების გარეშე დაკვირვებას ყოველთვის არ მივყავართ აპერცეფციის სქემის ღრმა გაგებამდე, თუმცა ორგანოს არასრულფასოვნების ფაქტი მართლაც შეადგენს სქემის ელემენტს.

ბავშვი ცხოვრობს იმ რეალობაში, სადაც ის სხვებისგან არაფრით არ განსხვავდება: არცერთ ჩვენთაგანს არ გააჩნია აბსოლუტური ჭეშმარიტების ცოდნა. ჩვენი მეცნიერებაც კი არ ფლობს აბსოლუტური ჭეშმარიტების ცოდნას. იგი ემყარება იმ საღ აზრს, რომელიც ამბობს, რომ ყველაფერი იცვ-

ლება და ნაკლები შეცდომები კეთდება იქ, სადაც ადრე დიდი შეცდომები კეთდებოდა. ჩვენ ყველანი ვუშვებთ შეცდომებს, მაგრამ მთავარია ის, რომ ჩვენ შეგვეძლოს მათი გამოსწორება.

შეცდომების გამოსწორება უფრო ადვილად და უმტკივნეულად ხდება პროტოტიპის ფორმირების დროს. თუმცა, ჩვენ ეს შეგვიძლია მოგვიანებითაც გავაკეთოთ, გადავხედავთ რა ადრეული პერიოდის მთელ სიტუაციას. ასე რომ, თუ ამოცანას წარმოადგენს ნევროზით დაავადებული პაციენტის მკურნალობა, ჩვენ უნდა ვიპოვოთ მის მიერ ბოლო დროს დაშვებული არა ჩვეულებრივი, არამედ პროტოტიპის ფორმირების დროს ადრეულ ასაკში დაშვებული ფუნდამენტური შეცდომები. თუ ამ შეცდომებს აღმოვაჩენთ, ისინი შეიძლება გამოვასწოროთ სათანადო თერაპიის დახმარებით.

მაშასადამე, ინდივიდუალური ფსიქოლოგიის თვალსაზრისით მცირდება მემკვიდრეობითობის პრობლემის მნიშვნელობა, რამეთუ მნიშვნელოვანია არა ის, რაც მემკვიდრეობით გადმოყვება, არამედ ის, თუ როგორ ეპყრობა თავის მემკვიდრეობითობას ადრეულ წლებში, სხვა სიტყვებით, მთავარია ის პროტოტიპი, რომელიც ბავშვის მიერ ფორმირდება მის გარემოცვაში.

მემკვიდრეობითობა, რა თქმა უნდა, პასუხისმგებელია თანდაყოლილ ორგანულ დეფექტებზე, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რათა შევამსუბუქოთ ცალკეული სირთულეები და ბავშვი უფრო ხელსაყრელ სიტუაციაში მოვათავსოთ. არსებითად, მსგავსი მდგომარეობა ჩვენთვის უფრო მოხერხებულიც კია, რამეთუ აღმოვაჩენთ რა გარკვეულ დეფექტს, ჩვენ ვიცით, რომ შეგვიძლია გამოვიყენოთ შესაბამისი სტრატეგია. ხშირად თანდაყოლილი დეფექტების არმქონე ბავშვი უარესად იტანს კვების უკმარისობას ან სხვა რომელიმე განცდას იმ სიმრავლიდან, რომე-

ლიც მას წილად ერგება ასაკში შესვლის პერიოდში.

ახლა კი ჩვენ განვიხილავთ პროგრამას, რომელსაც ინ–დივიდუალური ფსიქოლოგია გვთავაზობს ნევროტული პი–როვნებების – ნევროტიკი ბავშვების, აგრეთვე დამნაშავეე–ბის, ალკოჰოლიკების, ანუ იმ ადამიანების, რომლებიც ასე–თი ხერხით ცდილობენ ნამდვილი ცხოვრებისაგან გაქცევას – აღზრდისა და სწავლებისათვის.

პაციენტის პრობლემებში უკეთ გასარკვევად, პირველ რიგში ვეკითხებით, თუ როდის დაეწყო ეს პრობლემები. ჩვეულებრივ მიზეზს რაღაც ახალ ცხოვრებისეულ სიტუაცი–აში ხედავენ. სინამდვილეში კი, ახალი სიტუაცია არაფერ შუაშია, რამეთუ ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ის ჩამოყალიბდა, ჩვენი პაციენტი – ამას ჩვენ კვლევის პროცესში აღმოვაჩენთ – არ იყო მისთვის მზად. სანამ ის ხელსაყრელ გარემოებებში იმყოფებოდა, მისი პროტოტიპის შეცდომები არ ვლინდებო–და: ყოველ ახალ სიტუაციაში, რეაგირებდა რა მისი პროტო–ტიპის მიერ შექმნილი აპერცეფციის სქემის თანახმად, ის იძულებული იყო ექსპერიმენტირება მოეხდინა. მისი გარე სამყაროსათვის პასუხები უკვე არ წარმოადგენენ მხოლოდ რეაქციებს. მათში ჩნდება შემოქმედების ელემენტი, მაგრამ ამასთან ერთად ისინი კვლავ მისდევენ მიზანს, რომელიც დომინირებს მთელი მათი ცხოვრების მანძილზე. ინდივი–დუალური ფსიქოლოგიის უკვე ადრეულ კვლევებში ჩვენ მივხვდით, რომ არ შეიძლება მემკვიდრეობითობის, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ფაქტორის, მთლიანისაგან იზო–ლირებულად განხილვა. ცხადია, რომ პროტოტიპი ცხოვრე–ბისეულ სიტუაციას პასუხობს აპერცეფციის საკუთარი სქე–მის შესაბამისად. ამიტომ თერაპიის სასურველი შედეგის მისაღწევად ფსიქოლოგმა სწორედ მასთან უნდა იმუშაოს.

არასრულფასოვნების გრძნობა და ერთობის გრძნობა

ფსიქოლოგიური კონტექსტი უაღრესად დიდ მნიშვნელობას იძენს დაზიანებული ორგანოებით დაბადებული ბავშვების შემთხვევებში. რადგან ეს ბავშვები სხვებთან შედარებით უფრო რთულ სიტუაციაში აღმოჩნდებიან, მათში მკვეთრად ვლინდება არასრულფასოვნების გაზვიადებული გრძნობა. უკვე პროტოტიპის ფორმირების დროს მათ უფრო საკუთარი თავი აინტერესებთ, ვიდრე გარშემომყოფები, და ეს ტენდენცია შეიძლება მათში მთელი მომდევნო ცხოვრება დარჩეს. ორგანული არასრულფასოვნება – ესაა პროტოტიპში შეცდომების არა ერთადერთი მიზეზი, არსებობს რიგი სხვა სიტუაციებიც, რომლებიც შეიძლება იყოს მათი მიზეზი. მაგალითად, განებივრებული და უარყოფილი ბავშვების სიტუაცია. შემდგომში ჩვენ გვექნება მათი უფრო დეტალურად აღწერის და კლიენტთა სამი განსაკუთრებით არახელსაყრელი სიტუაციის მაილუსტრირებელი იმ ისტორიების მიწოდების შესაძლებლობა, რომლებიც ეხებიან დაზიანებული ორგანოების მქონე, განებივრებულ და უარყოფილ ბავშვებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბავშვების ზრდას თან ახლავს სიძნელეები და შიში, რამეთუ ისინი ვითარდებიან იმ გარემოში, რომელიც მათ დამოუკიდებლობას არ ასწავლის.

რადგანაც ჩვენ მიგვაჩნია, რომ სოციალური ინტერესი – ესაა ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი აღზრდისა და მკურნალობისადმი მიდგომაში, ჩვენ გვინდა უკვე პირველ გვერდებზე ავხსნათ ამ ცნების მნიშვნელობა. მხოლოდ გამბედავ, თავდაჯერებულ ადამიანებს, რომლებიც ამ სამყაროში თავს თავისუფლად გრძნობენ, შეუძლიათ ისარგებლონ როგორც ამქვეყნიური ცხოვრების კეთილდღეობით, ისე მისი სირთულეებით. მათ იციან, რომ სირთულეები არსებობენ, მაგრამ

მათ ისიც იციან, რომ შეუძლიათ მათი გადალახვა. მათ არ აშინებთ ცხოვრების პრობლემები, რომლებიც, როგორც წესი, სოციალურ პრობლემებს წარმოადგენენ. ადამიანად ყოფნისათვის საჭიროა მომზადებული იყო სოციალური ქცევისათვის. ჩვენ მიერ ნახსენები ბავშვების სამივე ტიპს უყალიბდება პროტოტიპი ერთობის გრძნობის უმცირესი ხარისხით. მათ არ გააჩნიათ ისეთი მენტალური განწყობა, რომელიც დაეხმარებოდა მათი ცხოვრებისეული გეგმების განხორციელებაში ან პრობლემების გადაჭრაში. დამარცხების გრძნობა პროტოტიპში ბადებს მცდარ განწყობას ცხოვრებისეული პრობლემების მიმართ და პიროვნების უსარგებლო მიმართულებით განვითარების ტენდენციას. ამის საპირისპიროდ, ამ პაციენტების მკურნალობისას ჩვენს ამოცანას იმაში ვხედავთ, რომ მათი ქცევა სწორ კალაპოტში წარვმართოთ და გავამყაროთ ზოგადი პოზიტიური განწყობა ცხოვრების და საზოგადოების მიმართ.

ერთობის არასაკმარისად განვითარებული გრძნობა წარმოადგენს უსარგებლო ცხოველქმედებაზე ორიენტაციის ეკვივალენტს. ერთობის არასაკმარისად განვითარებული გრძნობის მქონე ინდივიდები შეადგენენ პრობლემური ბავშვების, დამნაშავეების, სულით ავადმყოფების, ალკოჰოლიკების ჯგუფებს. ასეთ შემთხვევებში გადასაჭრელი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ მოიძებნოს ისეთი საშუალებები, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ სრულფასოვანი ცხოვრებისკენ მათ დაბრუნებაზე და გარშემომყოფებისადმი მათი ინტერესების მიქცევაზე.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ეგრეთ წოდებული „ინდივიდუალური“ ფსიქოლოგია სინამდვილეში სოციალურ ფსიქოლოგიას წარმოადგენს.

საღი აზრი და მისი არარსებობა

თუმცა პრობლემური ბავშვების გონებრივი უნარი ეჭვს არ იწვევს, – იმ გაგებით, რომ თუ თქვენ კითხვას უსვამთ, ისინი სწორად პასუხობენ – რთული როდია მათში იმ სიმპ–ტომებისა და რეაქციების აღმოჩენა, რომლებიც არასრულფა–სოვნების ძლიერ გრძნობაზე მიუთითებენ. რა თქმა უნდა, ჭკუა – ეს სულაც არ არის საღი აზრი.

ბავშვს გააჩნია ღრმად პირადული, ეგრეთ წოდებული კერძო მენტალური განწყობა, რომელიც შეიძლება აგრეთვე ნევროტულ პიროვნებებში აღმოვაჩინოთ. აკვიატებული ნევ–როზისას, მაგალითად, პაციენტს ესმის ფანჯრების მუდმივი დათვლის უაზრობა, მაგრამ არ შეუძლია შეჩერდეს. ის, ვინც სასარგებლო მიზნებისაკენ მიისწრაფვის, ასეთნაირად არას–დროს არ მოიქცევა. აგრეთვე არაჯანმრთელ ადამიანს ახასი–ათებს კერძო გაგება და კერძო ენა. სულით ავადმყოფი არას–დროს არ ლაპარაკობს საღი აზრის ენაზე, რომელიც რეპრე–ზენტირებას უკეთებს ერთობის გრძნობის განვითარების უმაღლეს საფეხურს. თუ საღ აზრზე დაფუძნებულ მსჯელო–ბას კერძო მსჯელობას დავუპირისპირებთ, აღმოვაჩენთ, რომ პირველი ჭეშმარიტებასთან ჩვეულებრივ უფრო ახლოსაა. საღი აზრის თანახმად ჩვენ განვასხვავებთ კარგსა და ცუდს, და თუმცა რთულ სიტუაციებში ხშირად შეცდომებს ვუშ–ვებთ, სწორედ საღი აზრის ლოგიკის წყალობით მათ აქვთ გამოსწორების ტენდენცია. ხოლო მას, ვინც ყოველთვის მზა–დაა თავისი კერძო ინტერესების დასაცავად, არ ძალუძს სწორის და არასწორის დანარჩენებივით ადვილად განსხვა–ვება. და ეს უუნარობა თვალსაჩინოა, რამეთუ მათი სულიე–რი მოძრაობები დამკვირვებლისათვის გამჭვირვალეა.

განვიხილოთ, მაგალითად, როგორ ხდება დანაშაულე–ბის ჩადენა. თუ გამოვიკვლევთ დამნაშავის ლოგიკას, აზრო–

ვნებას და მოტივებს, აღმოვაჩენთ, რომ ის თავის დანაშაულებს არა მხოლოდ გონივრულად, არამედ გმირულადაც თვლის. მას სწამს, რომ უპირატესობას მიაღწია, სახელდობრ, გახდა პოლიციაზე უფრო ჭკვიანი და შეიძინა სხვებზე უპირატესობის მოპოვების უნარი. ამრიგად, საკუთარ თვალში ის – გმირია; ის ვერ ხედავს, რომ მისი საქციელები დემონსტრირებენ რაღაც სხვას, რომელიც ჰეროიკისაგან ძალიან შორსაა.

დამნაშავეში ერთობის გრძნობის არასაკმარისი განვითარება, რომელიც მის აქტივობას უსარგებლო კალაპოტში წარმართავს, დაკავშირებულია მასში ვაჟკაცობის უკმარისობასა და სულმოკლეობასთან, თუმცა მან ამის შესახებ არ იცის. მას, ვინც ორიენტირებულია უსარგებლო ცხოველქმედებაზე, ხშირად ეშინია სიბნელისა და იზოლაციის; მათ სურთ სხვებთან ყოფნა. ეს – სულმოკლეობაა, ნივთებს უნდა დაერქვას თავიანთი სახელები. მართლაც, დანაშაულებისათვის ხელის შეშლის საუკეთესო ხერხი იქნებოდა ყველას იმაში დარწმუნება, რომ დანაშაული – სხვა არაფერია, თუ არა სულმოკლეობის გამოხატვა.

კარგადაა ცნობილი, რომ ზოგიერთი დამნაშავე ოცდაათი წლის ასაკის მიღწევისას, პოულობს სამუშაოს, ოჯახდება და შემდგომში წესიერი ადამიანი ხდება. რა არის ამის მიზეზი? შევხედოთ სეიფის გამტეხს. როგორ შეეჯიბრება ოცდაათი წლის სეიფის გამტეხი ოცი წლის სეიფის გამტეხს? ეს უკანასკნელი უფრო გონიერია და მეტი ძალა გააჩნია. უფრო მეტიც, ოცდაათი წლის ასაკისათვის დამნაშავის ცხოვრების წესი იცვლება. შედეგად კი – დამნაშავეობრივი პროფესია არახელსაყრელი ხდება დამნაშავისათვის, და დგება ამ პროფესიაზე უარის თქმის დრო.

სამართალდამრღვევებთან მიმართებით უნდა ჩავუფიქრდეთ კიდევ ერთ ფაქტს: თუ სასჯელს გავამკაცრებთ, გარდა იმისა, რომ დამნაშავეს დავაფრთხობთ, ჩვენ აგრეთვე

განვამტკიცებთ მის რწმენას საკუთარ გმირობაში. არ უნდა დავივიწყოთ, რომ დამნაშავე ცხოვრობს ეგოცენტრულ სამყაროში, სადაც ადგილი არ რჩება ჭეშმარიტი სიმამაცისათვის, საკუთარ თავში დარწმუნებულობისათვის, საღი აზრისათვის ან ზოგადადამიანურ ფასეულობათა გაგებისათვის. ასეთი პიროვნებებისათვის საზოგადოების სრულფასოვან წევრებად გახდომა შეუძლებელია. ნევროტიკები ძალიან იშვიათად აფუძნებენ კლუბებს, და ეს აბსოლუტურად მიუღწეველი ხელოვნებაა აგორაფობიით შეპყრობილი ან სულიერად დაავადებული ადამიანებისათვის. პრობლემური ბავშვები ან თვითმკვლელობისკენ მიდრეკილი პიროვნებები არასდროს არ იძენენ მეგობრებს. ესაა ფაქტი, რომლის მიზეზის დადგენაც არასოდეს უცდიათ.

მიზეზი კი იმაშია, რომ მათმა ცხოვრებამ თავიდანვე მიიღო ეგოცენტრული მიმართულება. მათი პროტოტიპი მცდარ მიზნებზე იყო ორიენტირებული, აგრძელებდნენ რა შემდგომში ცხოვრებას უსარგებლო ცხოველქმედების მიმართულებით.

მშობლების გავლენა

ერთობის გრძნობის შემდეგ დგება ჩვენი შემდეგი ამოცანის რიგი – იმ სიძნელეების გამოვლენა, რომელთაც ინდივიდი ეჯახებოდა თავის განვითარების პროცესში. ერთი შეხედვით, ეს ამოცანა ჩახლართულად გამოიყურება, მაგრამ სინამდვილეში იგი არც თუ ისე რთულია. ჩვენ ვიცით, რომ ყოველ განებივრებულ ბავშვს გარიყულის ბედი მოელის. ჩვენი ცივილიზაცია ისეთია, რომ არც ოჯახს, არც საზოგადოებას არ სურს მასზე უსასრულოდ მზრუნველობა, და ძალიან მალე განებივრებული ბავშვი ცხოვრებისეულ პრობლემებს ეჯახება. სკოლაში ის ხვდება ახალ სოციალურ გარე-

მოში ახალი სოციალური პრობლემებით. მას არ სურს წერა ან თანატოლებთან თამაში; მისმა ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ ვერ მოამზადა იგი მათ საზოგადოებაში და სკოლაში ყოფნისათვის. ფაქტიურად, მისი გამოცდილება პროტოტიპის სტადიაზე მასში აღვიძებს მსგავსი სიტუაციებისადმი შიშს და აიძულებს ეძიოს მეურვეობა. მაშასადამე, ასეთი ინდივიდის თვისებები სულაც არ არის თანდაყოლილი: ჩვენ შეგვიძლია დავადგინოთ მათი წარმოშობა, ვიცით რა მისი პროტოტიპის ბუნება და მისი მიზანი. ის, რომ მას გააჩნია გარკვეული მიზნისკენ მოძრაობის ხელშემწყობი განსაკუთრებული თვისებები, გამორიცხავს მასში ისეთი თვისებების არსებობას, რომლებიც რაიმე სხვა მიზნისაკენ უბიძგებდნენ.

ჩვენს სამეცნიერო სქემაში შემდეგ მოდის პროტოტიპის ანალიზი. როგორც უკვე ვთქვით, პროტოტიპი ფორმირდება ოთხი ან ხუთი წლის ასაკში, და ამრიგად, ჩვენ გვაინტერესებს სწორედ ამ პერიოდის ბავშვური შთაბეჭდილებები. ეს შთაბეჭდილებები შეიძლება ძალიან მრავალფეროვანი იყოს, უფრო მრავალფეროვანიც კი, ვიდრე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მოზრდილი ადამიანებისათვის დამახასიათებელი ჩვენეული თვალსაზრისით.

ამ ასაკში მშობლების გავლენის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ შედეგს წარმოადგენს გულდამძიმებულობის გრძნობა, რომელიც გამოწვეულია მამის ან დედის მხრიდან ბავშვის გადაჭარბებული დასჯით ან მის მიმართ სასტიკი მოპყრობით. ეს ბავშვს აიძულებს ეძიოს თავისი ტანჯვის შემამსუბუქებელი საშუალებები, რაც ხშირად გამოიხატება ფსიქოლოგიური განრიდების განწყობაში. ასე მაგალითად, ზოგიერთ გოგონას მამის ფიცხიანობის შედეგად უყალიბდება პროტოტიპი, რომელიც მამაკაცებს გამორიცხავს მათი ფიცხი ხასიათის გამო. ის ბიჭები კი, რომელთაც განიცადეს მკაცრი დედის მხრიდან გულდამამძიმებელი ზემოქმედება,

შეიძლება ქალებს გაურბოდნენ. განრიდების ეს განწყობა, რა თქმა უნდა, შეიძლება სხვადასხვაგვარად გამოიხატოს: მაგალითად, ბავშვი შეიძლება გახდეს მორცხვი ან სექსუალურად გაუკუღმართებული (რაც წარმოადგენს ქალებისაგან განრიდების უბრალოდ სხვა ხერხს). გაუკუღმართებულობა თანდაყოლილ თვისებას არ წარმოადგენს, იგი იმ გარემოს გავლენით ფორმირდება, რომელშიც ბავშვი წლების მანძილზე ცხოვრობს.

ბავშვობაში დაშვებული შეცდომები ძვირი ჯდება. მიუხედავად ამისა, ბავშვს არ ეთმობა სათანადო ყურადღება. მშობლები ან ვერ აკეთებენ სათანადო დასკვნას საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან, ან არ სურთ მისი გაზიარება ბავშვისათვის, რის გამოც მას უხდება მოქმედება საკუთარი რისკისა და შიშის ფასად.

და რახან ამ თემას შევეხეთ, ზედმეტი არ იქნება იმის ხაზგასმა, რომ სასჯელებით, შენიშვნებით და რჩევა–დარიგებებით შეუძლებელია რამის მიღწევა. როცა არც ბავშვმა, და არც მოზრდილმა არ იცის, თუ რისი შეცვლაა საჭირო, აღზრდა უნაყოფო რჩება. არგაგება ბავშვში მხოლოდ გულჩახვეულობას და სილაჩრეს ბადებს, მაგრამ მის პროტოტიპს ვერ შეცვლის ვერავითარი დასჯა და რჩევა–დარიგება, როგორც ვერ შეცვლის მას ცხოვრებისეული გამოცდილებაც, რამეთუ იგი განისაზღვრება ინდივიდის უკვე არსებული აპერცეფციის სქემით. რაიმე ცვლილებას ჩვენ მხოლოდ მაშინ შევძლებთ, თუ შევეხებით პიროვნების თვით საფუძვლებს.

გრძნობები და სიზმრები

ცხოვრების შესახებ ჩვენი მეცნიერების მომდევნო ნაბიჯია გრძნობების კვლევა. ცხოვრების ღერძული ხაზი – მიზანზე დაფუძნებული მიმართულობის ხაზი – არა მხოლოდ

გავლენას ახდენს ინდივიდის თვისებებზე, სულიერ მოძრაობებზე, თვითგამოსახვის ხერხებზე და ძირითად გარეშე სიმპტომებზე, არამედ გრძნობების ცხოვრებასაც მართავს.

ფრიად ყურადსაღებია ის, რომ ადამიანები ყოველთვის ცდილობენ თავიანთი ქცევის გრძნობებით გამართლებას. მაგალითად, თუ მამაკაცი გატაცებულია რაიმე საქმით, ეს გარდაქმნის მთელ მის ემოციურ ცხოვრებას და მართავს მას.

შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ გრძნობები ყოველთვის თანხმობაში იმყოფებიან ადამიანის მიერ თავისი ამოცანის ხედვასთან: ისინი მასში ანმტკიცებენ თავისი საქმიანობისაკენ მისწრაფებას. ის, რასაც ჩვენ ჩავდივართ, შეგვეძლო გაგვეკეთებინა გრძნობების მონაწილეობის გარეშეც, – გრძნობები მხოლოდ თან ახლავს ჩვენს მოქმედებებს.

ეს აშკარად ვლინდება სიზმრებში, რომელთა აზრის ახსნაც, ალბათ, წარმოადგენდა ინდივიდუალური ფსიქოლოგიის ერთ–ერთ ბოლო მიღწევას. ყოველი სიზმარი, რა თქმა უნდა, ისახავს გარკვეულ მიზანს, მაგრამ ბოლო დრომდე ის ბუნდოვნად გაიგებოდა. სიზმრის მიზანი – თუ მას გამოვსახავთ ზოგად, და არა სპეციალურ ტერმინებში, – წარმოადგენს გრძნობების ან ემოციების გარკვეული მოძრაობების შექმნას, რომელიც თავის მხრივ, ხელს უწყობს თავად სიზმრის მოძრაობას. ეს შეიძლება იყოს საინტერესო კომენტარი იმ ძველ მოსაზრებაზე, რომ სიზმარი – ყოველთვის მოტყუებაა. ჩვენ გვესიზმრება ის, როგორადაც გვსურდა მოვქცეულიყავით. სიზმარი – ესაა ფხიზელ მდგომარეობაში დაგეგმილი ქცევის და განწყობის ემოციური რეპეტიცია, ის რეპეტიცია, რომელშიც ნამდვილი გეგმა შეიძლება ვერასდროს ვერ განხორციელდეს. ამ აზრით სიზმარი – მაცთუნებელია: ემოციურ წარმოსახვას მოაქვს მოქმედებით აღგზნება თავად მოქმედების გარეშე.

ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ასევე შეიძლება სიზ–

მრების ამ თვისების აღმოჩენა. ჩვენთვის დამახასიათებელია ემოციური თვითმოტყუებისაკენ ძლიერი მიდრეკილება: ჩვენ მუდმივად გვინდა დავარწმუნოთ საკუთარი თავი, რა–თა ვიაროთ ჩვენი პროტოტიპების გზით, რამეთუ ისინი ჩა–მოყალიბდნენ ოთხი–ხუთი წლის ასაკში.

დაბადების თანმიმდევრულობა და ადრეული მოგონებები

საინტერესოა, რომ არ მოიძებნება ორი ისეთი ბავშვი, რომლებიც ერთნაირ სიტუაციაში იზრდებოდნენ, მაშინაც კი თუ ისინი ერთ ოჯახში დაიბადნენ. ერთი ოჯახის შიგნით ყოველი ბავშვის ირგვლივ არსებობს სრულიად განსაკუთრე–ბული ატმოსფერო. ასე მაგალითად, სამწუხაროდ ცნობილია პირველი შვილის ცხოვრების პირობები. თავიდან პირველი შვილი ერთადერთია და ამიტომ იმყოფება საყოველთაო ყუ–რადღების ცენტრში. მაგრამ მეორე ბავშვის დაბადების შემ–დეგ იგი თავს კვარცხლბეკიდან ჩამოგდებულად აღმოაჩენს. ეს, მართლაც, ნამდვილი ტრაგედიაა ბავშვის ცხოვრებაში: მას ჰქონდა ძალაუფლება, რომელიც ამჟამად დაკარგა. ტრა–გედიის ეს შეგრძნება ხდება მისი პროტოტიპის ნაწილი და დროთა განმავლობაში ვლინდება მის თვისებებში, როცა უკ–ვე მოზრდილი გახდება. პრაქტიკიდან შემთხვევები გვიჩვე–ნებენ, თუ ასეთი ბავშვები როგორ მტკივნეულად განიცდიან თავის ამ „დამხობას“.

კიდევ ერთი შიდა ოჯახური განსხვავება ბავშვების ირ–გვლივ შექმნილ ვითარებაში – ესაა ბიჭებისა და გოგონების მიმართ მოპყრობაში განსხვავება. საკმაოდ ტიპიურია სიტუ–აცია, როცა ბიჭებს აფასებენ და ცამდე აჰყავთ, გოგონებს კი ისე ექცევიან, თითქოსდა არაფრისთვის არ ვარგიან. ბუნე–ბრივია, მათ ცხოვრებას თან სდევს მუდმივი ეჭვები და ყოყ–

მანი, რამეთუ ისინი ვერ შეძლებენ იმ შთაბეჭდილებისგან გათავისუფლებას, რომ მხოლოდ მამაკაცებს შეუძლიათ რაღაც მნიშვნელოვანის მიღწევა.

მეორე ბავშვის მდგომარეობა ასევე ფრიად თავისებური და განუმეორებელია. რამეთუ მას ყოველთვის ჰყავს პარალელურად მოძრავი ლიდერი, მისი სიტუაცია მკვეთრად განსხვავდება პირველი ბავშვის სიტუაციისაგან. ჩვეულებრივ მეორე ბავშვი წინ უსწრებს თავის ლიდერს, და თუ გავერკვევით ასეთი მდგომარეობის მიზეზში, შეიძლება აღმოვაჩინოთ, რომ უფროს ბავშვს უბრალოდ აღიზიანებს მეტოქის არსებობა, და ეს გაღიზიანება ბოლოსდაბოლოს აისახება ოჯახში მის მდგომარეობაზე. უფროს ბავშვს უჩნდება შიში შეჯიბრების მიმართ, და ამ შეჯიბრში წარმატებას მაინცდამაინც ვერ აღწევს. ის სულ უფრო მეტ ყურადღებას აქცევს მშობლების მხრიდან წახალისებას, რომლებიც თანდათან იწყებენ მეორე ბავშვის სათანადო დაფასებას. მეორე ბავშვი კი თავიდან დაპირისპირებულია ლიდერთან, რაც მას მუდმივად შეჯიბრისაკენ უბიძგებს. ყველა მისი თვისება ასახავს მისი მდგომარეობის განსაკუთრებულობას ოჯახურ თანამეგობრობაში. ბუნებით ის მეამბოხეა, არ აღიარებს ძალაუფლებას ან ავტორიტეტს.

უმცროსი ბავშვების ძალის მრავალრიცხოვან მაგალითებს გვაძლევენ ისტორია და ლეგენდები.

ამის ნათელი დადასტურება – იოსების ისტორიაა, რომელმაც სხვებზე მაღლა დგომა მოინდომა.

იმ ფაქტმა, რომ მის არყოფნაში, მისი სახლიდან წასვლიდან მრავალი წლის შემდეგ, ოჯახში უმცროსი ძმა დაიბადა, სიტუაციაზე გავლენა ვერ მოახდინა. მისი მდგომარეობა იყო უმცროსი შვილის მდგომარეობა. მსგავს აღწერებს ჩვენ აღმოვაჩენთ ზღაპრებში, სადაც უმცროს ბავშვს მთავარი როლი ენიჭება. ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ, რომ ყველა ეს

თვისება წარმოიშვება ადრეულ ბავშვობაში და უცვლელი რჩება მანამდე, სანამ ინდივიდი ვერ მოახერხებს თავისი თავის გაგებაში სიღრმის მიღწევას. ბავშვის ხელახლა ორიენტირებისათვის საჭიროა მას იმის გაგებაში დავეხმაროთ, თუ ადრეულ ცხოვრებაში არსებითად რა დაემართა. ისიც უნდა შეიგნოს, რომ მის პროტოტიპში არის შეცდომა, რომელიც ცხოვრებაში ყველა სიტუაციაზე გავლენას ახდენს.

პროტოტიპის და, მაშასადამე, ადამიანის არსის შემეცნების მნიშვნელოვანი ხერხია მისი ადრეული მოგონებების შესწავლა. მთელ ჩვენს ცოდნას და დაკვირვებებს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ჩვენი მოგონებები პროტოტიპს ეკუთვნის. ამ აზრის ახსნა შემდეგნაირად შეიძლება. მაგალითისათვის ავიღოთ პირველი ტიპის ბავშვი – დაზიანებული ორგანოთი: კუჭის დაავადებით. მისი მოგონებები რაღაც ნანახზე ან მოსმენილზე, დიდი ალბათობით, ასე თუ ისე ყოველთვის ჭამასთანაა დაკავშირებული. იგივე შეიძლება ითქვას ცაცია ბავშვზეც: მისი ეს განსაკუთრებულობა ასევე გავლენას მოახდენს მის თვალსაზრისზე. ადამიანი შეიძლება მოგიყვეთ თავის დედაზე, რომელიც მას ანებივრებდა, ან უმცროსი ბავშვის დაბადებაზე, იმაზე, თუ როგორ სცემდა ფიცხი მამა, ან სკოლაში გადატანილ წყენებზე. ასეთი სახის ყველა დასტური ძალიან ფასეულია, თუკი ჩვენ ვფლობთ მათი შინაარსის წაკითხვის ხელოვნებას.

ადრეული მოგონებების გაგების ხელოვნება თავის თავში მოიცავს ემპატიის უმაღლეს ხარისხს, ბავშვთან საკუთარი თავის იდენტიფიცირების უნარს მისი ბავშვობის სიტუაციაში. მხოლოდ ასეთი ემპატიის წყალობით ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ, თუ როგორი დიდი მნიშვნელობა აქვს მის ცხოვრებაში ოჯახში უმცროსი ბავშვის გამოჩენას ან როგორ შთაბეჭდილებას ტოვებს მის ცნობიერებაში ფიცხი მამის მხრიდან სასტიკი მოპყრობა.

დასკვნა

ახლა კი რეზიუმეს სახით ჩამოვაყალიბებთ უკანასკნელი ოცდახუთი წლის განმავლობაში ინდივიდუალური ფსიქოლოგიის მიერ შემუშავებულ მიდგომას. როგორც ვხედავთ, მან ახალი მიმართულებით გრძელი გზა გაიარა. არსებობს ბევრი თავისებურად ერთადერთი ფსიქოლოგია და ფსიქოთერაპია. ზოგიერთი ფსიქოლოგი ირჩევს ერთ მიმართულებას, ზოგიერთი კი – მეორეს, და არცერთ მათგანს არ სჯერა, რომ დანარჩენები შეიძლება სწორნი იყვნენ. შეიძლება, მკითხველიც არ დაეყრდნოს რწმენას. დაე თავად შეადაროს. ის დაინახავს, რომ ჩვენ არ ვეთანხმებით ეგრეთ წოდებულ „ლტოლვის ფსიქოლოგიას“ (ამერიკაში ამ მიმდინარეობის ყველაზე ცნობილი წარმომადგენელია მაკდუგალი), რამდენადაც ამ „ლტოლვებში“ მეტისმეტად ბევრი ადგილი ეთმობა თანდაყოლილ მიდრეკილებებს. ამავე მიზეზით ვერ დავეთანხმებით ბიჰევიორისტების „სტიმულებს“ და „რეაქციებს“. უაზრობაა ადამიანის ბედისა და ხასიათის „ლტოლვებისა“ და „რეაქციებისაგან“ კონსტრუირება, ვიდრე არ გაირკვევა ის მიზანი, რომლისკენაცაა მიმართული სულის ეს მოძრაობები. ამ ფსიქოლოგიებიდან არც ერთი არ აზროვნებს ინდივიდუალური მიზნების ტერმინებით.

თავი 2. შეზღუდვების დაძლევა

განმასხვავებელი ფაქტორების განსაზღვრისათვის ტერმინების „ცნობიერი“ და „არაცნობიერი“ ხმარება არასწორია ინდივიდუალური ფსიქოლოგიის პრაქტიკის თვალსაზრისით. ცნობიერი და არაცნობიერი მოძრაობენ ერთად ერთიდაიგივე მიმართულებით და არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, – გავრცელებული შეხედულების საპირისპიროდ. უფ-

რო მეტიც, მათ შორის არ არსებობს ზუსტი სადემარკაციო ხაზი. საკითხი უფრო მდგომარეობს მათი ერთობლივი მოქ–რაობის მიზნის ახსნაში. შეუძლებელია იმის გადაწყვეტა, თუ რა არის ცნობიერი და რა არა მანამ, სანამ არ ვიცით მთელი კონტექსტი. ეს კონტექსტი ვლინდება პროტოტიპში – ცხოვ–რებისეული ქცევის იმ მოდელში, რომელიც წინა თავში გავა–ანალიზეთ.

ინდივიდუალური ერთობა

ცნობიერ და არაცნობიერ ცხოვრებას შორის მჭიდრო კავშირის საილუსტრაციოდ გამოდგება პრაქტიკიდან ერთი შემთხვევა. ორმოცი წლის ცოლიანი მამაკაცი ფობიით – ფა–ნჯრიდან გადმოხტომის სურვილით – იყო შეპყრობილი. იგი ამ სურვილს მუდმივად ებრძოდა.

მის ცხოვრებაში ყველაფერი დანარჩენი რიგზე იყო: მას ჰყავდა მეგობრები, კარგი მდგომარეობა, ბედნიერი ოჯახური ცხოვრება. მისი შემთხვევა არ შეიძლება სხვანაირად აიხსნას, თუ არა ცნობიერის და არაცნობიერის თანამშრომლობის ტე–რმინებში. ის აცნობიერებდა ფანჯრიდან გადმოხტომის სუ–რვილთან დაკავშირებულ თავის გრძნობებს, თუმცა აგრძე–ლებდა ცხოვრებას და ფაქტიურად არც არასდროს უცდია ამის გაკეთება. მიზეზი კი იმაში მდგომარეობდა, რომ მის ცხოვრებაში იყო სხვა მხარე, სადაც თვითმკვლელობის ჩადე–ნის სურვილის წინააღმდეგ ბრძოლა მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. მისი არსების არაცნობიერი მხარის მის ცნობიე–რებასთან თანამშრომლობის შედეგად ის გამარჯვებული დარჩა. ფაქტიურად, თავისი „ცხოვრების სტილით“, თუ ვი–სარგებლებთ ტერმინით, რომლის შესახებაც უფრო დაწვრი–ლებით მომდევნო თავში ვისაუბრებთ, მან გაიმარჯვა, მან მიაღწია თავის მიზანს – უპირატესობას. ისმის კითხვა: რო–

გორ შეიძლება ადამიანში ერთდროულად არსებობდეს თვითმკვლელობისაკენ გაცნობიერებული მიდრეკილება და უპირატესობის გრძნობა? პასუხი იმაში მდგომარეობს, რომ თავად მის არსებაში მყოფმა რაღაცამ სუიციდურ მიდრეკილებასთან ეს ბრძოლა გააჩაღა. ხოლო ამ ბრძოლაში მიღწეული წარმატება მას გამარჯვებულად და უმაღლეს არსებად ხდის. ობიექტურად, მისი ბრძოლა უპირატესობისათვის განპირობებული იყო მისი საკუთარი სისუსტით, როგორც ეს ხშირად ხდება იმ შემთხვევებში, როცა ადამიანები ასე თუ ისე გრძნობენ თავიანთ არასრულფასოვნებას.

თუმცა მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ პირად ბრძოლაში უპირატესობისკენ, ცხოვრებისკენ და დაპყრობისკენ მისი მისწრაფება ამარცხებს არასრულფასოვნების გრძნობას და სიკვდილის სურვილს, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი ბინადრობს მის ცნობიერებაში, პირველი კი – არაცნობიერში. მოდით ვნახოთ, ადასტურებს თუ არა ჩვენს ვარაუდს ამ ადამიანის პროტოტიპის განვითარება. ადრეული მოგონებების ანალიზიდან ჩვენ შევიტყვეთ, რომ ბავშვობაში მას სკოლაში პრობლემა ჰქონდა. მას სხვა ბიჭები არ მოსწონდა და მათ მუდმივად გაურბოდა. და მაინც მან შესძლო ძალების მოკრება და საკუთარი თავის დაცვა. სხვა სიტყვებით, უკვე აქ ჩვენ ვხედავთ მისი მხრიდან ძალისხმევას საკუთარი სისუსტის დასაძლევად. მან არ დაიხია უკან თავის პრობლემის წინაშე და გაიმარჯვა. თუ ჩვენ გავაანალიზებთ ჩვენი პაციენტის ხასიათს, დავინახავთ, რომ მისი ცხოვრების ერთადერთ მიზანს წარმოადგენდა შიშისა და განგაშის დაძლევა. ამ მიზანმა მისი ცნობიერი და არაცნობიერი იდეები ერთიან მთლიანში გააერთიანა. იმის თვალსაზრისით, ვინც არ განიხილავს ადამიანურ არსებას, როგორც ერთიან მთლიანს, მოცემულ პაციენტს არ ჰქონდა არავითარი წარმატება და არც შეიძლება ჰქონებოდა უპირატესობის გრძნობა. მისი წარმო–

დგენით პაციენტი სხვა არაფერია, თუ არა ამბიციური პირო–ვნება, ის მიისწრაფვის ბრძოლისაკენ, თუმცა სულის სიღრ–მეში მშიშარად რჩება. მაგრამ ასეთი თვალსაზრისი მცდარი იქნებოდა, რადგან მასში მხედველობაში არ მიიღება ყველა ფაქტი და არაა მოცემული მათი ინტერპრეტაცია ადამიანუ–რი ცხოვრების ერთიანობის კონტექსტში.

მთელი ჩვენი ფსიქოლოგია და ადამიანის გაგებისკენ სწრაფვა უნაყოფო და უსარგებლო იქნება, თუ დარწმუნე–ბულნი არ ვიქნებით, რომ ადამიანური არსება წარმოადგენს ერთიან მთლიანს. თუ ჩვენ დავუშვებთ მასში ორი ერთმანე–თისაგან დამოუკიდებელი მხარის არსებობას, ვერ დავინა–ხავთ ცხოვრებას როგორც ერთიან ორგანიზმს.

სოციალური კონტექსტი

ინდივიდის ცხოვრების როგორც ერთიანი მთლიანის განხილვის გარდა, ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ აგრეთვე მისი სოციალური კონტექსტი. თავიდან ბავშვები სუსტები იბადებიან, და მათი უმწეობა განაპირობებს იმას, რომ მათზე სხვა ადამიანებმა იზრუნონ. ამრიგად, ბავშვის ცხოვრების სტილს ან ცხოვრებისეული ქცევის მოდელს ვერ გავიგებთ, იმ ადამიანთა გათვალისწინების გარეშე, რომლებიც მათზე ზრუნავდნენ და ავსებდნენ მის არასრულფასოვნებას.

ბავშვის დედასთან და ოჯახთან მჭიდრო ურთიერთ–კავშირის გაგება შეუძლებელია, თუ ჩვენს ანალიზს შემოვ–ფარგლავთ სივრცეში ბავშვის ფიზიკური ყოფნის პერიფერი–ის ანალიზით. ბავშვის ინდივიდუალობა არ დაიყვანება ფი–ზიკურ ინდივიდუალობამდე, ის თავის თავში მოიცავს სო–ციალური ურთიერთობების მთელ კონტექსტს.

ის, რაც მიესადაგება ბავშვს, გარკვეული ხარისხით შე–იძლება ზოგადად ყველა ადამიანს მივუსადაგოთ. სისუსტე,

რომლის გამოც ბავშვი ცხოვრობს ოჯახურ ჯგუფში, იმ სი-სუსტის ანალოგიურია, რომელიც მოზრდილ ადამიანს საზოგადოებაში ცხოვრებას აიძულებს. ყველა ადამიანი ამა თუ იმ სიტუაციაში თავის არაადექვატურობას გრძნობს და ზოგადად ცხოვრების სიძნელეებით დათრგუნულობას განიცდის. ამიტომ ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მიდრეკილება ყოველთვის იყო ჯგუფებში გაერთიანებისკენ სწრაფვა, რათა შეძლებოდა ეცხოვრა როგორც საზოგადოების წევრს, და არა როგორც იზოლირებულ ინდივიდს. ეჭვგარეშეა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება ადამიანს მნიშვნელოვანწილად ეხმარება არაადექვატურობის და არასრულფასოვნების გრძნობების გადალახვაში.

ცხოველების მაგალითზე ჩვენ ვიცით, რომ უფრო სუსტი არსებები ყოველთვის ჯგუფებად ცხოვრობენ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დაიკმაყოფილონ თავიანთი ინდივიდუალური მოთხოვნილებები. ასე მაგალითად, კამეჩების ნახირს შეუძლია თავი დაიცვას მგლებისაგან, რაც ერთი კამეჩისათვის შეუძლებელი იქნებოდა. ერთად შექუჩებისას, ისინი თავებს ერთმანეთს უახლოებენ და იბრძვიან ჩლიქებით, რაც გადარჩენის საშუალებას აძლევს. მეორეს მხრივ, გორილებს, ლომებს და ვეფხვებს შეუძლიათ ერთმანეთისაგან იზოლირებულად ცხოვრება, რამეთუ ბუნებამ ისინი თვითდაცვის საშუალებებით მოამარაგა.

ადამიანური არსება არ ფლობს მათსავით უზარმაზარ ძალას, და ამიტომ არ შეუძლია განცალკევებულად ცხოვრება. ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ სოციალური ცხოვრების პირველმიზეზი – ადამიანის სისუსტეა.

იმავე მიზეზით ჩვენ არ უნდა მოველოდოთ, რომ საზოგადოებაში მცხოვრები ყველა ადამიანის უნარი და ნიჭი ერთნაირია. მაგრამ კარგად დაბალანსებული საზოგადოება დახმარების გარეშე არ დატოვებს თავის იმ წევრებს, რომლე-

ბიც მის მხარდაჭერას საჭიროებენ. ამის ათვისება ძალიან მნიშვნელოვანია, რამეთუ წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება იქამდეც კი მივიდეთ, რომ ადამიანზე მისი თანდაყოლილი უნარების მიხედვით ვიმსჯელებთ. არსებითად, რაიმე უნარს მოკლებულმა ადამიანმა იზოლაციის პირობებში ცხოვრებისას შეიძლება სირთულეები განიცადოს, მაგრამ კარგად ორგანიზებულ საზოგადოებაში შესძლოს თავისი ნაკლოვანებების წარმატებით კომპენსირება.

მოდით წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენი ინდივიდუალური ნაკლოვანებები თანდაყოლილია. მაშინ ფსიქოლოგიის მიზანი გახდება ადამიანთა სხვებთან ერთად კარგად ცხოვრების სწავლება, რათა დაეხმაროს მათ თავიანთი ბუნებრივი ნაკლოვანებებით გამოწვეული უარყოფითი შედეგების შემცირებაში.

სოციალური პროგრესის ისტორია – ესაა იმის ისტორია, თუ ადამიანი როგორ თანამშრომლობდა სხვა ადამიანებთან, რათა დაეძლია გაჭირვება და ნაკლოვანებები. ყველამ იცის, რომ ენა – სოციალური გამოგონებაა, მაგრამ მხოლოდ ცოტა ვინმეს თუ ესმის, რომ ამ გამოგონების დედა იყო ინდივიდუალური ნაკლოვანებები. ამ ჭეშმარიტების დადასტურება ადვილად შეიძლება ბავშვების ადრეულ ქცევაში მოიძებნოს. როცა მათი სურვილები არ კმაყოფილდება, მათ სურთ ყურადღების მიქცევა და ამის გაკეთებას გარკვეული ენის დახმარებით ცდილობენ. მაგრამ ბავშვს რომ არ სჭირდებოდეს თავისკენ ყურადღების მიპყრობა, ის არცკი შეეცდებოდა ლაპარაკს. ეს ხდება ცხოვრების პირველ თვეებში, როცა დედა ბავშვის ყველა სურვილს ასრულებს მისი ალაპარაკების მომენტამდე. არსებობს მონაცემები იმ შემთხვევებზე, როცა ბავშვები არ ლაპარაკობდნენ ექვს წლამდე, რადგან ამის საჭიროება არ ჰქონდათ. ამ ჭეშმარიტების ილუსტრირება აგრეთვე შეიძლება იმ ბავშვების განსაკუთრებული

შემთხვევების მაგალითზე, რომელთაც ყრუ ან მუნჯი მშობ–ლები ჰყავდათ. როცა ასეთ ბავშვს რაღაცა აწუხებს, ის ტირის, მაგრამ ტირის უხმოდ. მან იცის, რომ ბგერა უნაყოფო იქნე–ბოდა, რამეთუ მშობლებს იგი არ ესმით. მაშასადამე, ის თავს აჩვენებს, თითქოს ყვირის, თავისი მშობლების ყურადღების მისაპყრობად, მაგრამ ამ ყველაფერს უხმოდ აკეთებს.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ ყოველთვის უნდა გავი–თვალისწინოთ შესასწავლი ფაქტების მთელი სოციალური კონტექსტი, რათა გავიგოთ ინდივიდის მიერ შერჩეული კონკრეტული „უპირატესობის მიზანი“. მისი სოციალური სიტუაციის შესწავლა აგრეთვე იმისთვისაა საჭირო, რომ და–ვინახოთ, თუ კონკრეტულად რაში მდგომარეობს მისი სირ–თულეები. ბევრს შეუძლებლად მიაჩნია ენის მეშვეობით სხვებთან ნორმალური კონტაქტის დამყარება. ენაბლუ სწო–რედ ასეთი შემთხვევაა. თუ ენაბლუს შემთხვევას განვიხი–ლავთ, აღმოვაჩენთ, რომ თავისი ცხოვრების დასაწყისიდან ის არასოდეს ყოფილა სოციალურად საკმარისად ადაპტირე–ბული. ის უარს ამბობდა რაიმე საქმიანობის დაწყებაზე, არ სურდა მეგობრების ან ამხანაგების ყოლა. მეტყველების გან–სავითარებლად მისთვის აუცილებელი იყო სხვა ადამიანებ–თან ურთიერთობა, მაგრამ ის სწორედ ამას გაურბოდა, რი–თიც თავის თავს უსპობდა ენაბლუობის მოშორების შესაძ–ლებლობას. ენაბლუებს აქვთ ორი ტენდენცია: პირველი მათ სხვა ადამიანებთან ურთიერთობისკენ, მეორე კი განმარტოე–ბით ყოფნისკენ უბიძგებს.

მოზრდილ ადამიანებში, რომლებიც მომდევნო ცხოვ–რებაში აქტიურ სოციალურ კავშირებს გაურბიან, ჩვენ აღმო–ვაჩენთ საჯაროდ გამოსვლის უუნარობას და აუდიტორიის წინაშე შიშს. ეს იმასთანაა დაკავშირებული, რომ ისინი თავის აუდიტორიას მტრულად განწყობილად მიიჩნევენ. მათ უჩნ–დებათ არასრულფასოვნების გრძნობა. საქმე იმაშია, რომ სა–

ჯაროდ გამოსვლისას ადამიანი კარგად მხოლოდ მაშინ ლა-პარაკობს, თუ საკუთარი თავის და აუდიტორიის სჯერა, და მხოლოდ ამ შემთხვევაში არ ექნება მსმენელთა წინაშე შიში.

ამრიგად, არასრულფასოვნების გრძნობა და სოციალუ-რი სწავლების პრობლემა ერთმანეთთან ძალიან მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი. სწორედ იმიტომ, რომ არასრულფა-სოვნების გრძნობა ცუდი სოციალური ორიენტაციის გამო წარმოიშვება, სოციალური სწავლება იმ ძირითად მეთოდს წარმოადგენს, რომლის დახმარებითაც ყველა ჩვენთაგანს შე-უძლია არასრულფასოვნების გრძნობის დაძლევა.

არსებობს პირდაპირი კავშირი სოციალურ აღზრდასა და საღ აზრს შორის.

როცა ჩვენ ვამბობთ, რომ ადამიანები თავიანთ სიძნე-ლეებს საღი აზრის დახმარებით ლახავენ, ვგულისხმობთ სოციალური ჯგუფის ერთობლივ გონებას. მეორეს მხრივ, როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, ის ადამიანები, რომელთა საქციელებიც კერძო გაგებით განისაზღვრება და რომლებიც კერძო ენითაა შეზღუდული, ამით თავიანთ არანორმალუ-რობას ადასტურებენ. ავადმყოფები, ნევროტიკები და დამნა-შავეები სწორედ ასეთი ტიპის ადამიანები არიან. მათ არ აინ-ტერესებთ ადამიანები, ინსტიტუციები, სოციალური ნორმე-ბი და მსგავსი რამეები, თუმცა მათი ხსნა სწორედ ამ ყველა-ფრის მეშვეობითაა შესაძლებელი.

ამ ადამიანებთან მუშაობისას ჩვენს ამოცანას შეადგენს სოციალური ცხოვრების ფაქტების მათამდე დაყვანა. კეთი-ლი ზრახვების დემონსტრირება ნერვოზულ ადამიანებს სა-შუალებას აძლევს თავი გამართლებულად იგრძნონ. მაგრამ ეს საკმარისი როდია. ჩვენ მათ უნდა დავეხმაროთ იმის გა-ცნობიერებაში, თუ საზოგადოებისათვის რამდენად მნიშვნე-ლოვანია ყველაფერი ის, რასაც სინამდვილეში აკეთებენ და რასაც საზოგადოება მათგან ღებულობს.

ნაკლოვანებებთან დამოკიდებულება

არასრულფასოვნების გრძნობა და უპირატესობისკენ სწრაფვა უნივერსალურია, მაგრამ შეცდომა იქნებოდა აქედან დაგვესკვნა, რომ ყველა ადამიანი ერთნაირია. არასრულფასოვნება და უპირატესობა – ზოგადი პირობებია, რომლებიც მართავენ ადამიანის ქცევას, მაგრამ მათ გარდა არსებობს განსხვავება ფიზიკურ ძალაში, ჯანმრთელობაში და გარემოცვაში. ამ მიზეზით თანაბარ პირობებში სხვადასხვა ადამიანების მიერ დაიშვება სხვადასხვა შეცდომები.

მაგალითად, ჩვენ ვერ ვნახავთ ბავშვებთან გარემომცველ სამყაროზე რეაგირების ვერც ერთ სავსებით მდგრად და სწორ ხერხს. მათი რეაქციები ინდივიდუალურია. თითოეული მათგანი მიისწრაფვის ცხოვრების უფრო სრულყოფილი სტილისაკენ, მაგრამ ამას თავისებურად აკეთებს, უშვებს რა საკუთარ შეცდომებს და მიდის რა თავისი გზით წარმატებისაკენ.

მოდით გავაანალიზოთ ინდივიდების ზოგიერთი სახესხვაობები და მათი დამახასიათებელი ნიშნები. მაგალითისათვის ცაცია ბავშვები ავიღოთ. ზოგიერთი მათგანი ვერცკი ხვდება, რომ ცაციები არიან, რადგან მარჯვენა ხელით წერას უაღრესი გულმოდგინებით მიაჩვიეს. თავიდან ეს ფრიად მოუხერხებლად და უშნოდ გამოსდიოდათ: მათ აყრიდნენ საყვედურებს, კრიტიკულ შენიშვნებს და დასცინოდნენ. მაგრამ ეს უხეში შეცდომაა – საჭიროა ბავშვის ორივე ხელის გავარჯიშება. ცაციას გამოცნობა აკვანშივე შეიძლება, რამეთუ მისი მარცხენა ხელი მარჯვენაზე უფრო სწრაფად მოძრაობს. მომავალში მარჯვენა ხელის ნაკლმა ის შეიძლება შეაწუხოს. მეორეს მხრივ, ასეთ ადამიანებს ხშირად დიდი ინტერესი უვითარდებათ მარჯვენა ხელისადმი და მტევანისადმი, რომელიც შეიძლება გამოიხატებოდეს, მაგალითად,

ხატვაში, წერაში და ა.შ. არაფერია საოცარი იმაში, რომ ცაცია ბავშვი შეიძლება ნორმალურ ბავშვზე უკეთ სწავლობდეს. თავისი დაინტერესებულობის მიზეზით ის, ასე ვთქვათ, ადრე ჩაერთო პროცესში, და, ამრიგად, მისმა ნაკლმა ხელიც კი შეუწყო უფრო პროდუქტიულ მეცადინეობებს და ვარჯიშს. მსგავსი სიტუაცია ხშირად დიდ უპირატესობად იქცევა სამსახიობო უნარებისა და მხატვრული ტალანტების განვითარებაში. ჩვეულებრივ, მსგავს მდგომარეობაში მყოფი ბავშვი ამბიციურია, მიისწრაფვის თავისი შეზღუდვების გადალახვისაკენ. თუმცა, ზოგჯერ, თუ ეს ბრძოლა მეტისმეტად უმოწყალოა, მასში შეიძლება განვითარდეს შურიანობა და ეჭვიანობა, აქედან კი – არასრულფასოვნების ძლიერი გრძნობა, რომლის გადალახვაც ჩვეულებრივზე გაცილებით ძნელია. მუდმივმა ბრძოლამ შეიძლება ბავშვი მეტისმეტად მებრძოლი გახადოს და, როცა გაიზრდება, მას შეაწუხებს თავისი უშნოობის და მოუხერხებლობის გადალახვის აკვიატებული სურვილი.

თავიანთი მიზნების მიღწევის მცდელობისას, უშვებენ რა შეცდომებს, ბავშვები თავისებურად ვითარდებიან იმ პროტოტიპების შესაბამისად, რომლებიც მათ ჩამოუყალიბდათ ოთხი–ხუთი წლის ასაკში. მათი მიზნები განსხვავებულია. ერთ ბავშვს შეიძლება უნდოდეს გახდეს მხატვარი, მეორე კი მიისწრაფვის იმ სამყაროსგან როგორმე განცალკევებისაკენ, რომელშიც ხელმოცარული აღმოჩნდა. არ არის გამორიცხული, რომ ჩვენ შევძლებდით დახმარების გაწევას მისი ნაკლოვანებების დაძლევაში, მაგრამ თავად მან ეს არ იცის, და, ვაი რომ, მას ფაქტებს ძალიან ხშირად არასწორად უხსნიან.

ბევრ ბავშვს აწუხებს მხედველობის, სმენის, ფილტვების ან კუჭის დეფექტები. ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ ეს ნაკლოვანებები მათ ინტერესს ასტიმულირებენ. საინტერესო მაგა–

ლითია – იმ ადამიანის შემთხვევა, რომელსაც ასთმის შეტე–ვები მხოლოდ საღამოობით ემართებოდა, როცა იგი ოფისი–დან სახლში ბრუნდებოდა. ეს იყო ორმოცდახუთი წლის ცო–ლიანი კარგი მდგომარეობის მქონე მამაკაცი. კითხვაზე, თუ შეტევები ყოველთვის რატომ ემართებოდა სამსახურიდან სახლში მოსვლის შემდეგ, მან გვიპასუხა: „საქმე იმაშია, რომ ჩემი ცოლი მეტისმეტად მატერიალისტურადაა განწყობილი, მე კი იდეალისტი ვარ, ასე რომ ხშირად ერთმანეთს არ ვე–თანხმებით. როცა სახლში მოვდივარ, სიწყნარე მინდა, მინდა დავტკბე საოჯახო გარემოთი, ჩემს ცოლს კი უცბად სტუმ–რად წასვლა მოუნდება ხოლმე და ამიტომაც ჩივის, რომ სახ–ლში ჯდომა უწევს. ეს მე მამწუხრებს და სუნთქვა მეკვრება“.

ამ ადამიანს რატომ მაინცდამაინც სუნთქვა ეკვრება, რატომ, მაგალითად, გულის რევა არ ეწყება? საქმე კი იმაშია, რომ ის უბრალოდ თავისი პროტოტიპისადმი ერთგულებას ინარჩუნებს. ბავშვობაში, რაღაც დაავადების შედეგად, მას დიდხანს მოუხდა შებანდულად დარჩენა; მოჭერილი სახვე–ვი სუნთქვას ხელს უშლიდა და ბევრ სხვა მოუხერხებლობა–საც უქმნიდა. მათ სახლში იყო მოსამსახურე ქალი, რომელ–საც იგი ძალიან უყვარდა და მზად იყო მთელი დღეები მის გვერდით მჯდარიყო და ენუგეშებინა. უთმობდა რა მას მთელ ყურადღებას, თავისი თავი ავიწყდებოდა. სწორედ მა–შინ შეექმნა ის შთაბეჭდილება, რომ ყოველთვის გაართობდ–ნენ და ანუგეშებდნენ. როცა ბიჭს ოთხი წელი შეუსრულდა, მომვლელი ქალი გათხოვდა და წავიდა. სადგურში მისი გა–ცილების დროს ის მწარედ ქვითინებდა. ამის შემდეგ დედა–მისს უთხრა: „ახლა, როცა ჩემი ძიძა წავიდა, ამ ქვეყნად საინ–ტერესო მეტი აღარაფერი დამრჩა“. ჩვენ ვხედავთ, რომ მას შემდეგ იგი არ შეიცვალა, და ახლაც, მოზრდილ ასაკში, კვლავ ეძებს იდეალურ ადამიანს, რომელიც ყოველთვის გა–ართობს და ანუგეშებს და მხოლოდ მისით დაინტერესდება.

პრობლემა ჰაერის უკმარისობაში კი არ იყო, არამედ იმაში, რომ მას უწყვეტად არ ართობდნენ და არ ანუგეშებდნენ, – ბუნებრივია, არცთუ ისე ადვილია ისეთი ადამიანის მოძებნა, რომელიც ამაზე დათანხმდება. მას უნდოდა სიტუაცია ყოველთვის ემართა და გარკვეული ხარისხით დაავადება ამაში ხელს უწყობდა. როცა მას სუნთქვა ეკვრებოდა, მის ცოლს აღარ უნდოდა თეატრში ან სტუმრად წასვლა. ასეთნაირად იგი აღწევდა „უპირატესობის მიზანს“.

გარეგნულად ეს ადამიანი ყოველთვის ალალმართალი და წესიერი იყო, მაგრამ გულში ჰქონდა გამარჯვების სურვილი. მას უნდოდა ცოლის დაყოლიება იმაზე, რასაც თვითონ უწოდებდა ვითარებაზე „იდეალისტურ შეხედულებას“. მაგრამ ჩვენი ვარაუდით, ამის ქვეშ სხვა მოტივები იმალება.

ცნობილია, რომ ცუდი მხედველობის მქონე ბავშვები გაზრდილ ინტერესს იჩენენ რაღაცის დათვალიერებისადმი, რაც ხელს უწყობს ამ უნარის განვითარებას.

მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ დიდი მწერალი გუსტავ ფრეიტაგი. მას ასტიგმატიზმი აწუხებდა, მაგრამ ამან ხელი ვერ შეუშალა მნიშვნელოვანი წარმატებების მიღწევაში. პოეტებსა და მხატვრებს ხშირად აქვთ მხედველობასთან პრობლემები; თუმცა ბევრ შემთხვევაში ეს მათ ინტერესს აძლიერებს. ფრეიტაგმა თავის თავზე თქვა: „ალბათ, იმის გამო, რომ ჩემი თვალები სხვისი თვალებისაგან განსხვავდებოდნენ, იძულებული ვიყავი გამომეყენებინა და გამევარჯიშებინა ჩემი ფანტაზია. არ ვიცი, დამეხმარა თუ არა ეს დიდ მწერლად გახდომაში, მაგრამ, ასეა თუ ისე, სწორედ ჩემი ახლომხედველობა დამეხმარა ჩემს წარმოსახვაში უკეთ დამენახა, ვიდრე სხვები რეალობაში ხედავენ“.

თუ გავიხსენებთ გენიალურ ადამიანებს, დავინახავთ, რომ ცუდი მხედველობა ან სხვა რომელიმე ფიზიკური ნაკლი – გენიოსებში საკმაოდ ხშირი მოვლენაა.

ღმერთებსაც კი ჰქონდათ ისეთი ფიზიკური დეფექტები, როგორებიცაა ერთი ან ორივე თვალით სიბრმავე. იმ გენიოსების არსებობის ფაქტი, რომლებსაც ნახევრად ბრმად ყოფნისასაც კი შეეძლოთ სხვებთან შედარებით უკეთ განესხვავებინათ ხაზები, შუქჩრდილები და ფერები, გვიჩვენებს, თუ რისი გაკეთება შეიძლება ავადმყოფი ბავშვების დასახმარებლად მათი პრობლემების სწორად გაგების შემთხვევაში.

არიან ადამიანები, რომლებიც გამოირჩევიან ჭამისადმი გაზრდილი ინტერესით. ისინი მუდმივად ლაპარაკობენ, თუ რისი ჭამა შეიძლება, და რისი არა. როგორც წესი, ბავშვობაში მათ ჭამასთან დაკავშირებით რაღაც პრობლემები ჰქონდათ, რამაც მათში გააღვიძა ჭამისადმი გადაჭარბებული ინტერესი. შესაძლოა, მზრუნველი დედა უწყვეტად უმეორებდა მათ, თუ რისი ჭამაა კარგი, და რისი ცუდი. ამ ადამიანებს ბევრი ყურადღების დათმობა უწევთ თავისი კუჭის დაავადებების სამკურნალოდ, და მათ მუდმივად საუზმის, სადილის და ვახშმის მენიუ აინტერესებთ. მუდმივად ფიქრობენ რა ჭამაზე, ისინი ზოგჯერ წარმატებებს აღწევენ კულინარიის სფეროში ან დიეტის საკითხებში სპეციალისტები ხდებიან.

ზოგჯერ კუჭნაწლავის დაავადება ხდება ჭამით გატაცების ჩანაცვლების ძიების მიზეზი. ხანდახან მას ფული ჩაანაცვლებს, და მაშინ ასეთი ადამიანი კრიჟანგად იქცევა ან მსხვილი და მოხერხებული ბანკირი ხდება. ხშირად დაგროვებისაკენ მისწრაფება მათ დასვენების გარეშე მუშაობას აიძულებს და ბიზნესის „მონებად“ გადააქცევს, რაც იმავე პროფესიის სხვა ადამიანების წინაშე დიდ უპირატესობას ანიჭებს. საინტერესო ფაქტია – მდიდარ ადამიანებს ხშირად კუჭის პრობლემები აქვთ.

მოდით გავიხსენოთ სხეულისა და სულის კავშირი. რომელიმე გარკვეული დეფექტი ყოველთვის ერთნაირ შედეგს არ იწვევს. უნდა ითქვას, რომ ფიზიკურ ნაკლსა და

ცხოვრების მცხრალ სტილს შორის მიზეზ–შედეგობრივი კავშირის არსებობა სულაც არ არის აუცილებელი. ხშირად სწორ მკურნალობას, მაგალითად, სწორ კვებას შეუძლია სხეულის პრობლემა ნაწილობრივ მაინც აღმოფხვრას. მაგრამ ფიზიკური ნაკლი სულაც არ წარმოადგენს არასასიამოვნო შედეგების ძირითად მიზეზს, – უწინარეს ყოვლისა, მათზე პასუხისმგებელია ადამიანის თავისი ნაკლისადმი დამოკიდებულება. აი რატომაა ფსიქოლოგისათვის მნიშვნელოვანი არა ფიზიკური ნაკლის არსებობა ან მხოლოდ სხეულებრივი სიმპტომატიკა, არამედ პაციენტის მათ მიმართ მცდარი განწყობა. ამიტომაც ეძებს ის გზებს არასულფასოვნების გრძნობის გადასალახავად პროტოტიპის განვითარების დროს.

არასრულფასოვნების ძლიერი გრძნობის ნიშნები

ხშირად შეიძლება დავაკვირდეთ, რომ სირთულეების მშვიდად გადალახვის უუნარობა ადამიანს მოუთმენელს ხდის. და თუ ჩვენ ვხედავთ ადამიანს, რომელიც მუდმივად ფუსფუსებს თავისი ქმედებების ბობოქარი ემოციების თანხლებით, შეგვიძლია თამამად დავასკვნათ, რომ ამ ადამიანს არასრულფასოვნების ძლიერი გრძნობა აწუხებს. ადამიანი, რომელიც დარწმუნებულია სირთულეების გადალახვის საკუთარ უნარში, მოუთმენელი ვერ იქნება. თავდაჯერებულობა, მოუთმენლობა, მოჩხუბარობა – ესენია ბავშვებში არასრულფასოვნების გრძნობის ძლიერი ნიშნები. მსგავს შემთხვევებში ჩვენს ამოცანას შეადგენს მათი სირთულეების მიზეზების ძიება. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ცხოვრების სტილში ან პროტოტიპში შეცდომებისათვის მათი გაკრიტიკება ან დასჯა.

ბავშვის პროტოტიპში შეცდომების შესახებ შეტყობა ჩვენ შეგვიძლია სხვადასხვა თავისებურებების მიხედვით:

მათი უჩვეულო ინტერესებით, მომავლის გეგმებით და სხვებზე მაღლა დგომისკენ მისწრაფებით, რომელიც მათ ქცევაში დროდადრო ვლინდება.

არსებობს ბავშვების გარკვეული ტიპი, რომელთაც საკუთარი თავის არ სჯერათ და თვითგამოვლენისა ეშინიათ. მათ ურჩევნიათ სხვებისაგან მოშორებით ყოფნა, და ცდილობენ ახალ სიტუაციებში არ მოხვდნენ და იმ ვიწრო წრეში დარჩნენ, სადაც თავს უსაფრთხოდ გრძნობენ. სკოლაში, ცხოვრებაში, ცოლქმრობაში ისინი კვლავ ასე იქცევიან. თავის პატარა სივრცეში მათთვის უფრო ადვილია უპირატესობის მიღწევა. მსგავსი თვისება ბევრი ადამიანისთვისაა დამახასიათებელი. მათ ავიწყდებათ, რომ რაღაცის მისაღწევად მზად უნდა იყვნენ ნებისმიერი სიტუაციებისათვის. თუ ადამიანი გაურბის გარკვეულ სიტუაციებს და განსაზღვრულ ადამიანებს, ის თავს მხოლოდ თავისი კერძო ლოგიკით იმართლებს. მაგრამ ეს არასაკმარისია: ადამიანს ჰაერივით სჭირდება სოციალური კონტაქტების მუდმივი განახლება და საღი აზრი.

თუ ფილოსოფოსს სურს რაიმე ნაშრომის შექმნა, მას არ შეუძლია სხვებთან ერთად მუდმივად საუზმობა და სადილობა, რამეთუ თავისი აზრების მოსაკრებად და სწორი გზის მოსაძებნად ხანგრძლივი განმარტოება სჭირდება. მაგრამ შემდგომში მან უნდა იურთიერთოს საზოგადოებასთან. სხვებთან კონტაქტები – მისი განვითარების მნიშვნელოვანი ნაწილია. ამრიგად, როცა ჩვენ მსგავს ადამიანს ვხვდებით, უნდა გვახსოვდეს მისი ორი მოთხოვნა. ისიც უნდა ვიცოდეთ, მოაქვს მას სარგებელი თუ არ მოაქვს, და, შესაბამისად, განსაკუთრებით ყურადღებიანი უნდა ვიყოთ სასარგებლო და უსარგებლო ქცევებს შორის განსხვავებების კვლევისას.

სოციალური პროცესის გასაღები მთლიანობაში იმას გვაგებინებს, რომ ადამიანი ყოველთვის ცდილობს ისეთი

სიტუაციის მონახვას, სადაც ის სხვებს აჯობებს. მაგალითად, არასრულფასოვნების განვითარებული გრძნობის მქონე ბავ–შვები შეგნებულად გაურბიან უფრო ძლიერ ბავშვებს და ეთამაშებიან უფრო სუსტ ბავშვებს, რომელთა მართვაც და დაჯაბნაც შეიძლება. ეს არასრულფასოვნების გრძნობის არა–ნორმალური, პათოლოგიური გამოვლინებაა, და უაღრესად მნიშვნელოვანია იმის გაგება, რომ განმსაზღვრელი მნიშვნე–ლობა აქვს არა არასრულფასოვნების შეგრძნებას, არამედ მის ძალას და ხასიათს.

არასრულფასოვნების არანორმალურმა გრძნობამ მიი–ღო „არასრულფასოვნების კომპლექსის“ სახელწოდება. თუმ–ცა „კომპლექსი“ – არც თუ მთლად ზუსტი სიტყვაა არას–რულფასოვნების ასეთი გრძნობისათვის, რომელიც მთელ პიროვნებაზე ვრცელდება. ეს უფრო მეტია, ვიდრე კომპლექ–სი, ეს თითქმის ავადმყოფობაა, რომლის დამანგრეველი მოქ–მედების ძალა სხვადასხვა გარემოებებზეა დამოკიდებული. ზოგჯერ ჩვენ ადამიანში სამსახურში ყოფნისას არასრულფა–სოვნების გრძნობას ვერ ვამჩნევთ, რამეთუ იქ თავს თავდა–ჯერებულად გრძნობს, მაგრამ კომპანიაში ან საპირისპირო სქესთან ურთიერთობებში ის შეიძლება არ იყოს საკუთარ თავში დაჯერებული, თუმცა ცხოვრების სწორედ ამ სფერო–ებში შეიძლება მისი ჭეშმარიტი ფსიქოლოგიური მდგომარე–ობის დადგენა.

ძირითადად შეცდომები შესამჩნევი ხდება დაძაბულ ან რთულ სიტუაციაში. სწორედ მაშინ ვლინდება ჭეშმარიტი პროტოტიპი. ფაქტიურად, სირთულეებს ყოველთვის ახალი სიტუაცია იწვევს. აი რატომ, როგორც ეს პირველ თავში აღვნიშნეთ, ერთობის გრძნობის განვითარების ხარისხის აღმოჩენა ახალ სოციალურ გარემოებებში ხდება.

ბავშვში ერთობის გრძნობის განვითარების ხარისხი თვალსაჩინო ხდება როგორც სკოლაში, ისე საერთოდ სოცია–

ლურ ცხოვრებაში. ჩვენ შეგვიძლია დავაკვირდეთ, ურთიერ-თობს ის თავის ამხანაგებთან თუ მათ გაურბის. თუ ჩვენ საქ-მე გვაქვს ჰიპერაქტიურ, ცელქ, მოხერხებულ ბავშვებთან, მა-შინ საჭიროა მათ სულში ჩახედვას შევეცადოთ, რათა ასეთი ქცევის მიზეზებში გავერკვიოთ. თუ ვინმე გაუბედავად იქ-ცევა და წარმატებას მხოლოდ გარემოებების წყალობით აღ-წევს, იგივე თვისებები სავარაუდოდ მოგვიანებით სოცია-ლურ ცხოვრებაში და ქორწინებაში გამოვლინდებიან.

ხშირად გვხვდებიან ადამიანები, რომლებიც ამბობენ: „ასეც მოვიქცეოდი“, „მე ამ სამუშაოს გავაკეთებდი“, „მე მას მოვუვლიდი, მაგრამ...“ ყველა ეს „კი, მაგრამ“ ტიპის მტკი-ცებები არასრულფასოვნების გრძნობის ძლიერ ნიშანს წარ-მოადგენენ. ამის გაგება ჩვენ შესაძლებლობას გვაძლევს ზო-გიერთ ისეთ ემოციას, როგორიცაა, მაგალითად, ეჭვი, ახლე-ბურად შევხედოთ.

ცხადია, რომ მოყოყმანე ადამიანი ჩვეულებრივ ვერა-ფერს ვერ აღწევს. მაგრამ თუ ადამიანი ამბობს: „მე ამას ვერ შევძლებ“, მაშინ, დიდი ალბათობით, მისი ქმედებებიც შესა-ბამისი იქნება.

ყურადღებიანი ფსიქოლოგი ხშირად ადამიანში წინა-აღმდეგობებს ხედავს. ასეთი წინააღმდეგობები ასევე შეიძ-ლება განვიხილოთ როგორც არასრულფასოვნების გრძნობის ნიშანი. საჭიროა ყველა შესაძლებლობის გამოყენება იმ ადა-მიანის მოძრაობებზე დაკვირვებისათვის, რომლის პრობლე-მასაც ჩვენ ვიკვლევთ. მისმა სიარულმა, ადამიანებთან ურ-თიერთობის მანერამ შეიძლება ბევრი რამ გვაცნობოს, და ის რხევები, რომელსაც ჩვენ მის სხეულში ვამჩნევთ, ხშირად წარმოადგენს მისი ფსიქიკური ცხოვრების სიტუაციის გამო-ძახილებს. არსებობს ბევრი ისეთი ადამიანი, რომელიც ერთ ნაბიჯს წინ დგამს, ორ ნაბიჯს კი უკან, რაც არასრულფასოვ-ნების ძლიერ გრძნობაზე მეტყველებს. ჩვენი ამოცანა მთლი-

ანად იმაში მდგომარეობს, რომ ეს ადამიანები მუდმივ ყოყ–მანს გადავაჩვიოთ. მათთვის საუკეთესო მკურნალობა იქნება მხარდაჭერა; არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მათი გაკ–რიტიკება, რამეთუ ამით შეიძლება მასში მხნეობა მოვსპოთ. ჩვენ უნდა გავაგებინოთ, რომ მათ შეუძლიათ დამოუკიდებ–ლად გაუმკლავდნენ სირთულეებს და გადაჭრან თავიანთი ცხოვრების პრობლემები. ეს ადამიანისთვის საკუთარ თავში რწმენის დაბრუნების და ამასთან არასრულფასოვნების გრძნობის მკურნალობის ერთადერთი ხერხია.

თავი 3. არასრულფასოვნების კომპლექსი და უპირატესობის კომპლექსი

ჩვენ ვნახეთ, რომ ადამიანის ცხოვრებაში თითოეული სიმპტომი დინამიკაში, ანუ განვითარებაში ვლინდება. ამი–ტომ შეიძლება ითქვას, რომ მას წარსული და მომავალი გა–აჩნია. მომავალი მტკიცედაა დაკავშირებული ჩვენს მისწრა–ფებებთან და მიზანთან, იმ დროს როცა წარსული მიუთი–თებს იმ არასრულფასოვნების ან არაადექვატურობის ხასი–ათზე, რომლის დაძლევასაც ვცდილობთ. ამიტომაც არას–რულფასოვნების კომპლექსი უფრო მეტად დასაწყისში გვა–ინტერესებს, უპირატესობის კომპლექსი კი მის დინამიკაში, ანუ განვითარებაში. უფრო მეტიც, ეს ორი კომპლექსი ერთ–მანეთთან ბუნებრივადაა დაკავშირებული. არ უნდა გაგვიკ–ვირდეს, რომ არასრულფასოვნების კომპლექსის ჩვენ მიერ განხილულ შემთხვევაში მეტ–ნაკლებად ფარული სახით არ–სებულ უპირატესობის კომპლექსს აღმოვაჩენთ. მეორეს მხრივ, უპირატესობის კომპლექსის დინამიკაში კვლევისას ყოველთვის სახეზეა მეტ–ნაკლებად ფარული არასრულფა–სოვნების კომპლექსი.

ზოგადი დებულებები

კარგად უნდა გვესმოდეს, რომ სიტყვა „კომპლექსი“, რომელსაც ვხმარობთ არასრულფასოვნებასთან და უპირატესობასთან მიმართებით, უწინარეს ყოვლისა ასახავს არასრულფასოვნების გადაჭარბებულ გრძნობას და უპირატესობისკენ მისწრაფებას. თუ სიტუაციას ამგვარად შევხედავთ, ეს მოხსნის მოჩვენებით პარადოქსს ერთ ინდივიდში არსებული ორი საპირისპირო ტენდენციის შესახებ, რამეთუ უპირატესობისკენ მისწრაფება და არასრულფასოვნების გრძნობა ერთმანეთს აშკარად ავსებენ. თუ ვკმაყოფილდებით საქმის არსებული მდგომარეობით, ჩვენში აღარ რჩება უპირატესობისკენ მისწრაფებისათვის და წარმატების მიღწევისათვის ადგილი. ამიტომ, იმის გამო, რომ ეგრეთ წოდებული კომპლექსები ბუნებრივი გრძნობებიდან ვითარდებიან, ისინი ჩვეულებრივ გრძნობებზე უფრო წინააღმდეგობრივნი როდი არიან.

უპირატესობისკენ მისწრაფება არასდროს არ ქრება, და ფაქტიურად სწორედ ის აყალიბებს ადამიანის გონებას და ფსიქიკას. როგორც უკვე ვთქვით, ცხოვრება – მიზნის ან ფორმის მიღწევაა, უპირატესობისკენ მისწრაფება კი – ფორმის მისაღწევად მამოძრავებელი ძალაა. ეს ერთგვარი ნაკადია, რომელსაც წინ მიჰყავს მთელი ის მასალა, რომლის პოვნაც შეუძლია. მაგალითისათვის განვიხილოთ ზარმაცი ბავშვები. აქტივობის უკმარისობამ, რაღაცისადმი ინტერესის არქონამ შეიძლება მათში მოძრაობების სრული არარსებობის შთაბეჭდილება შეგვიქმნას. მაგრამ მათშიც კი ვპოულობთ სხვებზე უპირატესობის მოპოვების სურვილს, სურვილს, რომელიც მათ აიძულებს თქვან: „ასეთი ზარმაცი რომ არ ვყოფილიყავი, პრეზიდენტიც კი გავხდებოდი“. მათი განვითარება და მისწრაფება, ასე ვთქვათ, შეფარდებითია. ისინი

მაღალი აზრის არიან საკუთარ თავზე და ეჭვიც კი არ ეპარე-ბათ, რომ შეეძლოთ ბევრი რამის გაკეთება და დიდი სარგებ-ლის მოტანა, თუკი...! რა თქმა უნდა, ეს ტყუილია, გამონაგო-ნი, მაგრამ ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ კაცობრიობა ხში-რად სწორედ მსგავსი გამონაგონით კმაყოფილდება. და ეს განსაკუთრებით სამართლიანია იმ ადამიანებთან მიმართე-ბით, რომელთაც გამბედაობა არ ჰყოფნით: ისინი სავსებით კმაყოფილდებიან ფანტაზიებით. არ გრძნობენ რა თავის თა-ვში დიდ ძალას, ისინი ყოველთვის შემოვლით გზას ირჩე-ვენ, რათა სირთულეებს გაექცნენ. და ამ გაქცევის წყალობით, ბრძოლისათვის მუდმივი თავის არიდების წყალობით, მათ უჩნდებათ შეგრძნება, რომ ისინი უფრო ძლიერები და ჭკვი-ანები არიან, ვიდრე ეს სინამდვილეში არის.

არსებობენ ბავშვები, რომლებმაც ქურდობა დაიწყეს თავიანთი უპირატესობის გრძნობის დასაკმაყოფილებლად.

მათ ჰგონიათ, რომ სხვების მოტყუებით, გასულელე-ბით ადვილად გამდიდრდებიან და ამასთან დაუჭერლებად დარჩებიან. იგივე გრძნობა მკვეთრადაა გამოხატული დამნა-შავეებში, რომლებიც თავს გმირებადაც კი თვლიან.

ჩვენ ეს თვისება სხვა თვალსაზრისით უკვე განვიხი-ლეთ, როგორც კერძო ლოგიკის გამოვლინება. ამას არაფერი აქვს საერთო საღ აზრთან ან საყოველთაოდ მიღებულ ლო-გიკასთან, როცა მკვლელი საკუთარ თავს გმირად თვლის – ეს მისი სუბიექტური წარმოდგენაა. მას არ ჰყოფნის სითამამე და ცდილობს საქმეები ისე წარმართოს, რომ ცხოვრების პრობლემების თავად გადაჭრა არ მოუწიოს.

მაშასადამე, დამნაშავეობა – ესაა უპირატესობის კომპ-ლექსის შედეგი, და არა ბიწიერების ფუნდამენტური და თავდაპირველი გამოვლინება.

მსგავს სიმპტომატიკას ჩვენ ნევროტულ პიროვნებებ-თან ვაკვირდებით. მაგალითად, მათ აწუხებთ უძილობა, მო-

მდევნო დღეს კი ძალა არ ჰყოფნით იმ საქმის მოთხოვნების მოსაგვარებლად, რომლითაც იმ დროს დაკავებულნი არიან. მათ ჰგონიათ, რომ უძილობის გამო არ უნდა მოსთხოვონ წუნდაუდებლად მუშაობა. ისინი ჩივიან: „რომ გამომეძინა, მე თქვენ გიჩვენებდით სეირს!“ მსგავსი რამ ემართებათ დეპ–რესიულ პიროვნებებს, რომელთაც განგაშის გრძნობა აწუ–ხებთ. განგაში მათ ტირანებად ხდის. ფაქტიურად ისინი ბო–როტად იყენებენ თავის განგაშს სხვების სამართავად: მათ–თან მუდმივად ვიღაც უნდა იმყოფებოდეს, მათ ყველგან თან უნდა ახლდნენ, სადაც არ უნდა მიდიოდნენ და ასე შემდეგ. ახლობლები იძულებულნი არიან თავიანთი ცხოვრება დეპ–რესიული ადამიანის მოთხოვნებს დაუმორჩილონ.

დეპრესიული და ავადმყოფი ადამიანები ყოველთვის იმყოფებიან ოჯახის ყურადღების ცენტრში.

ამრიგად, არასრულფასოვნების კომპლექსი მათი ძა–ლის წყაროს წარმოადგენს. ისინი გამუდმებით ჩივიან, რომ სისუსტეს გრძნობენ, წონას კარგავენ და ასე შემდეგ, მაგრამ მიუხედავად ამისა, სხვებზე ძლიერები კი არიან. ისინი ჩაგ–რავენ ჯანმრთელ ადამიანებს, და ეს ფაქტი არ უნდა იწვევ–დეს გაკვირვებას, რამეთუ ჩვენს კულტურაში ავადმყოფობა ხშირად აძლევს გარკვეულ ძალას და ძალაუფლებას. (და თუ საკუთარ თავს კითხვას დავუსვამთ, თუ ჩვენს კულტურაში ვინაა ყველაზე ძლიერი, ლოგიკური იქნებოდა გვეპასუხა – ჩვილები. ჩვილები მართავენ, მათ კი ვერავინ მართავს.)

მოდით განვიხილოთ კავშირი უპირატესობისა და არა–სრულფასოვნების კოპლექსებს შორის, რისთვისაც მაგალი–თად ავიღოთ პრობლემური ბავშვი უპირატესობის კომპლექ–სით, რომელსაც ახასიათებს თავხედობა, თვითდაჯერება და მოჩხუბარობა. ჩვენ ვნახავთ, რომ მას სურს თავის უფრო მნიშვნელოვნად წარმოჩენა, ვიდრე ეს სინამდვილეშია. ყვე–ლამ ვიცით, თუ ფიცხი ხასიათის ბავშვები, სხვების გაკონტ–

როლების მიზნით, მოულოდნელად მათ თავს როგორ ესხმი–ან. რაშია მათი გაუწონასწორებლობის მიზეზი? საქმე საკუ–თარ ძალებში დაურწმუნებლობაშია. ისინი გრძნობენ საკუ–თარ არასრულფასოვნებას. მოჩხუბარ აგრესიულ ბავშვებში ჩვენ ყოველთვის ვხვდებით არასრულფასოვნების კომპ–ლექსს და მისი დაძლევის სურვილს. ეს იგივეა, რომ საკუ–თარი თავის თმებით აწევა მოესინჯათ, რათა უფრო მაღლები გამოჩენილიყვნენ და ასეთი მარტივი ხერხით წარმატების, დარწმუნებულობის და უპირატესობისთვის მიეღწიათ.

ამ ბავშვებისათვის აუცილებელია მკურნალობის მე–თოდების მოძებნა. ისინი ასე იმიტომ მოქმედებენ, რომ ვერ ხედავენ მიზეზ–შედეგობრივ კავშირებს, არ ესმით ნივთების ბუნებრივი მსვლელობა. და ამისათვის არ შეიძლება მათი გამტყუნება, რამეთუ ყოველთვის კითხვებზე პასუხის გაცე–მისას ისინი ჯიუტად გვაგრძნობინებენ, რომ გრძნობენ უპი–რატესობას, და არა არასრულფასოვნებას. ამიტომ მეგობრუ–ლი ფორმით უნდა ავუხსნათ ჩვენი თვალსაზრისი და თან–დათან დავეხმაროთ მის შეთვისებაში.

თუ ადამიანი თვალში ნაცარს აყრის, ამას მხოლოდ იმიტომ აკეთებს, რომ არასრულფასოვნებას გრძნობს და თა–ვის თავში საკმარის ძალას ვერ ნახულობს, რათა სხვებს რა–ღაც სასარგებლოში შეეჯიბროს. აი რატომ აგრძელებს ის უსარგებლო საქმეების კეთებას. მისი საზოგადოებასთან ურ–თიერთობა არაა ჰარმონიული, ის არაა სოციალურად ადაპ–ტირებული და არ იცის, როგორ გადაჭრას ცხოვრების სოცი–ალური პრობლემები.

ამიტომაც, მისი ბავშვობის კვლევისას ჩვენ ხშირად ვაკ–ვირდებით მათსა და მის მშობლებსა და მასწავლებლებს შო–რის უწყვეტ შეტაკებებს. ასეთი ქცევის მიზეზებში ღრმად უნდა გავერკვეთ და ბავშვების შეგნებამდე დავიყვანოთ.

არასრულფასოვნების და უპირატესობის კომპლექსების

იგივე კომბინაციას ჩვენ ნევროზით დაავადებულებში ვნა–ხულობთ. ნევროტიკი ხშირად გვიჩვენებს უპირატესობის კომპლექსს, თავის არასრულფასოვნების კომპლექსს კი საერ–თოდ ვერ ამჩნევს.

თუ ოჯახში ბავშვებს შორის ვინმე გამორჩეულია, მაშინ ყველა დანარჩენში აუცილებლად აღმოვაჩენთ არასრულფა–სოვნების კომპლექსს და უპირატესობისკენ მისწრაფებას.

ვიდრე მათი ინტერესები არა მხოლოდ მათ, არამედ სხვა ადამიანებსაც ეხება, ისინი ცხოვრებისეულ პრობლემებს დამაკმაყოფილებლად წყვეტენ. მაგრამ თუ არასრულფასოვ–ნების კომპლექსი ძალას იკრებს, მათი ცხოვრება მტრების ბა–ნაკში არსებობას ემსგავსება: ისინი ყოველთვის ფხიზლად არიან თავიანთი ინტერესების დაცვისკენ მისწრაფებაში, სხვების ინტერესები კი მათთვის საერთოდ არ არსებობს და, შესაბამისად, არ არსებობს საღი აზრის კანონებიც. საზოგა–დოებაში ცხოვრების პრობლემებისადმი ამ ადამიანების მი–დგომა მათ გადაჭრას ხელს არ უწყობს, და თავიანთი ცხოვ–რების შემსუბუქების მცდელობისას ისინი ირჩევენ უსარგებ–ლო არსებობის გზას. სინამდვილეში, პრობლემების გადაწყ–ვეტის თვალსაზრისით, ეს სიადვილე მოჩვენებითია; თუმცა სხვების მხარდაჭერა მათ შემსუბუქების შეგრძნებას აძლევს. ისინი სხვის ხარჯზე მცხოვრებ ღატაკებს ემსგავსებიან. მათი კომფორტი ეყრდნობა ნევროზის დახმარებით სხვების სი–სუსტეების ექსპლუატაციას.

ალბათ, ეს ზოგადადამიანური თვისებაა – ეს შეეხება როგორც ბავშვებს, ისე მოზრდილებს, – როცა ისინი თავს სუსტებად გრძნობენ, მათი ერთობის გრძნობა ქრება და უპირატესობისკენ მისწრაფებას იწყებენ. ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრის ეს ხერხი მიმართულია პირადი უპირატესობის მიღწევისაკენ და საერთოდ არ ითვალისწი–ნებს საზოგადოების ცხოვრებას. ვიდრე ადამიანი, რომელიც

უპირატესობისაკენ მიისწრაფვის, საზოგადოებრივი ინტერე–სებით იფარგლება, მის ქმედებებს სარგებლობა მოაქვს და მისი აქტიურობა კონსტრუქციულია. ხოლო როცა მისი ერ–თობის გრძნობა დაქვეითებულია, ის კარგავს ცხოვრებისეუ–ლი პრობლემების რეალურად გადაჭრის უნარს. როგორც უკვე ვთქვით, ამ ადამიანების კატეგორიას შეიძლება მივაკუ–თვნოთ პრობლემური ბავშვები, სულიერად ავადმყოფები, დამნაშავეები, თვითმკვლელობისკენ მიდრეკილები და სხვა.

არასრულფასოვნებისა და უპირატესობის კომპლექსე–ბის ზოგადი იდეის გადმოცემის დასასრულს რამდენიმე სი–ტყვა უნდა ითქვას ნორმალურ ადამიანებზე მათი მისადაგე–ბის შესახებ. როგორც უკვე ვთქვით, არასრულფასოვნების გრძნობა ყველა ადამიანს გააჩნია. ის არ წარმოადგენს ფსიქი–კურ აშლილობას, პირიქით, ასტიმულირებს ნორმალურ მის–წრაფებებს და ჯანსაღ განვითარებას. ეს გრძნობა პათოლო–გიური მხოლოდ მაშინ ხდება, როცა ადამიანში იმარჯვებს არაადექვატურობის გრძნობა, და ეს ამუხრუჭებს მის სასარ–გებლო აქტიურობას, მას დეპრესიულად ხდის და განვითა–რების უნარს აკარგვინებს. ასეთ სიტუაციაში უპირატესობის კომპლექსი შეიძლება გახდეს სირთულეებისათვის თავის არიდების ერთ–ერთი მეთოდი.

არასრულფასოვნების კომპლექსის მქონე ადამიანი სა–კუთარ თავს იმაზე უკეთესად გვიჩვენებს, ვიდრე სინამდვი–ლეში არის, და ეს ყალბი წარმატება აკომპენსირებს მისთვის აუტანლად გამხდარ არასრულფასოვნების გრძნობას. ნორმა–ლურ ადამიანს უპირატესობის კომპლექსის ნასახიც კი არა აქვს. რა თქმა უნდა, ის ბევრი ადამიანის მსგავსად ცდილობს თავის გარემოცვაში სხვებზე მაღლა დადგეს, მაგრამ ვიდრე ეს მისწრაფება მუშაობაში გამოიხატება, ის სულიერ აშლი–ლობებს არ მიეკუთვნება.

შემთხვევები

ჩვენ მიერ განხილვადი თემის კონტექსტში ფრიად დამახასიათებელია ერთი ახალგაზრდა ქალიშვილის აკვიატებული ნევროზის შემთხვევა, რომელსაც თავის უფროს დასთან მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებდა. თავისი მომხიბვლელობის წყალობით მისი უფროსი და საყოველთაო თაყვანისცემით სარგებლობდა. ეს ფაქტი ფრიად ნიშანდობლივია, რადგან თუ ოჯახის ერთ–ერთი წევრი სხვებს შორის გამოირჩევა, ეს უკანასკნელნი დაიჩაგრებიან. და მნიშვნელობა არა აქვს, თუ ვინ აღმოჩნდება უფრო ხელსაყრელ სიტუაციაში – მამა, ერთ–ერთი შვილი თუ დედა, რამეთუ ოჯახის სხვა წევრებს ეს მძიმე, ზოგჯერ აუტანელ ტვირთად დააწვება.

ქალიშვილი, რომელზეც ვსაუბრობთ, ბავშვობიდან სიყვარულის დეფიციტს განიცდიდა. ამ ქალიშვილს რომ ჰქონოდა განვითარებული სოციალური ინტერესები, რომ გაეგო ის, რაც ჩვენ გვესმის, მას შეეძლო განვითარების სხვა გზა დამოუკიდებლად აერჩია. მაგალითად, მან დაიწყო მუსიკის სწავლა, თუმცა არასრულფასოვნების კომპლექსის გამო, რომლის მიზეზიც იყო მის წარმატებულ დაზე მუდმივი ფიქრები, ის თავს მუდმივად დაძაბულად გრძნობდა და წარმატებას ვერც ამ წამოწყებაში მიაღწია. როცა ოცი წლის იყო, უფროსი და გათხოვდა, და მანაც მიზნად გათხოვება დაისახა, რათა თავის დას არ ჩამორჩენოდა. ის სულ უფრო და უფრო ეფლობოდა ამ მეტოქეობაში და შორდებოდა ჯანსაღ სასარგებლო ცხოვრებას. შემდეგ კი ის იდეა განუვითარდა, რომ ბოროტია და მაგიური ძალითაა აღჭურვილი, რომლის დახმარებითაც ადამიანის ჯოჯოხეთში გაგზავნა შეუძლია.

ამ მაგიურ ძალაში ჩვენ ვხედავთ უპირატესობის კომპლექსის გამოვლინებას. მეორეს მხრივ, თავისი ძალის ხსენებისას ქალიშვილი ზოგჯერ ჩივილებს გამოთქვამდა იმის

მსგავსად, როგორც მდიდარ ადამიანს უყვარს თავის მძიმე ხვედრზე - მდიდრად ყოფნაზე – ჩივილი. ის გრძნობდა, რომ თავისი ღვთიური ძალის წყალობით არა მხოლოდ შეეძლო ადამიანების ჯოჯოხეთში გაგზავნა, არამედ დროდადრო იმის შეგრძნებაც უჩნდებოდა, რომ შეეძლო და ვალდებულიც იყო ეს ადამიანები გადაერჩინა. რა თქმა უნდა, ორივე ეს პრეტენზია სასაცილო იყო, მაგრამ, ფიქციების ამ სისტემის მეშვეობით საკუთარი თავი დაარწმუნა უფრო დიდი ძალაუფლების ფლობაში მისი უფრო წარმატებული დის ძალაუფლებასთან შედარებით. მას მხოლოდ ამ თამაშში შეეძლო დისათვის ეჯობნა. და რაც უფრო მეტს უჩიოდა თავის მაგიურ ძალას, მით უფრო სარწმუნოდ ეჩვენებოდა, რომ ამ ძალას მართლაც ფლობს. ის რომ სერიოზულად არ მოკიდებოდა ამ ძალაუფლებას, ძალაუფლების ფლობაზე პრეტენზიები კითხვის ქვეშ დადგებოდა.

მხოლოდ ჩივილები აძლევდა მას თავისი ცხოვრებისეული ხვედრით კმაყოფილების შეგრძნებას. მოცემულ შემთხვევაში ჩვენ ვხედავთ, რომ უპირატესობის კომპლექსი შეიძლება ფარული იყოს, რომ მისი არსებობა შეიძლება აღიარებულ არ იქნას, იმ დროს როცა სინამდვილეში ის არსებობს როგორც არასრულფასოვნების კომპლექსის კომპენსაცია.

მისი უფროსი და – მოდით მასზეც რამდენიმე სიტყვა ვთქვათ – გაცილებით უფრო მეტი კეთილგანწყობილებით სარგებლობდა, და იყო დროც, როცა ის, როგორც ერთადერთი შვილი, ოჯახში ყურადღების ცენტრში იყო და მას ყველა სურვილს უსრულებდნენ. უმცროსი და დაიბადა, როცა ის სამი წლისა იყო, და ამ ფაქტმა მთლიანად შეცვალა ოჯახში უფროსი გოგონას მდგომარეობა. თუ ადრე ის განუყოფლად ფლობდა საყოველთაო ყურადღებას, ახლა თავი მოულოდნელად თავისი კუთვნილი ადგილიდან ჩამოგდებულად იგრძნო. ამის შედეგად მოჩხუბარი გახდა, მართალია, ეს მხო-

ლოდ უფრო სუსტი ბავშვების კომპანიაში ყოფნისას ვლინ–
დებოდა. სინამდვილეში მოჩხუბარობა სულაც არ წარმოად–
გენს სითამამის ნიშანს, ასეთი ბავშვი მხოლოდ მასზე უფრო
სუსტებს ეჩხუბება. უფრო ძლიერი ბავშვების გარემოცვაში
მოხვედრისას კი თავის კადნიერებას უკლებს და ჟინიანი ან
დათრგუნული ხდება. ალბათ, ამ მიზეზით ოჯახურ წრეში
ის ნაკლებად უყვართ.

მსგავს შემთხვევებში უფროსი ბავშვი გრძნობს, რომ ის
ადრინდელივით აღარ უყვართ, და მისდამი შეცვლილი და–
მოკიდებულების ნიშნებში თავისი ვარაუდის დადასტურე–
ბას ხედავს. შექმნილ სიტუაციაში სხვებზე უფრო მეტად და–
მნაშავედ გოგონა დედას თვლის, რადგან სახლში და სწორედ
მან მოიყვანა. ამით აიხსნება, რომ მისი გამოხდომები ძირი–
თადად დედის წინააღმდეგაა მიმართული.

ჩვილი კი ყოველგვარი ძალისხმევების და ბრძოლის
გარეშე იკავებს გამორჩეულის მდგომარეობას, რამეთუ, ბუ–
ნებრივია, იგი ნებისმიერი სხვა ჩვილივით მუდმივ მიხედ–
ვას, მოვლას, განებივრებას საჭიროებს. ამრიგად, უმცროსი
და, რომელიც სიყვარულში ბანაობს, ვითარდება როგორც ძა–
ლიან საყვარელი, ძალიან ნაზი არსება, ის ხომ ოჯახის ცენტ–
რია. ზოგჯერ სათნოება ზეიმობს დამორჩილების ფორმით!

თუმცა შევეცადოთ გავაანალიზოთ, თუ მას ცხოვრება–
ში რა სარგებელს მოუტანს მომხიბვლელობა, სინაზე და სი–
კეთე. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გოგონა ასეთი მორჩილი
და დამყოლი მხოლოდ იმიტომ იყო, რომ ანებივრებდნენ.
თუმცა ჩვენი ცივილიზაცია მაინცდამაინც კეთილად არ არის
განწყობილი განებივრებული ბავშვებისადმი. ზოგჯერ მამა,
აცნობიერებს რა ამას, ცდილობს ამ მდგომარეობის შეცვლას,
ზოგჯერ კი სიტუაციაში სკოლა ერევა.

ასეთი ბავშვის მდგომარეობა ყოველთვის არამყარია,
ამიტომ განებივრებული ბავშვები თავის არასრულფასოვნე–

ბას გრძნობენ. სანამ ისინი ხელსაყრელ სიტუაციაში იმყოფე-ბიან, ეს გრძნობა შეუმჩნეველი რჩება, მაგრამ როგორც კი სი-რთულეები წარმოიშვება, ასეთ ბავშვებს გულდამძიმებუ-ლობა ან უპირატესობის კომპლექსი უვითარდებათ.

არასრულფასოვნების და უპირატესობის კომპლექსებს რაღაც საერთო აქვთ, სახელდობრ ის, რომ ისინი ყოველთვის ცხოვრების უსარგებლო მხარეებს ასახავენ. ქედმაღალი, კად-ნიერი, უპირატესობის კომპლექსის მქონე ბავშვი ყოველ-თვის უცხო იქნება ცხოვრების სასარგებლო მხარისათვის.

სკოლაში შესვლით განებივრებული ბავშვებისათვის ხელსაყრელი სიტუაცია მთავრდება. ამ მომენტიდან ისინი დაურწმუნებლად ეგუებიან ცხოვრებას, ამასთან ბოლომდე არაფერი დაჰყავთ. ასე დაემართა უმცროს დასაც, რომელზეც ადრე გვქონდა საუბარი. ის იწყებდა კერვის, როიალზე დაკ-ვრის სწავლას, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ მათ თავს ანებებდა. გარდა ამისა, მან დაკარგა ურთიერთობისადმი ინ-ტერესი, არ უნდოდა სახლიდან გასვლა და თავს სულ უფრო და უფრო დათრგუნულად გრძნობდა. ეჩვენებოდა, რომ უფ-რო მიმზიდველი ღირსებების მქონე დამ დაჩრდილა. დაურ-წმუნებლობამ და მუდმივმა ყოყმანმა ის კიდევ უფრო სუსტი გახადა, რამაც გამოიწვია მისი ხასიათის აშკარა გაუარესება.

მომდევნო ცხოვრებაში საქმიანობის არჩევისას ის მუდ-მივად ყოყმანობდა, თავისი წამოწყებები ბოლომდე არასდ-როს მიჰყავდა. ყოყმანი თან სდევდა სიყვარულში და მეუღ-ლის არჩევაშიც, მიუხედავად იმისა, რომ აქ იყო დასთან მე-ტოქეობის მომენტი. ოცდაათი წლის ასაკში თავის გარემოც-ვაში მან ნახა მამაკაცი, რომელსაც ტუბერკულოზი სჭირდა. ადვილი მისახვედრია, რომ თავისი არჩევანი მან მშობლების სურვილის წინააღმდეგ გააკეთა. და ამ შემთხვევაში მას არც-კი დასჭირვებია საქმის ბოლომდე არდაყვანისკენ მიდრეკი-ლება, რადგანაც მშობლები მის წამოწყებას შეეწინააღმდეგ-

ნენ და ქორწილი არ შედგა. ერთი წლის შემდეგ ის ცოლად გაჰყვა მასზე ოცდათხუთმეტი წლით უფროს მამაკაცს. რამ–დენადაც ამ ასაკის მამაკაცს უკვე არ უყურებენ როგორც მამა–კაცს, ამის მსგავსი ქორწინება ქორწინებას უკვე აღარ ჰგავდა და უაზრობად ჩანდა. საკმაოდ ხშირად არასრულფასოვნების კომპლექსი ვლინდება მომავალი მეუღლის არჩევისას, რომე–ლიც ბევრად უფროსია ან ქორწინებისთვის უბრალოდ არ გამოდგება – მაგალითად, ცოლიან მამაკაცს ან გათხოვილ ქალს. იმ ქალიშვილის გათხოვებამ, რომელზეც საუბარი მი–დის, მასში უპირატესობის გრძნობა ვერ განამტკიცა და ამი–ტომ სხვა ხერხის გამოყენება მოუწია.

მან იმის მტკიცება დაიწყო, რომ ამ ქვეყნად მოვალეო–ბის შესრულება ყველაზე მნიშვნელოვანი რამაა. მას გაუჩნდა დაბანვის აკვიატებული სურვილი. თუ ვინმე ან რამე ეხებო–და, ხელახლა ბანაობას იწყებდა. ამის გამო ის სრულ იზო–ლირებამდე მივიდა. ბოლოსდაბოლოს მისი ხელები იმდე–ნად ჭუჭყიანი გახდა, რომ ამის წარმოდგენაც ძნელია. მიზე–ზი კი სრულიად აშკარაა: მუდმივი დაბანვისაგან მისი კანი ძალიან უხეში გახდა და დიდი რაოდენობით ჭუჭყს აგრო–ვებდა.

ეს ყველაფერი თითქოსდა არასრულფასოვნების კომპ–ლექსის გამოვლინებაა, თუმცა ის საკუთარ თავს მსოფლიოში ერთადერთ სუფთა ადამიანად თვლიდა და სხვებს იმის გამო მუდმივად აკრიტიკებდა და კიცხავდა, რომ არ გააჩნდათ მასსავით ბანაობის აკვიატებული მოთხოვნილება. ის თავის როლს მშვენივრად ასრულებდა: მთელი ცხოვრება ხომ უნ–დოდა სხვებზე უკეთესი ყოფილიყო და ფიქციის დახმარე–ბით ამჟამად ეს მოახერხა. ის იყო მსოფლიოში ყველაზე სუ–ფთა ადამიანი. ჩვენ ვხედავთ, თუ მისი არასრულფასოვნების კომპლექსი როგორ გადაიზარდა მკვეთრად გამოხატულ უპირატესობის კომპლექსში.

იგივე ფენომენს ვამჩნევთ განდიდების მანიით შეპყ-რობილ ადამიანებში, რომლებსაც საკუთარი თავი იესო ქრი-სტედ ან იმპერატორად წარმოუდგენიათ. ასეთი ადამიანები ცხოვრების უსარგებლო მხარეს მოქმედებენ და თავიანთ როლს ფრიად დამაჯერებლად ასრულებენ. ცხოვრებაში ისი-ნი უკიდურესად იზოლირებულნი არიან, და თუ მათ წარ-სულს დავუბრუნდებით, მათში უთუოდ არასრულფასოვნე-ბის გრძნობას აღმოვაჩენთ, რომელმაც ისინი უპირატესობის კომპლექსის განვითარებამდე მიიყვანა.

საინტერესოა თხუთმეტი წლის ბიჭის მაგალითი, რო-მელიც ფსიქიატრიულ კლინიკაში ჰალუცინაციის მიზეზით შემოვიდა. ეს მოხდა ომამდე ცოტა ხნით ადრე, მან წარმო-იდგინა, რომ ავსტრიის იმპერატორი მოკვდა, თუმცა ეს ასე არ იყო; ის აგრეთვე ამტკიცებდა, რომ იმპერატორი სიზმარ-ში გამოეცხადა და მოუწოდა ავსტრიული არმია მტრების წი-ნააღმდეგ წაეყვანა. და თუმცა მას აჩვენებდნენ გაზეთს, რო-მელშიც ნათქვამი იყო, რომ იმპერატორი თავის სასახლეში გაჩერდა ან სადღაც გაემგზავრა ავტომობილით, რომელსაც თავადვე მართავდა, მისი დარწმუნება შეუძლებელი იყო: ის კვლავ დაჟინებით ამტკიცებდა, რომ იმპერატორი მოკვდა და ძილში გამოეცხადა.

იმ დროს ინდივიდუალური ფსიქოლოგია აწარმოებდა კვლევებს ძილის დროს სხეულის მდგომარეობისა და ადა-მიანში არასრულფასოვნების ან უპირატესობის კომპლექსე-ბის არსებობის ურთიერთკავშირის შესახებ. ამის ცოდნა შე-იძლება უსარგებლო არ აღმოჩნდეს. ზოგი ადამიანი მოკუნ-ტული იძინებს და თავზე საბანს იფარებს. ასეთი მდგომა-რეობა არასრულფასოვნების კომპლექსზე მიუთითებს.

მართლაც, ძნელია იმის დაჯერება, რომ ასეთი ადამია-ნი მამაცია. და პირიქით, თუ ადამიანი ძილში იღებს გასწო-რებულ და ღირსების გამომხატველ პოზას, ძნელი დასაჯე-

რებელია, რომ ის სუსტია და ცხოვრებით დათანგული. რაც შეეხება მუცელზე მწოლ ადამიანებს, დაკვირვებები გვიჩ–ვენებენ, რომ მათ ახასიათებთ სიჯიუტე და ჩხუბისადმი მიდრეკილება.

ყმაწვილი, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ, გამოკვლეულ იქნა დღის განმავლობაში ქცევასა და ძილში მდგომარეობას შორის კორელაციის მიზნით. აღმოჩნდა, რომ, ნაპოლეონის მსგავსად, მას გულხელდაკრეფილს სძინავს. ნაპოლეონის ასეთ პოზაში გამოსახული სურათები საყოველთაოდ ცნობი–ლია. როცა მომდევნო დღეს ბიჭს შეეკითხნენ, თუ ვის აგონე–ბდა ეს პოზა, მან უპასუხა: „ჩემს მასწავლებელს“.

თავიდან პასუხი უცნაური მოგვეჩვენა, ვიდრე არ წარ–მოიშვა აზრი, რომ მასწავლებელი შეიძლება ნაპოლეონს ჰგა–ვდეს. ასეც აღმოჩნდა. უფრო მეტიც, მასწავლებლისადმი სი–ყვარულმა ბიჭს შთააგონა მასწავლებლად გახდომის სურვი–ლი. მაგრამ სახსრების უკმარისობის გამო, ოჯახი იძულებუ–ლი გახდა ბიჭი რესტორანში სამუშაოდ გაეგზავნა, სადაც ის სიდაბლის გამო პატრონების მხრიდან დაცინვის მუდმივ სა–მიზნედ იქცა. მას არ შეეძლო ამის ატანა და ცდილობდა დამ–ცირების გრძნობის თავიდან მოცილებას.

მაგრამ ამან უსარგებლო არსებობამდე მიიყვანა.

ადვილი წარმოსადგენია, თუ ამ ბიჭს რა შეიძლებოდა მოსვლოდა. სიდაბლისა და რესტორნის კლიენტების მუდ–მივი დაცინვის გამო მას არასრულფასოვნების კომპლექსი ჩამოუყალიბდა. ის ხომ უპირატესობისკენ მიისწრაფვოდა, მას ხომ მასწავლებლობა სურდა.

თუმცა ამ მიზნისაკენ გზა მოჭრილი ჰქონდა, მან თავის უსარგებლო ცხოვრებაში მაინც მოახერხა სხვებზე უპირატე–სობის მოპოვება – ძილში და ოცნებებში.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ უპირატესობის მიღწევის მიზანმა ადამიანი შეიძლება მიიყვანოს როგორც სასარგებ–

ლო, ისე უსარგებლო ცხოველქმედებამდე. მაგალითად, თუ ადამიანი დიდსულოვანია, ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ ის ან სოციალურად კარგადაა ადაპტირებული და ადამიანებს მართლაც თანაუგრძნობს, ან უბრალოდ სხვების თვალში ამაღლების სურვილი ამოძრავებს. ფსიქოლოგს საკმაოდ ხშირად ხვდებიან ისეთი ადამიანები, რომელთა ძირითადი მისწრაფებაც თავის მოწონებისა და ტრაბახის სურვილში მდგომარეობს. ჩემთვის ცნობილია ერთი ბიჭის შემთხვევა, რომელსაც სკოლაში საქმეები იმდენად ცუდად მისდიოდა, რომ ბოლოსდაბოლოს გაკვეთილების გაცდენებამდე და ქურდობამდეც კი დავიდა.

თუმცა ეს ხელს არ უშლიდა მუდმივად ეტრაბახა. ყველაფრის მიზეზი კი მისი არასრულფასოვნების კომპლექსი იყო. მას სურდა რაღაცაში განუმეორებელი გამოჩენილიყო, თუნდაც ეს განუმეორებლობა სინამდვილეში იაფფასიანი თავმომწონეობა ყოფილიყო! ის ფულს იპარავდა და მეძავებისათვის ყვავილებს და სხვა საჩუქრებს ყიდულობდა. ერთხელ, შორეულ ქალაქში მანქანით ჩასვლისას ექვსი ცხენით შეკაზმული ეკიპაჟიც კი მოითხოვა. ქალაქში ზარზეიმით დადიოდა, ვიდრე არ დააპატიმრეს. მთელ მის ქცევაში მთავარი მისწრაფება შეიმჩნეოდა – სხვებისთვის ეგრძნობინებინა თავისი უპირატესობა, უფრო ღირსეულად წარმოეჩინა თავი, ვიდრე სინამდვილეში იყო.

ამის მსგავსი რამ შეგვიძლია დამნაშავეების ქცევაში აღმოვაჩინოთ – იოლი წარმატების პრეტენზია, – თვისება, რომელიც ჩვენ სხვა კონტექსტში უკვე განვიხილეთ.

ამ ცოტახნის წინ ნიუ–იორკის გაზეთები ერთ საინტერესო შემთხვევაზე იუწყებოდნენ. ვიღაც ქურდი იმ ბინაში შეიჭრა, რომელშიც სკოლის მასწავლებელი ქალები ცხოვრობდნენ და მათთან დისკუსია გამართა. ის ცდილობდა ქალებისათვის გაეგებინებინა, თუ რამდენად მძიმეა პატიოსა–

ნი ხალხის ჩვეულებრივი საქმიანობა. ის მათ უმტკიცებდა, რომ ქურდად ყოფნა გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე მუშაობა. ამ ადამიანმა თავისთვის უსარგებლობის გზა აირ-ჩია, მაგრამ ამ გზაზე სიარულისას უპირატესობის თავისე-ბური კომპლექსი შეიმუშავა. ის თავს ბევრ სხვა ადამიანზე უფრო ძლიერად გრძნობდა, რამეთუ მათგან განსხვავებით შეიარაღებული იყო. ესმოდა კი თავისი სიმხდალე? რასაკ-ვირველია, ესმოდა, და ამას ადასტურებს თავისი არასრულ-ფასოვნების კომპლექსისგან გაქცევის და უსარგებლო არსე-ბობის გზაზე დადგომის ფაქტი. თუმცა თავად ის საკუთარ თავს ლაჩრად კი არა, გმირად თვლის.

ზოგიერთი ადამიანი თვითმკვლელობას იმიტომ ჩა-დის, რომ ამ სამყაროს ყველა პრობლემა ერთხელ და სამუ-დამოდ გადაჭრას. შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ მათ ეს ცხოვ-რება არაფრად მიაჩნიათ, და უნდათ მის წინაშე თავისი უპი-რატესობის ჩვენება. მაგრამ სინამდვილეში ეს ლაჩრობაა. ამ-რიგად, უპირატესობის კომპლექსი – ეს მეორე ეტაპია: არა-სრულფასოვნების კომპლექსის კომპენსაცია. ყოველთვის სა-ჭიროა მოინახოს ორგანული კავშირი, ის კავშირი, რომელიც შეიძლება წინააღმდეგობად მოგვეჩვენოს, მაგრამ რომელიც, როგორც უკვე ვაჩვენეთ, დამახასიათებელია ადამიანური ბუნებისათვის. როცა ეს კავშირი ნაპოვნია, ჩვენ შეგვიძლია შევუდგეთ როგორც არასრულფასოვნების, ისე უპირატესო-ბის კომპლექსის მკურნალობას.

თავი 4. ცხოვრების სტილი

თუ ბარში ზრდად ფიჭვს იმ ფიჭვს შევადარებთ, რომე-ლმაც ფესვები მთის მწვერვალზე გაიდგა, დავინახავთ, რომ ისინი სხვადასხვაგვარად იზრდებიან. ეს ერთიდაიგივე სა-ხეობის ხეებია, მაგრამ მათი ცხოვრების სტილი სხვადასხვაა.

ხის ცხოვრების სტილი – ესაა მისი ინდივიდუალობა, რომელიც გარკვეულ გარემოში გამოიხატება და ყალიბდება.

ამ სტილის გამოცნობა მაშინ შეიძლება, როცა ვხედავთ, რომ გარემოცვის შედეგად ის ჩვენს მოლოდინებს არ ემთხვევა და ამასთან გვესმის, რომ თითოეულ ხეს გააჩნია ცხოვრებისეული ქცევის საკუთარი მოდელი, და არა უბრალოდ მექანიკური რეაქციები გარემოცვაზე.

ძირითადად ეს ადამიანისთვისაც სამართლიანია. ჩვენს წინაშე ცხოვრების სტილია მის გარემომცველ გარკვეულ პირობებში, და ჩვენი ამოცანაა გულმოდგინედ გავაანალიზოთ მისი კავშირი გარემოებებთან, რამეთუ გარემოცვაში მომხდარ ცვლილებებთან ერთად ხდება ჩვენი ცნობიერების შეცვლაც. ვიდრე ადამიანი ხელსაყრელ სიტუაციაში იმყოფება, მისი ცხოვრების სტილის შესახებ სწორი დასკვნის გაკეთება შეუძლებელია.

თუმცა ახალ სიტუაციებში, როცა ადამიანი სირთულეებს ეჯახება, ცხოვრების სტილი ნათლად და გარკვევით გამოიკვეთება. მხოლოდ გამოცდილ ფსიქოლოგს შეუძლია ადამიანის ცხოვრების სტილის სავარაუდო განსაზღვრა, თუ ის ხელსაყრელ პირობებში იმყოფება, ხოლო როცა სუბიექტი არახელსაყრელ და მძიმე მდგომარეობაში ხვდება, მისი ცხოვრებისეული სტილი ყველასათვის თვალსაჩინო ხდება.

ცხოვრება თამაშს იშვიათად წააგავს და სირთულეების ნაკლებობას არ განიცდის.

ადამიანს მუდმივად უხდება დაბრკოლებებთან შეჯახება, და იგი სწორედ ასეთ სიტუაციებში უნდა შევისწავლოთ, აღვნიშნოთ მისი მრავალფეროვანი მოძრაობები და განვსაზღვროთ მისი განმასხვავებელი თვისებები. როგორც უკვე ვთქვით, ცხოვრების სტილი – ესაა ერთობა, ის ჩამოყალიბდა ბავშვობაში განცდილი სირთულეების გადალახვის პროცესში და მიზნისაკენ მისწრაფებას ეფუძნება.

მაგრამ ჩვენი ინტერესები ეხებიან არა იმდენად ადამიანთა წარსულს, რამდენადაც მომავალს, რისი გაგებაც შეიძლება მხოლოდ მათი ცხოვრების სტილის გაგების პირობით. მაშინაც კი, როცა მათი ინტერესები, სტიმულები, სწრაფვები და ასე შემდეგ გვესმის, ჩვენ არ ძალგვიძს იმის განჭვრეტა, თუ რა მოხდება. ზოგიერთი ფსიქოლოგი ცდილობს დასკვნების გაკეთებას ინსტიქტების, სწრაფვების ან ტრავმების გამოკვლევის შედეგების საფუძველზე, მაგრამ უფრო დაწვრილებით განხილვისას შეიძლება დავინახოთ, რომ ყველა ეს ელემენტი ცხოვრების გარკვეულ სტილს გულისხმობს. ამიტომაც, რაც არ უნდა იყოს ადამიანის ცხოვრების სტილის სტიმული, ის წარმოადგენს სტიმულს მხოლოდ ცხოვრების სტილის *შენარჩუნებისა* და *ფიქსაციისათვის.*

მაინც როგორ უკავშირდება ცხოვრების სტილის ცნება იმას, რაც ჩვენ წინა თავებში განვიხილეთ? ჩვენ ვნახეთ, რომ ცხოვრების სირთულეებთან შეჯახებისას დასუსტებული ორგანოების ან ფიზიკური სენის მქონე ადამიანებს შინაგანი დაურწმუნებლობიდან უვითარდებათ არასრულფასოვნების გრძნობა ან კომპლექსი. მაგრამ რამდენადაც ეს გრძნობა მალე აუტანელი ხდება, ის რაიმე ქმედებებისაკენ უბიძგებს. შედეგად კი ადამიანს მიზანი უჩნდება. ინდივიდუალურ ფსიქოლოგიაში მიზნისაკენ ასეთი შეუპოვარი მოძრაობა უკვე დიდიხანია „ცხოვრებისეული გეგმის“ ცნებით აღინიშნება. მაგრამ რადგანაც ეს სახელწოდება ხშირად არასწორად ესმით, ამჟამად მას „ცხოვრების სტილს“ უწოდებენ.

ის, რომ ადამიანს აქვს თავისი ცხოვრების სტილი, იძლევა მისი მომავლის განჭვრეტის საშუალებას, ამასთან ვეყრდნობით მათთან საუბრებს და კითხვებზე მათ მიერ გაცემულ პასუხებს. ეს წააგავს პიესის მეხუთე აქტის ჩვენებას, რომელშიც ყველა საიდუმლო იხსნება. ცხოვრების ფაზების და სირთულეების ცოდნა გვაძლევს მსგავსი პროგნოზების

გაკეთების საშუალებას. ამრიგად, გამოცდილებისა და რამ–დენიმე ფაქტის ცოდნის წყალობით ჩვენ შეგვიძლია განვ–საზღვროთ, თუ როგორ აეწყობა შემდგომში იმ ბავშვების ცხოვრება, რომლებიც მუდმივად განმარტოებას ეძებენ და ყოველთვის მხარდაჭერას საჭიროებენ, იმ განებივრებული ბავშვების ცხოვრება, რომლებიც ნებისმიერ სიტუაციაში და–ურწმუნებლობის გრძნობას განიცდიან. რა ემართება იმ ადა–მიანს, რომლის მიზანიც იმაში მდგომარეობს, რომ სხვების მხარდაჭერა მოიპოვოს? მას არ ჰყოფნის ძალა შინაგანი მერ–ყეობის დასაძლევად, ის შუა გზაზე ჩერდება ან ცხოვრები–სეული პრობლემების გადაწყვეტას გაურბის. ყველა ეს მერ–ყეობა, გაჩერება და თავის დაძვრენა ჩვენთვის კარგადაა ცნო–ბილი, რამეთუ გვიხდებოდა ამ ყველაფერზე ათასჯერ დაკ–ვირვება. ჩვენ ვიცით, რომ მას არ უნდა დამოუკიდებლად მოქმედება და მუდამ ზრუნვის მოლოდინშია. მას სერიოზუ–ლი ცხოვრებისეული პრობლემებისაგან განზე დარჩენა სურს და თავის თავს უსარგებლო საქმეებით აკავებს, იმის მაგივ–რად, რომ ხელი რაიმე სასარგებლო საქმეს მოჰკიდოს. მისი ერთობის გრძნობა განუვითარებელია, რის შედეგადაც მის–გან შეიძლება პრობლემური ბავშვი, ნევროტიკი, დამნაშავე ან თვითმკვლელი გამოვიდეს. ამჟამად ამ ყველაფრის გაგება ადრინდელთან შედარებით გაცილებით უფრო ღრმა გახდა.

მაგალითად, ჩვენ გვესმის, რომ ადამიანის ცხოვრები–სეული სტილის კვლევისას საზომად შეიძლება ნორმალური ცხოვრებისეული სტილის გამოყენება.

სოციალურად კარგად ადაპტირებული ადამიანის მა–გალითი გამოდგება, როგორც ერთგვარი სტანდარტი, ნორმა და ამ ნორმის ინდივიდუალური ვარიაციების საზომი.

ამასთან დაკავშირებით შესაძლოა სასარგებლო იყოს ცხოვრების ნორმალური სტილის განსაზღვრის ხერხის დემონსტრირება, რაც აუცილებელია შეცდომებისა და ზოგიერთი თავისებურების გასაგებად. მაგრამ ჯერ უნდა აღვნიშნოთ, რომ მსგავსი სახის კვლევებში ჩვენ ტიპებს მხედველობაში არ ვიღებთ. ჩვენი მიდგომა განსხვავებულია, რადგან ყოველ ადამიანს აქვს ცხოვრების ინდივიდუალური სტილი. ისევე, როგორც შეუძლებელია ხეზე ორი ერთნაირი ფოთლის პოვნა, შეუძლებელია ორი ერთნაირი ადამიანის მოძებნაც. ბუნება იმდენად მდიდარია, ხოლო სტიმულების, ინსტიქტების და შეცდომების მრავალსახეობის შესაძლებლობები იმდენად დიდია, რომ სრულიად შეუძლებელია ორი ადამიანი აბსოლუტურად იდენტური იყოს. მაშასადამე, ტიპებზე საუბარი – მხოლოდ ინტელექტუალური ხერხია, რათა ადამიანებში ზოგიერთი მსგავსება უფრო გასაგები გახდეს. როცა ვადგენთ ისეთ ინტელექტუალურ კლასიფიკაციას, როგორიცაა ტიპები, და ვსწავლობთ მათ დამახასიათებელ ნიშნებს, მათ კომპონენტებს, ჩვენი მსჯელობები უფრო გასაგები ხდება. მაგრამ ამით საკუთარ თავზე ჯერ კიდევ არ ვიღებთ ერთიდაიგივე კლასიფიკაციის ყოველთვის გამოყენების ვალდებულებას, ჩვენ უბრალოდ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ყველაზე შესაფერისს მივმართავთ. ადამიანებს, რომლებიც სერიოზულად უდგებიან სხვადასხვაგვარ ტიპებს და კლასიფიკაციებს, იარლიყის ერთხელ მიწებების შემდეგ უკვე ვეღარ წარმოუდგენიათ, რომ ეს ადამიანი შეიძლება სხვა კლასიფიკაციის რომელიმე ტიპს მიეკუთვნებოდეს.

ამ პრობლემის გასაშუქებლად ერთ მაგალითს მოვიყვანთ – სოციალურად არაადაპტირებული ადამიანის ტიპზე მსჯელობისას, ჩვენ ისეთ ადამიანს ვგულისხმობთ, რომე–

ლიც უშინაარსო ცხოვრებას ეწევა და სოციალურ პრობლე-მებში ჩართული არ არის.

ესაა ინდივიდების, შესაძლოა, ყველაზე მნიშვნელოვა-ნი ნიშნის მიხედვით კლასიფიცირების ერთ-ერთი ხერხი. მაგრამ მოდით მაგალითად ის ინდივიდი ავიღოთ, რომლის ინტერესიც, რაოდენ შეზღუდულადაც არ უნდა მივიჩნევ-დეთ, უწინარეს ყოვლისა თვალებით აღქმაში მდგომარეობს. ასეთი ადამიანი ძალიან განსხვავდება სხვა ადამიანისაგან, რომელსაც იზიდავს სხვა ინტერესი – უსმენდეს. მიუხედა-ვად ამისა, ორივე მათგანი შეიძლება სოციალურად არაადაპ-ტირებული იყოს და გარემომცველებთან კონტაქტის დამყა-რებაში სირთულეებს განიცდიდნენ. ასეთ შემთხვევაში, თუ ჩვენ არ გვესმის, რომ ტიპები მხოლოდ ხელსაყრელ აბსტრაქ-ციებს წარმოადგენენ, ტიპების მიხედვით კლასიფიკაცია შე-იძლება არევ-დარევის წყარო გახდეს.

ახლა კი მოდით დავუბრუნდეთ ნორმალურ ადამიანს, რომელიც გადახრების კვლევისათვის სტანდარტად ავირჩი-ეთ. ნორმალური ადამიანი – ის ადამიანია, რომელიც საზო-გადოებაში ცხოვრობს და თავისი ცხოვრების სტილში იმდე-ნად კარგადაა ადაპტირებული, რომ მისგან დამოუკიდებ-ლად საზოგადოება მისი საქმიანობიდან გარკვეულ სარგე-ბელს იღებს. გარდა ამისა, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, მას საკმარისი ენერგია და სითამამე გააჩნია, რათა მის ცხოვ-რებაში წარმოქმნილ პრობლემებს და სირთულეებს თვალებ-ში შეხედოს. ფსიქოპათოლოგიური გადახრების მქონე ადა-მიანებს კი ზემოთ ხსენებული თვისებები, სოციალური ადა-პტაცია და ცხოვრების ყოველდღიურ სირთულეებთან გამ-კლავების უნარი არ გააჩნიათ.

საილუსტრაციოდ მოვიყვან ერთი ოცდაათი წლის მა-მაკაცის მაგალითს, რომელიც ყოველთვის, თავისი პრობლე-მების გადაჭრისას ბოლო მომენტში უკან იხევდა. ზედმეტი

ეჭვიანობის გამო მისი მეგობრული ურთიერთობები სიღრ-
მით არ გამოირჩეოდნენ. შეუძლებელია, რომ მეგობრობა ეჭ-
ვიანობის პირობებში მტკიცდებოდეს, რადგან მეორე პარტ-
ნიორი თავს გარდაუვალად დაძაბულად იგრძნობს. ადვილი
მისახვედრია, რომ სინამდვილეში ამ ადამიანს არ ჰყავდა ნა-
მდვილი მეგობრები, მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ადამიან-
თან ურთიერთობდა. მეგობრების ყოლაში მას ხელს ინტერე-
სის ნაკლებობა და სოციალური ადაპტაციის არარსებობა უშ-
ლიდა. ის საზოგადოებას გაურბოდა და კომპანიებში უფრო
ხშირად დუმდა და ამას იმით ხსნიდა, რომ იქ თავში არავი-
თარი აზრები არ მოსდიოდა და, შესაბამისად, სათქმელიც
არაფერი ჰქონდა.

უფრო მეტიც, ადამიანი, რომელზეც ვლაპარაკობთ,
მორცხვი იყო. ლაპარაკის დროს მას სახე უწითლდებოდა.
მაგრამ, როცა თავისი მორცხვობის დაძლევას ახერხებდა, სა-
კმაოდ კარგად ლაპარაკობდა. რაც მას მართლაც სჭირდე-
ბოდა, ეს იყო ამგვარი სახის კრიტიკის გარეშე დახმარება.
ცხადია, რომ ჩვეულებრივ მეგობარეობაში ყოფნის დროს
მასთან ურთიერთობა მაინცდამაინც სასიამოვნო არ იყო და
გარშემომყოფ ადამიანებში სიმპატიას არ იწვევდა. ის ამას
აცნობიერებდა, რაც საუბრისადმი მის ცუდ განწყობილებას
მხოლოდ აღრმავებდა. მისი ცხოვრების სტილის დამახასია-
თებელი თვისება ის იყო, რომ ის ყურადღებას იქცევდა რო-
მელიმე კომპანიაში შესვლის მცდელობისას.

საზოგადოებაში ცხოვრებისა და ადამიანებთან ურთი-
ერთობის ხელოვნების შემდეგ განვიხილოთ საქმიანობის სა-
კითხი. ჩვენს პაციენტს მუდმივად ეშინოდა, რომ თავის საქ-
მიანობაში დამარცხდებოდა, წარმატებას ვერ მიაღწევდა, და
ამიტომაც ამ საქმიანობას მთელ თავის დროს უთმობდა, რის
გამოც პრაქტიკულად ჩამოსცილდა მის საქმიანობასთან და-
კავშირებული რეალური პრობლემების გადაწყვეტას.

მოდით ერთმანეთს შევადაროთ ჩვენი პაციენტის მოქ-მედება თავისი ცხოვრების ორ უმნიშვნელოვანეს სფეროში. ჩვენ დავინახავთ, რომ მისი ქცევა ყოველთვის მეტისმეტად დაძაბული იყო. ესაა არასრულფასოვნების ძლიერი გრძნობის ნიშანი. ის თავის თავს სათანადოდ ვერ აფასებდა და სხვა ადამიანებში და ახალ ცხოვრებისეულ სიტუაციებში თავისთვის საშიშროებას ხედავდა. ისე ცხოვრობდა და მოქ-მედებდა, თითქოს მტრებს შორის იმყოფებოდა.

ამჟამად საკმარისი მონაცემები გვაქვს, რათა ამ ადამია-ნის ცხოვრების სტილი აღვწეროთ. ჩვენ ვხედავთ, რომ მას მოქმედება სურს, მაგრამ დამარცხების შიში აქვავებს და ადა-მბლავებს. ის თითქოსდა უფსკრულის პირას დგას და ადგი-ლიდან დაძვრის სურვილსა და შეუძლებლობას შორის იხ-ლიჩება. მისი წარმატება შეფარდებითია, მას ურჩევნია მარ-ტოობაში დარჩეს და სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში არ შევიდეს.

ამ ადამიანის გზის გადამღობი მესამე პრობლემა – პრობლემა, რომლის გადასაჭრელადაც ადამიანთა უმრავლე-სობა მზად არაა, – ესაა სიყვარულის პრობლემა. ის ვერ ბე-დავდა საპირისპირო სქესთან ახლოს მისვლას. მას სიყვარუ-ლი და ცოლის შერთვა უნდოდა, მაგრამ არასრულფასოვნე-ბის ძლიერი გრძნობა აკავებდა. მან ვერ შესძლო სასურველის განხორციელება; მთელი მისი ქცევა და ცხოვრებისეული განწყობა შეიძლება შემდეგი სიტყვებით გამოიხატოს: „კი, მაგრამ!“ ის ჯერ ერთ, შემდეგ კი მეორე ქალიშვილზე იყო შე-ყვარებული, რაც ნევროტულ პიროვნებებს საკმაოდ ხშირად ემართებათ, რამეთუ არსებითად ორი ქალიშვილი ნაკლებია, ვიდრე ერთი. პოლიგამიისაკენ მიდრეკილება ზოგჯერ სწო-რედ ამით აიხსნება.

ახლა მოდით ის მიზეზები განვიხილოთ, რომლებმაც ამ ადამიანის ცხოვრების ასეთი სტილი განაპირობეს. მისი

ჩამოყალიბების დროს, ანუ ცხოვრების პირველი ოთხი–ხუ–თი წლის განმავლობაში, მოხდა ტრაგედია, რომელსაც მნიშ–ვნელოვანი შედეგები მოჰყვა და რომლის განხილვაც ამიტომ დაწვრილებითაა საჭირო. რამდენადაც ჩვენ გვესმის, რაღაცამ ამ ადამიანში სხვებისადმი ნორმალური ინტერესი გააქრო და საბაბი მისცა გადაეწყვიტა, რომ ცხოვრება გაუთავებელი სირთულეებითაა სავსე და რომ უკეთესია წინ საერთოდ არ იმოძრაო, ვიდრე სულ პრობლემებს ებრძოლო. ამრიგად, ის ფრთხილი, გაუბედავი და მუდმივად უკან დახევისკენ მიდ–რეკილი გახდა.

საჭიროა იმ ფაქტის ხსენებაც, რომ ოჯახში ის პირველი შვილი იყო. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ოჯახში შვილების გაჩენის თანმიმდევრულობის დიდი მნიშვნელობის და პიროვნებაზე გავლენის შესახებ, აღვნიშნეთ რა, რომ პირველი შვილის ძი–რითადი პრობლემები იმიტომ წარმოიშვება, რომ წლების განმავლობაში ყურადღების ცენტრში იმყოფება, სანამ ერთ მშვენიერ დღეს არ ჩამოაგდებენ და მის ადგილს სხვა გამორ–ჩეული შვილი არ დაიკავებს. ბევრ შემთხვევაში ადამიანის მორცხვობის და მორიდებულობის მიზეზი შეიძლება იმაში იმალებოდეს, რომ მას ვიღაც სხვას ამჯობინებენ. ასე რომ მო–ცემულ შემთხვევაში პრობლემის წყაროს მოძებნა არც ისე რთულია..

ბევრ შემთხვევაში საკმარისია პაციენტს უბრალოდ და–ვუსვათ კითხვა: თქვენ პირველი, მეორე თუ მესამე შვილი ხართ ოჯახში? – და ჩვენ გვიჩნდება კვლევისათვის აუცილე–ბელი მასალა. თუმცა შეიძლება სხვა მეთოდიც გამოვიყენოთ: შევეკითხოთ ადრეული მოგონებების შესახებ. ამას უფრო დაწვრილებით მომდევნო თავში განვიხილავთ, მაგრამ უკვე ამჟამად შეიძლება ითქვას, რომ ეს მეთოდი იმსახურებს ფსი–ქოლოგების ყურადღებას, რამეთუ პირველი მოგონებები ან პირველი ნახატები საშუალებას გვაძლევენ აღვადგინოთ

ცხოვრების ადრეული სტილი, რომელსაც პროტოტიპს ვუ-წოდებთ. კლიენტის ადრეული მოგონებები საშუალებას გვა-ძლევს დავინახოთ პროტოტიპის ის ნაწილი, რომელიც მის დღევანდელ ცხოვრებაში მოქმედებს. როგორც წესი, ყველას ამახსოვრდება რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი, მაშინაც კი, თუ ამას განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებენ და უბ-რალოდ მეხსიერებაში დარჩა.

არსებობენ ფსიქოლოგიის სკოლები, რომლებიც საპი-რისპირო ვარაუდიდან გამოდიან – ისინი თვლიან, რომ წარ-სულის ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტები ადამიანს ავიწყ-დება; სინამდვილეში კი ამ ორ კონცეფციას შორის დიდი სხვაობა როდია. ისიც ხდება, რომ ადამიანს შეუძლია მოგვი-ყვეს მის მეხსიერებაში დარჩენილი მოგონებები, თუმცა მათი მნიშვნელობა არ ესმის. ის ვერ ხედავს კავშირს მათ და მის ახლანდელ ქმედებებს შორის. ამრიგად, შედეგი იგივეა, მიუ-ხედავად იმისა, ვუსვამთ თუ არა ხაზს დახსომებულის ფა-რულ ან დავიწყებულ მნიშვნელობას ან იმის მნიშვნელობას, რაც დაგვავიწყდა.

ადრეულ მოგონებებზე პატარა მოთხრობები შეიძლება განსაკუთრებით საჩვენებელი გამოდგეს. მაგალითად, ადა-მიანს შეიძლება გაახსენდეს, რომ როცა ის პატარა იყო, დე-დამ უმცროს ძმასთან ერთად ბაზარში წაიყვანა. ეს საკმარი-სია იმისათვის, რომ მისი ცხოვრების სტილი გავხსნათ. ის თავის თავზე და უმცროს ძმაზე მოგვითხრობს, მაშასადამე, მისთვის მნიშვნელოვანი იყო უმცროსი ძმის ყოლა. სთხოვეთ გააგრძელოს, და ის გაიხსენებს, რომ იმ დღეს წვიმა დაიწყო. დედამ ხელში აიყვანა, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა, დაბლა ჩამოსვა, რათა უმცროსი ძმა აეყვანა. ამრიგად, მისი ცხოვრე-ბის სტილზე შეიძლება შემდეგი ითქვას: ამ ადამიანში მუდ-მივად ბინადრობდა მოლოდინი, რომ მას სხვას ამჯობინებენ. ვიცით რა ეს, შეიძლება მივხვდეთ, თუ რა უშლის ხელს თა-

ვისუფალ ურთიერთობაში: ის მუდამ იმაზე ფიქრობს, თუ ვის ამჯობინებენ. იგივე შეიძლება ითქვას მეგობრობაზე. შედეგად მას ნამდვილი მეგობარი არასდროს ჰყოლია, რამეთუ თავისი ეჭვიანობის გამო მუდმივად წვრილმანებზე შარს სდებდა, რითიც მეგობრობას ანგრევდა.

ჩვენ შეგვიძლია აგრეთვე თვალყური ვადევნოთ, თუ მის მიერ გადატანილი ტრაგედია როგორ აბრკოლებდა მისი ერთობის გრძნობის განვითარებას. მას გაახსენდა, თუ მისი უმცროსი ძმა დედამ ხელში როგორ აიყვანა, და მან, ეტყობა, გულში დედაზე წყენა ჩაიდო, რადგან ამ ბიჭუნას მეტ ყურადღებას უთმობდა. ის გრძნობდა, რომ უმცროსი ძმა უფრო მეტად უყვარდათ და ამის დამადასტურებელ ფაქტებს მუდმივად ეძებდა. ის სავსებით დარწმუნებული იყო თავის სიმართლეში. ამის გამო მუდმივ დაძაბულობას განიცდიდა და სულ ისეთი რამის ჩადენას ცდილობდა, რომელიც აჩვენებდა, რომ ისიც არანაკლებ ყურადღებას იმსახურებდა.

ამრიგად, ასეთ საეჭვო პიროვნებას ერთადერთი გამოსავალიღა დარჩა – სრული იზოლაცია, ანუ ისეთი სიტუაცია, რომელშიც მას არავისთან შეჯიბრი არ მოუწევდა და დარჩებოდა, ასე ვთქვათ, მთელ დედამიწაზე ერთადერთად. და მართლაც, ასეთი ტიპის ბავშვი ზოგჯერ თავის ფანტაზიებში ხედავს მთელი სამყაროს დაღუპვას, რის შემდეგაც დედამიწაზე ერთადერთი რჩება და, შესაბამისად, მის წინაშე უპირატესობა აღარავის არ ექნება. ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ იყენებს გადარჩენის ყველა ხერხს, მაგრამ არ მისდევს საღი აზრის ან რეალობის ლოგიკას და თავისი ეჭვების ტყვეობაში იმყოფება. ის შეზღუდულ სამყაროში ცხოვრობს და გაქცევაზე საკუთარი წარმოდგენა გააჩნია. ის მთლიანად მოკლებულია სხვებთან კავშირებს და მათ მიმართ ინტერესს. მაგრამ ამაში არ უნდა გავამტყუნოთ, რამეთუ ვიცით, რომ ნორმალური ადამიანების რიცხვს არ მიეკუთვნება.

მოცემულ შემთხვევაში ჩვენს ამოცანას შეადგენს ადამიანში ერთობის გრძნობის გამოღვიძება და ამნაირად საზოგადოებაში ცხოვრების მოთხოვნებთან მიახლოება. როგორ უნდა მოხდეს ეს? ცხოვრების მსგავს წესს მიჩვეულ ადამიანებთან მუშაობისას დიდი სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ისინი მუდმივ დაძაბულობაში იმყოფებიან და თავიანთი აკვიატებული იდეების დადასტურებას ეძებენ. მაშასადამე, ამ იდეების შეცვლა შეუძლებელია, ვიდრე რაიმე ხერხით არ შევაღწევთ მათ შინაგან სამყაროში, რათა მათი ცრურწმენა გავაქარწყლოთ. ეს რომ გავაკეთოთ, გარკვეული ხელოვნება და ტაქტია საჭირო. უმჯობესია, თუ კონსულტანტი პაციენტთან ახლო კავშირში არ იმყოფება და პირადად არ არის დაინტერესებული, რამეთუ წინააღმდეგ შემთხვევაში აღმოჩნდება, რომ ის საკუთარი ინტერესებით მოქმედებს, და არა პაციენტის ინტერესებით. პაციენტი ამას აუცილებლად შეამჩნევს, და ეს მასში ეჭვს გამოიწვევს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი – კლიენტის არასრულფასოვნების გრძნობის შემცირებაა. ის ერთბაშად ვერ გაქრება და, გარდა ამისა, ჩვენც არ გვსურს მისი ამოძირკვლა, რადგან არასრულფასოვნების გრძნობა შეიძლება კონსტრუქციული მუშაობის კარგ ფუნდამენტად გამოდგეს. რაც მართლა უნდა გაკეთდეს – ეს მიზნის შეცვლაა. ჩვენ ვბედავთ, რომ ჩვენი კლიენტის მიზანი გაქცევა იყო, რამეთუ ვიღაც სხვას ამჯობინებდნენ. იდეების სწორედ ამ კომპლექსთანაა საჭირო მუშაობა. ჩვენ შეგვიძლია მისი არასრულფასოვნების გრძნობის იმის ჩვენებით შემცირება, რომ სინამდვილეში თავის თავს სათანადოდ არ აფასებს. ჩვენ შეგვიძლია ვუჩვენოთ მისი ქმედებების არათანმიმდევრულობაც და ავუხსნათ მისთვის ჩვეული მუდმივი დაძაბულობის წყარო

და იმ შეგრძნებების წარმოშობის მიზეზი, თითქოს მუდმივად უფსკრულის პირას იმყოფება ან მტრებს შორის ცხოვრობს. იმის ჩვენებაც შეგვიძლია, თუ უპირატესობის სხვისთვის მინიჭების შიში როგორ აბრკოლებს მისი საუკეთესო წამოწყებების რეალიზაციას და არ აძლევს ბუნებრივად მოქცევის საშუალებას, რასაც შეეძლო გარემომცველებზე კარგი შთაბეჭდილების მოხდენა.

ამ ადამიანს რომ შეეძლოს კარგი მასპინძელივით მოქმედება – თვალყურის მიდევნება, რომ მეგობრებმა შესძლონ დროის მხიარულად გატარება, მათზე ზრუნვა და მათ ინტერესებზე ფიქრი, – ასეთი განწყობა ძალიან დაგვეხმარებოდა ჩვენი სამუშაოს წინსვლაში. მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ რეალურ სიტუაციაში მას არ შეუძლია დამოუკიდებლად გართობა, იბნევა, არ შეუძლია არაფრის მოფიქრება, და ბოლოს ამბობს: „სულელები არიან! მათში არაფერია საინტერესო!" მთელი უბედურება იმაშია, რომ მას საერთოდ არ შეუძლია სიტუაციის ადექვატურად აღქმა თავისი კერძო ლოგიკის, კერძო გაგების და საღი აზრის უქონლობის გამო. როგორც უკვე ვთქვით, ეს მარტოხელა მგლის ცხოვრების წესით მუდმივ ალყაში ცხოვრებას წააგავს, რაც ადამიანისათვის უთუოდ ტრაგიკული ანომალიაა.

ახლა განვიხილავთ დეპრესიის იმ შემთხვევას, რომლის განკურნებაც შესაძლებელია, მიუხედავად იმისა, რომ ის საკმაოდ გავრცელებულ აშლილობას წარმოადგენს. დეპრესიული სიმპტომების მქონე ადამიანების გამოვლენა ძალიან ადრეულ ასაკში შეიძლება. მართლაც, ყურადღებას იქცევს, რომ ბევრი ბავშვი დეპრესიის გარკვეულ ნიშნებს ახალი სიტუაციისადმი თავის მიდგომაში ავლენს. ადამიანს, რომლის შემთხვევასაც ჩვენ განვიხილავთ, დეპრესიის დაახლოებით ათი შეტევა ჰქონდა. ეს ყოველთვის მაშინ ემართებოდა, როცა მორიგ ახალ თანამდებობას იკავებდა. ვიდრე

თავის ძველ თანამდებობაზე იმყოფებოდა, მისი სენი არა-ფრით არ ვლინდებოდა. მას არ ჰქონდა საზოგადოებაში ყო-ფნის ხალისი და უყვარდა სხვა ადამიანების მართვა. შედე-გად მას არ ჰყავდა მეგობრები და ორმოცდაათი წლისაც კი ბერბიჭად დარჩა.

მისი ცხოვრების სტილის გასაგებად, მის ბავშვობას მი-ვმართოთ. ის მეტისმეტად ფხუკიანი და ხასიათშეუწყობელი ბავშვი იყო, და სისუსტეების და წყენების მეშვეობით თავის უფროს ძმებსა და დებს მართავდა. ერთხელ ტახტზე თამაში-სას ყველა ძირს გადმოაგდო და მამიდის საყვედურების პა-სუხად განაწყენებულმა თქვა: „შენ იცი, რომ ამ ლანძღვით მთელი ცხოვრება დამინგრიე!" ის მაშინ დაახლოებით ოთხი ან ხუთი წლის იყო.

ასეთი იყო მისი ცხოვრების სტილი: სხვების მართვის მუდმივი სურვილი, თავის სისუსტეებზე და ტანჯვაზე მუდ-მივი ჩივილი. მის შემდგომ ცხოვრებაში ამ ყველაფერმა დეპ-რესიულობამდე მიიყვანა, რომელიც იმთავითვე სხვა არაფე-რია, თუ არა მისი სისუსტეების განსახიერება. დეპრესიით შეპყრობილი ყველა პაციენტი პრაქტიკულად ერთიდაიგივეს ამბობს: „მთელი ჩემი ცხოვრება დანგრეულია. ყველაფერი დავკარგე". ჩვეულებრივ ესაა ადამიანი, რომელსაც თავიდან ზედმეტად ანებივრებდნენ, შემდეგ კი შეწყვიტეს, და ეს მის ცხოვრების სტილზე აისახა. ხშირად ადამიანთა რეაქციები სხვადასხვა ცხოველების რეაქციებს წააგავს. ერთიდაიგივე სიტუაციაზე კურდღელი სხვაგვარად რეაგირებს, ვიდრე მგელი ან ვეფხვი. იგივე ემართება ადამიანებსაც. ერთხელ შემდეგი ექსპერიმენტი ჩატარდა: სამი სხვადასხვა ტიპის ბი-ჭი ლომის გალიასთან მიიყვანეს, რათა ამ საშიში მხეცის და-ნახვისას მათ ქცევას დაკვირვებოდნენ. პირველი ბიჭი მოტ-რიალდა და თქვა: „სახლში მინდა!" მეორე ბიჭმა შიშისაგან აკანკალებული ხმით წარმოთქვა: „აუ, რა მაგარია!" მას უნ-

დოდა თავი მამაცად ეჩვენებინა, მაგრამ ხმამ მისი სიმხდალე გამოამჟღავნა. მესამე ბიჭმა იკითხა: „შეიძლება მას შევაფურ–თხო?“ ამრიგად, ჩვენ ვხედავთ სამ ერთმანეთისგან განსხვა–ვებულ რეაქციას, ერთიდაიგივე სიტუაციის სამ სხვადასხვა განცდას. იმასაც ვხედავთ, რომ ბევრ ადამიანს აქვს შიშის განცდისკენ მიდრეკილება.

სოციალურ სიტუაციებში გამოვლენადი ეს შიში ცუდი ადაპტაციის ერთ–ერთი ყველაზე ხშირი მიზეზია. ჩვენ გვყა–ვდა დიდგვაროვანი ოჯახიდან გამოსული პაციენტი, რო–მელსაც მცირეოდენი ძალისხმევის დახარჯვაც კი არაფერზე არ უნდოდა და მუდმივად გარედან დახმარებას ელოდა. ის ავადმყოფურად გამოიყურებოდა და ამის გამო შესაფერის სამსახურს ვერ პოულობდა. როცა ოჯახში სიტუაცია უარე–სობისკენ შეიცვალა, მას ძმებმა ტვინის გაბურღვა დაუწყეს: „იმდენად სულელი ხარ, რომ ადგილის შოვნაც კი არ შეგიძ–ლია. უვარგისი ხარ“. ბოლოს ამ ადამიანმა სმა დაიწყო. რამ–დენიმე თვის შემდეგ ჩამოყალიბებული ალკოჰოლიკი გახდა, და ორი წლით სამკურნალოდ მოათავსეს. მკურნალობისგან სარგებელი დროებით ხასიათს ატარებდა, ასე რომ, როცა სა–ზოგადოებაში დაბრუნდა, მასში საცხოვრებლად ისევ მოუმ–ზადებელი აღმოჩნდა.

მიუხედავად იმისა, რომ დიდებული გვარის შთამომა–ვალი იყო, ლაბორანტის ადგილის გარდა, მან ვერცერთი სხვა ადგილის შოვნა ვერ მოახერხა. მალე ჰალუცინაციები დაეწყო. ეცხადებოდა ადამიანი, რომელიც დასცინოდა და მუშაობაში ხელს უშლიდა. როგორც ვხედავთ, ჯერ ალკოჰო–ლიზმი, შემდეგ კი ჰალუცინაციები ნორმალურად მუშაობის საშუალებას არ აძლევდნენ. სავსებით თვალსაჩინოა, რომ ალკოჰოლიკის არმსმელად გადაკეთება – ალკოჰოლიზმის მკურნალობის ერთადერთ მიზანს არ წარმოადგენს – აუცი–ლებელია ცხოვრების სტილის გაგება და გამოსწორება.

ჩვენს კვლევაში გავარკვიეთ, რომ ეს ადამიანი, რომელ–საც ბავშვობაში ანებივრებდნენ და მუდმივად სხვების დახ–მარების იმედი ჰქონდა, დამოუკიდებლად მუშაობისათვის მოუმზადებელი აღმოჩნდა; მისი საქმიანობის შედეგები კი ჩვენთვის ცნობილია. მაშასადამე, ყველა ბავშვში საჭიროა დამოუკიდებლობის აღზრდა, ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მათ მიერ საკუთარი ცხოვრების სტილის შეცდომების გაცნო–ბიერებისას. ადამიანისთვის, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ, ბავშვობაშივე რაღაც საქმიანობა უნდა ესწავლებინათ, და მა–შინ და–ძმის წინაშე სირცხვილის განცდა არ მოუწევდა.

თავი 5. ადრეული მოგონებები

ადამიანისათვის ცხოვრების სტილის მნიშვნელობის გარკვევის შემდეგ, მივმართოთ ადრეული მოგონებების თე–მას, რომლებიც, ალბათ, წარმოადგენენ ამის გაგების ყველა–ზე უფრო მნიშვნელოვან საშუალებას. წარსულის შესწავლა ბავშვობის მოგონებების მეშვეობით სხვა ნებისმიერ ხერხზე უკეთესად ხსნის პროტოტიპს – ინდივიდის ცხოვრების სტი–ლის ბირთვს.

თუ გვინდა გავიგოთ ადამიანის – ბავშვის ან მოზრ–დილის – ცხოვრების სტილი, მისი ჩივილების შესახებ ხან-მოკლე მოსმენის შემდეგ, უნდა ვთხოვოთ მოგვიყვეს თავის ადრეულ მოგონებებზე, რათა ისინი სხვა ადრე წარმოდგე–ნილ ფაქტებთან შევადაროთ.

უმეტესწილად ცხოვრების სტილი არ იცვლება. ყველა სიტუაციაში ჩვენ ვპოულობთ იგივე ადამიანს, იგივე პიროვ–ნებას, იგივე ფსიქიკურ ერთობას.

გარდა ამისა, როგორც ნათქვამი იყო, ცხოვრების სტი–ლი ყალიბდება უპირატესობის კერძო მიზნისკენ მისწრაფე–ბისას, ამიტომ უნდა მოველოდოთ, რომ ყოველი სიტყვა, საქ–

ციელი ან გრძნობა ერთიანი „მოძრაობის ხაზის“ ორგანული ნაწილია. ცხოვრების გარკვეულ მომენტებში ეს „მოძრაობის ხაზი“ უფრო მკაფიოდაა გამოსატული და განსაკუთრებით გამოკვეთილად ადრეულ მოგონებებში ფიქსირდება.

მაგრამ ადრეულ და გვიან მოგონებებს სხვდასხვაგვარად არ უნდა მოვეკიდოთ, რადგან გვიან მოგონებებში „მოძრაობის ხაზიც“ აისახება. ადრეული მოგონებებიდან, რომლებშიც „მოძრაობის ხაზი“ უფრო მკვეთრად შეიმჩნევა, შეიძლება თემის გამოვლინება, და ამიტომ შეგვიძლია იმ დასკვნის გამოტანა, რომ სინამდვილეში ადამიანის ცხოვრების სტილი არ იცვლება. ოთხი–ხუთი წლის ასაკში ჩამოყალიბებად ცხოვრების სტილში ჩვენ ვნახულობთ კავშირს მოგონებების შინაარსსა და აწმყოში ქმედებებს შორის. ამ ფენომენზე მრავალრიცხოვანი დაკვირვებების შემდეგ ჩვენ მყარად ვუჭერთ მხარს იმ თეორიას, რომ ადრეულ მოგონებებში ყოველთვის შეიძლება პაციენტის პროტოტიპის რეალური ნაწილის მოძებნა.

შეიძლება დარწმუნებულნი ვიყოთ იმაში, რომ, როცა პაციენტი თავის წარსულს მიმართავს, მეხსიერების მიერ დაბრუნებული რაღაც ნაწილი მისთვის ემოციურად მნიშვნელოვანია; სწორედ ის გვეხმარება მისი პიროვნების გასაღების მოძებნაში.

უაზრობაა იმის უარყოფა, რომ დავიწყებული განცდებიც მნიშვნელოვანია ცხოვრების სტილისა და პროტოტიპის გასაგებად, თუმცა ბევრ შემთხვევაში ამ დავიწყებული მომენტების, ანუ, როგორც მათ უწოდებენ, „წარსულის გაუცნობიერებადი მოვლენების“, მეხსიერებიდან ამოღება გაცილებით უფრო რთულია. წარსულის როგორც გაცნობიერებად, ისე გაუცნობიერებად მოვლენებს აქვთ ერთი საერთო თვისება: ისინი ერთიდაიგივე მიზნისკენ – უპირატესობის მიღწევისაკენ – სწრაფვასთან არიან დაკავშირებულნი და მთლი–

ანი პროტოტიპის ნაწილებს წარმოადგენენ.

მაშასადამე, სასარგებლოა შეძლებისდაგვარად წარსულის როგორც გაცნობიერებად, ისე გაუცნობიერებად მოვლენებთან მუშაობა, რადგან საბოლოო ჯამში ისინი ტოლფასნი არიან, თავად პაციენტს კი, როგორც წესი, არც ერთი მათგანის გაგება და ახსნა არ შეუძლია. ეს ყველაფერი – უცხო, არადაინტერესებული პირის საქმეა.

დავიწყოთ წარსულის გაცნობიერებადი მოვლენებით. ზოგიერთი ადამიანი, პასუხობს რა კითხვებს ადრეული მოგონებების შესახებ, ამბობს, რომ არაფრის გახსენება არ შეუძლია. ამ შემთხვევაში საჭიროა ადამიანს ვთხოვოთ კონცენტრირება მოახდინოს და შეეცადოს გაიხსენოს, და ცოტა ხანში ის ნელ–ნელა რაღაცის გახსენებას დაიწყებს.

თუმცა, თავად ეს წინააღმდეგობა შეიძლება განვიხილოთ როგორც იმის ნიშანი, რომ მას არ სურს თავის ბავშვობაში დაბრუნება, ამას კი, თავის მხრივ, იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ მისთვის ბავშვობა მაინცდამაინც სასიამოვნო არ იყო. ასეთ კლიენტებთან მუშაობისას საჭიროა მისახვედრი კითხვების დასმა. როგორც წესი, ისინი რაღაცის გახსენებას მაინც მოახერხებენ.

ზოგიერთი ადამიანი ამტკიცებს, რომ წარსული ცხოვრება პირველ წლამდეც კი ახსოვს. ასეთი რამ ნაკლებად სავარაუდოა. ჭეშმარიტება კი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი წარმოსახვით მოგონებებზე ლაპარაკობენ, და არა იმაში, რომ მათ წარსულის რეალური მოვლენები მართლაც ახსოვთ. თუმცა, ჩვენთვის სულაც არა აქვს მნიშვნელობა, მოგონილია თუ რეალურია ეს მოგონებები, რამეთუ ისინი ნებისმიერ შემთხვევაში პიროვნების ნაწილები არიან. ზოგიერთი ადამიანი არაა დარწმუნებული, მართლა ახსოვს რაიმე მოვლენა, თუ მის შესახებ მშობლები მოუყვნენ. უნდა ითქვას, რომ არც ამას აქვს დიდი მნიშვნელობა, რადგან ეს ყველაფერი მშობ–

ლების მონაყოლიც რომ იყოს, ისინი შენახულია კლიენტების ცნობიერებაში და მათი ინტერესების სფეროს გახსნაში დახმარების გაწევა შეუძლიათ.

მოგონებების ფორმები

როგორც წინა თავში ავხსენით, გარკვეული მიზნებისათვის შეიძლება სასარგებლო იყოს ინდივიდების ტიპებად კლასიფიკაცია. მსგავსი კლასიფიკაცია ადრეულ მოგონებებსაც მოერგება, რადგან ყოველი მათგანი მიუთითებს, თუ ამ კონკრეტული ტიპისაგან როგორ ქცევას უნდა მოველოდოთ. მაგალითად, ერთ ჩვენს კლიენტს გაახსენდა, რომ ნათურებით, საჩუქრებით და სადღესასწაულო ტკბილეულობებით მორთული მშვენიერი საახალწლო ნაძვის ხე ნახა. რა არის ყველაზე უფრო საინტერესო ამ მოვლენის მოგონებაში? ის, რაც მან ნახა. მაინც რატომ გვიყვება იმაზე, რაც ნახა? იმიტომ, რომ მას ვიზუალურად აღქმადი აინტერესებს. რაღაც დრო მან სავარჯიშოებს მიუძღვნა, რომლებიც ცუდი მხედველობის პრობლემის დაძლევაში ეხმარებოდნენ, რის შემდეგაც ნახულისადმი ყურადღებით მოპყრობა დაიწყო. შესაძლოა, ეს არ არის მისი ცხოვრების სტილის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი, მაგრამ ეს ეპიზოდი შეიძლება ჩვენთვის სასარგებლო აღმოჩნდეს. ის იმაზე მიუთითებს, რომ თუ საჭირო გახდება მისთვის რაიმე საქმიანობის შეთავაზება, ეს უკანასკნელი რაღაც ვიზუალურ აღქმასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ბავშვების სასკოლო აღზრდა საკმაოდ ხშირად ტიპების პრინციპს იგნორირებს. ვიზუალური აღქმისაკენ მიდრეკილი ბავშვები ახსნას ყურს არ უგდებენ, რადგან ყოველთვის სურთ რაღაცის დათვალიერება. მსგავს შემთხვევაში ჩვენ მომთმენები უნდა ვიყოთ და მათთვის მოსმენის სწავ-

ლებას შევეცადოთ. ბავშვთა უმრავლესობას სკოლებში რაიმე ერთი ხერხით ასწავლიან, რადგან ამისათვის გრძნობის მხოლოდ-ერთ ორგანოს იყენებენ: მათ შეუძლიათ წარმატებას მხოლოდ სმენითი ან მხედველობითი აღქმით მიაღწიონ, ზოგიერთს კი საერთოდ მოსწონს მუდმივ მოძრაობაში ყოფნა და მექანიკური შრომის შესრულება. არ არსებობს იმის საფუძველი, რომ სამივე ტიპის ბავშვისაგან ერთნაირ შედეგებს მოველოდოთ, მითუმეტეს თუ მასწავლებელი სწავლების რომელიმე ერთ მეთოდს, მაგალითად, ზეპირი ახსნის მეთოდს, ამჯობინებს. ამ მეთოდის გამოყენებისას ის ბავშვები, რომლებთანაც ვიზუალური აღქმა დომინირებს, და აგრეთვე მოძრავი ბავშვები სწავლებაში სირთულეებს განიცდიან, რაც მათი სწავლის შედეგებზე უარყოფითად აისახება.

ჩვენ გვყავდა ოცდაოთხი წლის ახალგაზრდა პაციენტი, რომელსაც გულის წასვლები ემართებოდა. როცა მას შევეკითხეთ ადრეული ბავშვობის მოგონებების შესახებ, მან თქვა, რომ გულის წასვლა პირველად ოთხი წლის ასაკში ორთქლმავლის საყვირის ხმის გაგონებისას დაემართა. სხვა სიტყვებით, ის იყო ადამიანი, რომელიც ყველაზე მკვეთრად სმენით შთაბეჭდილებებს აღიქვამს, და ამიტომ ყველაფერი ის, რაც ბგერებს გამოსცემს, მის ყურადღებას იპყრობს.

მოცემულ შემთხვევაში არ ღირს იმაზე შეჩერება, თუ ამ ახალგაზრდა ადამიანს როგორ განუვითარდა გულწასულობის მდგომარეობა, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ბავშვობის დროიდან ბგერებისადმი ფრიად მგრძნობიარე იყო. ის ძალიან მუსიკალური იყო და ხმაურს, დისჰარმონიას და მკვეთრ ბგერებს ვერ იტანდა. არ არის გასაკვირი, რომ საყვირის ბგერამ მასზე ასეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. საკმაოდ ხშირად ბავშვები ან მოზრდილები ინტერესს იმის მიმართ იჩენენ, რაც მათში ტანჯვას იწვევს. ალბათ, მკითხველს ახსოვს ასთმიანი მამაკაცის შემთხვევა, რომელიც ერთ-

ერთ წინა თავში განვიხილეთ: რაღაც დაავადების გამო მას მოჭერილი სახვევი დაადეს, რომელიც სუნთქვას უკრავდა, რის შედეგადაც მას სუნთქვის ხერხებისადმი არაჩვეულებრივი ინტერესი განუვითარდა.

გვხვდებიან ადამიანები, რომელთა მთელი ინტერესიც ჭამაზეა კონცენტრირებული. მათი ადრეული მოგონებები ჭამასთანაა დაკავშირებული, და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ცხოვრებაში მათ ყველაზე მეტად აღელვებთ, თუ როგორ ჭამონ, რა ჭამონ და რა არ ჭამონ. ხშირად შეიძლება იმის აღმოჩენა, რომ ადრეულ ბავშვობაში ჭამასთან დაკავშირებული სირთულეები ასეთ ადამიანებს ჭამისადმი ჰიპერტროფირებულ დამოკიდებულებას უქმნიან.

ახლა დავუბრუნდეთ იმ ადამიანის შემთხვევას, რომლის მოგონებებიც მოძრაობასთან და სიარულთანაა დაკავშირებული. ჩვენ ვიცით, რომ ცხოვრების დასაწყისში ბევრ ბავშვს არ შეუძლია კარგად გადაადგილება თავისი სისუსტის ან რაქიტით დაავადების გამო. მათ მოძრაობისადმი გაზრდილი ინტერესი უჩნდებათ და ცხოვრება მათთვის მუდმივ ფაცი–ფუცად გადაიქცევა.

ჩვენი შემთხვევა – ამ სიტუაციის კარგი ილუსტრაციაა. ექიმს ოცდაათი წლის მამაკაცმა მიმართა, რომელსაც ქუჩის ვინმესთან ერთად გადაკვეთისას ყოველთვის მანქანის ქვეშ მოხვედრის შიში ჰქონდა. როცა მარტო იყო, ეს შიში საერთოდ არ აწუხებდა, და ქუჩაზე მშვიდად გადადიოდა. მაგრამ თუ ვინმე მის გვერდზე იმყოფებოდა, ჩვენს პაციენტს თავისი თანამგზავრის გადარჩენის სურვილი იპყრობდა: თავის თანამგზავს ხელს სტაცებდა და ხან ერთ, ხან მეორე მხარეს სწევდა, რაც ამ უკანასკნელს სულაც არ სიამოვნებდა. მსგავსი ქცევა – საკმაოდ იშვიათი შემთხვევაა, და საინტერესოა ასეთი სულელური ქმედებების მიზეზების გაანალიზება.

ადრეულ მოგონებებზე შეკითხვის პასუხად, მან მოგ–

ვითხრო, რომ სამი წლის ასაკში რაქიტი ჰქონდა და კარგად ვერ მოძრაობდა. ქუჩის გადაკვეთის დროს მას ორჯერ მანქანა დაეჯახა, ახლა კი, როცა მოზრდილი მამაკაცი გახდა, მისთვის მნიშვნელოვანი იყო საკუთარი თავი იმაში დაერწმუნებინა, რომ მან ეს სისუსტე გადალახა. მას იმის დემონსტრირება უნდოდა, რომ, ასე ვთქვათ, ერთადერთი ადამიანია, ვინც ქუჩის გადაკვეთა იცის, და ყოველთვის ამის დამტკიცებას ცდილობდა. რასაკვირველია, ქუჩის უსაფრთხოდ გადაკვეთის უნარი ადამიანთა უმრავლესობისთვის სიამაყის ან სხვებთან მეტოქეობის საგანს არ წარმოადგენს. თუმცა აღწერილის მსგავს შემთხვევებში მოძრაობისა და თავისი მოხერხებულობის დემონსტრირების სურვილი შეიძლება საკმაოდ სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდეს.

შემდეგი მაგალითი – იმ ყმაწვილის შემთხვევა, რომელიც კინაღამ დანაშაულებრივ გზას დაადგა, – ამავე თემას ეხება. ჩვენი გმირი სკოლაში ქურდობდა, თაღლითობდა და სხვა მსგავს საქმიანობას ეწეოდა, რამაც მისი მშობლები სასოწარკვეთამდე მიიყვანა. მისი ადრეული მოგონებები კონცენტრირდებოდა მოძრაობის, სადღაც დაუოკებელი მისწრაფების მუდმივ სურვილზე, ამჟამად კი ის მამამისთან მუშაობდა და მთელი დღეები თავის სამუშაო ადგილზე ჯდომა უწევდა. მოცემული შემთხვევის ხასიათიდან გამომდინარე, დანიშნული მკურნალობის ნაწილი იმაში მდგომარეობდა, რომ ის კომივოიაჟერი უნდა გამხდარიყო და ემოგზაურა და თან მამამისის საწარმოში სამუშაოდ დარჩენილიყო.

მოგონებების შინაარსი

ადრეული მოგონებების ერთ–ერთი ყველაზე ნიშნადი ტიპია – ბავშვების მოგონებები სიკვდილზე. როცა ბავშვი ადამიანის უეცარი და მოულოდნელი სიკვდილის მოწმე

ხდება, ეს მასზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს. ზოგ-ჯერ ბავშვი ავადმყოფურად შთაბეჭდილებიანი ხდება ან თა-ვის ცხოვრებას სიკვდილის პრობლემას უძღვნის და ამა თუ იმ ფორმით დაავადებებთან და სიკვდილთან ბრძოლას ეწე-ვა. ხშირად შემდგომ ცხოვრებაში ბევრი ასეთი ბავშვი მედი-ცინით ინტერესდება, ექიმი და მეაფთიაქე ხდება.

თუმცა, ზოგჯერ პროტოტიპი სამყაროზე ფრიად ეგო-ისტურ შეხედულებას აყალიბებს. უფროსი დის სიკვდილით თავზარდაცემულ ბიჭს შეეკითხნენ, თუ ვინ უნდა გამხდა-რიყო. ყველა მოელოდა, რომ ექიმად გახდომას მოინდომებ-და, მაგრამ ამის მაგივრად წამოიძახა: „მესაფლავე!“ როცა და-ინტერესდნენ ასეთი არჩევანის მიზეზით, ბიჭმა უპასუხა: „იმიტომ, რომ მინდა ვიყო ის, ვინც სხვებს მარხავს, და არა ის, ვისაც მარხავენ“. ამ პასუხიდან ცხადია, რომ ბიჭი მხო-ლოდ თავის თავზე ფიქრობს, და მისი ცხოვრების მიზანი აბ-სოლუტურად უსარგებლოა.

ზოგჯერ ერთი რომელიმე მოგონებისადმი უფრო დი-დი ინტერესი ვლინდება, ვიდრე ყველა დანარჩენისადმი. მოვუსმინოთ, მაგალითად, შემდეგ მონათხრობს: „ერთხელ ჩემი უმცროსი დისათვის უნდა მიმეხედა. ვცდილობდი მას-ზე კარგად მეზრუნა და მაგიდასე დავაწვინე. მაგრამ უცებ გადასაფარებელი წამოეგო და ჩემი პატარა და იატაკზე და-ვარდა“. როცა ეს მოხდა, ჩვენი მთხრობელი მხოლოდ ოთხი წლისა იყო – უეჭველად, მეტისმეტად პატარა იმისათვის, რომ მისთვის უმცროსი ბავშვისთვის მიხედვა მიენდოთ! ად-ვილი წარმოსადგენია, თუ ეს რა ტრაგედია იყო უფროსი გო-გონასთვის! როცა გოგონა გაიზარდა, იგი ცოლად გაჰყვა კე-თილ და წყნარ ადამიანს, მაგრამ მუდამ იმის შიში ჰქონდა, რომ ქმარი სხვას ამჯობინებდა. არ არის გასაკვირი, რომ ქმა-რი ამან ბოლოსდაბოლოს დაღალა და მთელი ყურადღება შვილებზე გადაიტანა.

სხვა შემთხვევებში ურთიერთობებში დაძაბულობა კიდევ უფრო აშკარაა. ზოგიერთი ადამიანი იხსენებს, რომ ბავშვობაში ოჯახის სხვა წევრებისათვის ზიანის მიყენება უნდოდა, მათი მოკვლაც კი. როგორც წესი, ეს იმ ადამიანებს ახასიათებს, რომელთა ცხოვრებაც მათი ინტერესების გარშემო ტრიალებს; ისინი სხვებისადმი გრძნობენ არა სიყვარულს, არამედ მხოლოდ გარკვეული სახის მეტოქეობას, და ეს ყველაფერი უკვე პროტოტიპშია ჩადებული.

ამავე ტიპს შეიძლება მივაკუთვნოთ ის ადამიანებიც, რომლებსაც არასდროს არ შეუძლიათ საქმის ბოლომდე მიყვანა, ყოველთვის ეშინიათ, რომ ვიღაც სხვას ამჯობინებენ მეგობრობაში ან ძმაკაცურ ურთიერთობაში ან იტანჯებიან მუდმივი ეჭვებით გარემომცველთა მათი მისამართით განზრახვების გამო. ასეთ ადამიანებს არ შეუძლიათ საზოგადოების წევრად გახდომა იმ აკვიატებული აზრის გამო, რომ სხვების ჩრდილში აღმოჩნდებიან. ნებისმიერ საქმეში ისინი თავს უაღრესად დაძაბულად გრძნობენ, განსაკუთრებით სასიყვარულო ურთიერთობებში და ქორწინებაში.

რომც ვერ შევძლოთ ასეთი ტიპის ადამიანების სრულად განკურნება, ვფლობთ რა გარკვეული ხარისხის ოსტატობას ადრეული მოგონებების შესწავლაში, ჩვენ შეგვიძლია ხელი შევუწყოთ მათი სიტუაციის გაუმჯობესებას.

ჩვენი ერთ–ერთი კლიენტი იყო ჩვენ მიერ ადრე აღწერილი ადამიანი, რომელმაც გაიხსენა თავისი წასვლა ბაზარში დედასთან და უმცროს ძმასთან ერთად. როცა წვიმა დაიწყო, დედამ ის ხელში აიყვანა, შემდეგ კი გადაიფიქრა, ძირს ჩამოსვა და ხელში უმცროსი ძმა აიყვანა. იმ მომენტში უფროსმა ბიჭმა, რომელიც შემდგომში ჩვენი კლიენტი გახდა, გააცნობიერა, რომ მას სხვას ამჯობინებენ.

როგორც უკვე ვამბობდით, მივიღეთ რა მსგავსი სახის ადრეული მოგონებები, ჩვენ შეგვიძლია განვჭვრიტოთ, თუ

რა მოელით ჩვენს პაციენტებს შემდგომ ცხოვრებაში. თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ ადრეული მოგონებები – ეს მხოლოდ მინიშნებებია, თავად ისინი მიმდინარე მოვლენების მიზეზს არ წარმოადგენენ. ისინი უფრო წააგავს მომხდარის და მისი განვითარების ანაბეჭდებს. ისინი გვიჩვენებენ მიზნისაკენ მოძრაობას და იმას, თუ ამისათვის რა დაბრკოლებები გადა–ილახა, ხსნიან, თუ ადამიანს ცხოვრების ერთი მხარე მეორე–ზე მეტად რატომ იზიდავს. ადრეულ მოგონებებში შეიძლება ეგრეთ წოდებული „ტრავმის" აღმოჩენა, მაგალითად, სექსუ–ალურ სფეროში, როცა ადამიანი ცხოვრების ამ სფეროს მი–მართ გაზრდილ ინტერესს იჩენს. გაკვირვებას არ უნდა იწ–ვევდეს, რომ ადრეული მოგონებების შესახებ კითხვაზე პა–სუხად ზოგიერთი რაღაც სექსუალურ განცდებზე მოგვითხ–რობს.

მართლაც, ადრეულ ასაკში ზოგიერთს ყველაზე მეტად სექსუალური წვრილმანები აინტერესებს. სექსით დაინტერე–სება ბუნებრივია ჩვეულებრივი ადამიანური ქცევისათვის. მაგრამ, როგორც მე ადრე ვამბობდი, არსებობს ინტერესის ბევრი ნაირსახეობა და ხარისხი. ხშირად შეიძლება დავინა–ხოთ, რომ იმ შემთხვევაში, როცა ადამიანი ადრეულ სექსუა–ლურ მოგონებებზე მოგვითხრობს, შემდგომში მისი ინტერე–სი ამ მიმართულებით ვითარდება. შედეგად მისი ცხოვრება არცთუ ისე ჰარმონიულია, რამეთუ მისი ერთ–ერთი მხარე გადაჭარბებულად ფასდება. არიან ადამიანები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ სექსი – ყველაფრის საფუძველია. მაგრამ არსებობენ სხვებიც, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ორგანო – კუჭია, და თუ ჩვენ მათ ადრეულ მოგონებებს გამოვიკვლევთ, აღმოვაჩენთ, რომ ისინიც მათი შემდგომი ცხოვრებისეული ინტერესის საგანს ეხებიან.

განებივრებული და ათვალწუნებული ბავშვების მოგონებები

ახლა მოდით იმ ადამიანთა ადრეული მოგონებები განვიხილოთ, რომლებსაც ბავშვობაში ანებივრებდნენ. ისინი ძალიან ნათლად ასახავენ ამ ტიპისადმი მიკუთვნების დამახასიათებელ ნიშნებს. ხშირად მათში დედა ფიგურირებს. და ეს სავსებით ბუნებრივია, მაგრამ შეიძლება იმის ნიშანს წარმოადგენდეს, რომ ბავშვს ბრძოლა უწევდა მისი მოწონებისა და კეთილგანწყობილებისათვის. ზოგჯერ ადრეული მოგონებები უვნებლად ჩანან, მაგრამ ისინი უფრო ღრმა ანალიზს მოითხოვენ. მაგალითად, მოგონება შეიძლება ასეთი იყოს: „მე ჩემს ოთახში ვიჯექი, დედაჩემი კი კაბინეტთან იდგა". ეს უმნიშვნელოდ გვეჩვენება, თუმცა, დედის ხსენება – იმის ნიშანია, რომ ის მთხრობელის ინტერესის ობიექტი იყო. ზოგჯერ დედის ხსოვნა დაფარულია და მაშინ ჩვენი ამოცანა რთულდება: ჩვენ ამას თვითონ უნდა მივხვდეთ. მაგალითად, მამაკაცმა შეიძლება გითხრათ: „ერთი მოგზაურობა მახსენდება". თუ გამოკითხვას დავუწყებთ, თუ თან ვინ ახლდა, აღმოჩნდება, რომ ეს დედა იყო. ან ადამიანმა შეიძლება თქვას: „მახსოვს, რომ ერთხელ ზაფხულში სოფელში ვიყავი", – სავსებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მამა იმ დროს ქალაქში მუშაობდა, დედა კი შვილებთან იყო. შეიძლება შევეკითხოთ: „იმ დროს შენთან ვინ იყო?". ამნაირად ხშირად დედის ფარულ გავლენას აღმოვაჩენთ.

ამ მოგონებების კვლევისას, დავინახავთ ბრძოლას დედის კეთილგანწყობილებისათვის, თვალყურს მივადევნებთ, თუ ბავშვი თავისი განვითარების პროცესში მისგან გამომდინარე განებივრებას როგორ სულ უფრო და უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ფსიქოლოგი ამ ყველაფერს უნდა ხედავდეს და ესმოდეს; ადამიანისგან მსგავსი მოგონებების

მოსმენისას, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ის უკუგ-დების მუდვივ შიშს განიცდის. შეიძლება ისიც დავინახოთ, თუ მისი დაძაბულობა როგორ იზრდება და უფრო თვალსა-ჩინო ხდება, მისი გონებრივი ენერგია კი შიშით სულ უფრო და უფრო იბოჭება. სავსებით დასაშვებია, რომ შემდგომ ცხო-ვრებაში ეს ადამიანები ეჭვიანები იქნებიან.

ერთ-ერთი ჩვენი კლიენტი ინსტიტუტში მეცადინეო-ბებს მუდმივად აცდენდა. ის მეტისმეტად ზარმაცი იყო, მე-ცადინეობას ვერ აიძულებდით. ის კაფეს ხშირად სტუმრობ-და, მეგობრებთან წვეულებების მოყვარული იყო და ამ ქვეყ-ნად, სწავლის გარდა, ყველაფერზე ფიქრობდა. ამასთან და-კავშირებით საინტერესოა მისი ადრეული მოგონებების გაა-ნალიზება. „მე მახსოვს, – თქვა მან, – რომ აკვანში ვწევარ და კედელს ვათვალიერებ. შპალერზე დახატულ ყვავილებს და ფიგურებს ვუყურებ". როგორც ჩანს, ამ ადამიანს მხოლოდ ლოგინში წოლა უყვარდა, მაგრამ არა გამოცდების ჩაბარება. მას არ შეეძლო მეცადინეობებზე კონცენტრირება, რადგანაც მუდამ სხვა რამეზე ფიქრობდა და ორი კურდღლის ერთ-დროულად დაჭერას ცდილობდა. თავისთავად გვეზადება დასკვნა, რომ ეს ადამიანი ბავშვობაში განებივრებული იყო და დამოუკიდებლად მუშაობა არ შეეძლო.

გადავიდეთ ათვალწუნებულ ბავშვებზე. ეს ტიპი საკმა-ოდ იშვიათია და მასთან ფრიად მწვავე შემთხვევებია დაკავ-შირებული. თუ ბავშვი ცხოვრების დასაწყისიდანვე ათვალ-წუნებულია, მას გადარჩენის ძალიან პატარა შანსი აქვს. რო-გორც წესი, ერთ-ერთი მშობელი ან ძიძა ბავშვს ანებივრებს და ამით გარკვეული ზომით მის სურვილებს აკმაყოფილებს. ხშირად ათვალწუნებული ბავშვები – უკანონოდ დაბადებუ-ლი, არასასურველი შვილები ან დამნაშავეების შვილები არიან; ჩვენი დაკვირვებები გვიჩვენებენ, რომ მომავალში მათ დეპრესიები მოელის. ჩვეულებრივ მათ მოგონებებში განკი-

ცხულობის განცდა იგრძნობა. მაგალითად, ერთ–ერთი ჩვენი პაციენტი ყვებოდა: „მახსოვს, როგორ მცემეს; დედა დიდხანს მლანძღავდა, სანამ არ გავიქეცი“. ეს ყველაფერი კი იმით დამთავრდა, რომ ბიჭი კინაღამ დაიხრჩო.

ამ ადამიანმა ფსიქოლოგს მიმართა, რადგან სახლიდან გასვლა არ შეეძლო. მისი ადრეული მოგონებებიდან ჩანს, რომ ერთხელ სახლიდან გასვლის შემდეგ დიდ ხიფათს წააწყდა. ეს მის მეხსიერებაში ჩაიბეჭდა და ყოველთვის სახლიდან გასვლისას ქვეცნობიერად ხიფათზე ფიქრობდა. ის ნიჭიერი ბავშვი იყო, მაგრამ მუდმივად აწუხებდა გამოცდაზე პირველობის დათმობის შიში. მისი მუდმივი ყოყმანი წინსვლაში ხელს უშლიდა. უნივერსიტეტში მოწყობის შემდეგ გარიცხვის მუდმივ შიშს განიცდიდა. აქ თვალსაჩინოა ხიფათის შესახებ მის ადრეულ მოგონებებთან კავშირი.

მეორე მაგალითი, რომელიც საილუსტრაციოდ გამოდგება – ერთი წლის ასაკში ობლად დარჩენილი ადამიანის შემთხვევაა. იმ დროს მას რაქიტი ჰქონდა, უპატრონო ბავშვთა თავშესაფარში კი სათანადო მკურნალობა და მოვლა ვერ მიიღო. ბავშვობაში მასზე არავინ ზრუნავდა, და შემდგომ ცხოვრებაში მეგობრების მოპოვება გაუჭირდა. თუ მის მოგონებებს მივმართავთ, დავინახავთ, რომ ის ყოველთვის გრძნობდა, რომ მას სხვებს ამჯობინებენ; იმასაც დავინახავთ, რომ ეს გრძნობა მის განვითარებაში ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. მას ყოველთვის თანსდევდა განკიცხულობის შეგრძნება, რაც ნებისმიერი პრობლემის გადაჭრისას დიდ წინაღობას წარმოადგენდა.

თავისი არასრულფასოვნების გრძნობის გამო ის პრაქტიკულად არ მონაწილეობდა იმ ცხოვრებისეულ სიტუაციებში, რომლებიც მოითხოვდნენ სხვა ადამიანებთან კონტაქტს, ეს იქნებოდა სასიყვარულო, მეგობრული თუ საქმიანი ურთიერთობები.

კიდევ ერთი საინტერესო მაგალითი – ერთი პაციენტის ისტორიაა, რომელმაც მუდმივ უძილობაზე ჩივილით მოგვმართა. ის ორმოცდაექვსი–ორმოცდარვა წლის ცოლ–შვილიანი მამაკაცი იყო. გარშემომყოფ ადამიანებს მუდმივად შარს სდებდა, შეიძლება ითქვას, ტირანულად ექცეოდა, განსაკუთრებით ეს მისი ოჯახის წევრებს ეხებოდა.

ადრეულ მოგონებებზე შეკითხვისას მან უპასუხა, რომ მშობლების წყალობით სკანდალურ გარემოში იზრდებოდა. ისინი მუდმივად ჩხუბობდნენ და ერთმანეთს ემუქრებოდნენ, ასე რომ ბიჭი მუდმივად იმის შიშს განიცდიდა, რომ რამე ცუდი მართლა არ მომხდარიყო. ის სკოლაში მოუვლელი დადიოდა. მან გაიხსენა, რომ ერთხელ გაკვეთილზე მის მასწავლებელს სხვა მასწავლებელი შეენაცვლა. მისი მონათხრობიდან იგრძნობოდა, რომ ამ ქალს თავისი სამუშაო უყვარდა და მისი შესაძლებლობების სჯეროდა. მან მოახერხა იმის დანახვა, თუ რა იმალებოდა ამ მოუვლელ და უსუფთაო ბიჭში, და ყველანაირად ცდილობდა მის გამხნევებას.

ცხოვრებაში პირველად მან ზრუნვა იგრძნო, და ამან მის შემდგომ განვითარებაზე გავლენა მოახდინა, თუმცა ყველა საქციელში თითქოს რაღაც უბიძგებდა. მას არ ჰქონდა საკუთარი თავის რწმენა, და სულის სიღრმეში ეჭვობდა, რამეში მაინც თუ შეძლებდა სხვებზე უპირატესობის მოპოვებას. ეს მას მთელი დღეების მანძილზე და ხშირად ღამითაც კი მუშაობას აიძულებდა. ამრიგად, მას გამოუმუშავდა შუაღამემდე მუშაობის ჩვევა. ზოგჯერ დილამდეც კი არ ეძინა და მომავლის გეგმებს აწყობდა. შედეგად განუმტკიცდა ის აზრი, რომ ცხოვრებაში რაღაცის მისაღწევად ღამით არდაძინება აუცილებელია.

შემდგომში მისი უპირატესობისაკენ მისწრაფება ოჯახთან და სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში გამოვლინდა. აქ ის გამარჯვებულის და დიქტატორის როლში გამოდიო–

და, რითიც გარშემომყოფ ადამიანებში სიძულვილს იწვევდა.

ამ ადამიანის ხასიათის ანალიზის შედეგების შეჯამებისას და მისი, როგორც მთლიანობის, განხილვისას, შეიძლება ვთქვათ, რომ სწორედ არასრულფასოვნების ძლიერ გრძნობაზე დაფუძნებული უპირატესობა წარმოადგენდა ჩვენი პაციენტის მიზანს. ასეთ სიტუაციას ხშირად იმ ადამიანების ცხოვრებაში აღმოვაჩენთ, რომლებიც მეტისმეტ დაძაბულობას განიცდიან, რაც წარმატების მიღწევის საკუთარ უნარში დაეჭვების ნიშანია. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, სინამდვილეში მხოლოდ პოზის გამომხატველი უპირატესობის კომპლექსის მიღმა იმალება. ადრეული მოგონებების შესწავლა ჭეშმარიტი სიტუაციის დანახვაში გვეხმარება.

თავი 6. სხეულის მოძრაობები და ფსიქიკური განწყობები

წინა თავში ჩვენ შევეცადეთ აღგვეწერა, თუ ადამიანის ადრეული მოგონებები და ფანტაზიები როგორ შეიძლება გამოიყენებოდეს ცხოვრების ფარული სტილის გამოაშკარავებისათვის. თუმცა, ადრეულ მოგონებებთან მუშაობა – პიროვნების შესასწავლად არსებული მთელი რიგი ხერხებიდან მხოლოდ ერთ–ერთია. ეს ხერხები დამოკიდებულია მთლიანის ინტერპრეტაციისათვის ცალკეული ნაწილების გამოყენების პრინციპზე. ადრეული მოგონებების შემდეგ შეიძლება სხეულის მოძრაობებისა და განწყობების კვლევაზე გადავიდეთ. ადამიანის მოძრაობებში გამოიხატებიან და განსახიერდებიან მისი განწყობები, ყველა კერძო განწყობა კი განასახიერებს და შეადგენს ერთ ზოგად ცხოვრებისეულ განწყობას, რომელსაც „ცხოვრების სტილს“ ვუწოდებთ.

სხეულის მოძრაობები

მოდით ჯერ სხეულის მოძრაობებს მივმართოთ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ადამიანზე მსჯელობენ მისი გარეგანი გამოვლინებების – დგომის, სიარულის, მოძრაობის, ჟესტიკულირების და მსგავსი მანერის – მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ ეს მსჯელობები ყოველთვის გაცნობიერებული არაა, შექმნილ შთაბეჭდილებებზე დაფუძნებული სიმპატიის ან ანტიპატიის გრძნობა ყოველთვის წარმოიშვება.

დგომის მანერა

განვიხილოთ, მაგალითად, დგომის მანერაში გამოვლენადი განწყობები.

სპეციალური ძალისხმევის გარეშე, შეიძლება დავინახოთ, თუ როგორ დგას ბავშვი ან მოზრდილი: გამართულად, ოდნავ მოხრილად ან ძალიან მოღუნულად. ჩვეულებრივ ყველაფერი გადაჭარბებული ან არაბუნებრივი ყურადღებას იქცევს. ადამიანი, რომელიც მეტისმეტად გამართულად დგას და რომლის პოზაც დაძაბულია, იმის ეჭვს იწვევს, რომ ის ძალიან ბევრ ენერგიას ხარჯავს თავისი ტანადობის შესანარჩუნებლად. ისიც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის თავს გაცილებით ნაკლებად წარმოსადეგად გრძნობს, ვიდრე უნდა, რომ ჩანდეს. ეს პატარა დეტალი უპირატესობის კომპლექსს ასახავს. მას სურს უფრო თამამად გამოიყურებოდეს და უნდა თავისი თავის უფრო მეტად გამოვლენა, და ეს, ალბათ, ასეც იქნებოდა, ასეთი დაძაბული რომ არ ყოფილიყო.

მეორეს მხრივ, ზოგიერთი ადამიანის ტანადობა ზემოთ აღწერილისაგან კარდინალურად განსხვავდება: ისინი წელში მუდამ იხრებიან და მოღუნულებად გამოიყურებიან.

ასეთი ტანადობა შეიძლება სიმხდალეზე მეტყველებ–

დეს, თუმცა, ჩვენი მეცნიერების მთავარი წესი მოგვიწოდებს – მსჯელობებში არ ვიჩქაროთ, სხვა მტკიცებულებები ვეძებოთ და მხოლოდ ერთი დაკვირვების შედეგებით დასკვნების გაკეთებისაგან თავი შეკიკავოთ. მაშინაც კი, როცა ჩვენს სიმართლეში თითქმის დარწმუნებულნი ვართ, ჩვენი ინტერპრეტაცია კვლევის სხვა პუნქტებთან უნდა შევაჯეროთ. „ნუთუ ის ადამიანები, რომლებიც წელში იხრებიან, ყოველთვის მშიშრები არიან? რას შეიძლება მოველოდოთ მათგან რთულ ცხოვრებისეულ სიტუაციაში?“ – ვეკითხებით საკუთარ თავს.

დაყრდნობის მანერა

ამასთან დაკავშირებით სხეულის სხვა მდგომარეობებზე დაკვირვებისას ხშირად შეიძლება შევნიშნოთ, რომ თავის თავში დაურწმუნებელი ადამიანი ცდილობს რაღაცაზე – მაგალითად, მაგიდაზე ან სკამზე – დაყრდნობას. მას საკუთარი ძალების არ სჯერა და მხარდაჭერას ეძებს. ეს ხშირად იგივე განწყობას ასახავს, რასაც მოხრილი ტანადობა; ამრიგად, თუ ერთი მსჯელობის დამადასტურებელ ორ ნიშანს აღმოვაჩენთ, ამით ის უფრო დასაბუთებული ხდება.

შეიძლება შევნიშნოთ, რომ იმ ბავშვების ტანადობა, რომლებიც მხარდაჭერას საჭიროებენ, დამოუკიდებელი ბავშვების ტანადობისაგან შესამჩნევად განსხვავდება. ზოგჯერ დამოუკიდებლობის ხარისხზე მიუთითებს ის, თუ ბავშვი როგორ დგას ან სხვა ადამიანებს როგორ უახლოვდება. ასეთ შემთხვევებში არ უნდა ვიყოყმანოთ, რამეთუ ჩვენი დასკვნის შესამოწმებლად მრავალი ხერხი არსებობს.

ჩვენი ვარაუდის დადასტურების შემდეგ შეიძლება სიტუაციის გამოსასწორებლად ნაბიჯები გადავდგათ და ბავშვი სწორ გზაზე დავაყენოთ.

ვთქვათ, ჩვენ შეგვიძლია იმ ბავშვზე ექსპერიმენტის ჩატარება, რომელიც მხარდაჭერას საჭიროებს. შეიძლება დედამისი სკამზე დავსვათ, შემდეგ კი ბავშვი ოთახში შემოვიყვანოთ. ჩვენ დავინახავთ, რომ შემოსვლისას ის არავის არ შეხედავს და პირდაპირ დედისკენ გაეშურება, მიეხუტება და მის სკამს მიეყრდნობა. ეს იმ ვარაუდს დაადასტურებს, რომ ჩვენს წინ მხარდაჭერას მიჩვეული ბავშვია.

საინტერესოა იმაზე დაკვირვებაც, თუ ბავშვი როგორ შედის სხვებთან ურთიერთობაში: ეს ერთობის გრძნობის განვითარებაზე და ადაპტაციის ხარისხზე მიუთითებს. ეს აგრეთვე იმასაც გამოხატავს, თუ ბავშვი გარშემომყოფთ რამდენად ენდობა. შემჩნეულია, რომ ის ადამიანი, რომელსაც სხვებთან დაახლოება არ სურს და ყოველთვის ყველასგან განზე დგას – უკარება, სიტყვაძუნწი და ზოგჯერ არაბუნებრივად ჩუმია.

დისტანცია და სიახლოვე

შეიძლება შევნიშნოთ, რომ ყველა მოყვანილი ფაქტი კვლევის ერთიდაიგივე გზას მიუთითებს, რამეთუ ადამიანური არსება – ეს ერთგვარი მთლიანობაა, და, როგორც ასეთი, ცხოვრების ყველა პრობლემაზე და სიტუაციაზე რეაგირებს. საილუსტრაციოდ მივმართოთ ერთი ქალის ისტორიას, რომელიც ექიმთან მიღებაზე მივიდა. როცა კაბინეტში შევიდა და დაჯდომა შესთავაზეს, იმის მაგივრად, რომ ექიმის გვერდით მდგარ სკამზე დამჯდარიყო (რაც სავსებით ბუნებრივი იქნებოდა), მან ირგვლივ მიმოიხედა და მოშორებით მდგარ სკამზე დაჯდა. ამ ფაქტიდან შეიძლება იმ დასკვნის გაკეთება, რომ ქალს მხოლოდ ერთ ადამიანთან კავშირში ყოფნა უნდოდა. თავის თავზე მან გვაუწყა, რომ გათხოვილია, რის შემდეგაც დანარჩენის მიხვედრა სირთულეს არ

წარმოადგენდა. ცხადია, რომ მას მხოლოდ თავის ქმართან ყოფნა უნდოდა, რომ ის მასზე ზრუნვას იყო მიჩვეული და თავისი მეუღლის მიმართ მომთხოვნელობით გამოირჩეოდა. მარტოობაში ყოფნისას ამ ქალს ძლიერი განგაშის გრძნობა ეუფლებოდა, ის უარს ამბობდა სახლიდან თანხლების გარეშე გამოსვლაზე და არ სიამოვნებდა სხვა ადამიანებთან ურთიერთობა. მისი ერთი მოძრაობის მიხედვით შეიძლებოდა ამ ქალის ისტორიის ზოგადად მიხვედრა. თუმცა ეს თეორია დადასტურებას მაინც საჭიროებს.

ამ ქალს შეეძლო ეთქვა: „განგაში მეუფლება", – და მანამ, სანამ გასაგები არ გახდება, რომ განგაში შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა ადამიანებზე მართვის საშუალებად, მისი სიტყვების აზრი გაუგებარი რჩება. თუ ბავშვის ან მოზრდილი ადამიანისთვის ჩვეულია განგაშის მდგომარეობაში ყოფნა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არსებობს ისეთი ადამიანი, რომელიც ამ ბავშვს ან მოზრდილს მხარს უჭერს.

მოვიყვან ცოლ-ქმრული წყვილის მაგალითს, რომელიც სექსუალური თავისუფლების პრინციპს იცავდა. მათ ქორწინებაში თითოეულ პარტნიორს შეეძლო გაეკეთებინა ის, რაც უნდოდა, და ამასთან სხვებისთვის გაეზიარებინა ის, რაც მის ცხოვრებაში ხდებოდა. როგორც შედეგი, ქმარს ჰქონდა რაღაც სასიყვარულო თავგადასავლები, რომელთა შესახებაც თავის ცოლს უყვებოდა. ცოლი მცირეოდენ უკმაყოფილებასაც კი არ გამოხატავდა, თუმცა მოგვიანებით განგაშის შეტევები დაეწყო. მას არ შეეძლო სახლიდან მარტო გამოსვლა, მისი ქმარი ყველგან და ყოველთვის თან უნდა ხლებოდა. ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ, თუ ამ თავისუფლებამ როგორ მიიყვანა განგაშის ან ფობიის განვითარებამდე.

ზოგიერთ ადამიანს აქვს რომელიმე კედელთან დადგომის და მასზე მიყრდნობის ჩვევა. ესაა მათი არასაკმარისი სითამამის და დამოუკიდებლობის ნიშანი. მოდით გავაანა-

ლიზოთ ასეთი მშიშარა და თავის თავში დაურწმუნებელი ადამიანის პროტოტიპი, რისთვისაც განვიხილოთ იმ ბიჭის შემთხვევა, რომელიც სკოლაში მეტისმეტად მორცხვად და გაუბედავად გამოიყურებოდა. მორცხვობა – ეს იმის აშკარა ნიშანია, რომ მოცემულ ადამიანს სხვებთან საქმის დაჭერა არ სურს. და მართლაც, ამ ბიჭს არ ჰყავდა მეგობრები და ყოველთვის მოუთმენლად ელოდა მეცადინეობის დამთავრებას. ის ძალიან ნელა მოძრაობდა, კიბეზე კედელთან ახლოს ეშვებოდა, ქუჩაში სიარულისას არავის არ უყურებდა და პირდაპირ სახლში მიიჩქაროდა. ის არ იყო კარგი მოსწავლე და სასკოლო მუშაობაშიც აქტიურობით არ გამოირჩეოდა, რამეთუ სკოლის კედლებში თავს ბედნიერად ვერ გრძნობდა. მისი ერთადერთი სურვილი იყო სახლში, დედამისთან, მარტოხელა ქვრივთან მისვლა, რომელსაც სუსტი ჯანმრთელობა ჰქონდა და, ბუნებრივია, შვილს მეტისმეტად ანებივრებდა.

თერაპევტი ცდილობდა ამ შემთხვევის უფრო ღრმად გაგებას და ბიჭის დედასთან გასაუბრება გადაწყვიტა. კითხვაზე, ხალისით მიდის თუ არა მისი შვილი დასაძინებლად, დედამ დადებითად უპასუხა. ხოლო კითხვებზე, ტირის თუ არა ღამღამობით, შარდავს თუ არა ლოგინში, უარყოფითი პასუხი გასცა.

მისმა პასუხებმა თერაპევტი აიძულა თავისი ვარაუდი კიდევ ერთხელ გადაეხედა, მაგრამ მოგვიანებით მან გააკეთა დასკვნა, რომ ბიჭს დედასთან ერთად ეძინა. როგორ მივიდა ასეთ დასკვნამდე? ღამღამობით ტირილი ან ლოგინში შარდვა – ნიშნავს დედის ყურადღების მიპყრობას ან მოთხოვნას. თუკი მათ ერთად სძინავთ, ამის საჭიროება არ არსებობს. ექიმის დასკვნა გამართლდა: ბიჭს ლოგინში ნამდვილად დედასთან ერთად ეძინა.

ყურადღებით განხილვისას შეიძლება დავინახოთ, რომ ფსიქოლოგის მიერ შემჩნეული ნებისმიერი წვრილმანი

ცხოვრების გეგმის ნაწილს შეადგენს.

მაშასადამე, როცა ჩვენ მიზანი ვიცით, – ამ ბიჭის შემთხვევაში ეს დედასთან მუდმივად ყოფნა იყო, – შეგვიძლია მთელი რიგი დასკვნების გაკეთება. ამ საშუალებების დახმარებით აგრეთვე იმის გაგებაც შეგვიძლია, თუ როგორია მოცემული ბავშვის გონებრივი განვითარების დონე: რამდენადმე გონივრულ ცხოვრებისეულ გეგმას ჭკუასუსტი ბავშვი ვერ შეიმუშავებს.

განწყობები

ახლა კი მივმართოთ ფსიქიკურ განწყობებს, რომელთა გამოვლენაც პიროვნების სხვადასხვა ტიპებში შეიძლება. არსებობენ მეტ–ნაკლებად კადნიერი ადამიანები, არიან ისეთებიც, რომელნიც თითქოს მზად არიან ყველაფერი დათმონ. სინამდვილეში კი არ არსებობს ადამიანი, რომელიც ყველაფერს დათმობს, რამეთუ ეს ადამიანურ ბუნებას ეწინააღმდეგება.

ნორმალურ ადამიანს დათმობა არ შეუძლია. და თუ გარეგნულად თითქოს ამას აკეთებს, ეს წარმოადგენს მასში ფარულად არსებული წინააღმდეგობის და ბრძოლის კიდევ უფრო დამაჯერებელ მტკიცებულებას.

სითამამე და მოშიშარობა

არსებობს ისეთი ბავშვების ტიპი, რომლებიც ყველაფერში დათმობისაკენ მიისწრაფვიან. ასეთი ბავშვი ჩვეულებრივ ოჯახის ყურადღების ცენტრში იმყოფება: ყველა მასზე ზრუნავს, ამხნევებს და უფრთხილდება. ცხოვრების მანძილზე სულ ვიღაცის მხარდაჭერას საჭიროებს, რაც გარშემომყოფთათვის საკმაოდ დამამძიმებელია. მაგრამ ამაში

მდგომარეობს მისი უპირატესობის მიზანი – ის სხვების თავისებურად დათრგუნვას ცდილობს. როგორც უკვე ვაჩვენეთ, მსგავსი უპირატესობის მიზანი არასრულფასოვნების კომპლექსის შედეგია. საკუთარ ძალებში ეჭვი რომ არ ეპარებოდეს, წარმატების მიღწევის ასეთ იოლ გზას არ აირჩევდა.

საილუსტრაციოდ შეიძლება ერთი ჩვიდმეტი წლის ბიჭის მაგალითი გამოდგეს. ჩვენი გმირი ოჯახში უფროსი იყო, ჩვენ კი უკვე გვქონდა შესაძლებლობა დავკვირვებოდით, თუ პირველი შვილი ჩვეულებრივ როგორ განიცდის ოჯახის ყურადღების ცენტრში დაკავებული ადგილიდან უმცროსი შვილის მიერ ჩამოგდების ტრაგედიას. ჩვენს ყმაწვილსაც მსგავსი ხვედრი ერგო, ის მეტისმეტად დათრგუნული და გაღიზიანებული იყო და დიდი ხნის განმავლობაში არანაირ საქმიანობას ხელს არ ჰკიდებდა. გარკვეული დროის შემდეგ თვითმკვლელობასაც კი შეეცადა, რის შემდეგაც თერაპევტთან მოხვდა და მას აუხსნა, რომ სუიციდის მცდელობის წინ დაესიზმრა, რომ მამამისი თოფით მოკლა. მიაქციეთ ყურადღება, რომ ეს დათრგუნული, უმოქმედო და ინერტული ადამიანი სულის სიღრმეში მოქმედებისთვის ყოველთვის მზად იყო. ამასთან დაკავშირებით უნდა ვახსენოთ იმ ბავშვების ტიპი, რომლებიც სკოლაში უხალისოდ გამოიყურებიან და უხალისო მოზრდილების ტიპი, რომლებიც აბსოლუტურად არაფრის მაქნისების შთაბეჭდილებას ტოვებენ. ხშირად მათი აპათიურობა ზედაპირულია, სიღრმეში კი საშიშროების შემცველი. მხოლოდ ბიძგია საჭირო – და სახეზე გვაქვს თვითმკვლელობის მცდელობა ან რაიმე სხვა ნევროტული საქციელი ან სენი.

ასეთი ადამიანების განწყობის გამოვლენა – ხშირად საკმაოდ რთული ამოცანაა.

ბავშვური მორცხვობა – საშიშროების შემცველი კიდევ ერთი თვისებაა. მორცხვობის მკურნალობის დროს საჭიროა

დიდი აკურატულობა, ამასთან მკურნალობა აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში მას შეუძლია ბავშვს მთელი ცხოვ-რება დაუნგრიოს. მორცხვ ბავშვს ბევრი სირთულე შეხვდება მანამ, სანამ მორცხვობის დაძლევას არ მოახერხებს, რადგან ცხოვრებაში მაღალ შედეგებს და უპირატესობას მხოლოდ თამამი და თავისის გამტანი აღწევს. თუ თამამი ადამიანი დამარცხებას განიცდის – ეს მას ისეთ ძლიერ ტრავმას არ მი-აყენებს, როგორც მორცხვს, რომელიც მოახლოებადი სირ-თულეების მოლოდინში ცხოვრებისგან განზე დგება და მის უსარგებლოდ გატარებას ამჯობინებს.

მოზრდილ ასაკში ეს ბავშვები ყველაზე ხშირად ნევ-როტიკები ხდებიან ან ფსიქიკური აშლილობები ემართებათ.

ეს ადამიანები მუდმივად ცხვირჩამოშვებულები და-დიან და ადამიანებთან წესიერად ლაპარაკიც კი არ შეუძლი-ათ: ხშირად კონტაქტში საერთოდ არ შედიან და ადამიანებს გაურბიან. ჩვენ მიერ აღწერილი მახასიათებლები ფსიქიკურ განწყობებს წარმოადგენენ. ისინი თანდაყოლილნი არ არიან და მემკვიდრეობით არ გადაეცემიან: ეს განწყობები უბრა-ლოდ სიტუაციაზე რეაქციაა. ამრიგად, ცხოვრების სტილი რეაგირებს ინდივიდის წინაშე მდგარი პრობლემის აღქმაზე. რა თქმა უნდა, ეს ყოველთვის როდია ფილოსოფოსის მიერ მოსალოდნელი ლოგიკური პასუხი – პასუხი, რომელიც ბავ-შვური განცდებისგან და შეცდომებისგან გამომდინარეობს.

ბავშვებთან და ფსიქიკური გადახრების მქონე პირებ-თან ამ განწყობების ფუნქციონირებაზე და მათი ჩამოყალი-ბების პროცესზე დაკვირვება უფრო ადვილია, ვიდრე ნორმა-ლურ მოზრდილ ადამიანებზე. როგორც დავრწმუნდით, პროტოტიპის სტადია უფრო ნათელია და ნაკლებად გარ-თულებულია, ვიდრე ცხოვრების შემდგომი სტილი. ფაქტი-ურად, პროტოტიპის ფუნქციონირება შეიძლება მოუმწიფე-ბელ ხილს შევადაროთ, რომელიც ადვილად ასიმილირებს

ყველაფერ იმას, რასაც ღებულობს: სასუქებს, წყალს, კვებას, ჰაერს. ყველა ეს კომპონენტი მის მიერ შეიწოვება მომწიფე-ბის პროცესში. პროტოტიპსა და ცხოვრების სტილს შორის განსხვავება მოუმწიფებელ და მომწიფებულ ხილს შორის განსხვავებას წააგავს. ადამიანში მოუმწიფებელი ხილის სტა-დიის გახსნა და კვლევა გაცილებით უფრო ადვილია, მაგრამ ის, რაც იხსნება, უფრო სამართლიანია მომწიფებული ხილის სტადიისათვის. მაგალითად, ბუნებით მშიშარა ბავშვი თავის სიმხდალეს ყველა ცხოვრებისეულ განწყობაში ავლენს. ისე ჩანს, თითქოს მშიშარა და აგრესიული ბავშვები ერთმანე-თისგან ძალიან განსხვავდებიან: მოჩხუბარ ბავშვს ყოველ-თვის გარკვეული სიმამაცე გააჩნია, რომელიც იმის ბუნებრივ პროდუქტს წარმოადგენს, რასაც ჩვენ „საღ აზრს" ვუწოდებთ. თუმცა, გარკვეულ სიტუაციებში ყველაზე მშიშარა ბავშვიც კი შეიძლება გმირად გამოიყურებოდეს. ეს ხდება ყოველ-თვის, როცა ის ნებისმიერი ხერხით ცდილობს პირველი გახ-დეს. ამის მაგალითია – ცურვის არმცოდნე ბიჭის შემთხვევა. ის მეგობრებთან ერთად საბანაოდ წავიდა, მაგრამ რადგან ცურვა არ იცოდა, ღრმა ადგილას აღმოჩენისას კინაღამ და-იხრჩო. რასაკვირველია, მის საქციელში არ იყო ნამდვილი სიმამაცე, და მთელი მისი ქცევა – უსარგებლოა.

ის ასე მოიქცა აღფრთოვანების ობიექტად ყოფნის სურ-ვილის გამო, ამის გულისთვის მან იგნორირება გაუკეთა საფრთხეს, რომელშიც აღმოჩნდა, იმ იმედით, რომ სხვები გადაარჩენდნენ.

ბედისწერის რწმენა

სიმამაცისა და შიშის საკითხები ფსიქოლოგიურად მჭიდროდაა დაკავშირებული ბედისწერის რწმენასთან. გარ-და ამისა, ბედისწერის რწმენა გავლენას ახდენს ადამიანის

მიერ გონივრულად და კონსტრუქციულად მოქმედების უნა-
რზე. არიან ადამიანები, რომლებსაც უპირატესობის გრძნობა
იმდენად დიდი აქვთ, რომ მათ ჰგონიათ, რომ ყველაფერს შე-
ასრულებენ, ყველაფერი იციან და ამიტომ არაფრის სწავლა
არ სურთ. მსგავსი წარმოდგენების შედეგები საყოველთაოდ
ცნობილია. ასეთი აზროვნების მქონე ბავშვები სკოლაში ჩვე-
ულებრივ ყველაზე ჩამორჩენილი მოწაფეები არიან. ამასვე
შეიძლება მივაკუთვნოთ იმ ადამიანთა ტიპი, რომლებიც
სულ რაიმე საშიშროების განცდისაკენ მიისწრაფვიან და
ჰგონიათ, რომ არასდროს არაფერი ცუდი არ დაემართებათ,
რომ მათი დამარცხება შეუძლებელია. როგორც წესი, შედეგი
სავალალოა.

ბედისწერის გრძნობა შეიძლება იმ ადამიანებში აღმო-
ვაჩინოთ, რომლებიც საშინელი შემთხვევის (მაგალითად,
რაიმე კატასტროფის) დროს უვნებელნი დარჩნენ. შედეგად
მათ იმის შეგრძნება უჩნდებათ, რომ უმაღლესი მიზნებისა-
თვის მოწოდებულნი არიან. ჩვენ ვიცით მსგავსი გრძნობის
მქონე ადამიანი, რომელმაც მისთვის მოულოდნელ სიტუა-
ციაში მოხვედრის შემდეგ მთლიანად დაკარგა სითამამე და
მეტისმეტად დაიბნა – დაინგრა მისი ძირითადი საყრდენი.

როცა ადრეულ მოგონებებზე შეეკითხნენ, მან გაუზია-
რა მისთვის ფრიად ნიშნადი განცდა. ის მოყვა, რომ ერთხელ
ვენის თეატრში წასვლას აპირებდა, მაგრამ რაღაცამ დააყოვ-
ნა. როცა, როგორც იქნა, თეატრამდე მიაღწია, აღმოჩნდა, რომ
იქ ხანძარი მოხდა. თეატრი დაიწვა, ის კი გადარჩა. შეიძლება
წარმოვიდგინოთ, თუ ამ მოვლენამ რა გავლენა მოახდინა ამ
ადამიანში თავისი მაღალი დანიშნულების რწმენის განვი-
თარებაზე. ყველაფერი კარგად მიდიოდა მანამ, სანამ ცოლ-
თან ურთიერთობის გაწყვეტამ წელში არ გატეხა.

ფატალიზმის მნიშვნელობაზე შეიძლება ძალიან ბევრი
ვილაპარაკოთ და დავწეროთ. ის გავლენას ახდენს ხალხებზე

და ცივილიზაციებზე და ასევე ცალკეულ ადამიანებზე. ჩვენის მხრივ გვინდა მხოლოდ ხაზი გავუსვათ, რომ ფატალიზმს გარკვეული კავშირი აქვს ფსიქიკური აქტიურობის წყაროსთან და ცხოვრების სტილთან. შემთხვევათა უმრავლესობაში ბედისწერის რწმენა – ესაა სხვებისათვის სარგებლის მომტანი ცხოვრების ამოცანისგან ლაჩრული გაქცევა. სწორედ ამ მიზეზით ხშირად მხარდაჭერა წარმოსახვითი და არამყარი აღმოჩნდება.

შური, მამაკაცის პროტესტი და სექსუალური პრობლემები

მეგობრული ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ერთ–ერთი საბაზო განწყობაა – შური. შურიანობა არასრულფასოვნების თვალსაჩინო ნიშანია. მართალია, ყველა ჩვენთაგანის ბუნებისათვის შურის გარკვეული გრძნობა უცხო არ არის. როგორც წესი, ის ზიანს არ გვაყენებს თავისი დაბალი ინტენსივობის გამო. მიუხედავად ამისა, უნდა გავაცნობიეროთ, თუ რამდენად სასარგებლოა ჩვენს ცხოვრებაში შურის გრძნობა, რომლის უფლებაც საკუთარ თავს სავსებით შეიძლება მივცეთ მუშაობაში, წარმატებისკენ სწრაფვაში, რთულ სიტუაციებთან შეჯახებისას. ჩამოთვლილ შემთხვევებში გარკვეული ზომით მას შეუძლია დაგვეხმაროს კიდეც.

სულ სხვა საქმეა – ეჭვიანობა, რომელიც გაცილებით უფრო რთული და საშიში განწყობაა, რადგანაც არც ერთ სიტუაციაში არ შეუძლია პიროვნებისათვის სარგებლის მოტანა. უფრო მეტიც, ეჭვიანობა – არასრულფასოვნების ძლიერი და ღრმა გრძნობის შედეგია. როგორც წესი, ეჭვიან ადამიანს ეშინია, რომ თავის პარტნიორს ვერ შეაკავებს, და სწორედ იმ მომენტში, როცა მისი მართვა და მასზე გავლენის მოხდენა შეუძლია, ამას ვერ ახერხებს და ეჭვიანობის სხვადასხვა გა–

მოვლინებებით მხოლოდ თავის სისუსტეს აჩვენებს.

ასეთი ადამიანის პროტოტიპის კვლევისას, მასში შეიძ-ლება რაღაცის დაკარგვის შეგრძნება აღმოვაჩინოთ. ეჭვიან ადამიანთან ურთიერთობისას, ყოველთვის სასარგებლოა მის წარსულს მივმართოთ და შევამოწმოთ, ხომ არ გვაქვს სა-ქმე ადრე უარყოფილ ადამიანთან, რომელიც უარყოფის გან-მეორების მუდმივ მოლოდინში იმყოფება.

შურიანობის და ეჭვიანობის ზოგადი პრობლემიდან გადავიდეთ შურიანობის ძალიან სპეციფიკური ტიპის გან-ხილვაზე – მამაკაცის უფრო მაღალი სოციალური პოზიციის მიმართ ქალის მხრიდან ეჭვიანობაზე. გვხვდებიან უამრავი ქალები და ქალიშვილები, რომლებსაც მამაკაცად ყოფნა უნ-დათ. ეს განწყობა სავსებით დასაბუთებულია, რადგან თუ ნივთებს მიუკერძოებლად შევხედავთ, ჩვენს კულტურაში წამყვან ადგილებს უმეტესწილად მამაკაცები იკავებენ; ისინი ქალებთან შედარებით უფრო მეტად დაფასებულნი, წახალი-სებულნი და პატივსაცემნი არიან. მორალის თვალსაზრისით ეს არასწორია და კორექციას საჭიროებს.

დღევანდელ დღეს გოგონები ხედავენ, რომ მამაკაცები და ბიჭები ოჯახში თავს გაცილებით უფრო კომფორტულად გრძნობენ, მათ წვრილმანებით არ ტვირთავენ, სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებში ბევრად უფრო თავისუფალნი არიან, და მამრობითი სქესის ეს უმაღლესი თავისუფლება გოგონებს აიძულებს თავი თავისი როლით დაუკმაყოფი-ლებლად იგრძნონ. ისინი ბიჭებივით ცდილობენ მოქმედე-ბას. ბიჭების მიბაძვა სხვადასხვაგვარად ვლინდება.

მაგალითად, ზოგიერთი გოგონა ბიჭივით იცვამს, და ეს ხშირად მშობლებში მხარდაჭერას პოულობს, რადგან სა-ყოველთაოდ ცნობილია, რომ ბიჭის ტანსაცმელი უფრო მო-ხერხებულია. საერთოდ, ამ ქმედებებიდან ზოგიერთი სასარ-გებლოცაა.

თუმცა, მათ შორის უსარგებლო განწყობებიც გვხვდება. მაგალითად, როცა გოგონას სურს, რომ ბიჭის სახელით მიმართონ. თუ მსგავსი განწყობა უბრალო ცელქობას არ წარმოადგენს და მის სიღრმეში რაღაც უფრო სერიოზული იმალება, ეს შეიძლება ფრიად სახიფათო იყოს. შემდგომში ამ გოგონას ცხოვრებაში შეიძლება წარმოიშვას თავისი სექსუალური როლით დაუკმაყოფილებლობა, ქორწინებისადმი ზიზღი, გათხოვების შემთხვევაში კი – ქალის სექსუალური როლისადმი ზიზღი.

წინასწარი შეგონებით არ უნდა მივუდგეთ იმას, რომ ქალი მოკლე კაბას ატარებს, რამეთუ ეს მოხერხებულობის თვალსაზრისით შეიძლება სავსებით გამართლებულიც იყოს.

მამაკაცივით სწავლა და მამაკაცთან თანაბარი სამუშაოს ქონა – აგრეთვე შეიძლება ქალის ბუნებრივ მიდრეკილებებს შეესაბამებოდეს. მაგრამ თავისი ქალური როლით დაუკმაყოფილებლობის გრძნობა და მამაკაცის მანკიერი მხარეების ათვისებისკენ მისწრაფება ქალის ცხოვრებისთვის საკმაოდ საშიშია.

ეს სახიფათო ტენდენცია მოზარდულ ასაკში ვლინდება, რამეთუ სწორედ ამ დროს გოგონას მოუმწიფებელი გონება იწყებს ბიჭების პრივილეგიების მტკივნეულად აღქმას, რაც ცხოვრებას ეჭვიანობისათვის დამახასიათებელი განცდებით უწამლავს. ჩნდება ბიჭების მიბაძვის სურვილი. უპირატესობის კომპლექსი კი მოცემულ შემთხვევაში სათანადო განვითარებისაგან გაქცევის ერთ–ერთ ფორმას წარმოადგენს.

როგორც უკვე ვთქვით, ყველაფერმა ამან შეიძლება იქამდე მიიყვანოს, რომ ქალს აღარ ექნება სასიყვარულო ურთიერთობების ან დაქორწინების სურვილი. და გათხოვებაზე რომც დაითანხმონ, – რამეთუ ჩვენს კულტურაში გაუთხოვრად დარჩენა დამარცხებად აღიქმება, – ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ეს ბედნიერებას მოუტანს.

მან, ვინც მიიჩნევს, რომ სქესების ურთიერთობა თანასწორობის პრინციპს უნდა ეფუძნებოდეს, ქალების ამ „მამაკაცურ პროტესტს“ მხარი არ უნდა დაუჭიროს. სქესების თანასწორობა ნივთების ბუნებრივ მდგომარეობას უნდა შეესაბამებოდეს, რომელშიც ზემოთ ხსენებული მამაკაცური პროტესტი რეალობის წინააღმდეგ უპირატესობის ძლიერი კომპლექსის შემცველ ბრმა ამბოხად ჩაითვლება. თუ კიდევ უფრო ღრმად შევხედავთ, მივხვდებით, რომ ეს პროტესტი შეიძლება პიროვნების ყველა სქესობრივ ფუნქციაზე უარყოფითად აისახოს. შეიძლება წარმოიშვას ფრიად სერიოზული სიმპტომები და აშლილობები, რომელთა პირველმიზეზები, როგორც წესი, ბავშვობაში აღმოჩნდება.

არსებობენ ისეთი ბიჭებიც, რომელთაც სურთ გოგონებს ემსგავსებოდნენ, თუმცა ასეთი შემთხვევები ზემოთ აღწერილზე გაცილებით იშვიათია. ამ ბიჭებს სურთ მიბაძონ არა ჩვეულებრივ გოგონებს, არამედ გოგონების გარკვეულ ტიპს, ამ ტიპისათვის დამახასიათებელი არშიყობის მანერით და ზედმეტი კეკლუცობით. მათ აქვთ გაპუდვრის, სამკაულების ტარების და კეკლუცობის ჩვეულება. ესეც უპირატესობის კომპლექსის ერთ–ერთი ფორმაა.

ბევრ მსგავს შემთხვევაში აღმოჩნდება, რომ ბიჭი ისეთ გარემოში იზრდებოდა, სადაც ყველაფრის სათავეში ქალი იდგა. ამიტომაც ის დედის გავლენით განვითარდა.

ერთხელ ჩვენთან კონსულტაციაზე მოვიდა ყმაწვილი, რომელსაც გარკვეული სექსუალური პრობლემები ჰქონდა. მან მოგვითხრო, რომ მთელი თავისი ცხოვრება დედის გვერდით გაატარა. მათ ოჯახში მამა უმნიშვნელო როლს თამაშობდა. დედა მკერავი იყო და ამ საქმიანობას წლების მანძილზე ეწეოდა. ბიჭი, რომელიც მუდმივად მის გვერდით იმყოფებოდა, მისი საქმიანობით დაინტერესდა, დაიწყო კერვა, ქალის ტანსაცმლის მოდელების ხატვა და ა.შ. ამ ბიჭი–

სათვის დედა თუ რამდენს ნიშნავდა, იქიდანაც ჩანს, რომ მის მოუთმენელ მოლოდინში ოთხი წლის ასაკში დროის გამოცნობაც კი ისწავლა.

შემდგომში, ის სკოლაში უფრო გოგონასავით იქცეოდა და ბიჭურ თამაშებში ან სპორტში მონაწილეობას არასდროს არ იღებდა. ბიჭები მას დასცინოდნენ, და დროთა განმავლობაში კოცნაც კი დაუწყეს, რასაც ასეთ შემთხვევაში ხშირად აკეთებენ. ერთხელ სკოლის თეატრში რაღაც პიესას დგამდნენ, და, ადვილი მისახვედრია, რომ ჩვენი ბიჭი მასში გოგონას როლს ასრულებდა. თავისი როლი ისე დამაჯერებლად შეასრულა, რომ ბევრმა მაყურებელმა იფიქრა, რომ როლს მართლა გოგონა ასრულებდა, ერთ მაყურებელს შეუყვარდა კიდეც. ამრიგად, ბიჭი მიხვდა, რომ თუ ვერ მიაღწევდა წარმატებას, როგორც მამაკაცი, ქალის როლში მაინც მაღალ შეფასებას მიიღებდა. სწორედ ეს გახდა მისი შემდგომი სექსუალური პრობლემების წყარო.

თავი 7. სიზმრები და მათი ახსნა

როგორც სხვადასხვა კონტექსტებში უკვე ავხსენით, ინდივიდუალური ფსიქოლოგია ცნობიერს და არაცნობიერს განიხილავს, როგორც ერთიანი მთლიანის ნაწილებს. ბოლო ორ თავში ჩვენ შევეცადეთ ცნობიერი ნაწილის მომენტები – მოგონებები, განწყობები, სხეულებრივი გამოვლინებები – ინდივიდუალური ერთიანობის ტერმინებში აგვეხსნა. ახლა კი იგივე მეთოდს გამოვიყენებთ ჩვენი არაცნობიერი ან ნახევრადცნობიერი ცხოვრების – ჩვენი სიზმრების ცხოვრების – ასახსნელად. ამ მიდგომას სავსებით გამართლებულად მივიჩნევთ, რადგან სიზმარში ცხოვრება მთლიანის ნაწილს იმდენადვე წარმოადგენს, რამდენადაც ყველა ცხოვრებისეული გამოვლინება ფხიზელ მდგომარეობაში. სხვადასხვა ფსიქო–

ლოგიური სკოლის წარმომადგენლები მუდმივად ცდილობენ სიზმრების პრობლემის რაღაც ახალი გაგების პოვნას. ჩვენი თვალსაზრისი აღნიშნულთან მიმართებით ვითარდებოდა ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების ყველა ნაწილის გამოვლინების გაგებასთან ერთად.

ცხოვრების სტილი და მიზნები

ამრიგად, ჩვენ გავარკვიეთ, რომ ფხიზელ მდგომარეობაში ცხოვრება უპირატესობის მიზნით განისაზღვრება. იგივე შეიძლება სიზმრებზეც ითქვას.

სიზმარი – ეს ყოველთვის ცხოვრების სტილის ნაწილია და მისი კვლევისას აღმოვაჩენთ ხოლმე, რომ მასში პროტოტიპია ჩართული. სიზმრის სწორ გაგებაში დარწმუნება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა პროტოტიპის ამ კონკრეტულ სიზმართან მჭიდრო კავშირი თვალსაჩინო გახდება.

აგრეთვე საკმაოდ ზუსტად შეიძლება წარმოვიდგინოთ ნაცნობი ადამიანის სიზმრების ხასიათი.

ავიღოთ, მაგალითად, იმის შესახებ ცოდნა, რომ ადამიანთა უმრავლესობა ცხოვრების შიშს განიცდის. ამ ზოგად ფაქტზე დაყრდნობით შეიძლება იმ დასკვნის გაკეთება, რომ ბევრ სიზმარში შიში, ხიფათი და განგაში აისახება. ამრიგად, თუ ჩვენ ადამიანს ვიცნობთ და ისიც ვიცით, რომ მის მიზანს ცხოვრებისეული პრობლემების გადაწყვეტისაგან გაქცევა წარმოადგენს, შეიძლება მივხვდეთ, რომ მას ხშირად ვარდნა ესიზმრება.

ეს სიზმრები თითქოსდა მას აფრთხილებენ: „არ ღირს ამის გაკეთება – წააგებ!“ ამრიგად, ვარდნაში მისი მომავლის ხედვა გამოიხატება. ასეთ სიზმრებს ადამიანთა დიდი უმრავლესობა ხედავს.

განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს გამოცდე-

ბის წინ სტუდენტის სიტუაცია. თუ ცნობილია, რომ სტუ-დენტი – გამცდენია, ადვილად შეიძლება მივხვდეთ, თუ რა დაემართება. ის მთელი დღე ნერვიულობს, კონცენტრირება არ შეუძლია და ბოლოს თავის თავს ეუბნება: „ძალიან ცოტა დრო მაქვს!“ მას გამოცდის გადატანა სურს, და ღამე რაღაც ვარდნა დაესიზმრება. ეს ასახავს მისი ცხოვრების სტილს, რამეთუ მიზნის მისაღწევად მსგავსი სიზმრები სჭირდება.

სხვა სტუდენტი, რომელიც კარგად სწავლობს, გამოც-დას შიშის გარეშე ეკიდება, ის თამამია და მომიზეზებას არა-სოდეს მიმართავს. ადვილი მისახვედრია, თუ რას ნახავს სიზმარში. გამოცდის *წინ* დაესიზმრება, რომ მაღალ მთაზე ადის და მთის მწვერვალების სილამაზით ტკბება. ეს ყველა-ფერი იქნება მისი ცხოვრების მსვლელობის და წინსვლის მიზნის ასახვა.

გარდა ამისა, არსებობს ადამიანთა ტიპი დადგენილი შეზღუდვებით, რომელთაც წინ წაწევა გარკვეულ მომენტამ-დე უნდათ. ამ ტიპის ადამიანთა სიზმრები რაღაც შეზღუდ-ვებთანაა დაკავშირებული და ასახავენ ადამიანებისაგან გა-ქცევის და სირთულეებისათვის თავის არიდების შეუძლებ-ლობას. ყველაზე ხშირად ესაა – დევნა და გამოდევნება.

ვიდრე სიზმრების მომდევნო ტიპზე გადავალთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ფსიქოლოგი არასდროს არ უნდა დააბნიოს სიტყვებმა: „არ შემიძლია ჩემი სიზმრების მოყოლა, რადგან ვერც ერთ მათგანს ვერ ვიხსენებ“. ფსიქოლოგმა იცის, რომ კლიენტის ფანტაზიას არ შეუძლია არაფრის შექმნა, გარდა იმისა, რასაც ცხოვრების სტილი უკარნახებს. კლიენტის მი-ერ გამოგონილი სიზმრები ისეთივე კარგია, როგორც მის მიერ დამახსოვრებული, რადგან მისი წარმოსახვა და ფანტა-ზიები მისი ცხოვრების სტილს ამავე ზომით ასახავს.

ადამიანის ცხოვრების სტილის ასახვისათვის სულაც არ არის აუცილებელი, რომ ფანტაზიები მის რეალურ სუ-

ლიერ მოძრაობებს ზუსტად კოპირებდნენ. არსებობს ადამიანთა ტიპები, რომლებიც ფანტაზიაში უფრო მეტ ხანს ცხოვრობენ, ვიდრე რეალობაში. ამ ტიპის ადამიანები, როგორც წესი, ფხიზელ მდგომარეობაში სულმოკლეები არიან, სიზმრებში კი – თამამები. თუმცა ყოველთვის მოიძებნება ისეთი წვრილმანები, რომლებიც საქმის ბოლომდე მიყვანის სურვილის არქონას ამჟღავნებენ. ისინი საკმაოდ კარგად ჩანან მათ ყველაზე თამამ სიზმრებშიც კი.

ნებისმიერი სიზმრის ამოცანა – უპირატესობის მიზნისაკენ გზის მოძებნაა. შეიძლება ითქვას, რომ სიზმრები წარმოადგენენ ერთ-ერთ საშუალებას, რომელიც ხელს უწყობს ეგრეთ წოდებული „ინდივიდის უპირატესობის ფარული მიზნის“ მიღწევას. ყველა ხილული სიმპტომი, სულიერი მოძრაობა და სიზმარიც წარმოადგენს მხოლოდ მომზადების ფორმას, რომელიც ადამიანს თავის საბოლოო მიზნამდე მისვლის შემძლედ ხდის, როგორიც არ უნდა იყოს ეს მიზანი: ყურადღების ცენტრში ყოფნა, სხვა ადამიანთა დამორჩილება და მათზე მეთაურობა ან გარკვეული ადამიანებისგან და სიტუაციებისგან განრიდება.

სიზმრის მიზანი არ გამოიხატება არც ლოგიკურად და არც საიმედოდ. სიზმარი მხოლოდ იმისათვის არსებობს, რათა შექმნას გარკვეული გრძნობა, განწყობა ან ემოცია, და სრულიად შეუძლებლად წარმოგვიდგება მისი გაურკვევლობის ნისლის გაფანტვა. თუმცა, ამ აზრით ის ფხიზლობის მდგომარეობისა და მისთვის დამახასიათებელი სულიერი მოძრაობებისაგან მხოლოდ სიღრმით, და არა ხარისხობრივად განსხვავდება. ჩვენ დავრწმუნდით, რომ ცხოვრების პრობლემებზე ფსიქიკის პასუხები ცხოვრების ინდივიდუალურ სქემაზეა დამოკიდებული: ისინი ვერ თავსდებიან ლოგიკის დადგენილ ჩარჩოებში, თუმცა საყოველთაო კეთილდღეობისათვის ჩვენს მიზანს სწორედ ამ ფარგლებთან მაქსი-

მალურად მიახლოება წარმოადგენს. და რამეთუ ჩვენ უკვე მივეცით განსაზღვრულობა ცნობიერი ცხოვრების დინამიკას, სიზმარში ცხოვრებაც კარგავს თავის ყოფილ იდუმალებას. ის ფაქტებისა და ემოციების იგივე ნარევის კიდევ ერთ გამოვლინებად გადაიქცევა, რომელსაც ჩვენ ფხიზლობის მდგომარეობაში აღმოვაჩენთ.

ძველ ადამიანებს სიზმრები ყოველთვის ძალიან იდუმალ მოვლენად ეჩვენებოდათ, და ისინი ჩვეულებრივ წინასწარმეტყველურ ახსნას მიმართავდნენ, სიზმრების მეშვეობით მომავალი მოვლენების განჭვრეტას ცდილობდნენ. ამაში მხოლოდ ნახევარსიმართლეა. სინამდვილეში სიზმარი – ესაა ხიდი, რომელიც აკავშირებს სიზმრის მნახველის წინაშე მდგარ პრობლემას იმ მიზანთან, რომლის მიღწევისკენაც მისწრაფვის. ამ აზრით სიზმარი ხშირად სიმართლედ იქცევა, რადგან სიზმრის დროს სიზმრის მნახველი თავის როლს თამაშობს და ასეთნაირად იმისათვის ემზადება, რომ ჩაფიქრებული სიმართლედ იქცეს. შეიძლება სხვანაირადაც ვთქვათ: სიზმრებში აისახება იგივე ურთიერთკავშირები, რაც ჩვენს დღიურ ცხოვრებაში. როცა ადამიანი ჭკვიანი და გამჭრიახია, მას შეუძლია მომავლის განჭვრეტა იმისგან დამოუკიდებლად, აანალიზებს ის თავის რეალურ ცხოვრებას თუ თავის სიზმრებს. ის უბრალოდ დიაგნოზს სვამს. მაგალითად, თუ ვინმეს ესიზმრება, რომ ნაცნობი გარდაიცვალა, და ადამიანი მართლა კვდება, ეს ყველაფერი სხვა არაფერია, თუ არა ფაქტი, რომლის განჭვრეტაც სავსებით შეეძლო ექიმს ან გარდაცვლილის ასლობელს. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ სიზმრის მნახველი სიზმარში უფრო გაბედულად ფიქრობს, ვიდრე ფხიზლობის მდგომარეობაში.

სწორედ იმიტომ, რომ სიზმრის შინაარსი – ნახევარსიმართლეა, სიზმარზე როგორც წინასწარმეტყველებაზე შეხედულება – ცრურწმენაა. სიზმრების ჩვეულებრივ იმ ადამია–

ნებს სჯერათ, რომელთაც სხვადასხვაგვარი ცრურწმენებისაც სწამთ. გარდა ამისა, მათ მხარს უჭერენ ისინი, ვისაც თავიანთი მნიშვნელოვნობის წინასწარმეტყველის სახელით განმტკიცება სურთ.

რა თქმა უნდა, სიზმრების გარშემო არსებული წინასწარმეტყველური ცრურწმენების და საიდუმლოების გასაფანტავად აუცილებელია იმის ახსნა, თუ ადამიანთა უმრავლესობას რატომ არ შეუძლია თავისი სიზმრების გაგება. ეს შეიძლება იმ ფაქტით აიხსნას, რომ ფხიზლობის მდგომარეობაშიც კი საკუთარ თავს ცოტა ადამიანი თუ იცნობს. ადამიანები იშვიათად ფლობენ რეფლექტური თვითანალიზის უნარს, რომელიც საშუალებას გვაძლევს დავინახოთ, თუ საით მივყავართ საკუთარი ცხოვრების ლოგიკას. სიზმრების ანალიზი კი, როგორც უკვე ვთქვით, უფრო რთულ და ბნელ საქმეს წარმოადგენს, ვიდრე დღიური ქცევის ანალიზი. ამრიგად, გასაკვირი როდია, რომ სიზმრების ანალიზი მიუღწეველი აღმოჩნდება ადამიანთა უმრავლესობისათვის. გასაკვირი როდია ისიც, რომ სიზმრების მდგენელთა შესახებ უცოდინრობის გამო ისინი შარლატანებს მიმართავენ.

კერძო ლოგიკა

თუ სიზმრების ლოგიკას შევადარებთ არა დღიური ცხოვრების ნორმალურ განვითარებას, არამედ წინა თავებში კერძო ლოგიკის მაგალითებად განხილულ მოვლენებს, ეს მათ გაგებაში უთუოდ დაგვეხმარება. მკითხველს ახსოვს დამნაშავეების, პრობლემური ბავშვების, ნევროტიკების განწყობების ჩვენეული აღწერა და ის, თუ როგორ ქმნიან ისინი გარკვეულ გრძნობას, მდგომარეობას ან განწყობას, რათა საკუთარი თავი ჩადენილის სისწორეში დაარწმუნონ. მაგალითად, მკვლელი საკუთარი თავის გასამართლებლად ამბობს:

„ეს ადამიანი სასიცოცხლო არაა. ვალდებული ვარ მოვკლა“. თუ ამოსავალ წერტილად იმ აზრს იღებს, რომ ამ დედამიწაზე ვინმე სიცოცხლის ღირსი არ არის, და ამ აზრს დაჟინებით ატარებს, ამით საკუთარ თავს მკვლელობისთვის ამზადებს.

მსგავსმა მსჯელობებმა შეიძლება ადამიანი იქამდე მიიყვანოს, რომ ის გარემოებაც კი, რომ ვინმეს მასზე უკეთესი შარვალი აცვია, ამ ადამიანისთვის უზარმაზარ მნიშვნელოვნობას იძენს და შესაძლოა მოშურნე ადამიანად გადააქციოს.

უპირატესობის მიზანი მისთვის სიმპატიური შარვლის ქონა გახდება, და სავარაუდოდ მისი გარკვეული ემოციის შემქმნელი სიზმარიც ამ მიზნის მიღწევისაკენ წარიმართება. საყოველთაოდ ცნობილი სიზმრები ამ აზრის ილუსტრაციად გამოდგებიან. ავიღოთ, მაგალითად, იოსების სიზმრები ბიბლიიდან; ამ სიზმრებში ყველა მის წინაშე ქედს იხრის. და ნათლად ჩანს, თუ ეს სიზმრები (კერძოდ, ფერად-ფერად საბურველთან დაკავშირებული ეპიზოდი) როგორ გადაეხლართებიან ძმების მიერ იოსების გაძევების ფაქტს.

ფრიად ცნობილია ბერძენი პოეტის სიმონიდეს სიზმარიც, რომელიც ერთხელ მცირე აზიაში ლექსების წასაკითხად მიიწვიეს. ის ყოყმანობდა და მოგზაურობას ყოველთვის გადადებდა ხოლმე, მიუხედავად იმისა, რომ გემი ნავსადგურში ელოდებოდა. მისი მეგობრები ცდილობდნენ აეძულებინათ გამგზავრებულიყო, თუმცა უშედეგოდ. იმ დროს მას დაესიზმრა, რომ მის წინაშე წარსდგა მიცვალებული, რომელიც მან ერთხელ ტყეში იპოვა, და თქვა: „რამეთუ ღვთისმოსაობა გამოავლინე და ტყეში ჩემზე იზრუნე, ახლა ჩემი ჯერია გაგაფრთხილო, რომ მცირე აზიაში არ გაემგზავრო“. გაღვიძებისას სიმონიდემ განაცხადა: „არსადაც არ წავალ“. თუმცა ამ სიზმრამდეც არ სურდა გამგზავრება. მან უბრალოდ საკუთარ თავს განსაზღვრული გრძნობა ან ემოცია შეუქმნა, რათა ადრე მიღებული დასკვნა განემტკიცებინა, თუმ-

ცა ამ თავისი სიზმრის აზრს მაინც ვერ მიხვდა.

ცხადია, რომ ადამიანი, რომელმაც იცის, თუ რა უნდა, თვითმოტყუების მიზნით ქმნის გარკვეულ ფანტაზიას, რა–საც მიჰყავს სასურველ გრძნობამდე ან ემოციამდე. ხშირად სიზმრიდან სწორედ ეს ამახსოვრდება.

რაც შეეხება სიმონიდეს სიზმრებს, ჩვენ მივედით შემ–დეგ პუნქტამდე: როგორი უნდა იყოს სიზმრების ახსნის პროცედურა? პირველ რიგში, საჭიროა ავითვისოთ, რომ სიზმარი – ადამიანის შემოქმედებითი ძალის ერთ–ერთი შე–მადგენელი ნაწილია. თავის სიზმარში სიმონიდემ ფანტაზი–ის დახმარებით ააგო თანმიმდევრულობა, აირჩია რა მკვდარ ადამიანთან დაკავშირებული შემთხვევა. მთელი თავისი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან რატომ მაინცდამაინც ეს ეპიზოდი შეარჩია? ალბათ, იმიტომ, რომ გემით მგზავრობის იდეა თავიდანვე ძალიან აშინებდა – იმ დროს საზღვაო მოგ–ზაურობა რეალურ საფრთხეს წარმოადგენდა. შესაძლოა, ეს იმის ნიშანი იყო, რომ მას არა უბრალოდ ზღვის ავადმყოფო–ბა, არამედ გემის შესაძლო დაღუპვა აშინებდა. სიკვდილზე ფიქრის გამო მისმა სიზმარმა მკვდარ ადამიანთან დაკავში–შირებული ეპიზოდი აირჩია.

თუ ჩვენ სიზმრებს ასეთნაირად მივუდგებით, მათი ახსნის ამოცანაც არც ისე რთული აღმოჩნდება. სურათების, მოგონებების და ფანტაზიების არჩევა გვეხმარება ადამიანის შინაგანი ცხოვრების მოძრაობის მიმართულების გაგებაში. ეს ყველაფერი ასახავს სიზმრის მნახველის ტენდენციას და სავ–სებით შეუძლია იმ მიზნის დანახვაში დახმარების გაწევა, რომლის მიღწევისკენაც მიისწრაფვის.

მოდით მაგალითისათვის ერთი ცოლიანი მამაკაცის სიზმარი განვიხილოთ. ის თავისი ოჯახური ცხოვრებით უკ–მაყოფილო იყო. მას ორი შვილი ჰყავდა, და მუდმივად ის აზრი აწუხებდა, რომ ცოლი მასზე არასაკმარისად ზრუნავდა

და დროს სხვა რამეებზე ხარჯავდა. ამის გამო ცოლს მუდმივად საყვედურობდა და მის გადაკეთებას ცდილობდა. ერთხელ ღამით დაესიზმრა, რომ მესამე შვილი ჰყავს, რომელიც დაიკარგა, მის მოძებნას ვერ ახერხებს და ცოლს ამ შვილზე არასაკმარისი ზრუნვის გამო საყვედურობს.

აქ მკაფიოდ ჩანს ამ ადამიანის ტენდენცია. ის სულ იმაზე ფიქრობს, რომ მისი ორი შვილიდან ერთ-ერთი შეიძლება დაიკარგოს, მაგრამ იმის გამბედაობა არ ჰყოფნის, რომ სიზმარში ერთ-ერთი მათგანი მოათავსოს. ამიტომ მესამე შვილს და მისი დაკარგვის სიტუაციას იგონებს.

გარდა ამისა, აქ მნიშვნელოვანია კიდევ ერთი მომენტი, სახელდობრ, ის, რომ ამ ადამიანს თავისი შვილები უყვარს და არ უნდა, რომ მათ რამე დაემართოთ. იმასაც გრძნობს, რომ ცოლი ორ შვილზე ზრუნვით ისედაც გადატვირთულია და მესამეს უბრალოდ ვეღარ მოერევა, რომ ეს მესამე შვილი დაიღუპება. ამრიგად, ჩვენ სიზმრის კიდევ ერთ ასპექტს აღმოვაჩენთ, რომელიც შეიძლება შემდეგი კითხვით გამოიხატოს: „უნდა მყავდეს კი მესამე შვილი?" სიზმრის რეალური შედეგი კი ის იყო, რომ მან ცოლის მიმართ მტრული განწყობა შეუქმნა. სინამდვილეში არავითარი ბავშვი არ დაკარგულა, მაგრამ დილით მან ცოლის მიმართ ცუდი გრძნობით გაიღვიძა, რომელიც მისი კრიტიკის საფუძველიც გახდა. საკმაოდ ხშირად ადამიანები დილით იღვიძებენ ღამის სიზმრებით შექმნილი ემოციების შედეგად ჩამოყალიბებული მზა არგუმენტებით. ეს ძალიან წააგავს ინტოქსიკაციის მდგომარეობას ან იმას, რაც დეპრესიისთვისაა დამახასიათებელი, როცა პაციენტი ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით საკუთარ თავს დამარცხების, სიკვდილის და ყველაფრის დაკარგვის შიშის იდეებით წამლავს.

ისიც ცხადია, რომ მამაკაცი, რომელზეც ვსაუბრობდით, თავისი სიზმრებისათვის იმ მომენტებს ირჩევს, რომლებთან

მიმართებითაც ის დარწმუნებულია თავის უპირატესობაში, როგორც, მაგალითად, გრძნობა: „მე ვზრუნავ შვილებზე, ჩემი ცოლი კი – არა, ამიტომაც ერთ–ერთი მათგანი დაიკარგა!“ ამ სიზმარში ვლინდება მისი პირველობისკენ მისწრაფება.

სიზმრების მიზეზები

სიზმრების ახსნის თანამედროვე მეთოდი დაახლოებით ოცდახუთი წლისაა. თავიდან სიზმრები ფროიდის მიერ განიხილებოდა, როგორც ინფანტილური სექსუალური სურვილების ასრულების ხერხი. ჩვენ ამ მიდგომას ვერ დავეთანხმებით, რადგან იმ ვარაუდმა, რომ სიზმრები – სურვილების ასრულებაა, იქამდე შეიძლება მიგვიყვანოს, რომ ყველაფრის ახსნა სურვილების ასრულების ტერმინებში მოხდება. იგივე შეიძლება ითქვას ნებისმიერ აზრზე – არაცნობიერის სიღრმეებში წარმოშობიდან ცნობიერებაში ყოფნის დრომდე. ამიტომაც სექსუალური დაკმაყოფილების ფორმულა კონკრეტულად არაფერს ხსნის.

შემდგომში ფროიდმა ვარაუდი გამოთქვა, რომ აქ ჩაებმება სიკვდილის სურვილი.

თუმცა სრულიად თვალსაჩინოა, რომ ბოლო სიზმრის ასეთი მიდგომით ახსნა არაფრით არ შეიძლება, რამეთუ სავსებით გამორიცხულია, რომ მამაკაცს უნდოდეს თავისი რომელიმე შვილის დაკარგვა ან სიკვდილი.

სინამდვილეში სიზმრების ამხსნელი კონკრეტული ფორმულა არ არსებობს, არის მხოლოდ ფსიქიკური ცხოვრების მთლიანობის და ძილში ცხოვრების თავისებური აფექტური ხასიათის შესახებ ჩვენ მიერ უკვე განხილული ზოგადი პოსტულატი. აფექტური ხასიათი და მისი თანმხლები თვითმოტყუება სიზმარს იმ თემას ამსგავსებენ, რომელსაც შეიძლება ბევრი ვარიაცია ჰქონდეს. ეს, კერძოდ, შედარებე–

ბისა და მეტაფორების არაცალსახობაში გამოიხატება. შედა–
რებების გამოყენება – საკუთარი თავის და სხვების მოტყუე–
ბის ერთ–ერთი საუკეთესო საშუალებაა. შეიძლება დარწმუ–
ნებით ითქვას, რომ შედარებებს ის ადამიანი მიმართავს, რო–
მელიც თავის თავში ფაქტებისა და ლოგიკის დახმარებით
სხვების დარწმუნების უნარს ვერ გრძნობს. ის ცდილობს
თქვენზე ზეგავლენის მოხდენას, რისთვისაც უსარგებლო და
ხელოვნურად შეთითხნილ შედარებებს იყენებს. პოეტებიც
ტყუიან, მაგრამ მათი ტყუილი სასიამოვნოდ ჟღერს. მათი
მეტაფორები და პოეტური შედარებები გვხიბლავენ და გვა–
ტკბობენ. თუმცა, უთუოდ, მათი დანიშნულება იმაში მდგო–
მარეობს, რომ ჩვენზე ისეთი ზემოქმედება მოახდინონ, რომ–
ლის მოხდენაც ჩვეულებრივი სიტყვებით შეუძლებელია. მა–
გალითად, ჰომეროსი ბერძენ მეომრებს ლომებს ადარებს. თუ
ზუსტად ვაზროვნებთ, ეს მეტაფორა ჩვენ ვერ მოგვატყუებს,
მაგრამ პოეტურ განწყობაში მყოფზე უთუოდ დამათრობელ
ზემოქმედებას მოახდენს. ავტორი თითქოს შთაგვაგონებს,
რომ მას რაღაც სასწაულებრივი ძალა გააჩნია. ამას ის ვერ
მოახერხებდა ჯარისკაცების ტანსაცმლის, მათი იარაღის და
სხვა წვრილმანების უბრალო აღწერით. რაღაც ამის მსგავსი
ემართება ადამიანს, რომელსაც ახსნა უჭირს: სხვისი დარწ–
მუნების უუნარობის გაცნობიერებისას, იგი შედარებებს მი–
მართავს. როგორც ვთქვით, შედარებების ასეთი ხმარება –
თვითმოტყუებაა, და ამ მიზეზით ისინი სიზმრებში ასე ფარ–
თოდ არიან წარმოდგენილნი – სურათებში, სიზმარში წარ–
მოქმნილ სახეებში და ა.შ. ეს ყველაფერი – თვითმოწამვლის
არტისტული ხერხია.

მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ სიზმრები ემოციურად
მომწამლავნი არიან, შესაძლო შხამსაწინააღმდეგო საშუალე–
ბის ძებნას გვაიძულებს. ადამიანს, რომელსაც თავისი სიზმ–
რები ესმის და მათ გამაბრუებელ ზემოქმედებას აცნობიე–

რებს, სიზმრის შეჩერების უნარი გააჩნია. ყოველ შემთხვევა–ში ეს მეთოდი მოცემული წიგნის ავტორს გამოადგა, რომელ–მაც, მივიდა რა სიზმრისეული საქმიანობის გაგებამდე, მისი შეჩერებაც ისწავლა. აქ უნდა დავამატოთ, რომ მსგავსმა გაც–ნობიერებამ მიზნის მისაღწევად ემოციურ ცხოვრებაში რა–დიკალური გარდაქმნები უნდა მოახდინოს.

სწორედ ეს დაემართა ავტორს მისი უკანასკნელი სიზმ–რის გავლენით, რომელიც ომის პერიოდს ეხებოდა. თავისი ვალდებულებების გამო მან დიდი ძალისხმევა იხმარა, რათა ერთი ადამიანი ფრონტზე სახიფათო ადგილას გაგზავნისა–გან ეხსნა. ამ პერიოდში ერთხელ სიზმარში ნახა, რომ ვიღაცა მოკლა, მაგრამ თუ ვინ, მისთვის გაუგებარი დარჩა. ის ლო–გინში იწვა და თავის თავს გაოცებული ეკითხებოდა: „მაინც ვინ მოვკალი?“ სინამდვილეში კი იმ აზრით იყო გამსჭვალუ–ლი, რომ ყველაფერი გაეკეთებინა ჯარისკაცის შედარებით მშვიდ ადგილას მოსაწყობად და მისი სიკვდილისგან გადა–სარჩენად. სიზმრის ემოციას სწორედ ამ აზრამდე მიჰყავდა, და როცა ის სიზმრის ამ ხრიკს მიხვდა, სიზმრებს საერთოდ აღარ ხედავდა, რამეთუ აღარ სჭირდებოდა საკუთარი თავის მოტყუება და ისეთი რამეების გაკეთება, რომელთა ლოგიკუ–რი მიზეზებით გაკეთება ან არგაკეთება მასზე იყო დამოკი–დებული. ჩვენ მიერ ნათქვამი შეიძლება პასუხად გამოდგეს ფრიად გავრცელებულ კითხვაზე: „ზოგიერთი ადამიანი რა–ტომ საერთოდ არ ხედავს სიზმრებს?“ არიან ადამიანები, რომელთაც არ სურთ საკუთარი თავის მოტყუება. ისინი ღიად აღიქვამენ ცხოვრების დინამიკას და მის ლოგიკას და პრობლემებს არ გაურბიან. და თუ ასეთი ტიპის ადამიანებს დროდადრო რაღაც ესიზმრებათ, მათ ეს, როგორც წესი, ძა–ლიან სწრაფად ავიწყდებათ, იმდენად სწრაფად, რომ ეჩვენე–ბათ, რომ სიზმრებს საერთოდ არ ხედავენ.

ეს იმ ვარაუდისთვის საბაბს გვაძლევს, რომ სიზმრებს

ყოველთვის ვხედავთ, მაგრამ მათ უმეტესობას ვივიწყებთ. თუ ასეთ თეორიას მივიღებთ, მაშინ ის ფაქტი, რომ ზოგიერ-თები სიზმრებს არასდროს არ ხედავენ, შეიძლება სხვანაი-რად დავასაბუთოთ: სიზმრებს ისინიც ხედავენ, მაგრამ მათ ყოველთვის ივიწყებენ. ავტორი ამას არ ეთანხმება. მას მაინც სჯერა, რომ არიან ადამიანები, რომლებიც სიზმრებს მართლა არ ხედავენ, მაგრამ არიან სიზმრის ისეთი მნახველებიც, რომლებიც თავიანთ სიზმრებს ზოგჯერ ივიწყებენ. არსები-თად ასეთი თეორიის უკუგდება ძნელია. მაგრამ მოდით, მტკიცებულებების ტვირთი მის მომხრეებს დავაკისროთ.

რატომ ერთიდაიგივე სიზმარი ზოგჯერ არაერთხელ მეორდება? ეს ფრიად საინტერესო ფაქტია, რომელსაც ცალ-სახა ახსნა არ გააჩნია. თუმცა, ჩვენ შეიძლება აღმოვაჩინოთ, რომ ასეთ განმეორებად სიზმრებში ცხოვრების სტილი გაცი-ლებით უფრო ნათლადაა გამოხატული. განმეორებადი სიზ-მარი ჩვენ გვაძლევს სრულიად განსაზღვრულ და შეუმცდარ მითითებას იმაზე, თუ რაში მდგომარეობს ინდივიდის უპი-რატესობის მიზანი.

გრძელი და გაშლილი სიზმრების შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ, რომ სიზმრის მნახველი სიტუაციისთვის ბო-ლომდე მზად არ არის: ის პრობლემასა და მიზნის მიღწევას შორის ხიდის ძიებაში იმყოფება. ამ მიზეზით მოკლე სიზმ-რების გაგება ნაკლებ სირთულეებთანაა დაკავშირებული. ზოგჯერ სიზმარი ერთადერთი სურათისგან, რამდენიმე სი-ტყვისაგან შედგება. და ეს ნათლად გვიჩვენებს, თუ სიზმრის მნახველი უმცირესი ძალისხმევით როგორ ცდილობს საკუ-თარი თავის მოტყუებას.

ძილი, სიფხიზლე და ჰიპნოზი

ჩვენს მსჯელობას ძილის საკითხის განხილვით დავამ-

თავრებთ. ადამიანთა დიდი უმრავლესობა ასეთ საკითხებს უსარგებლოდ მიიჩნევს. მათ ჰგონიათ, რომ ძილი სიფხიზ-ლის დაპირისპირებულობაა, რომ ის „სიკვდილის ძმაა". თუ-მცა ასეთი თვალსაზრისი მცდარია. ძილი სიფხიზლის არა დაპირისპირებულობას, არამედ მის სხვა ხარისხს წარმოად-გენს. ძილში ადამიანი ცხოვრებისგან არაა მოწყვეტილი, პი-რიქით, ის ფიქრობს და ესმის. ზოგადად, ძილში იგივე ტენ-დენციები ვლინდება, რაც სიფხიზლის მდგომარეობაში.

მაგალითად, არიან დედები, რომელთაც ქუჩის ნების-მიერი ხმაური ვერ გააღვიძებს, მაგრამ თუ მათი შვილი ოდ-ნავ გაინძრევა, ისინი მაშინვე წამოხტებიან. როგორც ჩანს, ძილის შეწყვეტა მხოლოდ ისეთ რაღაცას შეუძლია, რომე-ლიც რეალური ინტერესის სფეროს ეკუთვნის.

ის ფაქტი კი, რომ ჩვენ საწოლიდან არ ვვარდებით, იმა-ზე მიუთითებს, რომ ძილშიც კი სივრცობრივ საზღვრებს ვა-ცნობიერებთ.

პიროვნების მთლიანობა როგორც ღამით, ისე დღისით ვლინდება. ჰიპნოზის ფენომენიც ამით აიხსნება. როგორი ძლიერი უნდა იყოს ცრურწმენა, რომ ის, რაც სინამდვილეში სხვა არაფერია, თუ არა ძილის ნაირსახეობა, მაგიურ ძალად აღვიქვათ!

მაგრამ პირველ შემთხვევაში ერთ ადამიანს სურს მეო-რეს დაემორჩილოს და იცის, რომ ამ მეორეს სურს იგი დაა-ძინოს. ზუსტად იგივე, ოღონდ უფრო მარტივი ფორმით, ხდება მაშინ, როცა მშობლები ამბობენ: „ნუ, საკმარისია, ახლა კი – ძილის დროა!" – და ბავშვი ემორჩილება. ჰიპნოზშიც შე-დეგები იმიტომ მიიღწევა, რომ ადამიანი მორჩილია, და და-ჰიპნოზების სიადვილე მისი მორჩილების პროპორციულია.

ჰიპნოზის დროს შეგვიძლია ადამიანს ვაიძულოთ შექ-მნას სურათები, გააკეთოს დასკვნები, გაიხსენოს ის, რისი შე-ქმნა და გაცნობიერება სიფხიზლის მდგომარეობაში არსებუ-

ლი აკრძალვების გამო შეუძლებელია. არის მხოლოდ ერთი მოთხოვნა – მორჩილება. ამ მეთოდის დახმარებით ზოგჯერ შეიძლება იმ პრობლემის გადაჭრის ხერხის მოძებნა, რომელიც, მაგალითად, დავიწყებულ ადრეულ მოგონებებს ეხება.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ თერაპიაში პაციენტთან ურთიერთმოქმედების მეთოდად ჰიპნოზის გამოყენება სახიფათოა. ავტორი ზოგადად არ იწონებს ჰიპნოზს და მას მხოლოდ იმ უკიდურეს შემთხვევებში მიმართავს, როცა პაციენტს არც ერთი სხვა მეთოდის არ სჯერა. შეიძლება აღმოვაჩინოთ, რომ ჰიპნოზში ნამყოფი ადამიანები საკმაოდ შურისმაძიებლები არიან. თავიდან ისინი ნამდვილად გადალახავენ თავიანთ სირთულეებს, თუმცა ამასთან არ ცვლიან ცხოვრების საკუთარი სტილის რეალობას. ეს აბებს ან მექანიკურ საშუალებას წააგავს: ადამიანის ჭეშმარიტი ბუნება ხელუხლებელი რჩება. თუ ადამიანს მართლა გვინდა დავეხმაროთ, ის უნდა გავამსნევოთ, საკუთარ თავში დავარწმუნოთ და საკუთარი შეცდომები გავაცნობიერებინოთ. ეს ყველაფერი ჰიპნოზის დროს შეუძლებელია, ამიტომ ჰიპნოზის პრაქტიკაში გამოყენება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებშია დასაშვები.

თავი 8. აღზრდა და პრობლემური ბავშვები

როგორ უნდა აღვზარდოთ ჩვენი შვილები? შესაძლოა, თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეს ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია. ინდივიდუალურ ფსიქოლოგიას ამ პრობლემაზე თავისი შეხედულება აქვს. აღზრდა, მიუხედავად იმისა, ის სახლში ხდება თუ სკოლაში, – ესაა პიროვნების აღზრდის და მისთვის მიმართულების მიცემის მცდელობა. ამიტომ ფსიქოლოგიური მეცნიერება – აღზრდის მეთოდიკის საფუძველია, ან, თუ გნებავთ, ყოველგვარი აღზრდა შეიძლება განვიხილოთ როგორც ვრცელი ფსიქოლოგიუ–

რი მეცნიერების – ცხოვრების ხელოვნების – დარგი.

სკოლა და საზოგადოებრივი იდეალები

დავიწყოთ ზოგიერთი წინასწარი შენიშვნით. აღზრდის ყველაზე ზოგადი პრინციპი იმაში მდგომაეობს, რომ ის უნ–და ეთანხმებოდეს ადამიანის შემდგომ ცხოვრებას, იმ რეა–ლობას, რომელთანაც შეჯახება მოუწევს. ეს გულისხმობს, რომ აღზრდა უნდა შეესაბამებოდეს ერის იდეალებს, წინააღ–მდეგ შემთხვევაში აღსაზრდელებს საკმაოდ გაუჭირდებათ საზოგადოებაში ცხოვრება: ისინი იქ თავს მყუდროდ ვერ იგ–რძნობენ.

რა თქმა უნდა, ერის იდეალები ზოგჯერ იცვლებიან – მკვეთრად – რევოლუციის შედეგად, ან თანდათანობით – ევოლუციის პროცესში. და ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ აღმზრდელს უნდა ჰქონდეს ერთგვარი განზოგადოებული იდეალი. ეს უნდა იყოს ისეთი იდეალი, რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში მართებულია და ადამიანს ცვალებად გარემო–ებებზე მორგებას ასწავლის.

სკოლის საზოგადოებრივ იდეალებთან კავშირი, ბუნე–ბრივია, მთავრობის მიერაა უზრუნველყოფილი. სწორედ მი–სი გავლენის შედეგად ეროვნული იდეალები სასკოლო სის–ტემაში აისახებიან. მთავრობისთვის პრაქტიკულად არარეა–ლურია თითოეულ მშობლამდე ან ოჯახამდე მიღწევა, მაგ–რამ თავისივე ინტერესებისათვის ის სკოლებს თვალყურს ყურადღებით ადევნებს.

ისტორიულად დროის სხვადასხვა პერიოდებში სკო–ლები სხვადასხვა იდეალებს ასახავდნენ.

თავდაპირველად ევროპაში სკოლების ორგანიზება არისტოკრატიული ოჯახებისათვის ხდებოდა, ისინი სული–თაც არისტოკრატიულები იყვნენ და მათში მხოლოდ არის–

ტოკრატები სწავლობდნენ. შემდგომში სკოლები ეკლესიე-ბის დაქვემდებარებაში გადავიდნენ და რელიგიოზური ხა-სიათი შეიძინეს. თუმცა, ცოდნისადმიც ერის მოთხოვნები დროთა განმავლობაში გაიზარდა.

ფართოვდებოდა შესასწავლი დისციპლინების რაოდე-ნობა, გაიზარდა მასწავლებლებზე მოთხოვნილება, რომელ-საც ეკლესია უკვე ვეღარ აკმაყოფილებდა. ამრიგად, პროფე-სიას ეუფლებოდნენ ადამიანები, რომელთაც ეკლესიასთან არაფერი აკავშირებდათ.

ბოლო დრომდე მასწავლებლები მხოლოდ მასწავლებ-ლობით თითქმის არასოდეს იფარგლებოდნენ: ისინი მეწა-ღეობდნენ, მკერვალობდნენ და ასე შემდეგ. გასაკვირი რო-დია, რომ სწავლების ძირითად საშუალებად როზგებს იყე-ნებდნენ. ბუნებრივია, რომ ასეთ სკოლაში ბავშვთა ფსიქო-ლოგიური პრობლემების გადაწყვეტა შეუძლებელი იყო.

ევროპაში განათლებისადმი თანამედროვე მიდგომას საფუძვლები პესტალოციმ ჩაუყარა.

პესტალოცი (1746–1827) პირველი მასწავლებელი იყო, რომელმაც როზგისა და დასჯის გარდა, სხვა პედაგოგიური მეთოდი იპოვა.

პესტალოცი ჩვენთვის იმითაა ფასეული, რომ სკოლი-სათვის მეთოდიკის დიდი მნიშვნელობა გვიჩვენა. სწორი მე-თოდების გამოყენებით ნებისმიერ ბავშვს (გონებრივად ჩა-მორჩენილების გარდა) შეიძლება ვასწავლოთ კითხვა, წერა, სიმღერა და თვლა. არ შეიძლება იმის თქმა, რომ სრულყო-ფილი მეთოდიკები უკვე გამოგონებულია. ისინი მუდმივად იმყოფებიან სრულყოფის და განვითარების პროცესში.

ევროპული სკოლის ისტორიის ხსენებისას, უნდა აღვ-ნიშნოთ, რომ მას შემდეგ, რაც პედაგოგიურმა ტექნიკებმა გარკვეულ დონეს მიაღწია, დიდი მოთხოვნილება ჩნდება წერა–კითხვის და ანგარიშის მცოდნე მუშაკებზე, რომლებიც

არ საჭიროებენ მუდმივ ხელმძღვანელობას. ამ დროს წინა პლანზე ჩნდება ლოზუნგი: „სკოლა – თითოეულ ბავშვს!“ დღევანდელ დღეს ამ პირობების ამსახველი ეკონომიკური ცხოვრებისა და იდეალების ცვლილებების შედეგად თითოეული ბავშვი ვალდებულია სკოლაში იაროს.

ოდესღაც ევროპაში გავლენით მხოლოდ არისტოკრატები სარგებლობდნენ, საჭირო სამუშაო ძალას კი ჩინოვნიკები და მუშები წარმოადგენდნენ. ისინი, ვინც მაღალი თანამდებობების დასაკავებლად ემზადებოდნენ – უმაღლეს სკოლებში მიდიოდნენ; დანარჩენებისათვის კი სკოლის კარები დაკეტილი იყო.

განათლების სისტემა დროის ეროვნულ იდეალებს ასახავდა. დღესდღეობით სასკოლო სისტემა ახალ ეროვნულ იდეალებს შეესაბამება. არცთუ ისე დიდიხნის წინ ჩვენს სკოლებში ბავშვები წყნარად, ხელებდაკრეფილნი უნდა მჯდარიყვნენ და არ განძრეულიყვნენ.

ახლა ჩვენს სკოლებში ბავშვები მასწავლებლების მეგობრები არიან. ისინი ავტორიტეტებს უკვე აღარ ემორჩილებიან, მათგან მორჩილებას თითქმის არ მოითხოვენ და უფრო დამოუკიდებლად განვითარების საშუალებას აძლევენ. ბუნებრივია, საუბარია იმ სკოლებზე, რომლებიც მრავლადაა დემოკრატიულ შეერთებულ შტატებში, რამეთუ სკოლები ყოველთვის ვითარდებიან ქვეყნის იდეალების შესაბამისად, რომლებიც თითქოსდა სამთავრობო ბრძანებებში კრისტალიზდებიან.

ოჯახის გავლენა

სასკოლო სისტემა ეროვნულ და სოციალურ იდეალებთან ორგანულადაა დაკავშირებული, რაც, როგორც ვნახეთ, მისი წარმოშობით და ორგანიზაციის სისტემითაა გან-

პირობებული. ეს ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მას, როგორც აღმზრდელობით დაწესებულებას, დიდ უპირატესობას აძლევს. ფსიქოლოგია გვასწავლის, რომ აღზრდის ძირითადი მიზანი სოციალურ ადაპტაციაში მდგომარეობს. ამჟამად სკოლისათვის ოჯახთან შედარებით ბავშვის სოციალიზაციის დონის რეგულირება უფრო ადვილია, რამეთუ ის ერის მოთხოვნებთან უფრო ახლოსაა და ბავშვების კრიტიკაზე ნაკლებადაა დამოკიდებული. ის ბავშვებს არ ანებივრებს და გაცილებით უფრო მიუკერძოელი განწყობები გააჩნია.

გარდა ამისა, ოჯახი სოციალური იდეალებით ყოველთვის არ არის გამსჭვალული.

ძალიან ხშირად მასში ტრადიციები დომინირებენ.

მხოლოდ იმ პირობით, თუ მშობლები თავად არიან სოციალურად ადაპტირებულები და ესმით, რომ აღზრდის მიზანი სოციალურია, შეიძლება ამ სფეროში ნამდვილი პროგრესის მიღწევა. თუკი მშობლები ამ ყველაფერს აცნობიერებენ და მას გაგებით ეკიდებიან, ჩვენ გვეყოლება სწორად აღზრდილი და სკოლისთვის მომზადებული ბავშვები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რამეთუ სწორედ სკოლაში ისინი მართლაც ემზადებიან ცხოვრებაში თავისი განსაკუთრებული ადგილის დასაკავებლად.

ამრიგად, საჭიროა, რომ ბავშვის იდეალები როგორც სახლში, ისე სკოლაში ვითარდებოდნენ; სკოლა ოჯახსა და ერს შორის უნდა იდგეს.

წინა თავებში ჩვენ დავასკვენით, რომ ბავშვის ცხოვრების სტილი ოთხი–ხუთი წლის ასაკში ყალიბდება და მისი შემდგომში გარდაქმნა არცთუ ისე ადვილია. ეს დასკვნა იმ გზას მიუთითებს, რომლითაც თანამედროვე სკოლამ უნდა იაროს. მან არ უნდა გააკრიტიკოს ან დასაჯოს, პირიქით, უნდა შეეცადოს ბავშვებში საზოგადოებრივი გრძნობის ფორმირებას, აღზრდას და განვითარებას. თანამედროვე სკოლა არ

უნდა ეფუძნებოდეს დამორჩილების და ცენზურის პრინ-ციპს, ის უნდა ეყრდნობოდეს ბავშვის პირადი პრობლემების გაგების და გადაჭრის სურვილს. მეორეს მხრივ, მშობლები და შვილები ოჯახში საკმაოდ ხშირად ერთმანეთთან ფრიად მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი, ამიტომ სოციალური თვისებების ფორმირების მცდელობებში აღმზრდელი ბევრ სირთულეებს ეჯახება. მშობლები ხშირად შვილების საკუ-თარი თავისთვის აღზრდას ამჯობინებენ, ამ ტენდენციამ კი ბავშვი შემდგომ ცხოვრებაში შეიძლება სერიოზულ კონფ-ლიქტამდე მიიყვანოს. ასეთ ბავშვებს სიძნელეები სკოლაში-ვე უჩნდებათ, სკოლის შემდეგ ცხოვრება კი სულ უფრო და უფრო რთული პრობლემებით ჯერდება.

ამ სიტუაციის გასამკლავებლად მშობლების აღზრდა-ცაა საჭირო. ხშირად ეს არცთუ ისე მარტივია, რამეთუ მოზ-რდილთან საერთო ენის გამონახვა ყოველთვის ადვილი არ არის. მშობლებთან კონტაქტში შესვლის შემთხვევაშიც კი შე-იძლება აღმოვაჩინოთ, რომ ისინი ერის იდეალებით მაინც-დამაინც დიდად არ არიან დაინტერესებულნი, რადგან ტრა-დიციებში იმდენად ღრმად არიან ჩაფლულნი, რომ იმის გარდა, რაც უკვე იციან, არაფრის გაგებას არც ცდილობენ .

რამეთუ მშობლებთან ეფექტიანი მუშაობის შესაძლებ-ლობა არ გაგვაჩნია, მთელი ჩვენი ძალისხმევა უნდა მოვახმა-როთ ახალი გაგების საყოველთაოდ გავრცელებას. შეტევის მთავარი პუნქტი – სკოლებია. პირველ რიგში იმიტომ, რომ სწორედ აქ იკრიბება ბავშვთა ყველაზე დიდი რაოდენობა, და მეორე რიგში იმიტომ, რომ აქ ოჯახთან შედარებით გაცი-ლებით მკვეთრად ვლინდებიან ცხოვრების სტილის შეცდო-მები; დაბოლოს, იმიტომ, რომ მასწავლებელი იმთავითვე – ბავშვთა პრობლემების გამგები ადამიანია.

ნორმალური ბავშვები, თუკი ასეთები არსებობენ, ჩვენი თვალთახედვის მიღმა რჩებიან. თუ ჩვენს წინაშე არიან სრუ-

ლად განვითარებული და სოციალურად ადაპტირებული ბავშვები, საუკეთესო, რისი გაკეთებაც შეგვიძლია, – არ დავ–თრგუნოთ ისინი. ასეთმა ბავშვებმა თავისი გზით უნდა ია–რონ, რამეთუ, უპირატესობის გრძნობის განვითარებით, მათ შეუძლიათ დამოუკიდებელნი გახდნენ თავიანთი ცხოვრე–ბის საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნის ძიებაში. სწო–რედ იმიტომ, რომ მათი უპირატესობის გრძნობას სარგებე–ლი მოაქვს, ის უპირატესობის კომპლექსს არ წარმოადგენს.

მეორეს მხრივ, პრობლემურ ბავშვებს, ნევროტიკებს, დამნაშავეებს ახასიათებთ როგორც უპირატესობის, ისე არა–სრულფასოვნების გრძნობა, რომლებიც უსარგებლო ხასიათს ატარებენ. მათი უპირატესობის კომპლექსი ყოველთვის არა–სრულფასოვნების კომპლექსის კომპენსაციას წარმოადგენს. არასრულფასოვნების გრძნობა კი, როგორც ჩვენ ვაჩვენეთ, ნებისმიერ ადამიანურ არსებას გააჩნია, მაგრამ ეს გრძნობა კომპლექსად მხოლოდ მაშინ გადაიქცევა, თუ ადამიანს თავ–გზას იმ დონემდე უბნევს, რომ მას უსარგებლო მიმართულე–ბით მოქმედებას აიძულებს.

არასრულფასოვნების და უპირატესობის კომპლექსის პრობლემები თავისი ფესვებით ბავშვის ოჯახური ცხოვრე–ბის სკოლამდელ პერიოდში მიდიან. სწორედ ამ დროს ხდება მისი ცხოვრების სტილის ფორმირება, რომელსაც ბავშვურ ვარიანტში „პროტოტიპს“ ვუწოდებთ. პროტოტიპი მოუმწი–ფებელ ხილს წააგავს – თუ მოუმწიფებელი ხილი, მაგალი–თად, მატლიანია, მაშინ რაც უფრო მწიფდება და ვითარდება, მატლის მიერ მით უფრო მეტად იჭმევა.

პრობლემური ბავშვები

როგორც ვნახეთ, სირთულეები დაზიანებული ორგა–ნოების პრობლემებით იწყება.

სწორედ ფიზიკურ არასრულყოფილებასთან დაკავში-
რებული სიძნელეები არასრულფასოვნების გრძნობის ყვე-
ლაზე ხშირი პირველმიზეზია, და აქვე უნდა ვახსენოთ, რომ
პრობლემის ფესვს წარმოადგენს არა ორგანული არასრულ-
ფასოვნება, არამედ მისი თანმდევი სოციალური შეუგუებ-
ლობა. ეს ფაქტი სწავლებისა და აღზრდის შესაძლებლობებ-
ზე მეტყველებს. თუ ადამიანს სოციალური შეგუება ასწავ-
ლეს, მაშინ მისი ორგანული დაზიანებები შეიძლება დაბრ-
კოლებიდან ფასეულ თვისებად გადაიქცნენ. ჩვენ ვნახეთ,
რომ ორგანული აშლილობები შეიძლება ძალიან მდგრადი
ინტერესის საწყისი გახდეს, რომელსაც სწავლების პროცესში
სათანადო განვითარებისას შეუძლია ადამიანის მთელი ცხო-
ვრება მართოს, ხოლო თუ მას სასარგებლო კალაპოტში წარვ-
მართავთ, შეიძლება პიროვნების ცხოვრებაში უმნიშვნელო-
ვანესი როლი ითამაშოს.

ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ ორგანული
სიძნელეები სოციალური შეგუების გზას როგორ შეუთავს –
დება. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ბავშვს კარგად აქვს
განვითარებული მხოლოდ სმენითი ან მხოლოდ ვიზუალუ-
რი აღქმა, მის მიერ გრძნობის ყველა ორგანოს გამოყენების
ინტერესის განვითარება მთლიანად მასწავლებელზეა დამო-
კიდებული. მისი შესაბამისი ძალისხმევის გარეშე ის სწავლა-
ში დანარჩენ ბავშვებს ჩამორჩება და ვერ აითვისებს იმას, რაც
სხვა ბავშვებისთვის სირთულეს არ წარმოადგენს.

ბევრ თქვენთაგანს შეუნიშნავს, თუ ცაცია ბავშვი რო-
გორი მოუხეშავი იზრდება. როგორც წესი, არავინ იცის მისი
გადახრის შესახებ, და ეს უფრო ხელს უწყობს მის მოუქნე-
ლობას. თავისი განსაკუთრებულობის გამო ის ოჯახთან მუ-
დმივ უთანხმოებაში იმყოფება. ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ ასე-
თი ბავშვები ხდებიან ან აგრესიულები და მოჩხუბრები – რაც
მათთვის უპირატესობას წარმოადგენს, – ან დეპრესიულები

და გულფიცხები. როცა ასეთი პრობლემების მქონე ბავშვი სკოლაში მიდის, იგი ან მებრძოლი, ან დაღვრემილი, გულ–ფიცხი და გაუბედავი ხდება.

დაზიანებული ორგანოების მქონე ბავშვების გარდა, სკოლაში პრობლემები ბევრ განებივრებულ ბავშვსაც აქვს, რამეთუ სკოლების ორგანიზაციის ხერხის გამო ფიზიკურად შეუძლებელია ერთი ბავშვი მუდმივად ყურადღების ცენტრ–ში იმყოფებოდეს. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ კეთილმა და გულჩვილმა მასწავლებელმა ძირითადი ყურადღება თავის გამორჩეულებს დაუთმოს, მაგრამ რამეთუ ბავშვი კლასიდან კლასში გადადის, რაღაც მომენტში ის ამ მეურვეობას მაინც დაკარგავს. შემდგომში მისი საქმეები კიდევ უფრო ცუდად წავა, რადგან ჩვენს ცივილიზაციაში ის ადამიანი, რომელსაც რაიმე დამსახურების გარეშე ყოველთვის ყურადღების ცენ–ტრში ყოფნა უნდა, დიდი პატივისცემით არ სარგებლობს.

ყველა ამ პრობლემურ ბავშვს მათთვის დამახასიათებე–ლი თვისებები გააჩნია: რთულ ცხოვრებისეულ სიტუაციებ–ში ისინი ცუდად ადაპტირდებიან, მეტისმეტად ამბიციურე–ბი არიან და უნდათ საკუთარი წესების დამყარება საზოგა–დოების ინტერესების გათვალისწინების გარეშე. გარდა ამი–სა, ისინი მტრულად არიან განწყობილნი და გარშემომყოფ ადამიანებთან მუდმივად ჩხუბობენ. როგორც წესი, ასეთი ბავშვები მშიშრები არიან, რადგან აკლიათ ცხოვრების მიერ დასმული პრობლემების გადასაჭრელად საჭირო ინტერესი და ძალა: ბავშვობაში გადაჭარბებული მეურვეობის გამო ამ პრობლემების წინაშე მოუმზადებელნი აღმოჩნდნენ.

კიდევ ერთი დამახასიათებელი თვისება, რომელიც ასეთ ბავშვებში აღმოვაჩინეთ – ესაა ზედმეტი სიფრთხილე და მუდმივი ეჭვებისკენ მიდრეკილება. ისინი თავიანთი პრობლემების გადაწყვეტას ან გადადებენ ხოლმე, ან მათ სა–ერთოდ გაურბიან, ერთ ადგილზე ჩერდებიან და ბოლომდე

არასდროს არაფერი არ დაჰყავთ.

ეს თვისებები გაცილებით უფრო აშკარად ვლინდებიან სკოლაში, ვიდრე ოჯახში. რამეთუ სკოლა ექსპერიმენტს ან მჟავის ტესტს ემსგავსება, თვალსაჩინო ხდება, თუ რამდენადაა შეგუებული ბავშვი საზოგადოებრივ ცხოვრებას და მასში წარმოქმნილ პრობლემებს. ხშირად ცხოვრების არასწორი სტილი სახლში ფარული და გამოუცნობელი რჩება, სკოლაში კი ვლინდება.

როგორც განებივრებულ, ისე ორგანული დეფექტების მქონე ბავშვებს ყოველთვის უნდათ ცხოვრების სირთულეების „გამორიცხვა", რამეთუ მათი არასრულფასოვნების ძლიერი გრძნობა მათთან გამკლავების შესაძლებლობას ართმევს. თუმცა სკოლაში რთული სიტუაციების გაკონტროლება მაინც შესაძლებელია ასეთი ბავშვების რეალურ სირთულეებთან თანდათანობითი მიახლოებით. სკოლა ის ადგილი ხდება, სადაც ჩვენ მართლა ვღზრდით, და არა მხოლოდ მითითებებს ვაძლევთ.

ორი ზემოთ ხსენებული ტიპის გარდა, აგრეთვე საჭიროა უარყოფილი ბავშვების ტიპის განხილვა. როგორც წესი, ამ ტიპს მიკუთვნებული ბავშვი უსიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს, ესაა უბედური, სოციალური ცხოვრებისთვის აბსოლუტურად მოუმზადებელი არსება. შესაძლოა, ყველა არსებული ტიპიდან სკოლაში ყველაზე მეტი სირთულეები სწორედ მასთანაა დაკავშირებული.

ამრიგად, მოსწონთ თუ არ მოსწონთ ეს მასწავლებლებს და ადმინისტრაციას, სრულიად აშკარაა, რომ ბავშვების ამ ფსიქოლოგიური პრობლემების გაგება და მათი გადაწყვეტის მეთოდების გაუმჯობესება სკოლაში მუშაობის განუყოფელი ნაწილი უნდა გახდეს.

განსაკუთრებით პრობლემური ბავშვების გარდა, არიან კიდევ ბავშვები, რომლებსაც ნიჭიერებად თვლიან. ისინი

განსაკუთრებით გამორჩეული ბავშვებია. ზოგჯერ, იმის გ–
მო, რომ რაღაც საგნებში წინ არიან, სხვა საგნებშიც ბრწყინვა–
ლედ გამოიყურებიან. ისინი მგრძნობიარენი, ამბიციურები
არიან, და კლასში ხშირად არ უყვართ. საერთოდ ბავშვები
ძალიან კარგად გრძნობენ, თუ თითოეული მათგანი სოცია–
ლურად რამდენადაა ადაპტირებული.

ნიჭიერი ბავშვები აღფრთოვანებას იწვევენ, მაგრამ
სიმპატიით ნაკლებად სარგებლობენ.

სკოლაში ნიჭიერი ბავშვები თავს სავსებით ნორმალუ–
რად გრძნობენ, მაგრამ როცა საზოგადოებაში დამოუკიდე–
ბელ ცხოვრებას იწყებენ, მასთან მიმართებით ხშირად ადექ–
ვატური გეგმები არ გააჩნიათ. პრობლემები ჩნდებიან, როცა
მათ წინაშე დგება ადამიანური არსებობის სამი ძირითადი
საკითხის გადაჭრის აუცილებლობა. ესენია – საზოგადოება–
ში ცხოვრება, საქმიანობა, სიყვარული და ქორწინება.

ამ სამ სიტუაციაში ზედაპირზე ამოტივტივდება ის,
რაც პროტოტიპის ფორმირების პერიოდში ჩამოყალიბდა;
უწინარეს ყოვლისა, თვალსაჩინო ხდება ოჯახში მათი არა–
საკმარისი ადაპტაციის შედეგები. შემარბილებელი ოჯახური
ფაქტორების წყალობით არგამოვლენილი პროტოტიპის ყვე–
ლა შეცდომა ცხოვრების ახალ საპასუხისმგებლო სიტუაცი–
ებში ვლინდება.

საინტერესოა, რომ ამ კავშირს მწერლებიც ამჩნევდნენ.
ძალიან ბევრი პოეტი და დრამატურგი თავის ნაწარმოებებში
აღწერდა მსგავს სიტუაციებში პერსონაჟების რთულ სულიერ
მოძრაობებს და ცხოვრებისეულ კოლიზიებს. შექსპირს ნორ–
ტუმბერლენდი გამოჰყავს მეფის მიმართ ლოიალურ პერსო–
ნაჟად რეალური საფრთხის წარმოქმნის მომენტამდე, რომე–
ლიც ნორტუმბერლენდს მოღალატეობისკენ უბიძგებს. ანუ
შექსპირს კარგად ესმის ის ფაქტი, რომ ადამიანის ცხოვრების
ჭეშმარიტი სტილი რთულ გარემოებებში მკაფიოდ ვლინდე–

ბა, და ისიც, რომ მის ფორმირებაში ეს რთული გარემოებები მონაწილეობას არ იღებენ: ისინი მხოლოდ იმას ავლენენ, რაც ადრე იყო ჩამოყალიბებული.

მკურნალობა

ინდივიდუალური ფსიქოლოგია გვთავაზობს ნიჭიერი ბავშვების პრობლემის იგივე მეთოდებით გადაწყვეტას, რომლებიც სხვა ტიპების დასახმარებლად გამოიყენებიან.

ინდივიდუალური ფსიქოლოგიის დემოკრატიული მაქსიმა – „ნებისმიერ ადამიანს ყველაფრის მიღწევა შეუძლია“ – ასუსტებს ნიჭიერი ბავშვების პოზიციებს, რომელთა ცხოვრებაც გართულებულია მათი გარემომცველი ადამიანების მოლოდინებით და რომლებიც ყველანაირად ცდილობენ პირველობის მოპოვებას, ასე რომ საკუთარი პერსონისადმი ინტერესი მათთვის მთავარი ხდება. ამ მაქსიმის ამთვისებელ ადამიანებს ზოგჯერ ისეთი ბავშვები ჰყავთ, რომელთაც პატივმოყვარეობა და გადაჭარბებული ამბიციურობა არ ახასიათებთ; ისეთი ბავშვები, რომელთაც ესმით, რომ მათი მიღწევები წარმოადგენენ გულმოდგინების და გამართლების შედეგს და რომ თუ სწავლას ასევე ბეჯითად გააგრძელებენ, მოახერხებენ მთელი თავისი პოტენციალის რეალიზებას. თუმცა, მაშინაც კი, თუ გავლენა არც ისე ხელსაყრელია და აღზრდა და სწავლება არც ისე ეფექტიანი იყო, მათ მაინც შეუძლიათ ბევრი რამის მიღწევა, თუ მასწავლებელი ამ მეთოდის გაგებაში დაეხმარება. მათ შეიძლება უბრალოდ სითამამე არ ეყოთ და არასრულფასოვნების გადაჭარბებული გრძნობისაგან ნაკლებად დაცულნი იყვნენ, რაც დროთა განმავლობაში მათ სულ უფრო და უფრო მეტ ცხოვრებისეულ სირთულეებს შეუქმნის.

გასაგები ხდება, თუ ახლა ისინი მეცადინეობებს რატომ

აცდენენ ან სკოლაში საერთოდ არ დადიან. მათ ჰგონიათ, რომ სკოლაში წარმატების არავითარი შანსი არა აქვთ, და თუ ეს წარმოდგენა სწორია, უნდა დავეთანხმოთ, რომ მათი ქმედებები თანმიმდევრული და რაციონალურია. თუმცა ინდივიდუალი ფსიქოლოგია არ აღიარებს აზრს მათი უიმედობის შესახებ. მას სჯერა, რომ ყველას შეუძლია რაღაც მნიშვნელოვანის და სასარგებლოს გაკეთება, რომ ყოველთვის შეიძლება დაშვებული შეცდომების გამოსწორება, რაც ბავშვს მისცემს ნორმალური ცხოვრებისა და განვითარების საშუალებას.

სამწუხაროდ, როგორც წესი, სიტუაცია კონსტრუქციულად ვერ წყდება. სწორედ მაშინ, როცა ბავშვი სასკოლო საქმეებით ისედაც დატვირთულია, დედა უფრო მომთხოვნი და მოჩიჩინე ხდება. გაუთავებელი საყვედურები, კრიტიკა და გაკიცხვები, რომლებიც სასკოლო ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, სახლშიც კი გრძელდება. ძალიან ხშირად სანიმუშო განებივრებული შინაური ბავშვი პრობლემურ მოსწავლედ იქცევა, რამეთუ ის ოჯახთან კონტაქტს კარგავს და მასში თავს იჩენს არასრულფასოვნების ფარული კომპლექსი. სწორედ მაშინ დამთმობი დედა შეიძლება მისი სიძულვილის ობიექტი გახდეს, რადგან მას ეჩვენება, რომ ის ატყუებდა.

მისი ადრეული ქცევა და კეთილმოსურნეობა ახალი სიტუაციის დაძაბულობის გამო დავიწყებულია.

ხშირად სახლში აქტიური და აგრესიული ბავშვი სკოლაში წყნარი, მშვიდი და დათრგუნულიც კი აღმოჩნდება. ზოგჯერ დედა სკოლაში მიდის და ჩივის: „მთელი დღე კუდში დავსდევ! მის ოინებს ბოლო არ უჩანს!“ მისდა გასაოცრად მასწავლებელი პასუხობს, რომ მისი ვაჟიშვილი მთელი დღე წყნარად ზის და თითქმის არ მოძრაობს. ზოგჯერ კი, პირიქით, დედის მიერ მისი „მშვიდი და საყვარელი ბავშვის“ აღწერის პასუხად მასწავლებელი აღშფოთებით ამბობს: „ეს ბავშვი მთელ კლასს მიფუჭებს“. ადვილი მისახ-

ვედრია, თუ რა არის ამ სიტუაციის მიზეზი: სახლში ბავშვი ყურადღების ცენტრში იმყოფება და ამიტომ წყნარი და ნაკ–ლებად მომთხოვნია. სკოლაში კი ყურადღების მიქცევის–თვის ჩხუბი უწევს ან მსგავსი სახის სხვა მრავალფეროვანი საშუალებისათვის მიმართვა.

მაგალითისათვის განვიხილოთ ერთი რვა წლის გოგო–ნას შემთხვევა, რომელიც მეგობრებს ძალიან უყვარდათ და რომელიც მთელი კლასის ლიდერი იყო. მამამისი თერაპევტ–თან ასეთი სიტყვებით მივიდა: „ჩვენ აღარ შეგვიძლია ამ ბავ–შვის ატანა. ის ნამდვილი ტირანია რაღაც სადისტური მიდ–რეკილებებით!" შევეცადოთ გავერკვიოთ ამ სიტუაციის მი–ზეზებში. გოგონა ოჯახში პირველი შვილი იყო; მისი მშობ–ლები – ფრიად სუსტი, უნდილი ადამიანები იყვნენ (უნდა ითქვას, რომ ბავშვის დაცინვის ობიექტი, როგორც წესი, მხო–ლოდ სუსტი ადამიანები ხდებიან). როცა მეორე ბავშვი დაი–ბადა, ამ გოგონამ თავი საფრთხეში იგრძნო და, სურდა რა ყურადღების ცენტრში დარჩენა, სახლში ომი გააჩაღა. სკო–ლაში ის თავის ფასეულობას გრძნობდა და ამიტომ ბრძოლი–სათვის არავითარი მიზეზი არ გააჩნდა.

ზოგიერთი ბავშვი ძალიან განიცდის, თუ სკოლაშიც და სახლშიც აკრიტიკებენ. შედეგად მათ მიერ შეცდომების დაშ–ვების ალბათობა იზრდება. ასეთ სიტუაციაში, როცა ბავშვს არსად არ უმართლებს, ამის მიზეზები წარსულში უნდა ვე–ძებოთ, ცხოვრების ყველა სფეროში მის ქცევაზე დაკვირვე–ბით. ბავშვის ცხოვრების სტილისა და მიზნის გასაგებად სა–ჭიროა მისი ცხოვრებისეული გამოვლინებების ყველა დეტა–ლის ცოდნა.

ისეც ხდება, რომ უთუოდ კარგად ადაპტირებული ბავ–შვი ახალ სასკოლო სიტუაციაში მოხვედრისას შეიძლება არაადაპტირებულად მოგვეჩვენოს. ჩვეულებრივ ეს მაშინ ხდება, როცა ბავშვი მის წინააღმდეგ განწყობილ ახალ კო–

ლექტივში მოდის. მოვიყვანოთ მაგალითი. ჩვეულებრივი, თუმცა საკმაოდ მდიდარი ოჯახის შვილი არისტოკრატიულ სკოლაში შევიდა. რამეთუ მისი წარმოშობა არისტოკრატიული არ იყო, ამხანაგები მის წინააღმდეგ განეწყვნენ. ამრიგად, განებივრებული და საკმაოდ ბედნიერი ბავშვი მოულოდნელად მტრულ ატმოსფეროში აღმოჩნდა. ზოგჯერ თანაკლასელების სისასტიკე მსგავს სიტუაციებში იმ ზომამდე მიდის, რომ გაკვირვებას იწვევს, თუ ბავშვი ყველაფერ ამას როგორ უძლებს. უმეტეს შემთხვევაში ბავშვს სცხვენია სახლში ამის მოყოლისა და ამ საშინელ განცდას უჩუმრად იტანს.

ხშირად ასეთი ბავშვები თექვსმეტი–თვრამეტი წლის ასაკში, იმ ასაკში, როცა უკვე დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებენ, სითამამის ნაკლებობის გამო ჩერდებიან. სოციალურ სიძნელეებთან გამკლავების შეუძლებლობის გარდა, შემდგომში სიყვარულშიც და ქორწინებაშიც პრობლემები უჩნდებათ, რამეთუ შეუპოვრობა და გამტანობა არ გააჩნიათ.

რა უნდა ვიღონოთ ასეთ შემთხვევაში? ბავშვები, რომლებზეც ვლაპარაკობთ, მთელი სამყაროსგან განცალკევებულნი არიან ან თავს განცალკევებულად გრძნობენ. ისინი მზად არიან თავის თავს ზიანი მიაყენონ, რათა სხვებიც დაზიანონ, და ამიტომ თვითმკვლელობაზე წამსვლელები არიან. მათ შორის ისეთებიც არიან, რომელთაც უბრალოდ გაქრობა სურთ, და ისინი მართლაც ქრებიან... ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში. ბოლოს ისინი უკანასკნელ სოციალურად აუცილებელ უნარებს კარგავენ – არ ლაპარაკობენ ჩვეულებრივი მანერით, არ უახლოვდებიან ადამიანებს და მთელ სამყაროს წინ აღუდგებიან. ასეთ მდგომარეობას შიზოფრენიას ეძახიან. ამ ადამიანების დასახმარებლად, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა მათთვის სითამამის დაბრუნების ხერხის მოძებნა. ეს ძალიან სერიოზული შემთხვევებია, მაგრამ განკურნება აქაც შესაძლებელია.

რამეთუ ფსიქოლოგიური პრობლემების მქონე ბავშვებ–თან მუშაობა, პირველ რიგში, ცხოვრების სტილის დიაგნოზ–ზეა დამოკიდებული, უნდა განვიხილოთ ინდივიდუალური ფსიქოლოგიის მიერ შემუშავებული დიაგნოსტირების მე–თოდები. უთუოდ, ცხოვრების სტილის დიაგნოსტირების გამოყენება ფსიქოლოგიური პრაქტიკის მრავალ სფეროში შეიძლება, აღზრდაში კი უბრალოდ აუცილებელია.

ზრდისა და ჩამოყალიბების წლებში ბავშვის უშუალო შესწავლის გარდა, ინდივიდუალური ფსიქოლოგია საჭი–როდ მიიჩნევს ბავშვის ადრეული მოგონებებისა და მომავალ საქმიანობასთან დაკავშირებული ფანტაზიების შესწავლას. გარდა ამისა, საჭიროა თვალყურის დევნება ბავშვის მიხვრა–მოხვრაზე და სხეულის მოძრაობაზე და ოჯახურ იერარქიაში მისი ადგილის, – რომელიც სხვა და–ძმის არსებობაზე და დაბადების რიგითობაზეა დამოკიდებული, – მიხედვით გარკვეული დასკვნის გაკეთება. თითოეული ეს მეთოდი ადრე უკვე განვიხილეთ. შესაძლოა, ამჟამად საჭიროა კვლავ დავუბრუნდეთ ბავშვის ოჯახში მდგომარეობას, რამეთუ აღ–ზრდისა და განვითარებისათვის ამ კომპონენტს დიდი მნიშ–ვნელობა აქვს.

როგორც ჩვენ ვნახეთ, მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ პირველი შვილი ოჯახში თავიდან ერთადერთია, შემდეგ კი კარგავს ამ მდგომარეობის ყველა უპირატესობას და იმ დიდ ძალაუფლებას, რომლითაც თავისი დაბადების დროიდან ტკბებოდა. მეორეს მხრივ, უმცროსი შვილების ფსიქოლოგია დეტერმინირებულია მათ ცხოვრებაში პირმშოს არსებობით. უფროს შვილებს ხშირად ახასიათებს კონსერვატული გან–წყობის გაბატონება. ისინი თვლიან, რომ ხელისუფლებაში ის უნდა დარჩეს, ვინც ძალაუფლებას ფლობს. მათ ხომ თავისი

ძალაუფლება მხოლოდ შემთხვევითობის გამო დაკარგეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ძალაუფლების გემო სულაც არ დაუკარგავთ.

მეორე შვილის ცხოვრებისეული სიტუაცია ძირფესვიანად განსხვავებულია. მას თავიდანვე ჰყავს ლიდერი, რომელთანაც გათანაბრებას ცდილობს. ის არ აღიარებს ძალაუფლებას და უყვარს, როცა ის იცვლება. მას ახასიათებს დინამიკის გრძნობა და მემარულესავით წინ გასწრების სურვილი, რაც მის მოძრაობებშიც აისახება. ის ცდილობს შეცვალოს მეცნიერების და ბუნების კანონები და თავისი ბუნებით რევოლუციონერია, ამასთან არა იმდენად პოლიტიკაში, რამდენადაც სოციალურ ცხოვრებაში და გარშემომყოფებთან მიმართებით. ამის კარგი მაგალითია იაკობისა და ესავის შესახებ ბიბლიური ისტორია.

იმ შემთხვევაში, როცა რამდენიმე შვილი ერთად იზრდება და გარკვეული დროის შემდეგ კიდევ ერთი იბადება, ეს უკანაკნელი შვილი პირმშოს სიტუაციის მსგავს სიტუაციაში აღმოჩნდება.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ოჯახში ყველაზე უმცროსის მდგომარეობა. ჩვენ, რა თქმა უნდა, ნაბოლარას ვგულისხმობთ. მისი მდგომარეობის უპირატესობა იმაშია, რომ ჩამოგდება არასოდეს ემუქრება. მეორე შვილმა შეიძლება თავისი ძალაუფლება დაკარგოს, რაც მისთვის ხშირად ტრაგედიაა, მაგრამ ეს შეუძლებელია ყველაზე უმცროსის ცხოვრებაში. მაშასადამე, მისი მდგომარეობა ყველაზე ხელსაყრელია, და თუ ცხოვრების ყველა დანარჩენი გარემოება ერთნაირია, შეიძლება დავინახოთ, რომ ყველაზე უმცროსი შვილი ყველაზე კარგად ვითარდება. ის მეორე შვილის მსგავსად ძალიან ენერგიულია და ცდილობს სხვებს აჯობოს. მის ცხოვრებისეულ დისტანციაზეც ლიდერები არსებობენ. მაგრამ ყველა დანარჩენით მისი გზა მთლი-

ანად განსხვავდება ოჯახის სხვა წევრების განვითარებისა–
გან. მაგალითად, თუ საუბარია მეცნიერთა ოჯახზე, შვილე–
ბიდან ყველაზე უმცროსი შეიძლება მუსიკოსი ან მრეწველი
გახდეს; პრაქტიკული ადამიანების ოჯახში კი – უმცროსი
შვილი შეიძლება პოეტი გამოვიდეს. ის ყოველთვის სხვანაი–
რია, სხვებისგან ყველაფრით განსხვავდება და ცხოვრებაში,
როგორც წესი, სულ სხვა გზას ირჩევს. ის ამჯობინებს რაღაც
სხვა საქმიანობით დაკავდეს, ვიდრე ოჯახის ტრადიციებს
მისდიოს და მის სხვა წევრებთან მუდმივ შეჯიბრში იყოს.
უნდა ითქვას, რომ ეს უკანასკნელი შეიძლება შეფასდეს, რო–
გორც სითამამის აშკარა ნაკლებობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ოჯახში ბავშვის მდგომარეობის
ცოდნაზე დაფუძნებული ჩვენი პროგნოზები – ესაა გარკვეუ–
ლი ტენდენციების და არა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში
აუცილებლად შესრულებადი კანონზომიერებების აღწერა.

მართლაც, თუ პირველი შვილი გამორჩეულია, ის შეი–
ძლება მეორემ საერთოდ ვერ განდევნოს. თუ ასეთი ბავშვი
სოციალურად კარგად არის ადაპტირებული, შესაძლოა, დე–
დამ სხვების – ახალშობილის ჩათვლით – მიმართ ინტერესი
ჩაუნერგოს. მეორეს მხრივ, ის ფაქტი, რომ პირმშოს დაჩრ–
დილვა შეუძლებელია, მეორე შვილს ცხოვრებაში დიდ სირ–
თულეებს უქმნის – მას შეიძლება სერიოზული ფსიქოლოგი–
ური პრობლემებიც კი წარმოეშვას. ხშირად ასეთი ბავშვების
გამოცდილება ძალიან მტკივნეულია, რამეთუ ცხოვრების
დასაწყისშივე მათ სითამამე და იმედი ეკარგებათ. მოპაექრე
ბავშვებს გამარჯვების იმედი ყოველთვის უნდა ჰქონდეთ,
და როცა ეს იმედი ქრება – ყველაფერს აზრი ეკარგება.

ოჯახში ერთადერთი ბავშვი თავის სირთულეებს განი–
ცდის. მისი ტრაგედია იმაშია, რომ მთელი ბავშვობის წლები
ის ყურადღების ცენტრში იყო და ახლაც ცენტრში ყოფნა მი–
სი ცხოვრების მიზანი გახდა. მიზნისაკენ მისწრაფებაში ის

არა ლოგიკას, არამედ თავისი ცხოვრების სტილს მისდევს.

ერთადერთი ბიჭის მდგომარეობა ასევე საკმაოდ რთულია იმ ოჯახში, სადაც ყველა დანარჩენი გოგონაა. ზოგიერთს ჰგონია, რომ ასეთ ბიჭს უნდა ჰქონდეს ქცევის გოგონასეული მანერა და გოგონასეული გემოვნებები, მაგრამ ეს თვალსაზრისი მთლად სწორი არ არის (გავიხსენოთ, რომ ჩვენ ყველანი ქალების მიერ ვართ გაზრდილნი). მაგრამ, რამეთუ ოჯახის ცხოვრების ნირი გოგონებზეა მორგებული, გარკვეული პრობლემები მაინც გაუჩნდება. სახლში შესვლისთანავე შეიძლება მიხვდეთ, თუ ვინ უფრო მეტია ოჯახში: ბიჭები თუ გოგოები. წესრიგი, ბგერები, აქსესუარები – ყველაფერი განსხვავებულია. ოჯახებში, სადაც ბიჭები ჭარბობენ, მეტი დამტვრეული ნივთებია, და ბევრად უფრო მეტი სისუფთავეა იმ სახლებში, სადაც გოგონები ჭარბობენ.

ქალების გარემოცვაში ბიჭს ყოველთვის სურს მამაკაცად გამოიყურებოდეს და თავის მამაკაცურ თვისებებს აზვიადებს, ზოგჯერ კი ქალაჩუნად იზრდება. დაკვირვების დროს აღმოვაჩინეთ, რომ ასეთ პირობებში გაზრდილი ბიჭები ან ნაზები და რბილები, ან საერთოდ თავდაუჭერლები არიან. შემდგომ ცხოვრებაში ისინი ნებისმიერი შემთხვევით სარგებლობენ, რათა ხაზი გაუსვან მამაკაცის სქესთან თავის მიკუთვნების ფაქტს.

ძმების გარემოცვაში მცხოვრები ერთადერთი გოგონა არანაკლებ რთულ სიტუაციაში აღმოჩნდება. ის ან წყნარი და ქალურია, ან თავისი ძმების მიბაძვას ცდილობს და შესაბამისად მათ მსგავსად ვითარდება. იმის რისკიც არსებობს, რომ მას არასრულფასოვნების გრძნობა გაუჩნდება, რომლის მიზეზიცაა – საზოგადოებრივ იერარქიაში ბიჭების პრივილეგიური მდგომარეობა. არასრულფასოვნების კომპლექსი შეიძლება იმ გრძნობის გამოც განვითარდეს, რომ ის –„ერთადერთი“ გოგონაა, ხოლო მისი უპირატესობის კომპლექსის

სახით კომპენსაცია, როგორც წესი, გარეგან გამოვლინებებში და ტანსაცმელში ბიჭების მიბაძვის მცდელობაში ვლინდება, შემდგომ ცხოვრებაში კი იმ სექსუალურ ურთიერთობებში შესვლაში, რომლებიც, მისი წარმოდგენით, მამაკაცებს აქვთ.

ოჯახში ბავშვის მდგომარეობის პრობლემის მიმოხილ–ვას იმ კერძო შემთხვევის განხილვით დავამთავრებთ, როცა პირმშო – ბიჭია, მეორე შვილი კი – გოგო. მსგავს სიტუაციაში მათ შორის ყოველთვის მძაფრი შეჯიბრი არსებობს. გოგონას არა მხოლოდ ის ფაქტი აფუცხუნებს, რომ ის მეორე შვილია, არამედ ისიც, რომ ის – გოგოა. ამიტომაც ბეჯითად სწავლობს და საერთოდ ავლენს მეორე ბავშვის ტიპისათვის დამახასია–თებელ ყველა თვისებას – ენერგიულობას, თავისის გამტანო–ბას, დამოუკიდებლობას, – და რომელიღაც მომენტში ბიჭმა შეიძლება შეამჩნიოს, რომ მათ ფარულ შეჯიბრში გოგონა მას სულ უფრო და უფრო უახლოვდება.

როგორც ცნობილია, ფიზიკურად და გონებრივად გო–გონები ბიჭებზე უფრო სწრაფად ვითარდებიან: მაგალითად, თორმეტი წლის გოგონა გაცილებით უფრო განვითარებუ–ლია, ვიდრე იმავე ასაკის ბიჭი. ბიჭმა, ხედავს და ვერ ხსნის რა ამას, შეიძლება თავისი არასრულფასოვნება იგრძოს და გარკვეულ დაიმობაზეც კი წავიდეს. დაბნეული ჩერდება და წინ წასვლის მაგივრად უკან დახევის გზების ძებნას იწყებს.

ზოგჯერ იგი გამოსავალს მხატვრულ შემოქმედებაში პოულობს, სხვა შემთხვევებში კი ნევროტიკად ან დამნაშა–� იქცევა, ან ავადდება.

აღწერილი სიტუაცია ფსიქოლოგისათვის სირთულეს მაშინაც კი წარმოადგენს, თუ მისი განწობა არის: „ნებისმიერ ადამიანს ყველაფრის მიღწევა შეუძლია“. მოცემულ შემთხ–ვევაში უმჯობესია ბიჭს ვუჩვენოთ, რომ გოგონას ლიდერობა მისი დიდი გულმოდგინების, შეუპოვრობის და ძიების შე–დეგია. მათ ურთიერთობებში გამეფებული კონკურენციის

ატმოსფეროს დაძაბულობის შემცირების მიზნით ისეთი სფეროს მოძებნაა საჭირო, სადაც და და ძმა ერთმანეთს მინიმალურად შეეჯიბრებიან.

თავი 9. ცხოვრების მცდარი სტილი: ავადმყოფობის ისტორია

შეიძლება პარადოქსალურად მოგვეჩვენოს, რომ ინდივიდუალური ფსიქოლოგიის მიზანი – სოციალური ადაპტაციაა. თუმცა აქ პარადოქსი მხოლოდ სიტყვების შეთანაწყობაში არსებობს. კონკრეტული ინდივიდის ფსიქოლოგიური ცხოვრების დაწვრილებით შესწავლით დავადგინეთ, თუ მასში სოციალური ელემენტი რამდენად მნიშვნელოვანია. ინდივიდუალური მხოლოდ სოციალურ კონტექსტში შეიძლება არსებობდეს. ფსიქოლოგიის სხვა სკოლებისაგან განსხვავებით, ჩვენ ერთმანეთისაგან არ განვასხვავებთ ეგრეთ წოდებულ „ინდივიდუალურ“ და „სოციალურ“ ფსიქოლოგიას. წინა გვერდებზე შევეცადეთ ცხოვრების ინდივიდუალური სტილის გაანალიზებას, თუმცა ანალიზი ყოველთვის სოციალური თვალსაზრისით განიხილებოდა და მისი საბოლოო მიზანიც სოციალურ ხასიათს ატარებდა.

ახლა გავაგრძელოთ ჩვენი ანალიზი, სოციალური ადაპტაციის პრობლემაზე უფრო დიდი აქცენტის გაკეთებით. ჩვენ დავუბრუნდებით იგივე ფაქტებს, რომლებიც წინა თავებში განვიხილეთ, მაგრამ ცხოვრების სტილის დიაგნოსტიკის დეტალური კვლევის ნაცვლად განვიხილავთ ცხოვრების სტილს მოქმედებაში, აგრეთვე იმ მეთოდებსაც, რომელთაც ცხოვრების სტილის გამოვლინებაზე გავლენის მოხდენა შეუძლიათ.

სოციალური პრობლემების ანალიზი გამომდინარეობს აღზრდის პრობლემების ანალიზიდან, რომლებიც წინა თა-

ვის თემას შეადგენდა. სკოლა და საბავშვო ბაღი – მინიატუ-
რული სოციალური ორგანიზაციებია, რომელთა მაგალით-
ზეც გამარტივებული ფორმით შესაძლებელია ცუდი სოცია-
ლური შემგუებლობის პრობლემების შესწავლა.

ადრეული ბავშვობა

ჩვენი პრობლემის საილუსტრაციოდ განვიხილოთ ერ-
თი ხუთი წლის ბავშვის ქცევა. დედამისმა თერაპევტს იმაზე
ჩივილით მიმართა, რომ მისი ვაჟიშვილი მოუსვენარია, ჰი-
პერაქტიურია, ერთი სიტყვით, მის გადამკიდეს საზრუნავი
არ ელევა. ამბობდა, რომ დაღლილობისგან საღამოს თავს გა-
მოფიტულად გრძნობს. ისიც თქვა, რომ ამის ატანა შეუძლე-
ბელია და თუ ამას მიზანშეწონილად ჩათვლიან, ვაჟიშვილის
სახლიდან გაშვებაზეც კი თანახმაა.

ვიცით რა ამ ბიჭის ქცევის დეტალები, მოდით თავი
მის ადგილზე წარმოვიდგინოთ. როგორ იქცევა ხუთი წლის
ნებისმიერი ჰიპერაქტიური ბავშვი? ის მაგიდაზე ქუჩის ფეხ-
საცმლით ძვრება, სისუფთავეს არ იცავს; თუ დედამისს წიგ-
ნის წაკითხვა მოუნდება, სინათლის ამომრთველთან თამაშს
იწყებს. როცა მშობლებს ფორტეპიანოზე დაკვრა ან დუეტში
სიმღერა მოუნდებათ, იგი ღრიალს იწყებს ან ყურებში თი-
თებს იცობს იმის ნიშნად, რომ ეს ხმაური არ მოსწონს. თუ
თავისის გატანას ვერ ახერხებს, ცხარდება, – მოკლედ, მუდამ
რაღაც უნდა!

თუ მსგავს ქცევას საბავშვო ბაღში შევნიშნავთ, შეიძლე-
ბა დარწმუნებით ვთქვათ, რომ ბავშვს ჩხუბის ატეხვა უნდა
და ყველა მისი ქმედება ამისკენაა მიმართული. დღე და ღამე
მოუსვენარია, იმ დროს როცა მისი მშობლები ქრონიკული
დაღლილობის მდგომარეობაში იმყოფებიან. თავად კი არას-
დროს არ იღლება, რამეთუ, მშობლებისაგან განსხვავებით, არ

აკეთებს იმას, რაც არ უნდა. მას უბრალოდ აქტივობა უყვარს. და აგრეთვე ცდილობს სხვების ყურადღების მიქცევას.

შემდეგი კონკრეტული შემთხვევა იმის კარგ ილუსტ-რაციად გამოდგება, თუ ეს ბიჭი როგორ იბრძვის ყურადღე-ბის ცენტრში ყოფნისათვის. ერთხელ მშობლებმა კონცერტზე წაიყვანეს, რომელშიც თავად მონაწილეობდნენ. მათი გამოს-ვლის მომენტში ბიჭმა ხმამაღლა წამოიძახა: "სალამი, მამა!" – და გასასვლელისკენ გაიქცა. ასეთი ქცევის წინასწარი განჭვ-რეტა სავსებით შესაძლებელი იყო, თუმცა მშობლებს მისი მიზეზები არ ესმოდათ. ისინი თავის შვილს ნორმალურ ბავ-შვად თვლიდნენ, მიუხედავად იმისა, რომ აშკარად არანორ-მალურად იქცეოდა.

თუმცა გარკვეული აზრით ის მაინც ნორმალური იყო: მას ჰქონდა ცხოვრების გონივრული გეგმა, და ამ გეგმას მისი საქციელები სრულად შეესაბამებოდნენ. გეგმის ცოდნის შემ-თხვევაში შეიძლება იმ საქციელებზე ვივარაუდოთ, რომლე-ბიც მისგან გამომდინარეობენ. იმ დასკვნის გაკეთებაც შეიძ-ლება, რომ ბიჭი, რომელზეც ვსაუბრობთ, არ არის გონებრი-ვად ჩამორჩენილი, რადგან გონებრივად ჩამორჩენილი ადა-მიანი გონივრულ ცხოვრებისეულ გეგმას უბრალოდ ვერ შე-ადგენს.

როცა დედამისი სტუმრებს იღებდა, ბიჭი მათ სკამები-დან აგდებდა, რამეთუ ყოველთვის სწორედ იმ სკამზე დაჯ-დომა უნდოდა, რომელიც უკვე დაკავებული იყო. ბიჭის ასე-თი ქცევა აშკარად მისი პროტოტიპიდან გამომდინარეობს და მისი ცხოვრების მიზანს შეესაბამება. ეს მიზანი კი იმაში მდგომარეობს, რომ თავისი უპირატესობის დემონსტრირე-ბას ახდენდეს, სხვებს მართავდეს და დედ–მამის ყურადღე-ბას განუყოფლად ეუფლებოდეს.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს ხუთი წლის ბიჭი ნებივ-რობას მიეჩვია და თუ კვლავ გააგრძელებდნენ თავის ნებაზე

მიშვებას, მაშინ მისი ქცევა ასეთი გამომწვევი არ იქნებოდა. სხვა სიტყვებით, ამ ბავშვმა, ალბათ, დაკარგა თავისი ადრინ–დელი უფრო ხელსაყრელი პოზიცია.

როგორ შეიძლება ეს მომხდარიყო? შესაძლოა, ოჯახში უმცროსი ძმა ან და გაჩნდა. და ამის შედეგად ეს ხუთი წლის ბიჭი ახალ სიტუაციაში აღმოჩნდა, თავი ჩამოგდებულად იგ–რძნო და ყველანაირად ცდილობდა ოჯახში, მისი აზრით, დაკარგული გამორჩეულის მდგომარეობის დაბრუნებას. ის მშობლების ყურადღებისათვის იბრძოდა, აიძულებდა რა მუდმივად მისით დაკავებულიყვნენ. არსებობს მისი ასეთი ქცევის კიდევ ერთი მიზეზი.

ადვილი შესამჩნევია, რომ ცხოვრების პირველმა წლებ–მა ეს ბავშვი ახალი ცხოვრებისეული სიტუაციებისათვის ვერ მოამზადეს, ხოლო ის გარემოება, რომ მშობლები ყველა სურვილს უსრულებდნენ, მისი ერთობის გრძნობის განვი–თარებას ხელს არაფრით არ უწყობდა. ამიტომ ის სრულიად არ იყო სოციალურად ადაპტირებული და მხოლოდ საკუთა–რი თავი და პირადი კეთილდღეობა აინტერესებდა.

როცა დედას შეეკითხნენ, თუ ბიჭი უმცროს ძმას რო–გორ ეპყრობოდა, ის დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ უმც–როსი ძმის მიმართ დადებითად იყო განწყობილი. მასში უკ–მაყოფილებას მხოლოდ ის იწვევდა, რომ თამაშის დროს პა–ტარა მუდმივად ხელიდან უვარდებოდა. მკითხველთა ნე–ბართვით, გამოვთქვამ ვარაუდს, რომ მსგავსი ქმედებები დიდ სიყვარულზე არ მეტყველებენ.

ამ ბიჭის ქცევის მნიშვნელობის ბოლომდე გასაგებად შევადაროთ იგი მებრძოლი ბავშვების საკმაოდ გავრცელე–ბულ ქცევას, რომლებიც ჩხუბში არცთუ ისე ხშირად ებმე–ბიან. ეს ბავშვები საკმარისად ჭკვიანები არიან, რათა მუდ–მივად არ იჩხუბონ, რამეთუ იციან, რომ რომელიმე მშობელი მათ ჩხუბს ბოლოსდაბოლოს შეაჩერებს. დროდადრო ისინი

ბრძოლებს წყვეტენ და კარგად იქცევიან.

მაგრამ ძველი მექანიზმები კვლავ და კვლავ ვლინდებიან, როგორც ეს ბიჭს ძმასთან თამაშისას ემართებოდა, როცა პატარა ძმა მუდმივად ხელიდან უვარდებოდა. ფაქტიურად, მოცემულ შემთხვევაში მისი თამაშის ფარული მიზანი სწორედ ძმის ძირს დაგდება იყო.

ახლა განვიხილოთ ბიჭის ურთიერთობა დედამისთან. როცა დედა მის მიტყეპვას აპირებდა, ის ან იცინოდა და თხლაშანის აცილებას ცდილობდა, ან, როცა ძლიერად მოხვდებოდა, ცოტახნით წყნარდებოდა, მხოლოდ იმისათვის, რომ ქარიშხალს გადაევლო და ბრძოლა კვლავ განეახლებინა. ბიჭის მთელი ქცევა მისი მიზნით იმდენად აშკარადაა განპირობებული, რომ ადვილად შეიძლება მისი შემდგომი ქმედებების განჭვრეტა. ეს შეუძლებელი იქნებოდა, პროტოტიპი რომ ასეთი მთლიანობა არ ყოფილიყო და რომ არ გვცოდნოდა, თუ მოცემული ადამიანის ყველა მისწრაფება და საქციელი რა მიზნისკენ იყო მიმართული.

პრობლემები სკოლაში

ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი იქნება ამ ბიჭის ცხოვრება ოჯახის ფარგლებს გარეთ. ისევე როგორც კონცერტის შემთხვევაში, მისი საბავშვო ბაღშიც ქცევა ადვილი განსაჭვრეტია – იგი მართავს მასზე უფრო სუსტ გარშემომყოფთ, უფრო რთულ სიტუაციებში კი შეუპოვრად იბრძვის თავისი ახირებების დასაკმაყოფილებლად.

ამიტომ, თუ აღმზრდელი მასთან მკაცრი იქნება, საბავშვო ბაღში მის ყოფნას დიდი დრო, ალბათ, არ უწერია. მას სულ მოუწევს რაღაც ხრიკებისთვის მიმართვა და მუდმივ დაძაბულობაში ცხოვრება, ეს კი მას თავის ტკივილამდე და მღელვარებამდე მიიყვანს. უნდა ითქვას, რომ ეს სიმპტომები

ნევროზის პირველი ნიშნებია.

მეორეს მხრივ, თუ გარემოცვა რბილი და კეთილმოსურნე იქნება, ბიჭმა შეიძლება თავი ყურადღების ცენტრში იგრძნოს და თავისი ჯგუფის ლიდერიც კი გახდეს.

რამეთუ საბავშვო ბაღი – სოციალური დაწესებულებაა და, მაშასადამე, აქ ჩნდება პირველი სოციალური პრობლემები, ბავშვი მზად უნდა იყოს მათთან შესახვედრად და თანამეგობრობის ცხოვრების კანონების დასაცავად. მან უნდა მოახერხოს ამ პატარა თანასაზოგადოების სასარგებლო წევრად გახდომა. ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა სხვების ინტერესები მისთვის საკუთარ ინტერესებზე უფრო მნიშვნელოვანი გახდება.

სკოლაში სიტუაცია მეორდება, და ჩვენთვის კვლავ ადვილია იმის წარმოდგენა, თუ ასეთი ტიპის ბიჭს რა დაემართება. ის კერძო სკოლაში თავს უკეთესად იგრძნობს, რამეთუ იქ მოსწავლეთა მცირე რაოდენობას უფრო მეტი ყურადღება ექცევა.

შეიძლება, ასეთ სიტუაციაში მისი პრობლემები ვერავინ შეამჩნიოს. პირიქით, შესაძლოა, მასწავლებლებმა საუკეთესო მოსწავლედაც კი გამოაცხადონ. ისიც შესაძლებელია, რომ კლასის ლიდერად გახდომის შემდეგ ერთ სფეროში უპირატესობით დაკმაყოფილდება და სახლშიც მისი ქცევა შეიცვლება.

თუ ბავშვის ქცევა სკოლაში შესვლის შემდეგ გაუმჯობესდება, შეიძლება დარწმუნებულები ვიყოთ, რომ კლასში ვითარება მისთვის ხელსაყრელია და იქ თავის უპირატესობას გრძნობს. თუმცა, როგორც წესი, პირიქით ხდება. სახლში სიყვარულით განებივრებული და დამჯერი ბავშვები სკოლაში ხშირად ყველაზე უარესი მოსწავლეები ხდებიან.

წინა თავში ჩვენ საუბარი გვქონდა სკოლაზე, როგორც სახლსა და საზოგადოებას შორის მდგომ ორგანიზაციაზე. და

თუ სკოლაში ბიჭი, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ, ზოგჯერ თავისთვის ხელსაყრელ სიტუაციას პოულობს, სკოლის დამ–თავრების შემდეგ მომდევნო ცხოვრებაში მსგავსი სიტუაციე–ბი, შეიძლება, აღარ შეხვდეს. ბევრს უკვირს, თუ ბავშვები, რომლებიც სახლში და სკოლაში მშვენივრად იქცეოდნენ, მომდევნო ცხოვრებაში უარესობისკენ ასე მკვეთრად რატომ იცვლებიან. რატომ უჩნდებათ მათ მოზრდილ ასაკში ამდენი ფსიქოლოგიური პრობლემა, ნევროზი, რომელიც შემდგომში შეიძლება დაავადებაშიც კი გადაიზარდოს? მსგავსი სიტუა–ციების გაგება რთულია, რამეთუ პროტოტიპი იმ ხელსაყ–რელ გარემოში არ გამოვლინდა, რომელშიც ბავშვი სკოლის დამთავრებამდე იმყოფებოდა.

ამიტომ საჭიროა ვისწავლოთ პროტოტიპის შეცდომე–ბის განსაზღვრა ბავშვისთვის ხელსაყრელ სიტუაციაში, ან ამ შეცდომების არსებობის დაშვება მაინც, მსგავს სიტუაციებში მათი გამოცნობის სირთულეების აღიარებით. არსებობს პროტოტიპის შეცდომების განსაზღვრის დამხმარე რამდენი–მე ნიშანი. ხშირად ყურადღების მიპყრობის მოსურნე და სო–ციალურად არასაკმარისად ადაპტირებული ბავშვი საკმაოდ არააკურატულია, რადგან ამ თავისი არააკურატულობით სხვებს აიძულებს მასზე ზრუნვისთვის დროის და ყურადღე–ბის გამოყოფას. ის ძნელად იძინებს, ღამე კი ხშირად ტირის და ლოგინში შარდავს.

მას აგრეთვე შეუძლია თავი მშფოთვარედ მოაჩვენოს, თუ შეამჩნევს, რომ შფოთვა – სხვების დასამორჩილებლად შესაფერისი იარაღია. ყველა ეს ნიშანი ხელსაყრელ სიტუაცი–აში ვლინდება და მისი აღმოჩენისას შეიძლება ამ ბავშვის შე–სახებ სწორი დასკვნის გაკეთება.

ცხოვრებისეულად მნიშვნელოვანი სამი პრობლემა

მოდით ვნახოთ, თუ პროტოტიპში შეცდომების მქონე ამ ბიჭს რა დაემართება მისი სიმწიფის დადგომასთან მიახლოებისას – ჩვიდმეტი–თვრამეტი წლის ასაკში. მის წინ – მთელი ცხოვრებაა, რომელშიც ორიენტირება არცთუ ისე ადვილია, რამეთუ მის შესახებ არაფერი იცის. მაგრამ ცხოვრებაში შესვლისას ის გარდაუვალად შეეჯახება იმას, რასაც „სამ მთავარ საკითხს" ვუწოდებთ – საზოგადოებაში ცხოვრებას, საქმიანობას და სიყვარულს და ქორწინებას. ისინი სხვებთან ურთიერთობისას წარმოიშვებიან და თავად ჩვენს არსებობასთან განუყოფლად არიან დაკავშირებულნი. საზოგადოებაში ცხოვრების საკითხი მოიცავს ჩვენს ქცევას სხვა ადამიანების მიმართ, კაცობრიობისა და მისი მომავლისადმი ჩვენს დამოკიდებულებას.

ამ საკითხის გადაწყვეტაზეა დამოკიდებული ადამიანის შენარჩუნება და გადარჩენა, რამეთუ ადამიანური ცხოვრება იმდენად შეზღუდულია, რომ მის გზაზე სიარული მხოლოდ ერთად ყოფნითაა შესაძლებელი.

რაც შეეხება საქმიანობის სახეობას, ამ საკითხზე მსჯელობისას შეიძლება, მაგალითად, ჩვენ მიერ ახლახან განხილული შემთხვევის გამოყენება. თუ ეს ყმაწვილი საქმიანობის სახეობის არჩევისას მხოლოდ სხვებზე უპირატესობის მოპოვების მიზნით იხელმძღვანელებს, უთუოდ დიდ სირთულეებს წააწყდება. ძნელია ისეთი სამუშაო ადგილის მოძებნა, სადაც საჭირო არ იქნება ვიღაცის დაქვემდებარების ქვეშ ყოფნა ან ვიღაცასთან თანამშრომლობა. და რადგან ეს ბიჭი მხოლოდ თავის კეთილდღეობაზე ზრუნავს, ის დაქვემდებარებულ მდგომარეობაში თავს ვერასდროს კარგად ვერ იგრძნობს. უფრო მეტიც, ეს ადამიანი შეიძლება ბიზნეს–

ში არცთუ ისე სანდო პარტნიორი აღმოჩნდეს, რამეთუ გაუ-ჭირდება პირადი ინტერესის ფირმის ინტერესებისადმი და-მორჩილება.

მოკლედ რომ ვთქვათ, საქმიანობაში წარმატება მთლი-ანად სოციალურ ადაპტაციაზეა დამოკიდებული. პარტნიო-რების მოთხოვნილებების და მომხმარებელთა საჭიროებების გაგების, მათი თვალებით დანახვის, მათი ყურებით მოსმე-ნის და საერთოდ მათ ადგილას საკუთარი თავის დაყენების უნარი ბიზნესში დიდ უპირატესობას წარმოადგენს. მსგავსი უნარის მქონე ადამიანები წინ სწრაფად მიიწევენ, მაგრამ ჩვენი ბიჭი, როგორც ჩვენ აღმოვაჩინეთ, ასეთ უნარს ვერ ფლობს: მას მხოლოდ საკუთარი ინტერესები აღელვებს და მხოლოდ იმაში შეუძლია წარმატების მიღწევა, რაც თავად მასთანაა დაკავშირებული. ასე რომ, თავის საქმიანობაში მას, დიდი ალბათობით, წარუმატებლობა ელის.

გარდა ამისა, შეიძლება აღმოვაჩინოთ, რომ შემთხვევა-თა უმეტესობაში ასეთ ადამიანებს თავიანთი წამოწყებები ბოლომდე არასოდეს მიჰყავთ და საქმიანობის არჩევასაც ხშირად აჭიანურებენ.

ისეც ხდება, რომ ოცდაათი წლის ასაკში მათ ჯერ კი-დევ არ იციან, თუ ცხოვრებაში რის გაკეთებას აპირებენ. ისი-ნი სწავლების პროფილს და სამუშაო ადგილს ხშირად იცვ-ლიან, რაც შემგუებლობის უუნარობის ნიშანია.

ზოგჯერ შეიძლება შევხვდეთ ძალებით და მისწრაფე-ბებით აღსავსე ჩვიდმეტი–თვრამეტი წლის ყმაწვილს, რო-მელმაც არ იცის, თუ რას მოკიდოს ხელი. ძალიან მნიშვნე-ლოვანია ასეთი ადამიანის გაგება და მისთვის მომავალი საქ-მიანობის შესახებ სწორი რჩევის მიცემა.

ჯერ კიდევ სავსებით შესაძლებელია მისი რაღაცით დაინტერესება და, შესაბამისად, სწავლება.

მეორეს მხრივ, შეშფოთებას იწვევს ის, რომ ამ ასაკის

ყმაწვილმა ჯერ კიდევ არ იცის, თუ რისი გაკეთება უნდა შემდგომ ცხოვრებაში.

საკმაოდ ხშირად ზემოთ ხსენებული ფაქტი მხოლოდ იმის დასტურია, რომ რაიმე საქმიანობის დასაწყებად ეს ახალგაზრდა ადამიანი თავს მაინცდამაინც არ იწუხებს და როგორც სახლში, ისე სკოლაში საჭიროა გარკვეული ძალისხმევის გამოჩენა, რათა ასეთი ტიპის ბიჭი ყმაწვილური ასაკის მიღწევამდე მომავალი პროფესიით დაინტერესდეს. სკოლაში ეს შეიძლება გახდეს შემდეგ თემაზე შეთავაზებული თხზულება: „ვინ მინდა გავხდე შემდგომ ცხოვრებაში". თხზულებაზე მუშაობისას ბავშვებს გარდაუვალად მოუწევთ იმ პრობლემებთან შეჯახება, რომლებზე ფიქრიც ნორჩ ასაკში უკვე საჭიროა, ვიდრე არ დადგება ის მომენტი, როცა თავად ცხოვრება მათ მთელი სერიოზულობით დაუყენებს.

უკანასკნელი საკითხი, რომელიც ჩვენი ახალგაზრდა ადამიანის წინაშე აუცილებლად დადგება – სიყვარულისა და ქორწინების საკითხია. რამდენადაც ადამიანები ორ სქესად იყოფიან, ამ საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს. სქესობრივი სხვაობა საპირისპირო სქესის მიმართ ქცევის სწავლას გვაიძულებს. სიყვარულისა და ქორწინების პრობლემას ჩვენ მომდევნო თავში განვიხილავთ, ახლა კი გვინდა ხაზი გავუსვათ მის კავშირს სოციალური ადაპტაციის პრობლემასთან. სოციალური ინტერესის იგივე ნაკლებობა, რომელიც სოციალური და საქმიანი შეუგუებლობის მიზეზია, საპირისპირო სქესთან ურთიერთობის უნარზეც გავლენას ახდენს. ცხადია, რომ ეგოცენტრულ, მხოლოდ თავისი თავით დაკავებულ ადამიანს „menage a deux" – თვის საჭირო მომზადება არა აქვს. და სავსებით დასაშვებია, რომ სექსუალური ინსტიქტის ერთ–ერთი ძირითადი მიზანია ადამიანის თავისი ნაჭუჭიდან გამოტყუება და საზოგადოებაში ცხოვრებისათვის მომზადება. ამ ფუნქციის შესრულებას კი ის მხოლოდ იმ ადამი–

ანში შესძლებს, რომელსაც საკუთარი „მე“–ს დავიწყების უნა–
რი აქვს და შეუძლია რაღაც უფრო დიდის ნაწილი გახდეს, –
რაც ფსიქოლოგიის დახმარებით უნდა აღიზარდოს.

ამრიგად, იმ ბიჭის თაობაზე, რომლის შემთხვევაც
განვიხილეთ, შეიძლება შემდეგი დასკვნების გამოტანა. ჩვენ
დავადგინეთ, რომ ცხოვრებისეულად მნიშვნელოვან სამ
პრობლემასთან შეხვედრამ მასში დაბნეულობა და წარუმა–
ტებლობის შიში გამოიწვია. ისიც დავინახეთ, რომ უპირატე–
სობის მიზნისაკენ მისწრაფებისას ის რეალური ცხოვრების
სირთულეებისაგან რაც შეიძლება დიდიხნით განრიდებას
ცდილობდა. რა ელის მომავალში? ის ვერ მოერგება საზოგა–
დოებრივ ცხოვრებას, რადგან სხვების მიმართ ანტაგონის–
ტურად განწყობილი, ეჭვიანი და გულჩათხრობილია.

რამეთუ არ ადარდებს მასზე სხვების შეხედულება და
ის, თუ სხვების თვალში როგორ გამოიყურება, თავის გარეგ–
ნობაზეც არ იზრუნებს და ხშირად მოუვლელი ივლის – ეს
გამოვლინება არაჯანსაღი ფსიქიკის ადამიანისთვისაა დამა–
ხასიათებელი. მას უჭირს იმ ენასთან შეგუება, რომელიც
ჩვენთვის სოციალური აუცილებლობაა. შესაძლოა, საერთოდ
არ ილაპარაკოს – თვისება, რომელიც ხშირად შიზოფრენიის
დროს აღინიშნება.

ეს ადამიანი ცხოვრების ყველა საკითხს კედლით ემიჯ–
ნება და ფსიქიატრიული კლინიკისკენ მიმავალ გზაზე ნელ–
ნელა მოძრაობს. მისმა უპირატესობის მიზანმა ხელი შეუწყო
სხვებისაგან ჰერმეტულ იზოლაციას, და ამან მისი სექსუა–
ლური ლტოლვის ტრანსფორმირება მოახდინა. ასე რომ ამ
აზრითაც ის აღარ არის ნორმალური ადამიანი. შეიძლება
მასში იმის რწმენა აღმოვაჩინოთ, რომ ჩინეთის იმპერატორია
ან იესო ქრისტე, – რაც უპირატესობის მიზნის რეალიზაციის
ერთ–ერთი ხერხია.

შეცდომების თავიდან აცილება და გამოსწორება

როგორც არაერთხელ გავიმეორეთ, ყველა ცხოვრებისეულ პრობლემას საფუძვლად უდევს სოციალური პრობლემები. ჩვენ ვნახეთ, რომ ისინი ვლინდებიან საბავშვო ბაღში, სკოლაში, მეგობრობაში, პოლიტიკაში, ეკონომიკურ ცხოვრებაში და ასე შემდეგ. სავსებით თვალსაჩინოა, რომ ყველა ჩვენი უნარი სოციალურად განპირობებულია და გამიზნულია საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამოსაყენებლად.

ჩვენ ვიცით, რომ სოციალური ადაპტაციის არარსებობა უკვე პროტოტიპში ვლინდება. ჩვენი ამოცანაც იმაში მდგომარეობს, რომ ეს ნაკლი დროულად გამოვასწოროთ. მშობლებს რომ აღზრდაში სერიოზული შეცდომების არდაშვების ხერხის გარდა, ისიც სცოდნოდათ, თუ როგორ ხდება პროტოტიპში მცირე შეცდომების გამოვლინების დიაგნოსტირება და მათი გამოსწორება, ეს მოცემულ საკითხში საქმეების მდგომარეობას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა. მაგრამ, სამწუხაროდ, რეალობა ისეთია, რომ ამაში ბევრის მიღწევა შეუძლებელია. მშობლებს იშვიათად სურთ სწავლა და შეცდომების აღიარება. ძირითადად, ფსიქოლოგიის და აღზრდის საკითხები მათთვის ინტერესს არ წარმოადგენს. მათ ურჩევნიათ ბავშვების განებივრება, ხოლო მათში, ვინც მათი პატარებით არ აღფრთოვანდება, პირად მტრებს ხედავენ. ზოგიერთ მშობელს კი შვილები საერთოდ არ აინტერესებს, ასე რომ მათი დახმარების იმედიც ნაკლებად უნდა გვქონდეს. გარდა ამისა, საჭიროა დრო, რომ მათ ეს პრობლემები გავაგებინოთ. ამრიგად, გაცილებით უფრო ეფექტიანია ექიმისთვის ან ფსიქოლოგისთვის მიმართვა.

ექიმის ან ფსიქოლოგის საუკეთესო შედეგების მომტანი ინდივიდუალური სამუშაოს გარდა, ამ საკითხში რაღაცის მიღწევა სკოლისა და განათლების მეშვეობითაც შეიძლება.

პროტოტიპში შეცდომები ხშირად მანამ არ ვლინდებიან, სანამ ბავშვი სკოლაში არ წავა. ინდივიდუალური ფსიქოლოგიის მეთოდების მცოდნე მასწავლებელს ამ ხარვეზის შემჩნევა საკმაოდ სწრაფად შეუძლია: ის ადვილად განსაზღვრავს, გააჩნია თუ არა ბავშვს თანამშრომლობისაკენ მიდრეკილება, თუ იგი ნებისმიერ ფასად ცდილობს ყურადღების ცენტრში მოქცევას, ან რომელ ბავშვს აკლია სითამამე და რომელს კი ჭარბად გააჩნია. გამოცდილ მასწავლებელს ბავშვის სკოლაში ყოფნის პირველივე კვირას შეუძლია პროტოტიპის შეცდომების აღმოჩენა.

მასწავლებელი თავისი სოციალური ფუნქციის ბუნებით გაცილებით უფრო პროდუქტიულია ბავშვების შეცდომების გამოსწორებაში. კაცობრიობამ სკოლების ორგანიზება სწორედ იმიტომ დაიწყო, რომ ოჯახს არ შესწევდა ბავშვების აღზრდის უნარი ცხოვრების სოციალური მოთხოვნების შესაბამისად. გარკვეული აზრით სკოლა – ოჯახის გაგრძელებაა, იქ მნიშვნელოვანწილად ყალიბდება ბავშვის ხასიათი, და ცხოვრების პრობლემებთან გამკლავებასაც სწორედ სკოლა ასწავლის.

ეს ყველაფერი მეტყველებს მასწავლებლების ფსიქოლოგიის უახლესი მიღწევებით აღჭურვის საჭიროებაზე, რამეთუ ეს მათ შრომას ბევრად უფრო პროდუქტიულს გახდის. მომავალში სკოლები, ალბათ, დაიწყებენ ინდივიდუალური ფსიქოლოგიის მეთოდების ფართოდ გამოყენებას, რადგან მათი ჭეშმარიტი მიზანი – ხასიათის ჩამოყალიბებაა.

თავი 10. დამნაშავეობა და სოციალური ინტერესის არქონა

ჩვენ ვნახეთ, რომ სოციალური შეუგუებლობა წარმოადგენს არასრულფასოვნების გრძნობის და უპირატესობის–

კენ მისწრაფების შედეგს. ტერმინები „არასრულფასოვნების კომპლექსი“ და „უპირატესობის კომპლექსი“ ასახავენ უკვე განმტკიცებული ცუდი სოციალური ადაპტაციის ფაქტს. ეს კომპლექსები არ იმყოფებიან ჩანასახის პლაზმაში ან ადამიანის სისხლში: ისინი წარმოიშვებიან ინდივიდსა და მის გარემოცვას შორის ურთიერთმოქმედების პროცესში. რატომ ისინი ყველას არ გააჩნია? ყველა ადამიანს ახასიათებს არასრულფასოვნების გრძნობა და წარმატებისკენ და უპირატესობისკენ მისწრაფება, რომლებიც ადამიანის მთელი ფსიქიკური ცხოვრების ფუნდამენტს წარმოადგენენ. იმის მიზეზი, რომ კომპლექსები ყველას არ გააჩნია, იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანთა ნაწილისთვის არასრულფასოვნების და უპირატესობის გრძნობები საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობის მამოძრავებელ ძალად იქცევიან, რამეთუ მათ უერთდება ამ ადამიანებისთვის დამახასიათებელი ერთობის გრძნობა, სითამამე და საღი აზრის ლოგიკა.

ზოგადი დებულებები

მოდით შევისწავლოთ ერთობის გრძნობის ფუნქციონირება. ცნობილია, რომ სანამ ბავშვის არასრულფასოვნების გრძნობა არც ისე დიდია, ის ყოველთვის მიისწრაფვის რაღაც სასარგებლო საქმიანობისკენ, რაღაცისკენ, რასაც რეალური აზრი გააჩნია. თავისი მიზნების მისაღწევად ის სხვების დაინტერესებას ცდილობს. სოციალური გრძნობა და სოციალური შემგუებლობა წარმოადგენენ სავსებით ნორმალურ კომპენსაციას, და, ალბათ, ძნელია ისეთი ადამიანის მოძებნა, რომელშიც უპირატესობისკენ მისწრაფება ამ გზით არ ვითარდება. პატიოსნად ვერავინ ვერ იტყვის: „მე სხვები არ მაინტერესებს!“ ზოგიერთი ისე მოქმედებს, თითქოს გარესამყარო მისთვის ინტერესს არ წარმოადგენს, მაგრამ ძალიან

ძნელია ამის გარშემომყოფთა თვალში გამართლება. თუმცა უფრო ხშირად საპირისპირო სიტუაცია შეიჩნევა, როცა სხვებისადმი ინტერესი დემონსტრირდება სოციალური ადაპტაციის ნაკლებობის დამალვის მიზნით. ეს ყველაფერი სოციალური გრძნობის უნივერსალობის ფარული დადასტურებაა.

რაც არ უნდა იყოს, ცუდი ადაპტაციის ფენომენი არსებობს. შეიძლება მისი გენეზისის შესწავლა იმ მარგინალური შემთხვევების განხილვით, რომლებშიც არასრულფასოვნების კომპლექსი ფარულად არსებობს და ხელსაყრელი გარემოცვის წყალობით თავის თავს აშკარად ამჟღავნებს. რამეთუ მსგავს ცხოვრებისეულ სიტუაციაში სირთულეები ნაკლებად ხვდება, ადამიანი შეიძლება ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდეს, თითქოს მის ცხოვრებაში ყველაფერი რიგზეა. მაგრამ თუ მის ნამდვილ გამოვლინებებს ყურადღებით შევხედავთ, შევნიშნავთ – თუ სიტყვებში და შეხედულებებში არა, განწყობებში მაინც, – რომ თავის არასრულფასოვნებას გრძნობს. სწორედ ესაა არასრულფასოვნების კომპლექსი – არასრულფასოვნების გადაჭარბებული გრძნობის შედეგი. ამ კომპლექსის მქონე ადამიანები ცდილობენ იმ ტვირთის შემსუბუქებას, რომელიც საკუთარი ეგოცენტრიზმის გამო აიკიდეს.

საკმაოდ საინტერესოა იმაზე დაკვირვება, თუ ერთნი არასრულფასოვნების კომპლექსს როგორ მალავენ, მეორენი კი აღიარებენ. ეს უკანასკნელნი, ჩვეულებრივ, თავიანთი აღიარებით ამაყობენ – მათ ხომ აღიარეს ის, რისი აღიარებაც სხვებს არ შეუძლიათ. ისინი დაახლოებით ასე ფიქრობენ: „მე პატიოსანი ვარ. მე ჩემი განცდების მიზეზს ღიად ვასახელებ!“ მაგრამ სწორედ მაშინ, როცა ისინი თავიანთ თავში არასრულფასოვნების კომპლექსის არსებობას აღიარებენ, იქვე მიანიშნებენ ხოლმე მათ ცხოვრებაში არსებულ გარკვეულ სირთულეებზე ან ამ კომპლექსზე პასუხისმგებელ სხვა გარემოებებზე, მაგალითად, მშობლებზე, ოჯახურ სიტუაციებზე,

ცუდ აღზრდაზე, რაიმე უბედურ შემთხვევაზე, წარუმატებ-ლობებზე და სხვა მსგავს რამეებზე.

ხშირად არასრულფასოვნების კომპლექსი უპირატესობის კომპლექსის მიღმა იმალება, რომელიც კომპენსაციის როლს თამაშობს. ამ შემთხვევაში ადამიანში არსებობს ამპარტავნობა, აკვიატებულობა, თვითკმაყოფილება, ქედმაღლობა და ა.შ. მაგრამ მის გარეგნულ სახეს უკან არაფერი არ დგას, მისი საქციელები კი ნაკლებად წონადია, ვიდრე სახე.

ხშირად ამ ტიპის ადამიანებში შეიძლება აღმოვაჩინოთ აუდიტორიის წინაშე შიში, რომელსაც შემდგომში ყველა ჩავარდნისა და წარუმატებლობის გასამართლებლად იყენებს და ამასთან ამბობს: „რას არ გავაკეთებდი, აუდიტორიის რომ არ მეშინოდეს!" ასეთი „რომ არ" შემცველი სენტენციები – ფარული არასრულფასოვნების კომპლექსის ნიშანია.

არასრულფასოვნების კომპლექსზე შეიძლება ისეთი თვისებებიც მიუთითებდეს, როგორებიცაა ვერაგობა, სიფრთხილე, პედანტიზმი, ცხოვრების უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაწყვეტის თავის არიდებისაკენ და საქმიანობის ვიწრო და მრავალი პრინციპით და წესით შეზღუდული სფეროს მოძებნისკენ მისწრაფება. გარეგან გამოვლინებებში გამოხატული არასრულფასოვნების კომპლექსის ერთ-ერთ ნიშანს წარმოადგენს ის, რომ ადამიანი მუდმივად რაღაც საყრდენს ეძებს. ასეთ ადამიანს საკუთარი თავის არ სჯერა და უცნაური ინტერესები გააჩნია. ის ყოველთვის რაღაც სისულელითაა დაკავებული, როგორც, მაგალითად, გაზეთებიდან ამონაჭრების ან რეკლამების კოლექციონირება. ის თავის დროს ამაოდ ხარჯავს და ყველაფრისთვის გამართლებას პოულობს. სანამ უსარგებლო საქმიანობას ეწეოდა, მან მეტისმეტად ბევრი რამ ისწავლა, ასეთი „სწავლა" კი რაც უფრო მეტხანს გრძელდება, აკვიატებულობის ნევროზამდე მით უფრო სწრაფად მიიყვანს.

ჩვეულებრივ ყველა პრობლემურ ბავშვში – მოცემულ შემთხვევაში პრობლემის ტიპს მნიშვნელობა არა აქვს – არასრულფასოვნების კომპლექსი იმალება. მაგალითად, სიზარმაცე სინამდვილეში ნიშნავს სირთულეებისა და პრობლემური სიტუაციებისათვის თავის არიდებას, რაც კომპლექსის ნიშანია. ქურდობა – ესაა სხვა ადამიანის დროებითი არყოფნის ან მოწყვლადობის გამოყენება, ტყუილი კი სიმართლის თქმის გამბედაობის უქონლობასთანაა დაკავშირებული. ყველა ამ ბავშვური გამოვლინებების შუაგულში – არასრულფასოვნების კომპლექსია.

ნევროზი აგრეთვე არასრულფასოვნების კომპლექსიდან ვითარდება. რას არ გააკეთებს ნევროტული განგაშით შეწუხებული ადამიანი! ნებისმიერ სიტუაციაში მას ვინმეს თანხლება სჭირდება, და თუ ამას ახერხებს – ის წარმატებულია თავისი მიზნების მიღწევაში. იგი სხვისი მხარდაჭერით და ყურადღებით სარგებლობს. არასრულფასოვნების კომპლექსი უპირატესობის კომპლექსში გადადის – მას სხვები უნდა ემსახურონ! ავადმყოფი ადამიანების მსგავსად, ნევროტიკი უპირატესობის მიღწევის ცნობილ ხერხს იყენებს – თავისი საქმეების კეთებას სხვებს აიძულებს. იმ არასრულფასოვნების კომპლექსით განპირობებული თავის არიდების პოლიტიკის შედეგად, რომელიც თავის მხრივ წარმოიშვება რეალურ სირთულეებთან იძულებითი შეჯახებით, ნევროტიკი თავისი საქმიანობის სფეროს წარმოსახვით სამყაროში პოულობს; იქ ის წარმატებებს აღწევს და ამის წყალობით თავს გამორჩეულ ადამიანად გრძნობს.

ყველა ამ შემთხვევაში, როცა კომპლექსების გაძლიერება შეიმჩნევა, საზოგადოებრივად სასარგებლო სფეროში ფუნქციონირების წარუმატებლობა მთლიანად გამბედაობის არქონით ან ნაკლებობითაა გამოწვეული. სწორედ ეს და სოციალური ურთიერთმოქმედების საჭიროების და სარგებ–

ლიანობის გაგების უუნარობა საზოგადოებაში ნორმალური ცხოვრებისათვის ძირითად დაბრკოლებას წარმოადგენს.

შემთხვევები

ყველა ამ დებულებას ყველაზე კარგად დამნაშავის ქცევა ილუსტრირებს, რომელიც სინამდვილეში par excellence – არასრულფასოვნების კომპლექსის – გამოვლინებას წარმოადგენს. დამნაშავის ლაჩრობა და სულელობა ურთიერთდაკავშირებულია, როგორც ერთი ტენდენციის ორი ნაწილი.

იგივე შეიძლება ითქვას ლოთობაზეც. ალკოჰოლისტები თავიანთი პრობლემების შემსუბუქებას არაფრისმთქმელ და დამღუპველ ქცევაში პოულობენ.

ამ ადამიანთა აზრების წყობა ნორმალური ადამიანების განწყობებისათვის დამახასიათებელი საღი აზრისაგან მკვეთრად განსხვავდება. მაგალითად, დამნაშავეები ყოველთვის სხვებს ადანაშაულებენ და თავის თავს სხვადასხვა არგუმენტების მოშველიებით ამართლებენ. ისინი ლაპარაკობენ შრომის არამომგებიანობაზე, საზოგადოების სისასტიკეზე, რომელმაც ისინი უარყო, ყვებიან რაღაც შინაგან ბრძანებებზე, რომელთაც უნდა დაემორჩილონ. განაჩენის გამოტანისას ისინი ყოველთვის საკუთარი თავის რაღაცით გამართლებას ცდილობენ, ბავშვების მკვლელ ჰიკმანის მსგავსად, რომელმაც თქვა: „მე მხოლოდ ღვთიურ ბრძანებას ვასრულებდი“. სხვა მკვლელი განაჩენის შემდეგ ამბობდა: „რა ხეირი მოჰქონდა იმ ბიჭს, რომელიც მე მოვკალი? მილიონობით სხვაცაა!“ ზოგიერთი „ფილოსოფოსი“ იმასაც კი აცხადებს, რომ, მაგალითად, მდიდარი დედაბრის მკვლელობა დიდი არაფერი ცოდვაა, როცა ამდენი წესიერი ადამიანი შიმშილობს.

ჩვენ გვაშფოთებს მსგავსი არგუმენტების ავადმყოფური ლოგიკა. ამ ადამიანთა მთელი მსოფლმხედველობა

მათი სრულიად უაზრო მიზნებითაა განპირობებული, მათი ცხოვრება მუდმივ გამართლებას საჭიროებს, იმ დროს როცა საზოგადოებრივად სასარგებლო მიზანი ისედაც გასაგებია და თავისი უპირატესობების არავითარ განმარტებას არ მოითხოვს.

მოდით რამდენიმე კლინიკური შემთხვევის მაგალითზე განვიხილოთ, თუ ყოფილი სოციალური განწყობები და მიზნები როგორ გადაიქცევიან ანტისოციალურ განწყობებად და მიზნებად. დავიწყოთ პატიოსან ოჯახში გაზრდილი თოთხმეტი წლის გოგონას შემთხვევით. ოჯახს მამა ინახავდა. ის ბევრს მუშაობდა, სანამ ავადმყოფობამ საწოლს არ მიაჯაჭვა. დედამისმა, ყველასათვის პატივსაცემმა ქალმა, ცხოვრება თავის ექვს შვილზე ზრუნვას მიუძღვნა. პირველი ქალიშვილი, რომელიც დიდი ნიჭით გამოირჩეოდა, თორმეტი წლის ასაკში გარდაიცვალა. მეორე გოგონაც თავიდან ხშირად ავადმყოფობდა, მაგრამ შემდეგ გამოჯანმრთელდა და საზოგადოებაში თავისი კარგი მდგომარეობის წყალობით ოჯახს დახმარებას უწევდა. მესამე ქალიშვილი ჩვენი ისტორიის გმირი იყო. მას კარგი ჯანმრთელობა ჰქონდა, და მისი მუდმივად ავადმყოფი შვილებით დაკავებული მშობლები მას დიდ დროს არ უთმობდნენ. უმცროსი ძმაც ნიჭიერი იყო, მაგრამ ჯანმრთელობით ისიც ვერ დაიკვეხნიდა. შედეგად ანა (ასე ვუწოდოთ ჩვენს გმირს) იმ ბავშვების გარემოცვაში აღმოჩნდა, რომლებიც მასთან შედარებით უფრო დიდი სიყვარულით სარგებლობდნენ და რომლებზეც უფრო მეტად ზრუნავდნენ. ბოლოსდაბოლოს იმის შეგრძნებამ, რომ მას უგულვებელყოფენ, არასრულფასოვნების კომპლექსამდე მიიყვანა.

თუმცა სკოლაში ანას საქმეები კარგად მიდიოდა, ის საუკეთესო მოსწავლე იყო. სწავლაში მისი ბეჯითობის გამო მასწავლებელმა მას განათლების გაგრძელება ურჩია, და ცა-

მეტნახევარი წლის ასაკში იგი უმაღლეს სკოლაში გადავიდა.

აქ ანას ახალი მასწავლებელი შეხვდა, რომელიც მის მიმართ ანტიპათიით განეწყო. შესაძლოა, თავიდან სწავლაში მართლა არ ბრწყინავდა, მაგრამ შემდგომში მისი საქმეები გაუარესდა შესაბამისი წახალისებისა და ყურადღების არარსებობის გამო.

სანამ პირველი მასწავლებელი აფასებდა, ის პრობლემური ბავშვი არ იყო: მას როგორც მასწავლებლებს, ისე თანაკლასელებს შორის კარგი რეპუტაცია ჰქონდა. თუმცა, თანაკლასელებთან ურთიერთობაში შეინიშნებოდა მისი ხასიათის ნეგატიური ტენდენციებიც: ის მუდმივად აკრიტიკებდა თავის მეგობრებს და ყოველთვის ცდილობდა მათ შორის პირველი როლი ეთამაშა. მას უყვარდა ყურადღების ცენტრში ყოფნა, მლიქვნელობა და კრიტიკას არ აღიარებდა.

ანას მიზანი იყო აღიარების, საყოველთაო სიყვარულის და ზრუნვის მოპოვება. მან აღმოაჩინა, რომ ეს მხოლოდ სკოლაში შეიძლებოდა. თუმცა, ახალ სკოლაში ის დაბრკოლებებს შეეჯახა. მასწავლებლები ხშირად იმაში საყვედურობდნენ, რომ მეცადინეობას უგულისყუროდ ეკიდებოდა. მას ცუდი რეპუტაცია შეექმნა, ასე რომ ბოლოს გაკვეთილების გაცდენა დაიწყო, ზოგჯერ სკოლაში ზედიზედ რამდენიმე დღის განმავლობაში არ გამოჩნდებოდა ხოლმე.

საქმეები სულ უფრო და უფრო ცუდად მიდიოდა, და ერთხელაც მისი სკოლიდან გარიცხვის საკითხი დადგა.

უნდა აღინიშნოს, რომ სკოლიდან გარიცხვა ვერ შველის ვერცერთი პრობლემის გადაწყვეტას. იგი წარმოადგენს სკოლისა და მასწავლებლის მიერ თავისი უსუსურობის აღიარებას. მაგრამ თუ ეს ასეა, რატომ დახმარებისთვის არ მიმართეს მათ, ვისაც, შესაძლოა, მსგავს სიტუაციაში რაღაცის გაკეთება შეეძლოთ? შეიძლება ანას მშობლებთან საუბრის შემდეგ მიღწეული ყოფილიყო რაიმე შეთანხმება, მაგალი-

თად, სხვა სკოლაში გადაყვანის თაობაზე. შესაძლოა, საჭირო იყო სხვა მასწავლებელი, რომელიც ანას უკეთესად გაუგებდა. მაგრამ მისი მასწავლებელი დაახლოებით ასე მსჯელობდა: „თუ მოსწავლე გაკვეთილებს აცდენს და სწავლაში ჩამორჩება, ის უნდა გაირიცხოს!" მსგავსი მსჯელობა – კერძო, და არა მასწავლებლისთვის ასე საჭირო საღი აზრის ლოგიკის დემონსტრაციაა.

ადვილი მისახვედრია, თუ შემდგომში რა მოხდა. ქალიშვილმა ცხოვრებასთან უკანასკნელი კავშირი დაკარგა და იგრძნო, რომ ყველაფერში მარცხი განიცადა.

ანას სკოლიდან გაგდებამ ის მცირედი პატივისცემაც კი გაანადგურა, რომლითაც სახლში სარგებლობდა. ის სახლიდან გაიქცა, რამდენიმე დღით გაქრა, და მისი თავგადასავლების ფინალი ვიღაც ჯარისკაცთან სასიყვარულო კავშირი გახდა.

ანას ქმედებები საკმაოდ გამჭვირვალეა და მათი გაგება საკმაოდ ადვილია. მისი მიზანი იყო აღიარების მოპოვება, და იგი ამის მისაღწევად იბრძოდა და, უნდა თქვას, გარკვეული დროის განმავლობაში სავსებით გონივრულად მოქმედებდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც წარუმატებლობები ერთმანეთს მიჰყვა, ის შეეცადა თავის მიზნისთვის ნებისმიერ ფასად მიეღწია. თავიდან ჯარისკაცს იგი უყვარდა და აფასებდა. თუმცა მოგვიანებით ოჯახმა წერილი მიიღო იმის შესახებ, რომ ის ორსულადაა და თავის მოწამვლას აპირებს.

მშობლებისთვის ასეთი წერილის დაწერა ანას ხასიათს სავსებით შეესაბამებოდა. მისი საქციელები გამსჭვალული იყო აღიარების მოლოდინით, რაც მის ქმედებებს განსაზღვრავდა. მან იცოდა, რომ დედა სასოწარკვეთაშია და ამიტომ არ უსაყვედურებს და უკან მიიღებს.

ასეთი ტიპის შემთხვევების მკურნალობისას უაღრესად მნიშვნელოვანია პაციენტის ადგილას საკუთარი თავის და-

ყენების უნარი ემპატიის განწყობით. მოცემულ შემთხვევაში ეს ნიშნავს საკუთარი თავის იმ ადამიანთან იდენტიფიცირებას, რომელსაც აღიარება სწყურია და ამ მიზნისკენ მიისწრაფვის.

საჭიროა საკუთარ თავს შევეკითხოთ: „როგორ მოვიქცეოდი ამ სიტუაციაში?“ ამასთან მხედველობაშია მისაღები სქესი და ასაკი. ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი ადამიანის გამხნევება, მისი კონსტრუქციული, სასარგებლო ქმედებების მხარდაჭერით. ჩვენ მიერ განხილულ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შევეცადოთ საუბრის ისე წარმართვა, რომ ანამ თვითონ თქვას: „იქნებ, ჩემთვის უკეთესია სკოლის გამოცვლა, მე ხომ ბოლომდე გათავებული ადამიანი არა ვარ. შეიძლება, არასაკმარისად ვმეცადინეობდი. შეიძლება, ცხოვრებას არასწორად აღვიქვამ. შეიძლება, სკოლაში ჩემს ქცევაში მეტისმეტად ბევრი კერძო ლოგიკა იყო და მასწავლებელს ვერ ვუგებდი!“ ძალიან მნიშვნელოვანია ადამიანის გამხნევება და მისთვის სითამამის მიცემა; მაშინ ის ისწავლის, თუ როგორ უნდა იმოქმედოს, რომ საკუთარ თავსაც და გარშემომყოფ ადამიანებსაც სარგებელი მოუტანოს.

არასრულფასოვნების კომპლექსთან ერთად სწორედ გამბედაობის ნაკლებობა ანადგურებს პიროვნებას.

მოდით ამ ქალიშვილის ადგილას სხვა ადამიანი დავაყენოთ. მაგალითად, საკმაოდ გავრცელებულია შემთხვევა, როცა მისი ასაკის ბიჭს, სკოლაში საკუთარ თავში რწმენის დაკარგვისას, რომელიმე ბანდაში ჩაითრევენ და დამნაშავედ აქცევენ. ამის ახსნა საკმაოდ ადვილია. თუ ბიჭს სკოლაში სწავლის დროს საკუთარ თავში რწმენა და იმედი ეკარგება, იგი იწყებს დაგვიანებას, ხელმოწერის გაყალბებას, არ ასრულებს საშინაო დავალებებს და ნებისმიერ საბაბს ეძებს, რათა სკოლაში არ წავიდეს. სწორედ მაშინ მის გარემოცვაში ჩნდებიან „მეგობრები“, რომელთაც ეს გზა, შესაძლოა, უკვე გავ-

ლილი აქვთ. ის სკოლისადმი ინტერესს მთლიანად კარგავს და მასში სულ უფრო ვითარდება კერძო აზროვნება.

არასრულფასოვნების კომპლექსის განვითარებას ხშირად იმას უკავშირებენ, რომ ადამიანს რაიმე განსაკუთრებული ნიჭი არ გააჩნია. ინდივიდუალური ფსიქოლოგიის თვალსაზრისით, ის მოსაზრება, რომ ერთი ადამიანი ნიჭიერია, მეორე კი არა, მცდარია. სინამდვილეში კი არასრულფასოვნების კომპლექსის ნიშანს წარმოადგენს ის, რომ ბიჭი ან გოგონა აქსიომაში „ნებისმიერ ადამიანს ყველაფრის მიღწევა შეუძლია" უბრალოდ რწმენას კარგავს და თვლის, რომ საზოგადოების თვალსაზრისით სასარგებლო საქმიანობაში თავისი მიზნის მიღწევის უნარი არ გააჩნია.

არასრულფასოვნების კომპლექსის ერთ–ერთ კომპონენტს წარმოადგენს თანდაყოლილი თვისებებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მინიჭება. ამას რომ მართლა ამხელა მნიშვნელობა ჰქონოდა და წარმატება მთლიანად თანდაყოლილ თვისებებზე ყოფილიყო დამოკიდებული, ფსიქოლოგს უბრალოდ მეტი არაფერი დარჩებოდა გასაკეთებელი. სინამდვილეში კი წარმატება გამბედაობაზეა დამოკიდებული, და ფსიქოლოგის ამოცანა მდგომარეობს სასოწარკვეთის იმედად გადაქცევაში, რომელთან ერთადაც ჩნდება კონსტრუქციული სამუშაოს შესასრულებლად საჭირო ენერგია.

სკოლიდან გარიცხულმა, სასოწარკვეთის მდგომარეობაში მყოფმა თექვსმეტი წლის ყმაწვილმა შეიძლება თვითმკვლელობაც კი ჩაიდინოს. თვითმკვლელობა – ესაა შურისძიების ნაირსახეობა და ამავე დროს საზოგადოების დადანაშაულება. ესაა თვითდამკვიდრების ყმაწვილური ხერხი კერძო მსოფლმხედველობის, და არა საღი აზრის ლოგიკის საფუძველზე. ამ სიტუაციაში ფსიქოლოგისაგან მოითხოვება ყმაწვილის ნდობის მოპოვება და მისი სასარგებლო კალაპოტში კონსტრუქციული ქმედებებისაკენ წაბიძგება.

შეიძლება ბევრი მსგავსი მაგალითის მოყვანა. კერძოდ, განვიხილოთ თერთმეტი წლის გოგონას შემთხვევა, რომელიც ოჯახში დიდი სიყვარულით არ სარგებლობდა. გრძნობდა რა გარშემომყოფთა მხრიდან თავისი თავის მიმართ სიმპატიის და ყურადღების ნაკლებობას და ამავე დროს სხვა ბავშვების მიმართ გამოხატულ უპირატესობას, ის თანდათან სულ უფრო გულფიცხი, ჭირვეული და დაუმორჩილებელი ხდებოდა. ეს სიტუაციაც ანალიზისთვის საკმაოდ მარტივია. გოგონას აღიარება აკლდა. თავიდან ის ბრძოლას ცდილობდა, მალე კი – იმედი დაკარგა. საქმე ქურდობამდეც კი მივიდა. ინდივიდუალური ფსიქოლოგიის თვალსაზრისით, ბავშვის ქურდობა – ეს არა იმდენად დანაშაულია, რამდენადაც ქმედება რაღაც დანაკლისის შევსების მიზნით. ამ გოგონას მიერ ჩადენილი ქურდობა წარმოადგენდა მის ცხოვრებაში ნამდვილი სიახლოვის არარსებობის შედეგს, უიმედობის გრძნობის შედეგს. ბავშვები ხშირად ქურდობას იწყებენ, როცა გრძნობენ, რომ ცხოვრებაში მათ რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი აკლიათ. ეს გრძნობა შეიძლება რეალურ სიტუაციას არც შეესაბამებოდეს, მაგრამ საქციელის ფსიქოლოგიურ მიზეზს სწორედ ის წარმოადგენს.

კიდევ ერთი შემთხვევა დაკავშირებულია ცხრა წლის უკანონოდ დაბადებულ ბიჭთან, რომელიც მამობილ–დედობილთან ცხოვრობდა და წყნარი, შინაური ბავშვი იყო.

მასზე ზრუნვით მშობლები თავს მაინცდამაინც არ იკლავდნენ, და მის ცხოვრებაში ერთადერთი სასიხარულო მოვლენა იყო, როცა დედა შაქარყინულს აძლევდა. თუ ამა თუ იმ მიზეზის გამო მისი სურვილი დაუკმაყოფილებელი რჩებოდა, ბიჭს გული უტყდებოდა. რაღაც დროის შემდეგ დედა საკმაოდ ხანდაზმულ მამაკაცს გაჰყვა და გოგონა გააჩინა, რომელიც ამ ხანდაზმული ადამიანის ერთადერთი სიხარული გახდა. მიზეზი, რომლის გამოც ბიჭი ოჯახში რჩებოდა,

იყო მის რჩენასთან დაკავშირებული ხარჯების გადახდის სურვილის უქონლობა. მამაკავი თავის ქალიშვილს ანებივ-რებდა, სახლში მოსვლისას მისთვის ყოველთვის რაღაც ტკბილეულობა მოჰქონდა, ბიჭი კი საერთოდ არ ახსოვდა. ამას შედეგად კი ის მოჰყვა, რომ მან შაქარყინულის ქურდობა დაიწყო და ამას აგრძელებდა, მამის მიერ მისი ცემის მიუხე-დავად. შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ის ამ სიტუაციაში სითა-მამეს იჩენდა, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე როდი იყო – მას მუდმივად გამოაშკარავების შიში ჰქონდა.

აღწერილი შემთხვევა – ათვალწუნებული ბავშვის ქცე-ვის მაგალითია, რომლის მიმართაც კეთილ გრძნობებს არა-ვინ ავლენდა. საჭიროა მისი ნდობის მოპოვება, რათა იგრძ-ნოს ნორმალური ადამიანური დამოკიდებულება. როცა ის თანაგრძნობას და თავისი თავის სხვების ადგილზე დაყე-ნებას ისწავლის, მიხვდება, თუ რას გრძნობდა მამინაცვალი, როცა მის ქურდობას ხედავდა, და რას განიცდიდა პატარა გოგონა, როცა თავისი კანფეტის გაქრობას აღმოაჩენდა. ამ მა-გალითზე კიდევ ერთხელ შეგვიძლია დავინახოთ, თუ სოცი-ალური გრძნობის, სწორი გაგების და სითამამის, – რომ-ლებიც ერთ მთლიანს შეადგენენ, – არარსებობის გამო რო-გორ ხდება არასრულფასოვნების კომპლექსის – ამ შემთხვე-ვაში ათვალწუნებული ბავშვის კომპლექსის – ფორმირება.

თავი 11. სიყვარული და ქორწინება

იმისათვის, რომ სიყვარულისა და ქორწინებისათვის ფსიქოლოგიურად მზად ვიყოთ, პირველ რიგში, ერთობის გრძნობის ქონა და სოციალურად ადაპტირებულად ყოფნაა საჭირო. ამ ზოგად მოსამზადებელ პირობებთან ერთად საჭი-როა ადრეული ბავშვობიდან სიმწიფის ასაკამდე სექსუალუ-რი ინსტიქტის ერთგვარი სწავლება – ის სწავლება, რომლის

მიზანიც იქნება ქორწინებაში და საოჯახო ცხოვრებაში მისი ნორმალური დაკმაყოფილება. სიყვარულისა და ქორწინების უნარიანობა, უუნარობა და მიდრეკილება ჩადებულია პროტოტიპში, რომელიც ცხოვრების პირველ წლებში ყალიბდება. პროტოტიპის თვისებების შესწავლისას სავსებით შესაძლებელია იმ სირთულეების განჭვრეტა, რომლებიც წარმოიშვებიან მოზრდილი ადამიანის შემდგომ ცხოვრებაში.

თანასწორობის წანამძღვრები

სიყვარულში და ქორწინებაში წარმოშობილი პრობლემების ხასიათი ზოგადი სოციალური პრობლემებისგან არ განსხვავდება. ამ ურთიერთობებისათვის, ისე როგორც ნებისმიერი სხვა ურთიერთობებისათვის იგივე სირთულეებია დამახასიათებელი, და დიდი შეცდომაა სიყვარულის და ქორწინების სამოთხედ წარმოდგენა, სადაც ყველა სურვილი თავისთავად სრულდება. ცხოვრების ნებისმიერი სფერო ადამიანის წინაშე განსაზღვრულ ამოცანებს სვამს, რომლებიც ყოველთვის უნდა შესრულდნენ სხვების ინტერესების გათვალისწინებით.

სოციალური შემგუებლობის ჩვეულებრივი თვისებების გარდა, სიყვარულისა და ქორწინების ურთიერთობები პარტნიორისაგან მოითხოვენ სიმპატიის განსაკუთრებულ გრძნობას, სხვა ადამიანთა საკუთარ თავთან გაიგივების და მის მიმართ თანაგრძნობის განსაკუთრებულ უნარს. და თუ დღევანდელ დღეს ცოლქმრული ცხოვრებისათვის ადამიანთა მხოლოდ მცირე რაოდენობაა ნამდვილად მზად, ეს იმიტომაა, რომ ადამიანთა უმეტესობისთვის არავის უსწავლებია სხვისი თვალით ხედვა, სხვისი ყურით სმენა და სხვისი გულით გრძნობა.

ჩვენ მიერ წინა თავებში განხილული საკითხებიდან

ბევრი მათგანი შეეხებოდა იმ ბავშვებს, რომლებშიც მათი ზრდისას მხოლოდ ეგოცენტრული ინტერესები ვითარდებოდნენ და რომლებიც სხვის ინტერესებს მხედველობაში არ იღებდნენ. არ უნდა მოველოდოთ, რომ ფიზიკური და სქესობრივი მომწიფება სწრაფად შეცვლის ამ ტიპისადმი მიკუთვნებული ადამიანის ხასიათს.

ის მოუმზადებელია როგორც სიყვარულისა და ქორწინებისათვის, ისე საზოგადოებაში ცხოვრებისთვისაც.

სოციალური ინტერესი საკმაოდ ნელა ვითარდება: ის მხოლოდ იმ ადამიანებისთვისაა დამახასიათებელი, რომლებიც შესაბამისი აღზრდის მიღებისას ბავშვობიდანვე საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნისაკენ მიისწრაფოდნენ. ამიტომ იმის გაგება, თუ ადამიანი რამდენადაა მზად საპირისპირო სქესთან ცხოვრებისათვის, დიდ სირთულეს არ წარმოადგენს.

სულ უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა ჩვენი დაკვირვება საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობას ეხება. სასარგებლო კალაპოტში მოქმედი ადამიანი თამამია და საკუთარი თავის სჯერა. ის პირისპირ ხვდება ცხოვრების პრობლემებს და მათი გადაწყვეტის გზებს ეძებს. მას ჰყავს მეგობრები და თავის მეზობლებთანაც ნორმალურ ურთიერთობებშია. ის კი, ვინც ამ თვისებებს მოკლებულია, სასიყვარულო ურთიერთობებისა და ქორწინებისათვის ჯერ არ მომწიფებულა. თუკი ადამიანი რაღაცას საქმიანობს და ამ საქმეში წარმატებულია, ის, ალბათ, ქორწინებისთვისაც მზადაა.

თუ ვიცით ერთობის გრძნობის ბუნება, დავრწმუნდებით, რომ სიყვარულში და ქორწინებაში წარმოშობილი პრობლემების გადაჭრა მხოლოდ სრული თანასწორობის საფუძველზე შეიძლება. თავისთავად სიყვარული – ესაა საკმაოდ განუსაზღვრელი გრძნობა, ამიტომაც სიყვარულის ისტორიები ასეთი მრავალფეროვანია. მხოლოდ იმ პირობით, თუ

ურთიერთობები თანასწორობის პრინციპზე აიგება, სიყვა–რული სწორ ფორმას მიიღებს და ქორწინებას წარმატებულს გახდის.

თუკი ქორწინებაში მამაკაცს ან ქალს გამარჯვებულად ყოფნა სურს, ამას, დიდი ალბათობით, ფატალური შედეგები მოჰყვება. ქორწინებისადმი ასეთი მიდგომა მისთვის მომზა–დებულობაზე არ მეტყველებს, და ქორწილის შემდეგ მომხ–დარი მოვლენები ამას ხშირად ადასტურებენ. შეუძლებელია გამარჯვებულად ყოფნა იმ სიტუაციაში, სადაც ბრძოლას ად–გილი არ უნდა ჰქონდეს. ქორწინება ითვალისწინებს სხვისი ინტერესებისადმი თანაგრძნობას და საკუთარი თავის მის ადგილას დაყენების უნარს.

ქორწინებისათვის მომზადება

ახლა კი განვიხილოთ, თუ როგორ უნდა ხდებოდეს ქორწინებისათვის მომზადება. ჩვენ უკვე ვახსენეთ, რომ ამ–გვარი მომზადება მოიცავს სწავლებას, რომელიც ხელს შეუწ–ყობს სექსუალურ ინსტიქტზე და სექსუალურ მიმზიდველო–ბაზე დამყარებულ ურთიერთობაში ერთობის გრძნობის შე–ტანას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ბავშვობა–ში ყოველი ადამიანი თავის წარმოსახვაში ქმნის საპირისპი–რო სქესის პიროვნების იდეალს. ბიჭების უმრავლესობისა–თვის მის შექმნაში დიდ როლს თამაშობს დედა, და სავსებით გასაგებია, თუ მათ ცოლად რატომ მოჰყავთ მსგავსი ტიპის ქალები. მაგრამ თუ დედასა და ვაჟიშვილს შორის ურთიერ–თობა დაძაბული იყო, ისინი, დიდი ალბათობით, თავის არ–ჩევანს ისეთ ქალიშვილზე შეაჩერებენ, რომელიც დედამი–სისგან ხასიათით მკვეთრად განსხვავდება. ბავშვობაში ურ–თიერთობებსა და სატრფოს ტიპს შორის დამოკიდებულება მომწიფებულ ასაკში იმდენად დიდია, რომ ეს ისეთ წვრილ–

მანებშიც კი შეიმჩნევა, როგორებიცაა თვალები, ფიგურა, თმის ფერი და ასე შემდეგ. ისიც ცნობილია, რომ თუ ბიჭს მბრძანებლური ხასიათის დედა ჰყავდა, რომელიც ბავშვობაში მას თრგუნავდა, მაშინ ეს ბიჭი სასიყვარულო და საქორწინო ურთიერთობებში მერყევი იქნება და, ალბათ, მისთვის სექსუალური იდეალი სუსტი და მორჩილი ქალიშვილი გახდება. მაგრამ თუ მისი სატრფო მკვირცხლი და ცოცხალი ქალიშვილი აღმოჩნდება, მაშინ ქორწინების შემდეგ დათრგუნვის და მბრძანებლობის სურვილი მუდმივი ჩხუბის მიზეზი იქნება.

როგორც დაკვირვებები გვიჩვენებენ, ბავშვობაში გამოვლენილი ყველა თვისება კიდევ უფრო აშკარა და რელიეფური მაშინ ხდება, როცა ადამიანი სიყვარულის პრობლემას ეჯახება. ადვილი წარმოსადგენია, თუ არასრულფასოვნების კომპლექსის მქონე ადამიანი სექსუალურ ურთიერთობაში როგორ მოიქცევა. შესაძლოა, ამ კომპლექსის გამო მისი სიყვარული პარტნიორის მხრიდან მხარდაჭერის მუდმივ სურვილში გამოიხატოს. ხშირად ასეთი ტიპის მამაკაცის იდეალია – მზრუნველი, დედობრივი ხასიათის ქალი. მაგრამ ზოგჯერ თავისი არასრულფასოვნების კომპენსაციის მიზნით ის შეიძლება სხვა უკიდურესობაში გადავარდეს და ამპარტავანი, თავხედი და აგრესიული გახდეს. სითამამის ნაკლებობის გამო ის არჩევანში მაინც შეზღუდული იქნება. ზოგჯერ მას შეუძლია თავისი ცხოვრების თანამგზავრად აქტიური და მებრძოლი პერსონა აირჩიოს, თუ ჩათვლის, რომ ასეთ რთულ ბრძოლაში გამარჯვების მოპოვება მისთვის უფრო საპატიოა.

ამ შემთხვევაში სექსუალური ურთიერთობები აგრეთვე ნორმალურად არ განვითარდებიან. სისულელე და უაზრობაა სექსის გამოყენება არასრულფასოვნების ან უპირატესობის კომპლექსის დასაკმაყოფილებლად, თუმცა ასეთი რამ

საკმაოდ იშვიათად ხდება.

თუ კარგად გავერკვევით, აღმოვაჩენთ, რომ ბევრი ადამიანი მომავალ მეუღლეში სინამდვილეში მსხვერპლს ეძებს და ის კი არ ესმის, რომ საქორწინო ურთიერთობის ამ მიზნით გამოყენება არ შეიძლება. და თუ ერთ-ერთ მეუღლეს გამარჯვება სწყურია, მეორესაც იგივე სურვილი იპყრობს. შედეგად კი ერთობლივი ცხოვრება შეუძლებელი ხდება.

სწორედ კომპლექსების დაკმაყოფილების იდეით შეიძლება აიხსნას პარტნიორის ერთი შეხედვით უცნაური არჩევანი. გასაგები ხდება, თუ ზოგიერთი რატომ ირჩევს ცხოვრების სუსტ, ავადმყოფ ან მოხუც თანამგზავრს: მათ სჯერათ, რომ ეს არჩევანი ცხოვრებას გაუადვილებს. ზოგჯერ პარტნიორად ცოლიან ადამიანს ეძებენ: ეს ნიშნავს ცხოვრების მოცემული სფეროს პრობლემების გადასაწყვეტად ძალისხმევის გამოჩენის სურვილის უქონლობას. ზოგჯერ ერთდროულად ხდება ორი მამაკაცის ან ორი ქალის შეყვარება, რამეთუ, როგორც უკვე ავხსენით, „ორი ქალიშვილი ერთ ქალიშვილზე ნაკლებია“.

ჩვენ ვამბობდით, რომ არასრულფასოვნების კომპლექსის მქონე ადამიანი იცვლის საქმიანობის სახეობებს, უარს ამბობს თავისი პრობლემების გადაწყვეტაზე და დაწყებული საქმე ბოლომდე არასოდეს მიჰყავს. სასიყვარულო სფეროშიც ზუსტად ასევე იქცევა.

ცოლიან მამაკაცზე ან ერთდროულად ორ მამაკაცზე შეყვარებულობა – უბრალოდ მისი ჩვეულებრივი მიდრეკილების დაკმაყოფილების ხერხია. არსებობს სხვა ხერხებიც, მაგალითად გაჭიანურებული ნიშნობა ან უსასრულო არშიყობა, რომლებიც ქორწილით არასოდეს მთავრდებიან.

განებივრებული ბავშვები მოზრდილ ასაკში თავიანთი მიდრეკილებებისადმი ერთგულებას ინარჩუნებენ. ისინი ქორწინებაში თავიანთი პარტნიორებისგან მეურვეობას ელი-

ან. ეს შეუფერხებლად მიღწევადია არშიყობის დროს ან ცოლქმრული ცხოვრების პირველ წლებში, მაგრამ შემდგომში, როგორც წესი, პრობლემები იწყება. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მოხდება როცა ქორწინდება ბავშვობიდან განებივრებული და მეურვეობას მიჩვეული ორი ადამიანი: ორივეს მეურვეობა სურს, მაგრამ არც ერთ მათგანს პარტნიორზე ზრუნვა არ უნდა; ყოველი მათგანი დარწმუნებულია, რომ მეორეს მისი არ ესმის.

გასაგებია, რაც ხდება, როცა ადამიანი გრძნობს, რომ მას ვერ უგებენ: ის პასიური ხდება, არასრულფასოვნებით იტანჯება და მისგან თავის დაღწევას ცდილობს. ქორწინებაში მსგავსი გრძნობები განსაკუთრებით დამღუპველია უიმედობისა და სასოწარკვეთის შესაძლო შეგრძნების ფონზე. ასეთ სიტუაციაში თანდათან მწიფდება შურისძიების გეგმები – რომელიმე ხერხით დაარღვიოს პარტნიორის ნორმალური ცხოვრება. ამის გაკეთების ყველაზე გავრცელებული ხერხია – სხვასთან ღალატი. ღალატი – თითქმის ყოველთვის შურისძიებაა. მართალია, მოღალატე მეუღლეები თავისი ქცევის გასამართლებლად იწყებენ მსჯელობას სიყვარულზე და გრძნობებზე, მაგრამ ამ გრძნობების ფასი ყველამ კარგად ვიცით! სინამდვილეში გრძნობები მთლიანად უპირატესობის მიღწევის მიზნით განისაზღვრებიან, და მათი არგუმენტებად გამოყენება არ შეიძლება.

ერთი განებივრებული ქალის შემთხვევა კარგ ილუსტრაციად გამოდგება.

ის ცოლად გაჰყვა მამაკაცს, რომელიც თავს მუდმივად ძმის მიერ დათრგუნულად გრძნობდა. უნდა გენახათ, თუ ამ ახალგაზრდა ადამიანს როგორ ხიბლავდა სწორედ ამ ქალიშვილის სინაზე და მიმზიდველობა, რომელსაც თავის მხრივ უნდოდა, რომ ყველა მისით მოხიბლულიყო და ყველაზე კარგი ყოფილიყო. მათი ქორწინება საკმაოდ ბედნიერი იყო

შვილის გაჩენამდე. ადვილი მისახვედრია, თუ შემდგომში მოვლენები როგორ განვითარდნენ. მუდმივად ყურადღების ცენტრში ყოფნის მოსურნე ცოლს ეშინოდა, რომ ბავშვი ამ ადგილიდან განდევნიდა, და ამიტომ შვილის დაბადებით თავს მაინცდამაინც ბედნიერად ვერ გრძნობდა. ქმარსაც, რომელსაც აგრეთვე პირველობა სურდა, კონკურენციის შიში აღელვებდა.

შედეგად ქმარსაც და ცოლსაც მეტისმეტი ეჭვიანობა განუვითარდათ. ისინი შვილს საკმარის ყურადღებას უთ–მობდნენ და კარგი მშობლები იყვნენ, მაგრამ მუდმივად იმის მოლოდინში იყვნენ, რომ მათი სიყვარული თანდათან დაიკ–ლებდა. ასეთი ეჭვი საკმაოდ საშიშია, რადგან ამას, როგორც წესი, მოჰყვება ყოველი სიტყვის, საქციელის, მოძრაობის და გრძნობის გამოვლენის ზოგჯერ არასწორი შეფასება, რაც სიყვარულისთვის დამღუპველია. მეუღლეებმა სწორედ ასე–თი დასკვნაც გააკეთეს. როგორც ეს მსგავს სიტუაციებში ხში–რად ხდება, როცა ცოლი მშობიარობის შემდეგ მომჯობინდა და პატარაზე ზრუნვა დაიწყო, ქმარი შვებულებაში გავიდა და დასასვენებლად და გასართობად პარიზში გაემგზავრა. პარიზიდან მოდიოდა ხალისიანი წერილები იმის აღწერით, თუ ის დროს რა მშვენივრად ატარებს, როგორ ადამიანებს ხვდება და სხვა. ცოლმა იგრძნო, რომ ქმარმა დაივიწყა. ბედ–ნიერების შეგრძნებამ შესუსტება დაიწყო, ის სულ უფრო და უფრო დათრგუნული ხდებოდა და მალე აგორაფობია დაეწ–ყო. აღარსად არ შეეძლო მარტო წასვლა, ქმარი ყველგან თან უნდა ხლებოდა. ერთი შეხედვით, ისე ჩანდა, რომ ცოლმა ყურადღებისა და ზრუნვის მუდმივ ობიექტად გახდომით თავის მიზანს მიაღწია. სინამდვილეში კი ეს არ იყო ნამდ–ვილი კმაყოფილება, რამეთუ მას იმის შეგრძნება გაუჩნდა, რომ როგორც კი გაქრება აგორაფობია, მასთან ერთად ქმა–რიც გაქრება. ამიტომაც აგორაფობია არ ქრებოდა.

დაავადებამ ექიმს შეახვედრა, რომელიც მეტისმეტი ყურადღებით ეპყრობოდა, და ექიმის მკურნალობის წყალობით თავი გაცილებით უკეთ იგრძნო.

მათ უნაზესი მეგობრობა აკავშირებდა, მაგრამ პაციენტი გამოჯანმრთელდა და, ბუნებრივია, ექიმს დაშორდა. მან ექიმს შესანიშნავი, მადლიერების გამომხატველი წერილი მისწერა. მაგრამ ექიმმა წერილი უპასუხოდ დატოვა. ამ დროიდან მისმა დაავადებამ პროგრესირება დაიწყო.

იმავდროულად მას გაუჩნდა აზრი და ფანტაზიები ქმარზე შურისძიების მიზნით რომელიმე მამაკაცთან სასიყვარულო ურთიერთობის შესახებ. მაგრამ აგორაფობია ამ ცდუნებისაგან საიმედოდ იცავდა, და რამეთუ სახლიდან გამოსვლა მხოლოდ ქმრის თანხლებით შეეძლო, მისი ცოლქმრული ღალატის გეგმები გეგმებად დარჩნენ.

ცოლქმრული წყვილის კონსულტირება

ქორწინებასა და ცოლქმრულ ცხოვრებასთან იმდენად ბევრი შეცდომაა დაკავშირებული, რომ გარდაუვალად წამოიჭრება კითხვა: „ნუთუ ეს ყველაფერი ასე აუცილებელია?“ ჩვენ ვიცით, რომ შეცდომები სათავეს ბავშვობაში იღებენ. ჩვენთვის ისიც ცნობილია, რომ შესაძლებელია ცხოვრების მცდარი სტილის გამოსწორება პროტოტიპის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნების დანახვით და განსაზღვრით. ისმის კითხვა, ასეთ შემთხვევაში რატომაც არ უნდა დავაფუძნოთ კონსულტანტების ერთგვარი საბჭო, რომელიც საოჯახო პრობლემებით დაკავდებოდა ინდივიდუალური ფსიქოლოგიის მეთოდების დახმარებით? ასეთ საბჭოში შევიდოდნენ გამოცდილი ფსიქოლოგები, რომელთაც კარგად იციან, თუ ადამიანის ცხოვრების ყველა მოვლენა როგორ აიგება გარკვეული თანმიმდევრულობით და როგორ გადაეხლართება

ერთმანეთს, რომლებსაც ექნებათ ემპატიის და იმ ადამიანებ–თან იდენტიფიკაციის ნიჭი, რომელნიც ფსიქოლოგის კონ–სულტაციას საჭიროებენ.

ასეთი კონსულტანტების ამოცანა ის კი არ იქნებოდა, რომ ეთქვათ: „თქვენ თანხმობის მიღწევა არ შეგიძლიათ, თქვენს კონფლიქტებს ბოლო არ უჩანს, მაშასადამე, უნდა დაშორდეთ!“ მაინც რა შეიცვლება განქორწინებით? როგორც წესი, განქორწინებულ ადამიანებს კვლავ უჩნდებათ ქორწი–ნებაში შესვლის და ცხოვრების ადრინდელი სტილის მიხედ–ვით ურთიერთობების აგების სურვილი. ზოგჯერ გვხვდები–ან ადამიანები, რომლებიც ისევ და ისევ ქორწინდებიან და განქორწინდებიან და ყოველთვის ერთიდაიგივე შეცდომებს უშვებენ. კარგი იქნებოდა ასეთ ადამიანებს კონსულტაცია გაევლოთ იმის თაობაზე, არსებობს თუ არა მცირე ალბათობა მაინც, რომ მათი ქორწინება ან სასიყვარულო კავშირი წარმა–ტებული იქნება და ღირს კი განქორწინება განქორწინებას–თან ახლოს მყოფ სიტუაციაში.

არსებობს ბევრი პატარა ნაკლი, რომელიც სათავეს ბავ–შვობაში იღებს და ქორწინებამდე უმნიშვნელო მოჩანს. მაგა–ლითად, ადამიანთა გარკვეული ნაწილი მუდმივად იმედგა–ცრუებას მოელის. ზოგიერთი ბავშვი არასოდესაა ბედნიერი და ყოველთვის ეშინია, რომ იმედგაცრუებული იქნება, რომ მეტად აღარ ეყვარებათ ისე, როგორც ადრე უყვარდათ, რომ მას სხვას ამჯობინებენ, ამიტომ მუდმივად ფხიზლადაა და იმისაც ეშინია, რომ ეს ტრაგედია მის ცხოვრებაში კვლავ გან–მეორდება. სავსებით ცხადია, რომ ცოლქმრულ ცხოვრებაში იმედგაცრუების ეს შიში ეჭვიანობის მიზეზი გახდება.

ეს პრობლემა განსაკუთრებით ძლიერად ქალებს აწუ–ხებთ, რამეთუ მათ ხშირად ეჩვენებათ, რომ მამაკაცებისთვის მხოლოდ სათამაშოებს წარმოადგენენ, რომ მამაკაცები ერთ–გულები არასოდეს არიან. გასაგებია, რომ ეს აზრები ქორწი–

ნებას ბედნიერს ვერ გახდის, რამეთუ ბედნიერება შეუძლებელია, როცა ერთ–ერთ პარტნიორს თანსდევს იდეა პარტნიორის ორგულობის შესახებ.

ადამიანები სიყვარულისა და ქორწინების საკითხებში რჩევას იმდენად ხშირად ეძებენ, რომ შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ეს საკითხები ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანია. ინდივიდუალური ფსიქოლოგიის თვალსაზრისით ეს ასე არ არის, თუმცა არ შეიძლება მათი მნიშვნელობის უარყოფა. ინდივიდუალური ფსიქოლოგიისათვის მეტად ან ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხები არ არსებობს, და თუ ვინმე მაინცდამაინც ზემოთ ხსენებულ ურთიერთობებს მეტისმეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, მისი ცხოვრება ჰარმონიული აღარ იქნება.

შესაძლოა, მიზეზი ისაა, რომ ცხოვრების სხვა სფეროებისაგან განსხვავებით, აქ ერთიანი წესები და ინსტრუქციები არ არსებობს. გავიხსენოთ, თუ რას ვამბობდით ცხოვრებისეულად მნიშვნელოვან სამ საკითხზე. რაც შეეხება პირველს – საზოგადოებაში ცხოვრებას, – რომელიც სხვების მიმართ ჩვენს ქცევას მოიცავს, ცხოვრების პირველი დღეებიდანვე გვასწავლიან, თუ როგორ მოვიქცეთ კომპანიაში და როგორ ავაწყოთ ურთიერთობები სხვა ადამიანებთან. ჩვენს საქმიანობაზეც შეიძლება ითქვას, რომ, როგორც წესი, მის მეთოდურად სწავლას საკმაოდ ადრეული ასაკიდან ვიწყებთ. ჩვენ გვყავს ინსტრუქციების მომცემი მასწავლებლები, გვაქვს სპეციალური წიგნები და სახელმძღვანელოები, რომლებიც გვეუბნებიან, თუ რა უნდა ვაკეთოთ და როგორ მოვიქცეთ. მაგრამ სად მოვძებნოთ სახელმძღვანელო, რომელიც გვასწავლის, თუ როგორ მოვამზადოთ საკუთარი თავი სიყვარულისა და ქორწინებისათვის.

რომანების უმრავლესობა მოგვითხრობს სიყვარულისა და ერთობლივი ცხოვრების შესახებ, მაგრამ მხოლოდ ცოტა

მათგანი – ბედნიერ ქორწინებებზე. რამდენადაც ჩვენი კულ–ტურა ლიტერატურის დიდი გავლენის ქვეშ იმყოფება, თი–თოეული ადამიანი თავის მეხსიერებაში ინახავს იმ მამაკაცე–ბისა და ქალების სახეებს, რომელთა ერთობლივი ცხოვრებაც პრობლემებით სავსეა. ამიტომ გასაკვირი როდია, რომ ადა–მიანები ქორწინებას ასეთი შიშით შეჰყურებენ.

ამის შიში ჯერ კიდევ კაცობრიობის გარიჟრაჟზე ჩაისა–ხა და თუ ბიბლიას მივმართავთ, მასში აღმოვაჩენთ ისტორი–ას იმის შესახებ, რომ ყველა უსიამოვნების დასაბამი ქალია და რომ მამაკაცისა და ქალის სიყვარული ყოველთვის დიდ საფრთხეებთანაა დაკავშირებული.

უნდა ითქვას, რომ ჩვენი აღზრდა მეტისმეტად შეზღუ–დულია და ამ საკითხში სასარგებლო ვერ იქნება. სიყვა–რულთან დაკავშირებულ ყველა ცოდვილობაზე ქადაგების მაგივრად, გაცილებით უფრო ბრძნული იქნებოდა გოგონე–ბისა და ბიჭებისათვის გვესწავლებინა ქორწინებაში თავიან–თი როლების უკეთ შესრულება, მაგრამ ისე გვესწავლებინა, რომ მათ კარგად გაიგონ ერთობლივ ცხოვრებაში თანასწო–რობის, როგორც მისი საფუძვლის მნიშვნელობა.

ის ფაქტი, რომ დღევანდელ დღეს ქალი თავის არა–სრულფასოვნებას გრძნობს, იმას ამტკიცებს, რომ ამ კონკრე–ტულ სფეროში ჩვენი კულტურა მარცხს განიცდის.

მკითხველმა, რომელსაც ამის არ სჯერა, დაე შეხედოს, თუ რისკენ მიისწრაფვიან ქალები.

ის აღმოაჩენს, რომ ქალებს ჩვეულებრივად უნდათ სხვებს აჯობონ, რომ ისინი ხშირად თავის საქმიანობაზე გა–ცილებით მეტ ენერგიას ხარჯავენ, ვიდრე ამას სიტუაცია მო–ითხოვს. გარდა ამისა, ისინი მამაკაცებზე უფრო ეგოცენტ–რულები არიან. მომავალში ქალებმა ერთობის გრძნობა უნ–და განავითარონ და სარგებელი არა მხოლოდ საკუთარი თა–ვისთვის, არამედ სხვა ადამიანებისთვისაც ეძებონ. მაგრამ

ამას რომ შედეგი მოჰყვეს, მანამდე საჭიროა მამაკაცების პრი–ვილეგიების შესახებ ცრურწმენისაგან გათავისუფლება.

მოვიყვანოთ მაგალითი, თუ როგორ ვლინდება ზოგი–ერთი ადამიანის ქორწინებისათვის მოუმზადებლობა. ერთმა ახალგაზრდა ადამიანმა ბალზე სიმპატიურ ქალიშვილთან ცეკვისას მას ცოლობა შესთავაზა. იმ მომენტში მოულოდნე–ლად თვალებიდან სათვალეები ჩამოუვარდა და სათვალეე–ბის დაჭერის მცდელობისას ქალიშვილი კინაღამ წააქცია. როცა მეგობარი შეეკითხა, თუ ასე რატომ მოიქცა, მან უპასუ–ხა: „ხომ ვერ დავუშვებდი, რომ ჩემი სათვალეები გაესრისა!“ სავსებით ცხადია, რომ ეს ყმაწვილი ქორწინებისათვის მზად არ იყო, რაც ქალიშვილის უარის თქმის მიზეზიც გახდა.

გარკვეული დროის შემდეგ ამ ახალგაზრდა ადამიანმა ექიმს დეპრესიაზე ჩივილით მიმართა. უნდა ითქვას, რომ დეპრესია საკმაოდ ხშირად იმ ადამიანებს ემართებათ, რომ–ლებიც საკუთარ ინტერესებზე მეტისმეტად ზრუნავენ.

ადამიანის ცოლქმრული ცხოვრებისათვის მზადყოფ–ნის მაჩვენებელი ათასი ნიშანი არსებობს. მაგალითად, შეიძ–ლება შეყვარებულ ადამიანში უნდობლობა გამოიწვიოს იმ გარემოებამ, რომ მისი გულის სწორი პაემანზე საპატიო მი–ზეზის გარეშე იგვიანებს. მსგავსი ქცევა – მუდმივი ეჭვების წარმომქმნელი იმ განწყობის გამოვლინებაა, რომელიც, თა–ვის მხრივ, ცხოვრების რეალური პრობლემების გადაჭრი–სათვის მოუმზადებლობის ნიშანია.

ერთობლივი ცხოვრებისათვის არასაკმარისი მზად–ყოფნის კიდევ ერთი ნიშანია – ერთ–ერთი მეუღლის მხრი–დან მეორის აღზრდის და გაკრიტიკების მუდმივი სურვილი. ზედმეტი მგრძნობიარობა შეიძლება არასრულფასოვნების კომპლექსის სიმპტომიც იყოს. ის ადამიანიც, რომელსაც მე–გობრები არ ჰყავს და კომპანიაში თავს კარგად ვერ გრძნობს, დიდი ალბათობით, აგრეთვე ცოლქმრული ცხოვრებისათვის

მზად არ არის. ადამიანთა ამავე რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ ისინიც, ვინც რაიმე საქმიანობის არჩევაზე უარს ამბობს და განუსაზღვრელობის სიტუაციაში იმყოფება.

მთლად ხელსაყრელი შეიძლება არ აღმოჩნდეს პესიმისტთან კავშირი, რადგან რთულ ცხოვრებისეულ სიტუაციებში პესიმიზმი მას სითამამის ნარჩენებსაც ართმევს.

არახელსაყრელი პირობების მთელი ამ სიის მიუხედავად არ ღირს პარტნიორის არჩევის პრობლემის მეტისმეტად გართულება, რამეთუ იდეალური ადამიანის მოძებნა პრაქტიკულად შეუძლებელია. უფრო მეტიც, თუ ვინმე წარუმატებლად ეძებს ცხოვრების იდეალურ თანამგზავრს, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ეს ადამიანი მუდმივად ყოყმანობს, რაც, როგორც უკვე ვთქვით, ასეთი საკითხებით დაკავების სურვილის სრული არქონის ნიშანია.

არსებობს ერთი ძველი გერმანული ხერხი წყვილის ცოლქმრული ცხოვრებისათვის მზადყოფნის შესამოწმებლად. სოფლის ღარიბ ოჯახებში ყმაწვილს და ქალიშვილს აძლევენ ხერხს, რომლითაც მათ ყველა ნათესავის თანდასწრებით ხის ტანი უნდა გადახერხონ. რამეთუ ხის ტანის გადახერხვა – ორი ადამიანის თანამშრომლობას მოითხოვს, თითოეულ პარტნიორს უნდა აინტერესებდეს, თუ რას აკეთებს მეორე, და მასთან ჰარმონიულად ურთიერთმოქმედებდეს. სწორედ ამიტომ ეს პარტნიორების შეთავსებადობის კარგ ტესტად ითვლება.

დასასრულს კიდევ ერთხელ გვინდა ხაზი გავუსვათ, რომ სიყვარულისა და ქორწინების საკითხები გადაწყვეტადია მხოლოდ სოციალურად შეგუებადი ადამიანებისთვის. უმეტეს შემთხვევებში დაშვებული შეცდომების მიზეზია – სოციალური ინტერესის არარსებობა, და ამ შეცდომების აღმოფხვრა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ პიროვნება მთლიანად იცვლება.

ქორწინება – ესაა ორი ადამიანის წინაშე მდგარი ამოცანა. თუმცა ფაქტია, რომ ჩვენ ამოცანების შესრულებას ვსწავლობთ ან მარტო, ან ოცი ადამიანისაგან შემდგარ კომპანიაში, და ხშირად ჩვენ უბრალოდ არ გვყოფნის მეუღლესთან ერთად ცხოვრების უნარი. მაგრამ ამ ყველაფრის მიუხედავად, თუ ორი ადამიანი აღიარებს თავისი შეცდომების არსებობას და ერთობლივ ცხოვრებას ურთიერთთანასწორობის პოზიციიდან მიუდგება, ისინი ქორწინების ამოცანის გადაწყვეტას უთუოდ შესძლებენ.

ალბათ, ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ქორწინების უმაღლესი ფორმა – მონოგამიაა. ბევრი ადამიანი ფსევდომეცნიერულ საფუძველს ეყრდნობა და აღნიშნავს, რომ პოლიგამია ადამიანის ბუნებას გაცილებით უფრო შეესაბამება. ამ დასკვნას ჭეშმარიტად ვერ ვაღიარებთ, რამეთუ ჩვენს კულტურაში სიყვარული და ქორწინება სოციალურ ამოცანებს წარმოადგენენ. ჩვენ ცოლი მოგვყავს და ვთხოვდებით არა მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობის გულისთვის, არამედ გარკვეული აზრით სხვების კეთილდღეობის გულისთვისაც. საბოლოო ჯამში კი – მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

თავი 12. სექსუალობა და სექსუალური პრობლემები

წინა თავში განვიხილეთ სიყვარულისა და ქორწინების სხვადასხვა პრობლემები.

ახლა კი უფრო კერძო პრობლემაზე გადავალთ – სექსუალობაზე და მის კავშირზე რეალურ და წარმოსახვით დაავადებებთან. როგორც დავრწმუნდით, ადამიანთა უმრავლესობა სწორედ სიყვარულისა და ერთობლივი ცხოვრების პრობლემების გადასაჭრელად სხვა პრობლემებთან შედარებით ყველაზე ნაკლებადაა მომზადებული. ეს დასკვნა განსა-

კუთრებით სამართლიანია სექსთან დაკავშირებულ საკით-ხებთან მიმართებით. სექსუალობის საკითხი დღემდე ცრუ-რწმენების უჩვეულო რაოდენობითაა გარშემორტყმული.

მათ შორის ყველაზე გავრცელებულია თანდაყოლილ თვისებებში რწმენა: იმაში, რომ ადამიანი მემკვიდრეობით იღებს სექსუალობის განსაზღვრულ დონეს, რომლის შეცვ-ლაც შეუძლებელია. ცნობილია, რომ მემკვიდრეობითობის საკითხები ხშირად თავის გასამართლებლად გამოიყენებიან, და რომ ეს გამართლებები ცვლილებებს აბრკოლებენ. ამი-ტომ ჯერ საჭიროა ზოგიერთი შეხედულების მეცნიერული თვალსაზრისით განხილვა. ეს შეხედულებები ფრიად სერი-ოზულად აღიქმებიან უბრალო ადამიანების მიერ, რომელ-თაც არ ესმით, რომ მათი ავტორები მხოლოდ შედეგებს სთა-ვაზობენ და არ იხილავენ სექსუალური ინსტიქტის შესაძლო შეფერხებას ან ხელოვნურ სტიმულირებას, რომლებითაც ეს შედეგები განისაზღვრებიან.

სწავლება ადრეულ ასაკში

სექსუალობის აღმოჩენა ძალიან ადრეულ ასაკში შეიძ-ლება. ყველა, ვინც ჩვილ ბავშვს უვლის და თვალყურს ადევ-ნებს, ახალშობილის ცხოვრების პირველსავე დღეებში ზოგი-ერთ სექსუალურ აღგზნებას და სექსუალურ მოძრაობებს და-ინახავს. თუმცა სექსუალობის ეს გამოვლინებები ძირითა-დად გარემოცვაზეა დამოკიდებული. როცა ბავშვი ასე მოქ-ცევას იწყებს, მშობლები მისი ყურადღების გადატანის ხერ-ხებს პოულობენ, მაგრამ მათ მიერ გამოყენებული საშუალე-ბები ამ სიტუაციაზე ყოველთვის როდია მორგებული.

როცა ბავშვის მოცემული სისტემის ფუნქციონირებაში რაიმე გადახრები გამოვლინდება, მისი სექსუალური გამოვ-ლინებების სურვილი ძლიერდება. როგორც უკვე ვაჩვენეთ,

მსგავსი კანონზომიერება სხეულის ყველა ორგანოსთვისაა დამახასიათებელი; მოცემულ შემთხვევაში სქესობრივი ორ–განოები გამონაკლისს არ წარმოადგენენ. მაგრამ ამ შემთხვე–ვაშიც შესაძლებელია ბავშვის სწორი აღზრდა, განსაკუთრე–ბით მისი ადრე დაწყებისას.

მთლიანობაში უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვობაში სექ–სუალობის განსაზღვრული ხარისხი – სავსებით ნორმალური მოვლენაა, ამიტომ ბავშვის ზოგიერთი სექსუალური მოძრა–ობის არ უნდა შეგვეშინდეს. და რამეთუ ერთი სქესის საბო–ლოო მიზანია მეორე სქესთან შეერთება, ჩვენი ტაქტიკა უნდა გახდეს ყურადღებით ლოდინი, ამასთან თვალყური უნდა ვადევნოთ, რომ სექსუალურმა გამოვლინებებმა არასწორი ფორმა არ მიიღონ.

არსებობს თანდაყოლილი ნაკლოვანებებისადმი იმის მიკუთვნების გარკვეული ტენდენცია, რაც სინამდვილეში ბავშვობაში დამოუკიდებელი ათვისების შედეგია.

ზოგჯერ მსგავს ქმედებებს თანდაყოლილ თვისებებს მიაწერენ. თუ ისე ხდება, რომ ბავშვს იგივე სქესი უფრო მე–ტად იზიდავს, ვიდრე საპირისპირო, ეს თანდაყოლილ აშ–ლილობად ითვლება. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს აშლილობა დღიდან დღემდე თავად ბავშვის მიერ ვითარდებოდა. ზოგ–ჯერ ბავშვს ან მოზრდილს უვლინდება გაუკუღმართების ნიშნები, და კვლავ ბევრი ამას თანდაყოლილად მიიჩნევს. მაგრამ თუ ეს ასეა, რატომ სწავლობს ადამიანი ასეთ გაუ–კუღმართებას?

განსაზღვრული ასაკისათვის ზოგიერთი ასეთ სწავლე–ბას წყვეტს, და ინდივიდუალურ ფსიქოლოგიას ამის ადვი–ლად ახსნა შეუძლია. მაგალითად, არსებობენ ადამიანები, რომლებსაც დამარცხების ეშინიათ. მათ აწუხებს არასრულ–ფასოვნების კომპლექსი და ზოგჯერ მის დაძლევას იმდენად აქტიურად სწავლობენ, რომ ამის შედეგი გადაჭარბებულ

სექსუალობაში გამოხატული უპირატესობის კომპლექსი იქ-ნება. ასეთი ადამიანი შეიძლება სექსუალურად ძალიან გან-ვითარებული იყოს.

მსგავსი მიდრეკილებები გარემოცვის მიერ შეიძლება განსაკუთრებით წახალისდნენ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ წიგნებს, სურათებს, ფილმებს და ურთიერთმოქმედების გარკვეულ ტიპს აქვთ სექსუალური ლტოლვის მნიშვნელოვ-ნობის გაზვიადების ტენდენცია.

შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს დროში ნებისმიერ საშუა-ლებას იყენებენ, რათა ადამიანში სექსისადმი გაზრდილი ინ-ტერესი განავითარონ.

და იმის გასაგებად, თუ ამჟამად სექსუალური ცხოვრე-ბის ატრიბუტებს რატომ უთმობენ გაუმართლებლად დიდ ყურადღებას, საჭიროა სათანადოდ შეფასდეს ამ ორგანული ლტოლვისა და სიყვარულში, ქორწინებაში და ადამიანური მოდგმის გაგრძელებაში მისი როლის მნიშვნელობა.

ბავშვის სექსუალური მიდრეკილებების სიჭარბე სათა-ვეს მშობლების რეაქციებში იღებს. ფრიად ხშირად დედა გა-დაჭარბებულ ყურადღებას აქცევს ბავშვების პირველ სექსუა-ლურ მოძრაობებს, აიძულებს რა ამით მათი მნიშვნელოვნო-ბის გადაფასებას. სექსუალური გამოვლინებებით შეშინებუ-ლი დედა იწყებს ბავშვისათვის ყველაფერ იმის მუდმივად ახსნას, რაც მოცემულ საგანთანაა დაკავშირებული, მის მუდ-მივ გაკონტროლებას და დასჯას. და რამეთუ ცნობილია, რომ ბევრ ბავშვს მოსწონს ყურადღების ცენტრში ყოფნა, ისინი ხშირად დასახმარებლად მავნე ჩვევებს სწორედ იმიტომ მი-მართავენ, რომ დედის ყურადღების თუნდაც საყვედურების სახით შენარჩუნება უფრო ადვილია. ბავშვთან ურთიერთო-ბაში გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია პრობლემის არა გადაფასება, არამედ მისი, როგორც ჩვეულებრივი სირთუ-ლეების აღქმა. რაც უფრო ნაკლებად გავამახვილებთ სიტუა-

ციაზე ბავშვის ყურადღებას, მით უფრო ადვილად დავძ-ლევთ მასში წარმოშობილ პრობლემებს.

ზოგჯერ ბავშვის გარემოცვაში არსებული ტრადიციები მას განსაზღვრული ტიპის ქცევას უნერგავენ. მაგალითად, დედა შვილისადმი სიყვარულს ხშირად კოცნებში, ალერსში და მსგავს გამოვლინებებში გამოხატავს. ამ ყველაფრის სი-ჭარბე ბავშვისთვის მავნეა, ზოგიერთი დედა კი თავად აღია-რებს, რომ ამისგან თავს ვერ იკავებს. მსგავსი ქმედებები არ შეიძლება დედობრივი ზრუნვის მაგალითად ჩაითვალოს, რადგან ბავშვის კეთილდღეობას ხელს არ უწყობს. განებივ-რებული ბავშვების სექსუალობა ნორმალურად იშვიათად ვითარდება.

ცხოვრების სტილზე დამოკიდებულება

ჩვენ მიერ განხილვად თემასთან დაკავშირებით უნდა ვახსენოთ, რომ ბევრ ექიმს და ფიზიოლოგს მიაჩნია, რომ სექსუალური განვითარება წარმოადგენს გონების, ფსიქიკის და ყველა ფიზიკური გამოვლინების განვითარების საფუძ-ველს. ავტორის თვალსაზრისით ეს მცდარია, რამეთუ ის თვლის, რომ სექსუალობის ყველა ფორმა და განვითარება დამოკიდებულია პიროვნების განვითარებაზე – ცხოვრების სტილზე და პროტოტიპზე.

თუ ვიცით, რომ ერთი ბავშვი სექსუალობას თავისებუ-რად ავლენს, ხოლო მეორე – მას თრგუნავს, შეიძლება წინას-წარ ვთქვათ, თუ თითოეულ მათგანს მოზრდილ ცხოვრებაში რა დაემართება. თუ ვიცით, რომ ბავშვი ყოველთვის ცდი-ლობს ყურადღების ცენტრში მოხვედრას, ცდილობს სხვებს აჯობოს, ის უთუოდ თავის სექსუალობას ისე განავითარებს, რომ მისი დახმარებით ამ მიზნებს მიაღწიოს.

ბევრს სჯერა, რომ სექსუალური ინსტიქტის პოლიგამურად გამოვლენით თავიანთ უპირატესობას და ძალაუფლებას გამოხატავენ, ამიტომ მათი სექსუალური კავშირები მრავალრიცხოვანია. მიუხედავად ამისა, შეიძლება შევნიშნოთ, რომ ისინი ფსიქოლოგიური მიზეზებით თავიანთ სექსუალურ შესაძლებლობებს და განწყობებს შეგნებულად აზვიადებენ: ასეთნაირად თავს გამარჯვებულებად გრძნობენ. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს ილუზიაა, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა არასრულფასოვნების კომპლექსის კომპენსაცია.

სწორედ არასრულფასოვნების კომპლექსია სექსუალური გადახრების ძირითადი მიზეზი. ამ კომპლექსის მქონე ადამიანი თავისი ცხოვრებისეული სიტუაციიდან ყოველთვის ცდილობს იოლი გამოსავლის მოძებნას. ზოგჯერ ასეთი გამოსავალი შეიძლება გახდეს ცხოვრებიდან რეალობის უმეტესი ნაწილის გამორიცხვა და მისი სექსუალური სფეროსთვის უფრო დიდი მნიშვნელობის მინიჭება.

ხშირად ეს ტენდენცია შეიძლება ბავშვებში აღმოვაჩინოთ, ძირითადად მათ შორის, ვისაც სურს სხვების ყურადღების ობიექტად ყოფნა. ისინი ამას აღწევენ სირთულეების შექმნით და მშობლებისა და მასწავლებლებისათვის პრობლემად გახდომით, ასე რომ მათი მისწრაფებები და აქტივობა სოციალური თვალსაზრისით სულ უფრო და უფრო უსარგებლო ხდება. მომდევნო ცხოვრებაში მათ შეუძლიათ სხვების ყურადღება მიიპყრონ თავიანთი მიდრეკილებების გამოყენებით და ასეთნაირად მოახდინონ საკუთარი გამორჩეულობისა და უპირატესობის დემონსტრირება. ასეთ ბავშვებს არ შეუძლიათ სექსუალური ლტოლვების განსხვავება უპირატესობის და გამარჯვების სურვილებისაგან. ზოგჯერ საკუთარი ცხოვრებიდან მისი შესაძლებლობების და პრობლემების ნაწილის გამორიცხვით ისინი ყველაფერ იმას გამორიცხავენ, რაც საპირისპირო სქესთანაა დაკავშირებული და

ჰომოსექსუალისტები ხდებიან.

საკმაოდ საჩვენებელია ის ფაქტი, რომ სექსუალური გაუკუღმართებულობის მქონე ადამიანები სექსუალობას გაზვიადებულ მნიშვნელობას ანიჭებენ. ნორმალური სექსუ–ალური ცხოვრების პრობლემებთან ნებისმიერი შეჯახების თავიდან ასაცილებლად ისინი თავის გაუკუღმართებულო–ბასაც კი აზვიადებენ. ამ მოვლენების გაგება მხოლოდ ცხოვ–რების სტილის გაგების პირობით შეიძლება. მოცემულ შემთ–ხვევაში საუბარია იმ ადამიანებზე, რომელთაც სურთ, რომ გაცილებით უფრო მეტი ყურადღება დაუთმონ, მაგრამ ამას–თან ამ სურვილის დასაკმაყოფილებლად საპირისპირო სქე–სის დაინტერესების უნარი არ გააჩნიათ. საპირისპირო სქე–სის პირების წინაშე ისინი თავს არასრულფასოვნად გრძნო–ბენ. ამ არასრულფასოვნების ფესვები კი, ალბათ, ბავშვობაში უნდა ვეძებოთ. მაგალითად, თუ საკუთარ ქცევაზე უფრო მე–ტად მოსწონდათ გარემოცვაში მყოფი გოგონების და დედის ქცევა, მათ შეიძლება წარმოშობოდათ საკუთარი თავისადმი ქალის ინტერესის აღძვრის უუნარობის შეგრძნება. საპირის–პირო სქესით აღფრთოვანებამ შეიძლება ამ სქესის წარმო–მადგენლების მიბაძვის სურვილიც კი გამოიწვიოს. ამის შე–დეგი კი ის იქნება, რომ ყმაწვილი ქალიშვილის იერს შეიძენს და პირიქით.

იმ მამაკაცის ისტორია, რომელსაც ბრალი ედებოდა ბავშვების მიმართ სადისტურ ქმედებებში, შეიძლება იმის კარგ ილუსტრაციად გამოდგეს, თუ როგორ ფორმირდება ჩვენ მიერ განხილვადი მიდრეკილებები. მისი ბავშვობის კვლევით შევიტყვეთ, რომ მას ჰყავდა მბრძანებლური ხასია–თის დედა, რომელიც მუდმივად აკრიტიკებდა. მიუხედავად ამისა, სკოლაში ის კარგ და ნიჭიერ მოსწავლედ ითვლებოდა. თუმცა დედა მისი მიღწევებით კმაყოფილი არასდროს არ იყო. ამის გამო მთელი თავისი სიყვარული და თბილი

გრძნობები ბიჭმა მამამისზე გადაიტანა და დედამისი ახლო ურთიერთობების სფეროდან გამორიცხა. გასაკვირი როდია, რომ ასეთ ბავშვს ქალების მიმართ ის აზრი შეექმნა, რომ ისინი მკაცრნი და ზედმეტად კრიტიკულნი არიან და მათთან საქმის დაჭერა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში თუ შეიძლება. ამრიგად, მან საპირისპირო სქესი თავისი ცხოვრებიდან საერთოდ გამორიცხა. გარდა ამისა, ჩვენი გმირი იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც სექსუალურ აღგზნებას გრძნობენ, როცა შიშს განიცდიან. ამ ტიპის ადამიანებს მუდმივად განგაშის გრძნობა აწუხებთ, და ეს მათ აიძულებს ისეთი სიტუაციები ეძებონ, სადაც უსაფრთხოდ იქნებიან. მომდევნო ცხოვრებაში ასეთ ადამიანს შეიძლება მოეწონოს საკუთარი თავის დასჯა ან საკუთარი თავისთვის ტკივილის მიყენება, ან ბავშვის წვალების ყურება, ან საკუთარი თავის ან სხვის ტანჯვა–წამებაში წარმოდგენა. და რამეთუ ის აღწერილ ტიპს მიეკუთვნება, ამასთან ერთად სექსუალურ აღგზნებას და კმაყოფილებას განიცდის.

მოცემული შემთხვევა გვიჩვენებს, თუ როგორი შეიძლება იყოს არასწორი სწავლების შედეგები. მამაკაცს, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ, არასოდეს ესმოდა თავისი ჩვევების და მიდრეკილებების ურთიერთკავშირი, და თუ რაღაცას მაინც მიხვდა, ეს მეტისმეტად გვიან მოხდა.

ოცდახუთი–ოცდაათი წლის ასაკში ადამიანის ხელახლა სწავლება – მეტისმეტად რთული ამოცანაა. ამისათვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი დრო – ადრეული ბავშვობაა.

სხვა ფაქტორები

ბავშვობაში ეს პრობლემა მშობლებთან ურთიერთობებითაა გართულებული. საინტერესოა იმაზე დაკვირვება, თუ ბავშვის მშობლებთან ფსიქოლოგიური კონფლიქტის შემთხ–

ვევაში შედეგად როგორ მივიღებთ არასწორ სექსუალურ წარმოდგენას ან დამღუპველ სექსუალურ გამოცდილებას. ბავშვმა, განსაკუთრებით მოზარდის ასაკში, შეიძლება ჩაიდინოს სექსუალური საქციელი მშობლებისათვის ტკივილის შეგნებულად მიყენების განზრახვით. ხშირად ასეთი ყმაწვილები ან ქალიშვილები მშობლებთან ჩხუბის შემდეგ მაშინვე სექსუალურ კავშირში შედიან. ბავშვები შურისძიების მსგავს საშუალებებს ხშირად მიმართავენ, განსაკუთრებით მაშინ, თუ იციან, რომ მშობლები ამ საკითხების მიმართ მეტისმეტად მგრძნობიარენი არიან.

ამ ტაქტიკის გამოყენებისათვის თავის არიდების ერთადერთი ხერხია – ბავშვის საკუთარ თავზე და ქცევაზე პასუხისმგებლად გახდომა და იმის მიხვედრება, რომ ეს არა მხოლოდ მშობლების, არამედ მის საკუთარ ინტერესებშიც შედის.

ბავშვური გარემოცვის გავლენის გარდა, რომელიც შემდგომში ცხოვრების სტილში აისახება, სექსუალობაზე აგრეთვე ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური პირობები ზემოქმედებენ. რუსეთ–იაპონიის ომისა და რუსეთში მომხდარი პირველი რევოლუციის პერიპეტიების შემდეგ, როცა ადამიანებმა იმედი და რწმენა დაკარგეს, ჩაისახა „სანინიზმად“ წოდებული დიდი სექსუალური მოძრაობა, რომელშიც მოზრდილებთან ერთად მოზარდებიც ჩაერთვნენ. აღსანიშნავია, რომ სწორედ რევოლუციებისა და ომების დროს, როცა სუფევს ცხოვრების უაზრობის განწყობა, სექსუალობას მეტისმეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ პოლიციაში კარგადაა ცნობილი სექსის ფსიქოლოგიური განტვირთვის საშუალებად გამოყენება. ევროპაში პოლიცია დამნაშავეს ყველაზე ხშირად საროსკიპოებში პოულობს – მკვლელები და სხვა დამნაშავეები იქ მიდიან, რამეთუ დანაშაულის ჩადენის შემ–

დეგ თავს ზედმეტად დაძაბულად გრძნობენ და შვებას ეძებენ. მათ კიდევ ერთხელ უნდათ საკუთარ ძალებში დარწმუნება, რათა საკუთარ თავს დაუმტკიცონ, რომ გამორჩეულად ძლიერი ნატურები და არა დაკარგული სულები არიან.

სოციალური გამოსავალი

ერთმა ცნობილმა ფრანგმა ერთხელ თქვა, რომ ადამიანი – ცხოველია, რომელიც ჭამს, თუმცა მშიერი არ არის, სვამს, თუმცა არ სწყურია, და მუდმივად სექსუალურ ურთიერთობაში შედის. მართლაც, სექსუალური ინსტიქტის წაქეზება არაზომიერი მადის წაქეზებას ენათესავება. და როცა რაღაცის მიმართ მადა უზომოა და რაღაც ინტერესები გაზვიადებულია, ცხოვრების ჰარმონია ირღვევა.

ფსიქოლოგიური ანალები სავსეა იმ ადამიანების დაავადებების ისტორიებით, რომლებმაც თავიანთი მადა ან ინტერესები იმ დონემდე განავითარეს, რომ მათ კომპულსურობის ხასიათი მიიღეს, იმ ცნობილი ძუნწის მსგავსად, რომელიც ფულს გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებს. შეიძლება სისუფთავის მნიშვნელობის გაზვიადებაც და თავისი საქმიანობის სათავეში დღე და ღამე რეცხვის დაყენება. გარდა ამისა, არიან ადამიანები, რომლებშიც ჭამის კულტი ბატონობს. ისინი მთელი დღე რაღაცას ღეჭავენ, მხოლოდ ჭამით ინტერესდებიან და ამის გარდა არაფერზე საუბრობენ.

იგივე ბუნება აქვს სექსუალობის მნიშვნელობის გაზვიადების შემთხვევებსაც.

მათი შედეგია – ადამიანის მთელი ცხოვრების ჰარმონიის დარღვევა და საბოლოოდ მისი ყოველგვარი აზრის დაკარგვა.

სექსუალური სფეროს სათანადო სწავლება გვეხმარება სექსუალური ლტოლვების სასარგებლო მიზნებით გამოყე–

ნების გამოცდილების შეძენაში, ადამიანის მთელ ცხოველქ-მედობასთან მათი ჰარმონიაში მოყვანით. და თუ ცხოვრე-ბის მიზანი სწორადაა შერჩეული, არც ერთი გამოვლინება, მათ შორის სექსუალობაც, გადაჭარბებული არ ხდება.

მეორეს მხრივ, ყველა ინტერესის და მადის კონტრო-ლირების და შესაბამისობაში მოყვანის ვალდებულება თავის თავში მათი სრული დათრგუნვის საშიშროებას შეიცავს. რო-გორც ჭამის საკითხებში ძალ-ღონის გამომლევი დიეტებით მუდმივი გატაცება მავნეა სხეულისა და გონებისათვის, ისე სექსის საკითხებშიც მკაცრი შეზღუდვები არასასურველია.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარეობს, რომ ცხოვრების ხელსაყრელი სტილის შემთხვევაში სექსუალობა თავისი გა-მოხატვის ბუნებრივ და სწორ ფორმას იპოვის. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ მხოლოდ თავისუფალი სექსუალური თვითგამოვლენით შეიძლება ცხოვრების სტილის დარღვე-ვის შედეგად შეძენილი ნევროზის დაძლევა. დღევანდელ დღეს იმ რწმენის პროპაგანდა, რომ ლიბიდოს გამოდევნა ნევროზების მიზეზია, ეჭვს იმიტომ იწვევს, რომ ამ პრობლე-მისადმი სხვა მიდგომაც არსებობს. ნევროტული პიროვნება ვერ პოულობს სექსუალური თვითგამოვლენის შესაფერის ხერხს.

არსებობენ ისეთი ადამიანები, რომლებიც, მისდიეს რა სექსუალურ სფეროში უფრო თავისუფლად თვითგამოვლე-ნის შესახებ რჩევებს, თავიანთ პრობლემებში კიდევ უფრო ღრმად ჩაეფლნენ. ამის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ მათ სექსუალურ ცხოვრებაში დამარცხება განიცადეს, რამე-თუ არ ჰქონდათ სასარგებლო მიზანი, რომლის არსებობაც ნევროტული მდგომარეობის შეცვლის ერთადერთი პირობაა. სექსუალური ინსტიქტის, როგორც ასეთის, გამოვლინება არაფერს არ წყვეტს, რამეთუ ნევროზი – ესაა ჩვენ მიერ წო-დებული „ცხოვრების სტილის“ დარღვევა, და მისი განკურ-

ნება მხოლოდ ამ სტილის შეცვლითაა შესაძლებელი.

ეს ყველაფერი იმდენად აშკარაა ინდივიდუალური ფსიქოლოგიის წარმომადგენლისათვის, რომ ის ყველა სექ-სუალური პრობლემის გადაჭრის საშუალებად ბედნიერ ქორწინებას უყოყმანოდ დაასახელებს. ნაკლებად სავარაუ-დოა, რომ ნევროტიკი შესძლებს პრობლემის ამგვარ გადა-წყვეტას თავისი სილაჩრისა და საზოგადოებაში ცხოვრები-სათვის მოუმზადებლობის გამო. აგრეთვე ის ადამიანები, რომლებიც სექსუალობის მნიშვნელობას აზვიადებენ, საუბ-რობენ პოლიგამიაზე, ქორწინების ჯგუფურ და სხვა არატრა-დიციულ ვარიანტებზე, რათა გაექცნენ სექსუალური პრობ-ლემების სოციალურ გადაწყვეტას. მათ არ ჰყოფნით მოთმი-ნება, რათა სოციალური შეგუების პრობლემას მიუდგნენ ქმრის და ცოლის ურთიერთ ინტერესის პრინციპზე დაყრდ-ნობით, ამიტომ ისინი ოცნებობენ ამ სიტუაციიდან გაქცევის რაიმე ახალი ფორმულის მოძებნაზე. თუმცა ყველაზე რთუ-ლი გზა ხშირად ყველაზე პირდაპირია.

თავი 13. დასკვნა

ახლა კი დადგა ჩვენი კვლევის შედეგების შეჯამების დროც. მცირე ყოყმანის გარეშე ვამტკიცებთ, რომ ინდივი-დუალური ფსიქოლოგიის მეთოდი არასრულფასოვნების კომპლექსით იწყება და მთავრდება.

როგორც დავრწმუნდით, არასრულფასოვნება საფუძვ-ლად ედება ადამიანურ მისწრაფებებს და წარმატებებს. მეო-რეს მხრივ, არასრულფასოვნების შეგრძნება – ბევრი პრობ-ლემის და საზოგადოებაში ცუდი ადაპტაციის მიზეზია. უპირატესობის სათანადო და კონკრეტული მიზნის არარსე-ბობის შედეგად ადამიანს უჩნდება არასრულფასოვნების კომპლექსი. ის იწვევს ცხოვრებისგან გაქცევის სურვილს,

რომელიც გამოიხატება უპირატესობის კომპლექსში და სხვა არაფერია, თუ არა უსარგებლო და უაზრო ცხოველქმედობა, რომელიც სთავაზობს მცდარი და ილუზორული წარმატებებით დაკმაყოფილებას.

აი, რას წარმოადგენს ადამიანური ცხოვრების დინამიკა. ცნობილია, რომ ფსიქიკის ფუნქციონირებაში შეცდომები ადამიანისთვის გაცილებით უფრო დამღუპველია, ვიდრე შეცდომები სხვა ნებისმიერი ორგანოების და სისტემების ფუნქციონირებაში. ისიც ვიცით, რომ ცხოვრების სტილი კრისტალიზდება ბავშვობაში ჩამოყალიბებულ მიდრეკილებებში – პროტოტიპის ფორმირებასთან ერთად, რომელიც ჩვეულებრივ ოთხი–ხუთი წლის ასაკში ხდება. ამრიგად, მთელი ჩვენი ფსიქიკური ცხოვრება ასდენს ბავშვობაში ჩადებულის რეალიზებას.

რაც შეეხება ბავშვის აღზრდას, მისი ძირითადი მიზანი, როგორც ვნახეთ, უნდა გახდეს ერთობის გრძნობის განვითარება, რომლის საფუძველზეც შემდგომში კრისტალიზდება ცხოვრების ჯანსაღი და სასარგებლო მიზნები. სოციალური ნორმების დაცვით ბავშვებისთვის ცხოვრების სწავლება – იმის აუცილებელი პირობაა, რომ არასრულფასოვნების უნივერსალური შეგრძნება ჩადგეს პიროვნების ჯანსაღი განვითარების სამსახურში და არ გადაიქცეს არასრულფასოვნების ან უპირატესობის კომპლექსად.

სოციალური შეგუება არასრულფასოვნების პრობლემის მედლის მეორე მხარეს წააგავს. სწორედ იმიტომ, რომ ცალკეული ადამიანი არასრულფასოვანი და სუსტია, ადამიანური არსებები ერთობლივ ცხოვრებას ეწევიან. ამრიგად, ერთობის გრძნობა და სოციალური თანამშრომლობა ადამიანის ხსნის ერთადერთი გზაა.

სარჩევი

თავი 1. ინდივიდუალური ფსიქოლოგიის
პრინციპები.....3
მიზნისკენ მისწრაფება.....3
აპერცეფციის სქემა.....7
არასრულფასოვნების გრძნობა და ერთობის
გრძნობა.....11
საღი აზრი და მისი არარსებობა.....13
მშობლების გავლენა.....15
გრძნობები და სიზმრები.....17
დაბადების თანმიმდევრულობა და
ადრეული მოგონებები.....19
დასკვნა.....22
თავი 2. შეზღუდვების დაძლევა.....22
ინდივიდუალური ერთობა.....23
სოციალური კონტექსტი.....25
ნაკლოვანებებთან დამოკიდებულება.....30
არასრულფასოვნების ძლიერი გრძნობის
ნიშნები.....35
თავი 3. არასრულფასოვნების კომპლექსი
და უპირატესობის კომპლექსი.....39
ზოგადი დებულებები.....40
შემთხვევები.....46
თავი 4. ცხოვრების სტილი.....54
ცხოვრების სტილის გაგება.....58
ცხოვრების სტილის კორექცია.....65
თავი 5. ადრეული მოგონებები.....69
მოგონებების ფორმები.....72
მოგონებების შინაარსი.....75

განებივრებული და ათვალწუნებული
ბავშვების მოგონებები.....79
თავი 6. სხეულის მოძრაობები და ფსიქიკური
განწყობები.....83
სხეულის მოძრაობები.....84
დგომის მანერა.....84
დაყრდნობის მანერა.....85
დისტანცია და სიახლოვე.....86
განწყობები.....89
სითამამე და მოშიშარობა.....89
ბედისწერის რწმენა.....92
შური, მამაკაცის პროტესტი და სექსუალური
პრობლემები.....94
თავი 7. სიზმრები და მათი ახსნა.....98
ცხოვრების სტილი და მიზნები.....99
კერძო ლოგიკა.....103
სიზმრების მიზეზები.....107
ძილი, სიფხიზლე და ჰიპნოზი.....110
თავი 8. აღზრდა და პრობლემური ბავშვები.....112
სკოლა და საზოგადოებრივი იდეალები.....113
ოჯახის გავლენა.....115
პრობლემური ბავშვები.....118
მკურნალობა.....123
დიაგნოზი: დაბადების რიგითობა.....127
თავი 9. ცხოვრების მცდარი სტილი: ავადმყოფო–
ბის ისტორია.....132
ადრეული ბავშვობა.....133
პრობლემები სკოლაში.....136
ცხოვრებისეულად მნიშვნელოვანი სამი
პრობლემა.....139

შეცდომების თავიდან აცილება და
გამოსწორება..... 143
თავი 10. დამნაშავეობა და სოციალური
ინტერესის არქონა.....144
ზოგადი დებულებები.....145
შემთხვევები.....149
თავი 11. სიყვარული და ქორწინება..... 156
თანასწორობის წანამძღვრები..... 157
ქორწინებისათვის მომზადება..... 159
ცოლქმრული წყვილის კონსულტირება..... 164
თავი 12. სექსუალობა და სექსუალური
პრობლემები.....170
სწავლება ადრეულ ასაკში..... 171
ცხოვრების სტილზე დამოკიდებულება..... 174
სხვა ფაქტორები..... 177
სოციალური გამოსავალი..... 179
თავი 13. დასკვნა..... 181

ალფრედ ადლერი

ცხოვრება – მეცნიერებაა

რედაქტორი: თამაზ თურმანიძე
ტექნიკური რედაქტორი: ზურაბ მანდენაშვილი
დაიბეჭდა შპს „თეკა & კომპანია“–ში
გამომცემლობა „პეგა“